

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
საქართველოს უმცაობა არსებულ უცხოური
წარმოების კომისია

აღიქსი იეულევის 1650 — 1652 წწ.
იმერეთის სამეფოში ელჩობის
საანგარიშო აღწერილობა
(«მუხლობრივი აღწერილობა»)

რუსული ტექსტი, ხელნაწერების მიმოხილვით და ქართული
თარგმანით გამოსაცემად მოამზადა
იასე ცინცაქემ

წინამდებარე წიგნი, რუსეთის ელჩის, ალექსი იველვეის მიერ იმერეთიდან დაბრუნებისას მოსკოვის საგარეო საქმეთა საგანგებო წარდგენილ საანგარიშო მოხსენების თარგმანია. თარგმანს თან ერთვის იველვეის მოხსენების, პროფ. მ. პოლიევტოვის მიერ გამოცემული რუსული ტექსტი და მოსკოვის არქივში დაცული ამ ელჩობის მოხსენებათა ხელნაწერების მიმოხილვა.

ალექსი იველვეის საანგარიშო მოხსენება მე-17 საუკუნის შუა წლების (1650—1652) იმერეთის სამეფოს აღწერილობას შეიცავს. აქ შესანიშნავი ცნობებია იმერეთის მოსახლეობისა, სოფლებისა, მეურნეობისა, ციხე-ქალაქებისა, ეკლესია-მონასტრებისა და თვით სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.

აქ მოცემულ ცნობებს საქართველოს მე-17 საუკუნის ისტორიისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

მთავარი რედაქცია: ი. აბულაძე , ვლ. ფუთურაძე ,

ს. ყაუხჩიშვილი, გ. წერეთელი
(მთ. რედაქტორი), ს. ჯიქია

რუსული წყაროების სერიის რედაქტორი ი. ცინცაძე

წინასიტყვა

მე-17 საუკუნის რუსეთის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში საქართველოს სამეფო-სამთავროებთან ურთიერთობის საკითხი ყოველთვის გართულებულ ვითარებაში აღიძრებოდა. თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე რუსეთის დიპლომატია შებოჭილი მოჩანს ხან გლეხების აჯანყებებით, ხან მეზობელ სახელმწიფოებთან ომებით.

გაერთიანებული ლიტვა-პოლონეთის სახელმწიფო არაერთი ათეული წლების განმავლობაში მოსკოვის ტახტს ედავებოდა რომანოვების დინასტიას და არაერთხელ იარაღით შეეცადა ეს საკითხი თავის სასარგებლოდ გადაეწყვიტა. უკრაინის გამო კი რუსეთი იძულებული გახდა არა მარტო ლიტვა-პოლონეთისათვის გაეწია ანგარიში, არამედ თურქეთისა და ყირიმის პასუხის გასაცემადაც მზად ყოფილიყო. რუსეთის გლეხობის მორჩილებაში მოყვანას მთელი საუკუნე დაჰირდა და ეს საკითხი მე-17 საუკუნის რუსეთის მესვეურებმა მაინც გადაუწყვეტელი უანდერძეს მე-18 საუკუნის რომანოვების ნაშეიერებს.

ამიერკავკასიაში ჰეგემონობისათვის ბრძოლაში რუსეთი დამარცხდა და აღმოსავლეთ საქართველოში ირანი ვაბატონდა. რუსეთზე ორიენტირებულმა ქართველმა პოლიტიკოსებმა დასავლეთ საქართველოს შეაფარეს თავი, მაგრამ ხსნას მაინც ჩრდილოეთიდან მოელოდნენ. იმერეთში გადახვეწილი თეიმურაზ I თავის გვირგვინოსან სიძეს რუსეთის მეფის მფარველობაში შესვლას ურჩევდა და ქვეყნის ხსნას ამ გზით მოელოდა.

მე-17 საუკუნის თურქეთი რუსეთის დიპლომატიის დასავლეთ საქართველოში „დიასახლისობას“ არ შეიძლებოდა შერიგებოდა. ჩვენ არ ვიცით, როგორ მსჯელობდა რუსეთის დიპლომატია, როცა იმერეთში თავის ელჩებს, „საჩუქრებს“ და „ფიცის წიგნზე“ რიტუალის შესრულებას და ბეჭდის დასმას თავაზობდა იმერეთის მეფე ალექსანდრე III.

დამარცხების შემთხვევაში, ალბათ იმერეთშიც ისე მოქმედება იყო ნავარაუდები, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში. მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ რუსეთის დიპლომატია არავითარ ზიფრთხილეს არ იჩენდა და სამხრეთელი აგრესორების გალიზიანებას არ ერიდებოდა. რუსეთის საგარეო საქმეთა საგანგოს ყოფილი თანამშრომელი, გრიგოლ კატოშინინი თავის თხზულებაში ერთგან, სადაც რუსეთის მეფეების ტიტულაციის საკითხს ეხება, საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ქრისტიანულ სახელმწიფოებში გაგზავნილ წერილობით დოკუმენტებში რუსეთის მეფე ქართლის და ივერიის ქვეყნე-

ბის მეფედ და მფლობელად იწერებოდა. მაგრამ ირანსა და თურქეთის სახელმწიფოებში გაგზავნილ საბუთში რუსეთის მეფის ტიტულაციაში საქართველოს ხსენება ამოკვეთილია, რადგანაც ამის გამო რუსეთსა და ამ სახელმწიფოებს შორის ომიც შეიძლება დაიწყოს და საქართველოც დაარბიონო: „... А как бы он (საუბარია რუსეთის მეფეზე) писался теми титлами всеми, что пишется в христианские государства, и на него б за то все бусурманские государства подняли б войну“¹. ამ პალიატურ ღონისძიების გარდა, საქართველოში გამოგზავნილ ელჩებს სიბრთხილე ევალებოდა და თურქეთისა და ირანის დიპლომატიის საქმიანობის შესახებ ცნობების შეკრება საგანგებო კოსპირაციით უნდა ეწარმოებინათ. ელჩს ინსტრუქციაში ასე უწერდნენ: „проведывать себе тайно, как ныне грузинской Теймураз царь с турским и с кизылбашским шахом... и о всем, будучи в грузинской земле вестей всяких проведывать...“²

ასეთი სიფრთხილით მოიწვედა რუსეთის დიპლომატია ამიერკავკასიაში და არა ახვეული თვალებით. ქართველი მეფის კარისკაცების მოსასყიდად გათვალისწინებული თანხები თუ ნივთები წინასწარ იგეგმებოდა და ელჩებს თან მოჰქონდათ. იველევის მოხსენებაში ერთგან აღნიშნულია: „რომ ალექსანდრე მეფე (რუსთ) ხელმწიფეს ფიცს არ აძლევდა, საქმეს აკიანურებდა, კვირიდან კვირემდე გვიპირდებოდა და ასე გვიქცევდა. ამის გამო... ვიხმეთ მეფის სულიერი მოძღვარი ზაქარია მიტროპოლიტი, დარბაზის კაცი ფეშანგ მდივანი „ამირევი“, ბიძინა თარჯიმანი და ამათ (საიდუმლოდ) მოველაპარაკეთ, რომ მეფეს ურჩიონ... ის საქმე დააბოლოოს, ჯვარზე მთხვევით დაიფიცოს... ამის გამო იმათ მიეცათ: მიტროპოლიტს 20 სიასამური, 4 არშინი საუკეთესო ხარისხის მაუდი და... აბრეშუმის ქსოვილის ნაჭერი. სულ მას მიეცა 20 მანეთად, 26 ალტინად და 4 დენგად ღირებული საქონელი. ფეშანგ დარბაზის მდივანს 5 ცალი სიასამური, 4 არშინი იგივე მაუდი, აბრეშუმის ქსოვილი ერთი ნაჭერი, სულ 10 მანეთად, 26 ალტინად და 1 დენგად ღირებული საქონელი. თარჯიმანს თარჯიმნობისათვის 2 ცალი სიასამური — სულ 3 მანეთად ღირებული“³.

მართო აქედანაც დაინახავდა მკითხველი, როგორი ფასდაუდებელი უნდა იყოს რუსეთის ელჩების ჩანაწერები იმერეთის შესახებ და ამ ძეგლის გამოცემა ქართულ ენაზე რაოდენ მართებულია.

¹ Гр. Котошихин, О России в царствование Алексея Михайловича. IV издание, СПб, 1906, стр. 39—40.

² М. Полневиков, Материалы..., 1937, стр. 209-210.

³ იხ. აქვე, გვ. 98.

ბოლოჩანოვისა და იევლევის იმერეთში ელჩობის „მუხლობრივ აღწერილობათა“ საკითხისათვის

აქამად საბოლოოდ დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ XVIII საუკუნის ცნობილი მოღვაწის, ნ. ნოვიკოვის მიერ გამოცემული, იმერეთში გამოგზავნილი რუსი ელჩების, „მუხლობრივი აღწერილობა“ ალექსი იევლევის მიერ არის დაწერილი და არა ტოლოჩანოვის მიერ, როგორც ეს ნოვიკოვს ეგონა.

მეორედ იგივე ტექსტი პროფ. მ. პოლიევქტოვმა გამოსცა 1926 წელს. პროფ. მ. პოლიევქტოვის გამოცემაში ნოვიკოვისეული ტექსტი „С“ ხელნაწერის სახელწოდებით არის ცნობილი¹.

1650—51 წლებში გამოგზავნილი რუსი ელჩების, ტოლოჩანოვისა და იევლევის, იმერეთში საქმიანობის „მუხლობრივ აღწერილობათა“ (საანგარიშო მოხსენებათა) პოლიევქტოვისეული გამოცემა, რა თქმა უნდა, საგრძნობლად განსხვავდება ნოვიკოვისეული გამოცემებისაგან არა მარტო იმით, რომ მ. პოლიევქტოვი, როგორც კარგი არქეოგრაფი დედნის სრულ სურათს ასახავს თავის გამოცემაში, არანედ მან მოგვცა იმერეთში მყოფი რუსი ელჩების საანგარიშო მოხსენებათა სამი სხვადასხვა რედაქციის მქონე ხელნაწერების ტექსტები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XVIII საუკუნის ბოლოს, ნოვიკოვის მიერ გამოცემული „მუხლობრივი აღწერილობა“ ტოლოჩანოვს კი არ ეკუთვნის, არამედ იევლევს. იევლევი ელჩობის სრულუფლებიანი წევრია. ამ ელჩობის ხელმძღვანელი კი ტოლოჩანოვი იყო. იევლევი ელჩობაში ტოლოჩანოვის შემდეგ პირველი პირია, ისე რომ გზაში ტოლოჩანოვის გარდაცვალების შემთხვევაში, ელჩობას იევლევი უხელმძღვანელებდა.

იევლევის მიერ შედგენილი „მუხლობრივი აღწერილობა“ ტოლოჩანოვისეულად ნ. ნოვიკოვმა გაუგებრობის გამო გამოაცხადა. რუსეთში არსებული წესებით, უცხოეთში გაგზავნილი ელჩობის საანგა-

¹ М. Полиевктов. Посольство стольника Толочанова и дьяка Ивлева в Имеретию, 1926, Тифлис, стр. 114—192.

რიშო მოხსენება ამ ელჩობის ხელმძღვანელს უნდა წარედგინა საგარეო საქმეთა საგანგოში (ПОСОЛЬСКИЙ ПРИКАЗ). ნოვიკოვმა, რაკი საანგარიშო მოხსენების ტექსტი იპოვა და ტოლოჩანოვის ხელმძღვანელობითი როლიც გაარკვია, ყოველგვარი გამოძიების გარეშე ძეგლის ავტორად ტოლოჩანოვი გამოაცხადა.

ამ შეცდომას და ამის მსგავს შეცდომებს არსებითი მნიშვნელობა აქვთ იმათთვის, ვინც ამ ძეგლებზე დაყრდნობით ამა თუ იმ საკითხის გარკვევას ცდილობს.

ნოვიკოვის მიერ გამოცემული ძეგლის ავტორად ტოლოჩანოვის გამოცხადება საექვოდ მიიჩნია ჯერ კიდევ აკად. ბროსემ და ტექსტის პრაქტულ ადგილზე მიუთითა, საიდანაც იველუვის ავტორობა გარკვევით ჩანდა.

მ. პოლიევქტოვის მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგად აღმოჩნდა 1650—51 წლებში იმერეთში გამოგზავნილი რუსი ელჩების „მუხლობრივ აღწერილობათა“ ორი ახალი, მანამდე უცნობი, ხელნაწერი. განსვენებულმა მეცნიერმა ერთად გამოსცა ახლად აღმოჩენილი ხელნაწერების ტექსტები და ნოვიკოვისეულიც.

გამოირკვა, რომ ტოლოჩანოვს ცალკე თავისი „მუხლობრივი აღწერილობა“ შეუდგენია, იველუვს კი ცალკე თავისი. პოლიევქტოვის გამოცემაში ტოლოჩანოვისეული „აღწერილობა“ „B“ ხელნაწერის სახელწოდებით არის დაბეჭდილი², მეორე ახლად ნაპოვნი ხელნაწერი „A“ სახელწოდებით არის იქვე მოცემული³.

საყურადღებოა, რომ 1926 წელს პროფ. პოლიევქტოვი, მეტისმეტ სიფრთხილეს იჩენს, თუ სხვა რაიმე მიზეზის გამო, ვერ ბედავს საბოლოოდ დადგენილად გამოაცხადოს „B“ ხელნაწერის ავტორად ტოლოჩანოვი, ხოლო „C“ ხელნაწერისა — იველუვი.

საფიქრებელია, რომ განსვენებულ მეცნიერს მეტისმეტად აეჭვებდა ერთ საქმეზე ელჩობის ორი წევრის მიერ, ერთიმეორისაგან დაშოუკიდებლად, „მუხლობრივ აღწერილობათა“ შედგენა და მთავრობისათვის წარდგენა.

1940 წელს მ. პოლიევქტოვმა არქივში დამატებითი მასალები იპოვა იმერეთში გამოგზავნილი ელჩების შესახებ და მის შემდეგ მისთვის საესებით ნათელი შეიქნა, რომ „B“ ხელნაწერის ავტორი ტოლოჩანოვა, ხოლო „C“-სი კი იველუვი⁴.

² М. Полневков, стр. 59—114.

³ იქვე, გვ. 25—58.

⁴ იხ. მ. პოლიევქტოვის წერილი «К вопросу об авторе Статейного списка „С“ посольства Толочанова и Ивлева: სსრკ მეცნ. აკად. საქართვე. ფილიალის შიგნით, ტ. 1, № 1, 1940, გვ. 81—86.

მ. პოლიევქტოვის მიერ აღმოჩენილი ტექსტები და მასალები ჩვენ საშუალებას გვაძლევს იმერეთში გამოგზავნილი რუსი ელჩების „მუხლობრივ აღწერილობებში“ დაცული ცნობები შევამოწმოთ. ირკვევა, რომ ტოლოჩანოვი და იველევი ერთიმეორისაგან სრულიად დამოუკიდებლად წერდნენ თავიანთ „აღწერილობებს“. ჩვენ შეგვიძლია ტოლოჩანოვის აღწერილობაში დაცული ცნობები შევეუდაროთ იველევის აღწერილობაში მოცემულ ცნობებს და რუსული „მუხლობრივი აღწერილობებისადმი“ ხელალებით ნდობის საკითხიც გადავსინჯოთ, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ. ჩვენ ახლა გამოსარკვევი გვაქვს ახალი საკითხი: რას წარმოადგენს „А“ ხელნაწერი (პოლიევქტოვის გამოცემაში გვ. 25—58), ვინ არის „А“ ხელნაწერის ავტორი და რა დანიშნულება აქვს ამ აღწერილობას. მ. პოლიევქტოვის მიერ გამოთქმული მოსაზრებანი ამ საკითხის გარშემო სინამდვილეს ვერ ასახავენ. პროფ. პოლიევქტოვი მართალია იმაში, რომ მას „А“ ხელნაწერში მოცემული აღწერილობა, დიპლომატიური მისიის სრულ ოფიციალურ ანგარიშად არ მიაჩნდა, მაგრამ მიუღებელია მისი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ეს ხელნაწერი თითქოს წარმოადგენს ამოკრებილ მასალას რომელიდაც უფრო ვრცელი დოკუმენტიდან⁵. მიუღებელია და არ არის დამაჯერებელი განსვენებული პროფესორის მოსაზრება, თითქოს „А“ „აღწერილობა“ და „В“ „აღწერილობა“ (უდავოდ ტოლოჩანოვისეული) ამოღებული იყოს ერთი მთლიანი, დიდი, ჩვენამდე არ მოღწეული, განსხვავებული რედაქციის შქონე, ხელნაწერიდან⁶.

1940 წელს დამატებითი ცნობების აღმოჩენის შემდეგ პროფ. პოლიევქტოვი „А“ აღწერილობას არსებითად არ შეეხო, აღნიშნა მხოლოდ, რომ იგი თეიმურაზ მეფესთან წარმოებული მოლაპარაკების ცნობებს შეიცავსო და მოკლედ შენიშნავს:

«Посольству по возвращении в Москву, очевидно, пришлось давать объяснения по поводу происшедшего инцидента» (чем и объясняется — заметим в скобках — происхождение статейного списка А), объяснения, во время которых на долю Иевлева выпало, «на чужом пиру похмелье».⁷

არც ეს მოსაზრება მიგვაჩნია მისაღებად. „А“ აღწერილობა არ

⁵ М. Полняктов, Посольство стольника Толочанова и Иевлева, 1926, стр. 035—036.

⁶ იქვე.

⁷ აქ ლაპარაკი არის იმ კონფლიქტზე, რომელიც თეიმურაზსა და რუს ელჩს, ტოლოჩანოვს შორის წამოიჭრა ერთ-ერთი მოლაპარაკების დროს. იხ. პოლიევქტოვის გამოცემაში გვ. 56—57.

არის დამოკიდებული „B“ ხელნაწერისაგან, ამათ არ აქვთ საერთო წყაროდ რომელიღაც სრული აღწერილობა და, ბოლოს, „A“ აღწერილობა არ არის კონფლიქტის გამო მოსკოვში შედგენილი ცნობარი. კიდევ მეტი: „A“ აღწერილობა არც იევლევის კალამს უნდა ეკუთვნოდეს და არც ტოლოჩანოვისას.

რას წარმოადგენს თავის მიზანდასახულობით „A“ ხელნაწერში მოცემული აღწერილობა?

დასმული საკითხის გასარკვევად გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება:

მოსკოვში 1649 წლისათვის ცნობილი შეიქნა, რომ თეიმურაზ I, კახთა მეფე, თავის სამფლობელოდან განდევნილია და იმერეთში არის გახიზნული. 1649 წელს ერთსა და იმავე დროს მოსკოვში ჩავიდნენ თეიმურაზ კახთა მეფის ელჩები და ალექსანდრე იმერთა მეფის ელჩები. მოსკოვისათვისაც კახეთი ცალკე პოლიტიკური ერთეულია და იმერეთი ცალკე. მაგრამ, რადგანაც იმერეთის და კახეთის მეფეები გარკვეული სიტუაციის გამო ერთ სახელმწიფოში არიან, კერძოდ, იმერეთში და ორივესთან იქ შეიძლება მოლაპარაკება, ამიტომ ერთ ელჩობას დაევალა იმერეთის მეფესთანაც და კახეთის მეფესთან მოლაპარაკება. ამით მოსკოვში მდგომარეობა შეიმსუბუქეს, კახეთში საგანგებო ელჩობის მოწყობაც არ დასჭირდათ და ხარჯებიც შეამცირეს.

მოსკოვში ისიც ივარაუდეს, რომ შესაძლებელი იყო, რუსი ელჩების იმერეთში მისვლისას, თეიმურაზი უკვე თავის სამფლობელოში დაბრუნებული აღმოჩენილიყო და ამ შემთხვევისათვის თავიანთ ელჩებს ავალებდნენ იმერეთიდან კახეთში გადასასვლელი გზები გამოეძებნათ და თეიმურაზთან მოლაპარაკება განაწესის მიხედვით სისრულეში მოეყვანათ.

ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ რუსეთის ელჩებს საანგარიშო მოხსენება კახეთის შესახებ ცალკე უნდა წარედგინათ და იმერეთის შესახებ ცალკე. „მუხლობრივი აღწერილობანი“, ხომ მოგზაურის ჩანაწერები არ არის, იგი ოფიციალური ანგარიშია, ინსტრუქციის პუნქტების მიხედვით შედგენილი და წარდგენილი. თეიმურაზთან წარმოებულ მოლაპარაკების ანგარიში ცალკე — კახეთის სამეფოს საქმეებთან ინახებოდა, იმერეთის საქმეები — ცალკე (იმერეთთან ურთიერთობა ხომ მაშინ იწყებოდა არსებითად).

ის გარემოება, რომ ელჩობა ერთსა და იმავე პირებს (ტოლოჩანოვსა და იევლევის) აქვთ დაკისრებული კახთა მეფესთან და იმერთა მეფესთანაც, სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ ერთი საანგარიშო

„მუხლობრივი აღწერილობა“ უნდა ყოფილიყო ორივე სამეფოსთან მოლაპარაკების შესახებ⁸.

„А“ აღწერილობა წარმოადგენს კახთა მეფესთან რუსი ელჩების მოლაპარაკების ანგარიშს და მას საერთო არაფერი აქვს თავისი და ნიშნულებით იმერეთის მეფესთან წარმოებულ მოლაპარაკებასა და თვით იმერეთის აღწერილობასთან. იმერეთის შესახებ, და მის მეფესთან მოლაპარაკების შესახებ, ტოლოჩანოვი და იველვეი ერთიმეორისაგან სრულიად დამოუკიდებლად წერენ „მუხლობრივ აღწერილობებს“ ანუ ანგარიშებს. თუ რამ გამოიწვია იმერეთის შესახებ ორი ანგარიშის შედგენა, ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

თეიმურაზთან მოლაპარაკება თვით ელჩებისათვის განკუთვნილი ინსტრუქციის მიხედვით უფრო მარტივია, ვიდრე ალექსანდრე იმერთა მეფესთან. იმერეთის მიმართ სხვა დავალებები აქვთ ელჩებს. იმერეთის შესახებ ვრცელი მოხსენება აქვთ დასაწერი. იმერეთს პირველად ამ წლებში ეცნობა მოსკოვი, იგი პირველად უნდა აღიწეროს როგორც გეოგრაფიულად, ისე დემოგრაფიულად, ციხე-ქალაქებით, ეკლესია-მონასტრებით და მათი მორთულობით, სავაჭრო გზებით, პოლიტიკური ურთიერთობებით და სხვ. აქ ელჩებს დიდი სამუშაო აქვთ.

თეიმურაზის მიმართ საქმე მარტივია. იმერეთში მას ერთი საცხოვრებელი კუთხე აქვს, ისიც დროებით, მისი სამფლობელო აღსაწერი არ არის, ელჩებს ევალებათ თეიმურაზთან მოლაპარაკება და ამ მოლაპარაკების შინაარსისა და პროცესის აღწერა.

ამით უნდა ავხსნათ ის გარემოება, რომ პროფ. პოლიევექტოვს სამართლიანად შეუნიშნავს, მაგრამ ნორმალურ მოვლენად არ მიაჩნია: «Статейный список «А» ограничивается переговорами послов с Теймуразом; ...причем это ограничение проводится строго»⁹.

სხვა სახის აღწერილობა იმერეთში მყოფ თეიმურაზ პირველთან წარმოებულ მოლაპარაკებისა არც იყო მოსალოდნელი. თუკი იმერეთის მეფესთან მოლაპარაკებას და თვით იმერეთის აღწერილობას დავალებისამებრ ასრულებდნენ ელჩები.

არავითარი კონფლიქტის გამო არ არის წარმოშობილი „А“ აღ-

⁸ იველვეი თავის აღწერილობაში ერთ ადგილას შენიშნავს: «А как у Теймураза царя были послы на посольстве, и то писано подлинно в Теймуразове в статейном списке». М. Полиевктов, Посольство стольника Толочанова..., 1926, стр. 125.

⁹ М. Полиевктов. «К вопросу об авторе...» სსრკ აკად საქართვე. ფილ. ლის მთაბე, ტ. 1, № 1, 1940, გვ. 82.

წერილობა. იგი ჩვეულებრივი ანგარიში არის კახეთის მეფესთან წარმოებულ მოლაპარაკებისა. არც იველევის აღწერილობაში („C“) და არც ტოლოჩანოვის აღწერილობაში („B“) თეიმურაზ მეფესთან სახელმწიფო საქმეებზე მოლაპარაკების შესახებ საუბარი არ არის. თეიმურაზი იხსენიება მათ აღწერილობებში, მაგრამ იმდენად, რამდენადაც თეიმურაზი ალექსანდრე იმერთა მეფის ხსენებასთან არის დაკავშირებული და ისიც რამდენიმეჯერ¹⁰.

სრულიადაც შემთხვევითი არ არის ის მოვლენა, რომ საგარეო საქმეთა საგანგოის არქივში აღმოჩნდა „A“ და „B“ ხელნაწერები. ორივე ოფიციალური ანგარიშია, ტოლოჩანოვის მიერ წარდგენილი: ერთი შეეხება კახეთის მეფე თეიმურაზთან წარმოებულ მოლაპარაკებას, მეორე ალექსანდრე იმერთა მეფესთან.

დამახასიათებელია, რომ იველევიაეული ხელნაწერი პატრიარქის ბიბლიოთეკაშია მხოლოდ, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ „A“ და „B“ აღწერილობები ტოლოჩანოვის მიერ არის საგარეო საქმეთა საგანგოში წარდგენილი, მაგრამ ეს სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ „A“ აღწერილობა ტოლოჩანოვს ეკუთვნის.

ვინ შეადგინა თეიმურაზთან მოლაპარაკების ანგარიში? ჩვენ საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ „A“ აღწერილობა არ ეკუთვნის არც ტოლოჩანოვის კალამს და არც იველევას. „A“ ხელნაწერის ტექსტის გასინჯვა გვიჩვენებს, რომ მისი ავტორი თეიმურაზთან უშუალო მოლაპარაკების მონაწილე არის, მაგრამ ის არც ტოლოჩანოვია და არც იველევი, ერთგან „A“ აღწერილობაში ვკითხულობთ:

«Того же числа был царь Теймураз в Кутатисе и приходил на лобное место и посланников Мнкифора Толочанова да дьяка Олексея Иевлева к себе на лобное место для государева дела призывал и с ними говорил, а что говорил и то писано у посланников особными статьями»¹¹.

ამ სტრიქონების ავტორი ტოლოჩანოვი და იველევი არ უნდა იყოს, ეს შესაძებ პირია ვილაც, რომელიც ყველაფერს არ იწერს. ასეთი ადგილი არა ერთია ტექსტში. ერთგან, მაგალითად, მოთხრობილია, რომ ელჩებმა, რომლებიც ქუთაისში იყვნენ, თავიანთი კაცები გაგზავნეს ქ. რაჭაში მყოფ თეიმურაზთან, და იქიდან დაბრუნებულებს ამბავი მოუტანიათ, რომ თეიმურაზი მალე ქუთაისში მოვაო, ხოლო,

¹⁰ იველევი ხომ ვარკვევით მიგითითებს თეიმურაზის მუხლობრივი აღწერილობის ცალკე არსებობას, იხ. გვ. 125.

¹¹ М. Полневков, Посольство стольника Толочанова..., стр. 45.

ოქ რა საქმეზე გაგზავნეს თეიმურაზთან კაცი, ამის შესახებ ტექსტში წერია: «А что о какове деле ...посылан к царю, и то написано у посланников себе статьями»¹². არც ამ სტრიქონის ავტორი შეიძლება იყოს ტოლოჩანოვი და იველევი. „А“ ხელნაწერში არც ერთი ის „სტატია“ არ არის, რომელზედაც მოტანილი სტრიქონების ავტორი გვამცნობს.

ჩვენი დაკვირვებით „А“ ხელნაწერის ავტორი ბერძნული ენიდან მთარგმნელი ივანე ბოიარჩიკოვი უნდა იყოს. ტექსტიდან აშკარად ჩანს, რომ ელჩები მუდამ ივანე ბოიარჩიკოვს გზავნიან თეიმურაზთან. ბოიარჩიკოვი ახლავს გამუდმებით ელჩებს მეფესთან მოლაპარაკებრს დროს. ერთგან ტექსტში აღნიშნულია, რომ ოქტომბრის პირველს ტოლოჩანოვსა და იველევს ივანე ბოიარჩიკოვი მხლებლებით გაუგზავნიათ თეიმურაზ მეფესთან. თეიმურაზისაგან ითხოვენ მოსალაპარაკებლად დღის დანიშვნას. თეიმურაზს ბოიარჩიკოვი მიუღია და მობოდიშების შემდეგ განუცხადებია: «Я возьму послов к себе и обо всем переговорю. А чаю, что государево дело все и совершитца». ამის შემდეგ წერია: «А мне велел к себе подойти поближе: тепере мне говори на ухо...»¹³.

ამ სტრიქონის ავტორი უფრო ივანე ბოიარჩიკოვი უნდა იყოს. ბოიარჩიკოვის ავტორობა საფიქრებელი ხდება ტექსტის სხვა ადგილებიდანაც: «160-го году сентября в 1 день переводчик Иван Боярчиков сказывал посланником, что ехал де из Дадьян Теймураза царя старец, что с ним был, греченин, а имя ему Феофан, в Кутатис город, а сказывал мне, что он слышал в Дальнях»¹⁴.

ერთგან ტექსტის ავტორი საგანგებოდ ხაზს უსვამს მთარგმნელ ბოიარჩიკოვის მიერ თეიმურაზ მეფის ხელზე მთხვევას: «И посланники у руки Теймураза царя были.. да и переводчик, а государевы люди не были»¹⁵.

ივანე ბოიარჩიკოვი საგარეო საქმეთა საგანგოს თარგმანია. იგი ელჩობის შემადგენლობაში შედის, მას «переводчик»-ის თანამდებობა აქვს. როგორც გრ. კოტოშინის ცნობილი თხზულებიდან ჩანს, საგარეო საქმეთა საგანგოს «переводчик»-ებიც ჰყავდა და «тол-

¹² იქვე, გვ. 44, იხილე აგრეთვე გვ. 49.

¹³ М. Полиевктов, Посольство столыпинка Толочанова... стр. 51—52.

¹⁴ იქვე, გვ. 45—46.

¹⁵ იქვე, გვ. 57—59.

მაც»-ებიც, ამ თანამდებობებს შორის განსხვავება იყო. პირველს წერილობითი ძეგლის თარგმნა ევალებოდა წერილობით და მეტი პატივი და ჯამაგირი ჰქონდა. „ტოლმაჩებს“ საუბრის დროს ნალაპარაკევის თარგმნა ევალებოდათ ზეპირად. ამათი პატივი და ჯამაგირი ნაკლები იყო¹⁶.

ბოიარჩიკოვი პირველად არ არის საქართველოში. იგი 1637 — 1640 წლებშიც ყოფილა, საქართველოში ვოლკონსკისა და ხვატოვის ელჩობის დროს. უკანასკნელნი თეიმურაზ I იყვნენ გამოგზავნილი მეფე მიხეილ რომანოვის მიერ. ბოიარჩიკოვი ამჯერადაც „პერველჩიკი“ ყოფილა და ძალიან ხშირად იხსენიება ვოლკონსკისა და ხვატოვის „მუხლობრივ აღწერილობაში“¹⁷. ჩანს, განათლებული ადამიანია. ბერძნული ენა კარგად უნდა იცოდეს «А с ними посланы для тех государевых дел греческой переводчик Иван Боярчиков»¹⁸, ისე რომ ბოიარჩიკოს „მუხლობრივი აღწერილობის“ წერა უდავოდ შეეძლო და ამ მხრივ მისი ავტორობა საეჭვო არ უნდა იყოს.

„А“ ხელნაწერის განხილვა აშკარად გვიჩვენებს, რომ აქ კახთა მეფესთან წარმოებული მოლაპარაკება და საქმის ვითარება სრულად აღწერილი არ არის. მის ავტორს (ამიერიდან ეჭვით ბოიარჩიკოს!) ბევრი რამ არ ჩაუწერია განზრახ. რიგი ამბების შესახებ წერს, რომ ელჩებს აქვთ ჩაწერილი სათანადო მუხლების სახითო: «А что о какове деле переводчик Иван Боярчиков послан к Теймуразу царю, и то написано у посланников себе статьями»¹⁹. ანდა მეორე ადგილას ასეთ ცნობას გვაწვდის: «был царь Теймураз в Кутатисе... и посланников Микифора Толочанова да дьяка Олексея Иевлева к себе... призывал и с ними говорил, а что говорил, и то писано у посланников особными статьями»²⁰.

ეს სტრიქონები საფიქრებელს ხდიან, რომ „А“ აღწერილობა საგარეო საქმეთა საგანგოში წარსადგენად გამზადებული „მუხლობრივი აღწერილობა“ არ არის. აქ თეიმურაზთან წარმოებული მოლაპარაკების გარკვეული ნაწილია ჩაწერილი და აშკარად ჩანს, რომ ეს ჩანაწერი ელჩებს — ტოლოჩანოვსა და იევლევის არ ეკუთვნის.

16 Гр. Котошнин, О России в царствовании Алексея Михайловича, 1906, стр. 86—87.

17 М. Полиевктов, Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, 1937, стр. 143, 161, 167, 182, 229, 230, 260, 272 და სხვ.

18 იქვე. გვ. 161.

19 М. Полиевктов, Посольство стольника Толочанова... стр. 44.

20 იქვე. გვ. 45.

ელჩებს ჩანაწერები ცალკე აქვთ წარმოებული, ელჩების მიერ ჩაწერილი მასალები ეტყობა „А“ ხელნაწერში არ არის.

კითხვა იბადება — თუ ელჩები ცალკე იწერდნენ ცნობებს თეიმურაზთან წარმოებული მოლაპარაკებიდან, „А“ ხელნაწერის ავტორი რა დავალებას ასრულებდა, როცა „А“ ხელნაწერზე მუშაობდა?

საქმე ის არის, რომ რუსეთის ელჩები „მუხლობრივი აღწერილობების“ მასალებს ადგილობრივ ყველას თვითონ კი არ იწერდნენ, არამედ ელჩების შემადგენლობის სათანადო პირებს აძლევდნენ დავალებებს, შრომას ანაწილებდნენ და ამით საქმეს იმსუბუქებდნენ. რა ჩაეწერათ და რა არ ჩაეწერათ, რა საკითხი მიეცათ იმ პირებისათვის, ვისაც დავალებული ჰქონდა ელჩებისათვის ახსნა-განმარტება მიეცა, ყოველივე ეს ელჩობის ხელმძღვანელზე იყო დამოკიდებული. 1639—40 წლებში სამეგრელოში ელჩად გამოგზავნილი ელჩინის და პავლე ხუცესის მუხლობრივ აღწერილობაში იქ, სადაც სამეგრელოში არსებული მსხვერპლის შეწირვის დროს რიტუალის შესრულებაზე არის საუბარი, პავლე ხუცესი თავის ჩანაწერში აღნიშნავს: «а того я не знаю, что они говорят (ლოცვაზეა ლაპარაკი) и поп Павел хотел у них спрашивать, что оне в те поры говорят и Федот (ელჩი ელჩინია) Павлу у них про то не велел спрашивать»²¹.

„А“ ხელნაწერი თვით ტოლოჩანოვის განკარგულებით შესრულებული ჩანაწერები უნდა იყოს, საფიქრებელია უფრო ბოიარჩიკოვის მიერ შესრულებული. ბოიარჩიკოვი როგორც თარჯიმანი, ტოლოჩანოვის განკარგულებით, ძალიან ხშირად იგზავნებოდა ქართველ მეფეებთან მოსალაპარაკებლად, განსაკუთრებით კი თეიმურაზთან. რა თქმა უნდა, რაკი ბოიარჩიკოვი განსწავლულიც იყო, ყველაზე უკეთ შეაგროვებდა ტოლოჩანოვის საანგარიშო მოხსენებისათვის მასალებს. ერთი ადგილი იევლევის მუხლობრივ აღწერილობაში ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ ტოლოჩანოვს მასალების ჩაწერაში მისი თანამხლები მღვდელი მიხეილიც უნდა შველოდეს. იევლევი აღნიშნავს, რომ ერთ დღეს მასთან მივიდა ელჩების თარჯიმანი ივაშკა ტეზიჩონოვი და ამბავი მიუტანა, თეიმურაზის აზნაურმა რამაშმა სადადიანოდან წერილი მოიტანაო: «и тот лист переводили, ...Иван переводчик (ბოიარჩიკოვი) да Микифоров (ტოლოჩანოვის სახელია) отец духовной, поп Михайло»²². ტოლოჩანოვი რომ სამხედრო და ადმინის-

²¹ იხ. ეურბ. Чтения в императорском обществе истории и древн. российскых, 1887, кн. II, стр. 347.

²² იქვე, გვ. 349.

ტრაციული ხაზით მომუშავე კაცი იყო, ხომ არ შეელოდა მიქაელ ხუცესი ეკლესიის სამკაულებისა და აგებულებათა აღწერაში მას? და, „B“ ხელნაწერში რომ აღწერილობებია მოცემული, მიქაელ ხუცესის მასალები ხომ არ არის?

მაგრამ დაეუბრუნდეთ „A“ ხელნაწერს. როგორც აღვნიშნეთ, „A“ აღწერილობა ტოლოჩანოვისათვის მასალა უნდა ყოფილიყო თეიმურაზ მეფესთან წარმოებული მოლაპარაკების საანგარიშო მოხსენებისათვის; როგორც დავინახეთ, საამისო მასალის ნაწილი თვით ტოლოჩანოვს ჰქონია ჩაწერილი. ამიტომ ბუნებრივია საკითხის დაყენება—დაწერა თუ არა ტოლოჩანოვმა სრული საანგარიშო მოხსენება თეიმურაზთან წარმოებული მოლაპარაკების შესახებ და წარუდგინა თუ არა იგი საგარეო საქმეთა საგანგისო?

რა თქმა უნდა, სანამ ჩვენ უტყუარი ცნობა არ გვექნება საწინააღმდეგოს დასამტკიცებლად, უნდა ვიფიქროთ, რომ ტოლოჩანოვმა თეიმურაზთან მოლაპარაკების სრული აღწერილობა, ცალკე დაწერილი, წარუდგინა საგარეო საქმეების ხელმძღვანელებს და ასეთი აღწერილობა საძიებელია: იგი შეიძლება აღმოჩნდეს კიდევ, მაგრამ ერთი გარემოება მაინც ეჭვის სახით უნდა აღვნიშნოთ. ჯერჯერობით ჩვენ ხელთ არსებული ტოლოჩანოვის ელჩობის სურათი, ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს თითქოს იმის მეტი, რაც ჩვენ ხელთ არის ტოლოჩანოვს არაფერი არ უნდა შეედგინოს. ტოლოჩანოვის ცხოვრებაში ეს ელჩობა პირველი და უკანასკნელია. იგი არც მანამდე მოღვაწეობდა ამ ხაზით და აღარც შემდეგ უმუშავია²³. როგორც დაცული ცნობებიდან ჩანს, ტოლოჩანოვმა ელჩობა ნორმალურად ვერ ჩაატარა. ჯერ იყო და გზაზე — კავკასიონის გადმოსავალზე, მასთან ერთად მოსკოვიდან მომავალ თეიმურაზის ელჩთან საქმე ისე გაამწვავა, რომ ქართველმა თავადიშვილმა იარაღს გაიკრა ხელი და ტოლოჩანოვს მოკვლას უქადდა: «И посол князь Иван Григорьев (თეიმურაზ მეფის ელჩის სახელი და გვარია), сваялся с лошади, вынес стрелу, да разволочся излука, хотел посланника (იგულისხმება ტოლოჩანოვი) и государевых людей стрелять за то, что ево князь Ивана да игумена... в Мундарову кабарду не отпустили»²⁴. ტოლოჩანოვი, რა თქმა უნდა, უტაქტოდ მოიქცა, როცა გუმბაგები მიუყენა ქართველ ელჩებს და დაავალა არსად გაუშვათო.

თეიმურაზ მეფესთან მოლაპარაკების დროს, ტოლოჩანოვმა საუბარში მეფისათვის უკადრი ჰქუის დარიგება და შენიშვნები დაიწყო

²³ М. Полневков, Посольство стельника Толочанова..., стр. 160.

²⁴ იქვე, გვ. 35.

და თეიმურაზი საშინლად აღაშფოთა. „А“ აღწერილობაში აღნიშნულია, რომ გაბრაზებულმა თეიმურაზმა ტოლოჩანოვს სახინკლედ ნაკუწ-ნაკუწად დაკეპვა აღუთქვა: «...ты Микифор, и с перва стал не добро делать. Довелся ты то, чтобы тебе в пирожные части изрублены быть»²⁵.

შემდეგ საქმე ისე მიდის, რომ თეიმურაზი მას სრულ უნდობლობას უცხადებს, ეუბნება: შენ ჩემი ელჩი არა ხარ და არავითარ დავალებას შენ არ გაძლევო. იქვე მყოფ იევლევის თავაზობს ტოლოჩანოვის მაგივრობას.

1940 წელს მ. პოლიევქტოვის მიერ დამატებით მოზოვებული ცნობებიდან ჩანს, რომ თეიმურაზ მეფის ელჩს თეოფანეს რუსეთის საგარეო საქმეთა საგანგოში განუცხადებია, თეიმურაზის დავალებით, რომ 1651 წელს სექტემბერში, როცა ტოლოჩანოვი და მისი ამაღლა სკანდაში აღექსანდრე მეფესთან სუფრაზე ისხდნენ, ტოლოჩანოვის სულიერ მამას, მიხეილ ხუცესს, თეიმურაზის ლანძღვა დაუწყია საჯაროდ. ეს ლანძღვა-გინება მოუსმენია ქართველებს, რომელთაც რუსული ენა სცოდნიათ, ქართველების ლანძღვა აღექსი იევლევის შვილს კლიმენტი იევლევისაც მოუსმენია. კლიმენტის მიხეილ ხუცესის დაჩუბება მოუნდომებია, მღვდელს კი კლიმენტისათვის სუფრაზე დედა შეუგინებია: «и тот поп Климентия бранил матеры». როდესაც ელჩები ბინაზე მისულან, კლიმენტის მიქეილისათვის გაურტყამს ხელი. აქ უკვე ტოლოჩანოვი ჩაერია საქმეში, კლიმენტი მიაყვანიდა თავის კაცებს მასთან «и велел... бить его топтунами (ფეხსაცმელებით) и покинул его замертво». ამის შემდეგ ტოლოჩანოვი მისდგა თვით აღექსი იევლევის: «и отца ево Алексея за бороду драл и был топтунами и ослопами (ჯოხებით)». ერთი აღექსი იევლევის კაცი, რომელიც თავის ბატონს მიეშველა, შემოკვდომია ტოლოჩანოვს²⁶.

ამ ცნობებიდან აშკარა უნდა იყოს, რომ ტოლოჩანოვს იმერეთში ასეთ „მოღვაწეობას“ ვერ მოუწონებდნენ და მისი დიპლომატიური ხაზით გამოყენება მიზანშეუწონლად უნდა მიეჩნიათ საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელებს. მით უმეტეს რომ თეიმურაზთან საქმე ვერ მოაგვარეს ელჩებმა, თეიმურაზის შვილიშვილი მოსკოვის მეფეს ვერ მიუყვანეს, რასაც დიდის ინტერესით მოელოდნენ მოსკოვის პოლიტიკოსები და თვით მეფე. ამის შემდეგ გასაგები ხდება ის ფაქტი, რომ ტოლოჩანოვი საგარეო საქმეების ხაზით არ მუშაობს.

25 იქვე, გვ. 56.

26 М. Поляевктов, К вопросу об авторе статейного списка «С»: სსრკ მეცნ. აკად. საქართველოს ფილიალის მოამბე, ტ. 1, №1, 1940, გვ. 83.

ახლა ჩვენ ყურადღება იმ გარემოებასაც უნდა მივაქციოთ, რომ ტოლოჩანოვისეული „В“ მუხლობრივი აღწერილობა სავსებით დამუშავებული არ არის და მას შევსება ესაჭიროება. ხელნაწერს ეტყობა, რომ მას სათანადო დამატებები უნდა ჰქონოდა საბოლოო რედაქციის შემდეგ. ერთგან, მაგალითად, აღნიშნულია, რომ 24 აგვისტოს იპერთა მეფესთან გაგზავნილი კაცი დაბრუნდა და მეფისაგან წერილი მოიტანაო, წერილში კი შეფე წერდაო, — რას წერდა აღარ წერს: «от царя Александра привез лист, а в листе пишет»²⁷, შემდეგ სხვა ამბავი იწყება, თვით წერილის შინაარსი კი გამოტოვებულია. თუ ჩვენ ვიტყვი, რომ აქ სპეციფიკური გამოთქმაა და ტექსტს არ აკლია, შემცდარი ვიქნებით. ამის ზემოთ იგი, იმავე ალექსანდრეს წერილის შესახებ წერს: «Августа в 5 день... из Сканды... Пешенга... привез к послам от царя лист, а в листу царь Александр пишет к послам: писал де ко мне царь Теймураз... да сж.»²⁸ 28 აგვისტოს ქვეშ ისევ გამოტოვებული აქვს მეფის წერილის შინაარსი: «от царя Александра привез к посланникам лист, а в листе пишет»²⁹. შემდეგ იწყება სხვა ამბავი.

იველევის აღწერილობიდან ვგებულობთ, რომ 19 ივლისს ალექსანდრეს წერილები გამოუგზავნია ტოლოჩანოვისათვის ცალკე, იველევისათვის ცალკე. იველევის მოპყავს მის სახელზე გამოგზავნილი წერილის სრული თარგმანი³⁰. ტოლოჩანოვის წერილზე აღნიშნავს, რომ ტოლოჩანოვს აქვს და მე შინაარსი არ ვიციო. ტოლოჩანოვი 19 ივლისის ამბებში სრულიადაც არ წერს წერილის შესახებ რაიმეს — კაცი მოვიდა ალექსანდრე მეფემ თავისთან გაგვიწვიაო³¹. ისე რომ ტოლოჩანოვის საბოლოოდ დამუშავებული, იმერეთის მეფესთან წარმოებული მოლაპარაკების „მუხლობრივი აღწერილობაც“ არ უნდა იცქონდეს ჩვენ.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ტოლოჩანოვს დაუმუშავებელი მასალები მიატანინეს საგარეო საქმეთა საგანგებოში და დიპლომატიურ საქმიანობას ჩამოაცილეს სხვა სამუშაოზე განწესებით, გარკვეული შერისხვის შედეგად. ასეთი მოსაზრება ზემოთ აღწერილი ფაქტების შემდეგ, სანამ ტოლოჩანოვის მიერ საბოლოოდ დამუშავებული „მუხლობრივი აღწერილობანი“ არ აღმოჩნდება, თეიმურაზის

27 М. Полиевктов. Посольство стольника Толочанова..., стр. 85.

28 იქვე.

29 იქვე, გვ. 86.

30 იქვე, გვ. 159.

31 იქვე, გვ. 81.

საქმეების გამო ცალკე და ალექსანდრე მეფის ცალკე, უსაფუძვლო არ იქნება.

როგორც ზემოთ არა ერთგან აღნიშნული გვექონდა, „A“ აღწერილობა ტოლოჩანოვისათვის შედგენილი ჩანაწერებია, რომლებითაც მას უნდა ესარგებლა „საანგარიშო მოხსენების საბოლოოდ დამუშავებული ტექსტის შედგენის დროს. ამ მოსაზრებას ნაწილობრივ მისაღებად ხდის ის გარემოებაც, რომ მრავალი ადგილი „A“ აღწერილობიდან სიტყვასიტყვით შეუტანია ტოლოჩანოვს თავის „B“ აღწერილობაში. მთელი გვერდები სიტყვასიტყვით არის გადაწერილი. და რომ „A“ აღწერილობიდან არის ეს ადგილები ამოღებული და არა პირიქით, იქიდან შეიძლება აღამიანმა დაინახოს, რომ შესატყვისი ადგილები მთლიანად ეხება მხოლოდ თეიმურაზთან წარმოებულ საქმეს. როგორც ვიცით „A“ აღწერილობა სპეციალურად თეიმურაზის საქმეს აღწერს. „B“ და „C“ აღწერილობანი — მთლიანად ალექსანდრესას, მხოლოდ აქა-იქ თეიმურაზს ახსენებს „B“ აღწერილობა და ისიც მხოლოდ მაშინ, თუ ალექსანდრეს შესახებ ამბების თხრობა თეიმურაზის მოხსენების გარეშე არ ხერხდება. ეს ამბები კი, როგორც ვთქვით, მზამზარეულად „A“ აღწერილობიდან აქვს ამოკრებილი ტოლოჩანოვს³².

ტოლოჩანოვს, იმერეთში ჩაწერილი, სხვა მასალაც ჩაუბარებია საგარეო საქმეთა საგანგოში, საფიქრებელია მისი „მუხლობრივი აღწერილობისათვის“ საგანგებოდ ცალკე ჩანაწერი. არქივის ცნობიდან ჩანს, რომ არქივს გარკვეულ დრომდე ჰქონდა ტოლოჩანოვის საგანგებო რვეული: «тетрадь в полдесть, а в ней писано о строении Мелетийского государства, Микифора Толочанова». პროფ. მ. პოლიევქტოვი მწუხარებით აღნიშნავს, რომ ეს რვეული ამჟამად დაკარგულად უნდა ჩაითვალოს. გარკვეულ დრომდე ამ სტრიქონების ავტორიც ემ მოსაზრებისა იყო, რომ ტოლოჩანოვმა იმერეთის სახელმწიფო წყობილება აღწერა და ეს იშვიათი ძეგლი მოსკოვის არქივს ჰქონდა გარკვეულ დრომდე. ამჟამად ამაში ეჭვი გვეპარება. ეჭვი გვეპარება იმაში, რომ ტოლოჩანოვს საგანგებოდ იმერეთის სახელმწიფო წყობილება არ აღუწერია და, რაც მთავარია, — ის, რაც ტოლოჩანოვის იმ რვეულში იყო მოთავსებული, მეცნიერებისათვის დაკარგული არ უნდა იყოს.

როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ცნობა, რომელიც ტოლოჩანოვის რვეულის შესახებ იყო მოტანილი, არქივს ეკუთვნის. იმერეთის შესახებ რომ ტოლოჩანოვს ცალკე რვეული უნდა ჰქონოდა და შიგ იმე-

³² М. Полневктов, Посольство стольника Толочанова... შედარეთ 49 და 50 გვერდები 89—91 გვერდებს.

რეთის შესახებ საგანგებო ცნობა იყო, ამაში ეჭვს შეტანა არ შეიძლება. ტოლოჩანოვის კოლეგა, ალექსი იევლევი, თავის „მუხლობრივ აღწერილობაში“ ერთგან გვაუწყებს, რომ ალექსანდრე ივერთა მეფემ თავის კარისკაცის, ფეშანგის, ხელით ტოლოჩანოვს იმერეთის ქალაქებისა და მონასტრების სია გამოუგზავნიაო, აგრეთვე აზნაურების, თავადებისა და მეთოფურების ჩამოთვლითი ნუსხაცო. ამის დედანი და რუსული თარგმანი ნიკიფორე ტოლოჩანოვს აქვსო: «Да к послѣм же прислал Александр... с Пешенгеем Меретийского государства именнымъ городомъ и монастыремъ роспись, а бояромъ своимъ и азнауромъ, и тюфячичеемъ, и торговымъ и пашеннымъ людемъ перечневую роспись. И подлинная роспись и с нее перевод у Микифора»³³.

იევლევის ამ ცნობიდან ცხადი ხდება, რომ ნიკიფორე ტოლოჩანოვს ცალკე რვეული უნდა ჰქონოდა, ფეშანგისაგან მიღებული ცნობებით შევსებული. ეს ცნობები ტოლოჩანოვს თავისი საანგარიშო მოხსენების ბოლოს შეუტანია (იხ. „В“ აღწერილობა).

არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ის რვეული, რომელზედაც ცნობას იძლევა არქივის ანაწერი და დღეს დაკარგულია, იმავე ცნობების შემცველი იყო, რომელთაც ტოლოჩანოვი თავისი ნაშრომის ბოლოში ათავსებს. ე. ი. იევლევი რომ მასალაზე მიგვიითითებს, ის მასალა იყო იმ რვეულში, რომელიც გარკვეულ დრომდე არქივს ჰქონდა და დღეს არ ჩანს.

ამ მოსაზრების ქეშმარიტების შესაძლებლობას აძლიერებს ზოგიერთი მომენტისაკენ ყურადღების გამახვილება. რვეულის ზომა ყოფილა «полдесть», ეს კი იმას ნიშნავს, რომ რვეული ფურცლის მეოთხედის ზომისა ყოფილა. «Полдесть» ნახევარ თაბახს კი არ ნიშნავს ამ შემთხვევაში, არამედ — რვეულის სიგრძე-სიგანე ფურცლის მეოთხედის ზომისა აქვს («книга писана в полдесть» ნიშნავს — წიგნი მეოთხედი ფურცლის ზომისა)³⁴.

რვეულის შესახებ არქივის ცნობაში ნათქვამია: «тетрадь, в полдест, а в ней писано о строении Мелетейского государства». «Строение» მართალია წყობილებასაც ნიშნავს იმ დროის რუსულში, მაგრამ არა მარტო წყობილებას, არამედ ციხე-სიმაგრეების და მონასტრების ნაგებობებსაც. შორს რომ არ წავიდეთ, იმავე ტოლოჩანოვისა და იევლევის მუხლობრივ აღწერილობებში «Строение» ნაგე-

33 М. Полневктов, Посольство стольника Толочанова..., стр. 184.

34 Словарь церковно-славянского и русского языка, составл. вторым отд. дел. имп. Акад. Н. Том III, изд. II, 1867, стр. 658.

ბობის მნიშვნელობით იხმარება: „А как Микифор и Алексей город Гилат и в нем церкви и всякое строение описали“. ტოლოჩანოვი თავის აღწერილობაში აღნიშნავს: „Июля в 13 день... привели лошадь... ехать в город Гилат, осмотрети святынь и всяково строенья“³⁵.

ისე რომ ტოლოჩანოვის რვეულში ნაგებობებიც უნდა ყოფილიყო აღნუსხული. თუ ამას იმასაც დაემატებთ, რომ ტოლოჩანოვის მუხლობრივ აღწერილობაში თავადების, მეთოფურებისა და სხვათა რიცხვის შესახებ გვაქვს ცნობები, არ იქნება უსაფუძვლო, თუ ტოლოჩანოვის იმ რვეულის ცნობებს და მუხლობრივი აღწერილობის ბოლოს დართულ ცნობებს ერთ და იმავე წყაროდ ჩავთვლით. ამ აზრს აძლიერებს კიდევ ის გარემოებაც, რომ იველევი ტოლოჩანოვს არაფერში არ ჩამორჩება. როცა იველევა გაიგო, რომ ტოლოჩანოვმა ზოფიციალური ცნობა მიიღო ალექსანდრე მეფისაგან იმერეთის ციხე-ქალაქებისა და მონასტრების შესახებ, და როგორც ახლა უკვე ვიცით, ტოლოჩანოვმა ეს საბუთი იველევს არ ათხოვა და არ ასარგებლა, მათ შორის მომხდარი უსიამოვნებაც შედეგად; იველევა საგანგებოდ ხპოვა კაცი და დაახლოებით ისეთივე ცნობები შეკრიბა, როგორც ტოლოჩანოვს გადასცეს. იველევის აღწერილობაში რაკი იგივე მასალა არსებითად, რაც ტოლოჩანოვის თხზულებაში, ტოლოჩანოვს ახალი ნაშრომი იმერეთის სახელმწიფოს წყობილების შესახებ შეიძლება მართლაც არ უნდა ჰქონდეს. რა თქმა უნდა, ზემოთ ჩვენ მიერ მოცემული მოსაზრებანი — მხოლოდ მოსაზრებანია და ამ გარემოებამ ინტერესი ტოლოჩანოვის რვეულისადმი არ უნდა მოადუნოს და ძიება უნდა გაგრძელდეს.

იველევის „მუხლობრივი აღწერილობის“ („С“) წარმოშობისა და დანიშნულების შესახებ, საესებით სამართლიანი უნდა იყოს მ. პოლიევქტოვის მიერ შეცნობილი სიფრთხილით გამოთქმული მოსაზრება, რომ იველევი პატრიარქ ნიკონის დავალებით მოქმედი პირი უნდა იყოს იმერეთში და მისი მუხლობრივი აღწერილობაც ნიკონის საკუთრებას შეადგენდა კიდევ³⁶.

იველევის „აღწერილობა“ არავითარ კავშირში არ არის არც ბოიარჩიკოვის ჩანაწერებთან („А“ ხელნაწერი) და არც ტოლოჩანოვის „აღწერილობასთან“ („В“ ხელნაწერი). იგი სრულიად დამოუკიდებ-

35 М. Полиевктов, Посольство стольника Толочанова..., стр. 152 და 74.

36 სსრკ მეცნ. აკად. საქართველოს ფილიალის მოამბე, ტ. I, № 1, 1940,

ლად შესრულებული ნაწარმოებია. თვით ტექსტიდან აშკარად მოჩანს, რომ იევლევი ჩანაწერებს აკეთებს იმერეთში და დამოუკიდებელი საანგარიშო მოხსენებისათვის მასალებს ამზადებს. იევლევის თხზულების ტექსტიდან ნათლად მოჩანს, რომ ტოლოჩანოვს თავისი ჭგუფი ჰყავს ელჩობის შემადგენლობაში და ეს ჭგუფი იევლევს ხელს არ უწყობს ცნობების მიღებაში. ბოიარჩიკოვი, მაგალითად, იევლევს ცნობას არ აძლევს. მტრულ დამოკიდებულებაშია მასთან აგრეთვე მიხეილ ხუცესიც. იევლევს ერთგან აღნიშნული აქვს, რომ თეიმურაზ მცფის კაცი რამაზი სადადიანოდან მოსულა, წერილი მოუტანია ტოლოჩანოვთან და ივანე ბოიარჩიკოვს და მიხეილ ხუცესს გადაუთარგმნიათ. იევლევისათვის ტოლოჩანოვს ეს თარგმანი არ უჩვენებია.

იევლევი თავის მოხსენებაში საყვედურით წერს: „А от кого тот лист прислан, и кто к нему переводчику из Дадьян пишет, и о каком деле, того Алексею (იევლევი) ничего не ведомо“³⁷.

ამ ამბიდან აშკარად ჩანს, რომ ბოიარჩიკოვი და მიხეილ ხუცესი მას ცნობას არ აწვდიან. მეორე თარგმანი, „ტოლმაჩის“ თანამდებობაზე მყოფი, ივანე ტეზიჩონოვი იევლევს შველის. მაგალითად, ზემოთ აღწერილი ამბის შესახებ ცნობა ტეზიჩონოვს მიუწოდებია იევლევისათვის, ხოლო წერილის შინაარსი ვერა, არ გამიგონიაო, უთქვამს თარგმანს. იევლევს შველის აგრეთვე მისი შვილი კლიმენტი, რომელიც მამას პრაქტიკანტად წამოუყვანია დიპლომატიაში დახელოვნების მიზნით.

იევლევის თხზულებაში რამდენიმე ადგილი არის ისეთი, სადაც აღნიშნულია, რომ იევლევმა ტოლოჩანოვისაგან ესა თუ ის ცნობა ვერ მიიღო და ამდენად არაფერი იცის ამა თუ იმ საკითხის შესახებ.

ერთგან, მაგალითად, იევლევი იმავე თეიმურაზის აზნაურის — რამაზის შესახებ წერს: «... приехал... азнаур Рамазан и был у Микифора (ტოლოჩანოვთან). А что речей у него с Микифором было и того Алексею не ведомо»³⁸.

ეს მაგალითები ნათელს ყოფენ, რომ იევლევის „აღწერილობა“ სრულიად დამოუკიდებელი თხზულებაა „А“ და „В“ ხელნაწერებთან შედარებით და არავითარი საერთო წყარო, ვრცელი მუხლობრივი აღწერილობა, გამოსავალი ამ სამი ძეგლისათვის არ არსებობდა. ამდენად ჩვენ საუკეთესო საშუალება გვეძლევა ტოლოჩანოვის აღწე-

³⁷ М. Полневктов, Посольство стольника Толочанова..., стр. 160—161.

³⁸ М. Полневктов, Посольство стольника Толочанова..., стр. 160, об.

რილობაში მოცემული ცნობები, შევუდაროთ იევლევის აღწერილობის ცნობებს და რუსული მუხლობრივი აღწერილობების მიმართ ნდობის საკითხიც გადავსინჯოთ.

ამ შედარებიდან ცხადი გახდება მკვლევრისათვის, რომ რუსი ელჩები საქართველოს მეფეებთან წარმოებულ მოლაპარაკებებს და ნახულ მოვლენებს, სრულიადაც უკლებლად არ იწერდნენ. ამა თუ იმ მოვლენისა და ფაქტის აღწერა, ელჩის მიერ ინსტრუქციის (ნაკაზის) სისრულეში მოყვანასთან და ნახულის და გაგონილის უკლებლად ჩაწერასთან არ ყოფილა ყოველთვის დაკავშირებული. ყველაფერი იმაზე ყოფილა დამოკიდებული, თუ რამდენად კეთილსინდისიერი იყო თვით ელჩი.

XVII საუკუნის ცნობილი მოღვაწე გრ. კოტოშინი, რომელიც თავის შესანიშნავ თხზულებას XVII საუკუნის სამოციან წლებში წერდა, ტოლოჩანოვისა და იევლევის იმერეთში მოგზაურობიდან 15 წლის შემდეგ, აღნიშნავს, რომ რუსეთში ელჩებს ინსტრუქციები (ნაკაზი) წინასწარ დამუშავებული ეძლევათ და ამის მიხედვით უნდა იმოქმედონ და ყველაფერი, რაც ილაპარაკეს და ნახეს, „მუხლობრივ აღწერილობაში“ ჩაწერონო. მაგრამ, — გულის ტკივილით შენიშნავს კოტოშინი: «те все речи, которые говорены и которые не говорены, пишут они в статейных своих списках не против того, как говорено, прекрасно и разумно, выставляючи свой разум на обманство, чрез чтоб доставить у царя себе честь и жалованье большое; и не срамяются того творити, понеже царю о том кто на них может о таком деле объявиться»³⁹.

კოტოშინის სიტყვები მეტისმეტად დამაფიქრებელი ხდება. იგი ერთხელ კიდევ გვაფრთხილებს ჩვენ ეჭვით მოვეკიდოთ რუსი ელჩების ჩანაწერებს, სადაც ლაპარაკი არის ქართველი მეფეების მხრით საქმის გაჭიანურებისა და გაძნელების შესახებ: «И Александр княз поминков в запись написать не хотел и стоял за то много»⁴⁰.

ასეთი ცნობები მრავლად აქვთ რუსეთის ელჩებს შეტანილი მუხლობრივ აღწერილობებში XVI საუკუნიდან მოკიდებული მთელი XVII საუკუნის მანძილზე და ვაი თუ რუსეთის ელჩი, საქართველოში წარმოებული საქმის სიძნელეს უმეტეს შემთხვევაში განზრახ აუწყებს თავის პატრონს, ჭარბი გასამრჯელოს მიღების მიზნით. რუსული

³⁹ Гр. Котошихин, О России в царствовании Алексея Михайловича, изд. IV, 1906, стр. 52.

⁴⁰ С. Белокуров, Сношения России с Кавказом, 1889, стр. 41; იხ. აგრეთვე გვ. 37 და სხვ.

„მუხლობრივი აღწერილობის“ ტიპის ძეგლების გამოყენებისას მხედველობაში ესეც უნდა გვქონდეს მიღებული.

იველევისა და ტოლოჩანოვის აღწერილობათა შედარება გვიჩვენებს, რომ იველევი უფრო კეთილსინდისიერად გვამცნობს ფაქტებს, ტოლოჩანოვი ამოკლებს, ზერელედ აღნიშნავს იმავე ფაქტებს. არის ცნობები, რომელთაც ტოლოჩანოვის აღწერილობა აშკარად ყალბად გვაწვდის. მაგალითად, გელათში არსებული დარუბანდიდან მოტანილი რკინის კარების შესახებ: «А сказали онé про те ворота железные, что взяты они в Дербени, как воевала Динара царевна кизылбаскую землю и шаху кизылбаскому сама голову отсекла. И персицкая земля вся была под ея подданством трицать лет»⁴¹.

მთელი ეს ამბავი ამოღებულია რუსული თქმულების „დინარ ევერთა დედოფლის“ რუსეთში გავრცელებული ვერსიიდან თითქმის სიტყვასიტყვით; საქართველოში თამარ მეფის შესახებ ასეთი ცნობა არასოდეს არ ყოფილა და თავიდან ბოლომდე „В“ ხელნაწერის ავტორის ანდა მისი თანამემწის მიქაელ ხუცესის შოგონილია.

მოკუსმინოთ იველევს იმავე დღის თარიღით, თუ რა უთქვამთ ქართველებს რუსი ელჩებისათვის, იმავე გელათში დაცული რკინის კარების შესახებ: «А сказывал митрополит Захарей, что те ворота привезены из кизылбаской земли, из города из Дербени в те поры, как ходил воевать кизылбаскую землю меретинской царь Давид»⁴². აქ დავით აღმაშენებელზეა საუბარი, რაც ქართული წყაროებითაც დასტურდება.

იველევის თხზულების შესახებ როგორც ზემოთ შევნიშნეთ, პროფ. პოლიევქტოვი წერდა, პატრიარქ ნიკონის დაკვეთით ხომ არ მუშაობდა თავის აღწერაზე იველევით. განსვენებული მეცნიერი იმ გარემოებას აქცევდა ყურადღებას, რომ ამ პერიოდში ნიკონი თავისი საეკლესიო რეფორმისათვის ემზადებოდა და აღმოსავლეთის ეკლესიების ვითარება საგანგებოდ თუ სჭირდებოდაო, მით უმეტეს რომ საეკლესიო საქმეებს იველევი უფრო მეტ ადგილს უთმობს თავის აღწერილობაში, ვიდრე ტოლოჩანოვი.

პატრიარქ ნიკონის ინტერესი იმერეთის აღწერილობისადმი შესაძლებელია ნაწილობრივ საეკლესიო რეფორმებისადმი სამზადისის აღქმა, მაგრამ ის მომენტიც მხედველობაში მისაღებია, რომ 1658

⁴¹ М. Полиевктов, Посольство стольника Толочанова..., стр. 80.

⁴² იქვე, გვ. 144—145.

წლამდე ნიკონი სახელმწიფო საქმეებშიაც აქტიურად ერეოდა, ცე-
ზაროპაპისტურ იდეებს ქადაგებდა და თავის თავს სიგელებში „Госы-
дарь“-ს ეძახდა. ამიტომ მოულოდნელი არ უნდა იყოს, რომ იგი რუ-
სეთის დიპლომატიურ ურთიერთობაშიაც ჩარეულიყო და თავისთვის
მუხლობრივი აღწერილობა შეეკვეთა. როგორც ცნობილია, ამის გამო
ნიკონი სასტიკად დაისაჯა.

ერთი გარემოებაცაა აღსანიშნავი. ამ ელჩობაზე გაცილებით ადრე,
საქართველოში, კერძოდ კახეთში, რუსეთთან ხშირი ურთიერთობის
შედეგად გაგებული ჰქონიათ, რომ რუსეთში დიდ პატივში არის წმიდა
დინარ დედოფალი, ქართველთა მეფის ასული. თეიმურაზ მეფე, თა-
ვის სამფლობელოდან გარდახვეწილი, რუსეთის ხელისუფლებას ჯერ
კიდევ 1619 წელს აუწყებდა: «А живет де ныне в башачикской
земле, а по их, по грузински, в нмерельской земле, где лежит
Динара царица»⁴³. შემდეგ წერილებშიაც არა ერთხელ არის მითითე-
ბა იმერეთში არსებულ „დინარას“ ანუ თამარ მეფის საფლავზე⁴⁴.

რადგანაც მეტისმეტად პატივცემული და საყოველთაოდ ცნო-
ბილი წმიდანი იყო „დინარა“ რუსეთში, გამორიცხული არ უნდა იყოს
შესაძლებლობა, იმერეთისადმი პატრიარქ ნიკონის ინტერესის გაც-
ხოველება „დინარ დედოფლის“ საფლავსაც გამოეწვია. აქვე ისიც უნ-
და დავუმატოთ, რომ საპატრიარქო ბიბლიოთეკის არქივში საეკლე-
სიო-საქმეებს შორის ინახება XV საუკუნის ალექსანდრე კახთა მეფის
როანე III გაგზავნილი წერილის რუსული თარგმანი. რუსული თქმუ-
ლებით დინარ დედოფლის მამა ივერიის მეფე ალექსანდრე იყო. რად-
განაც დინარ დედოფლის ცხოვრების საუკუნე თქმულებით გაურკვე-
ველია, არის შესაძლებლობა კახთა მეფე ალექსანდრე (XV) შემდეგში
დინარის მამად მიეჩნიათ და პატრიარქს წერილის პირი საგანგებოდ
თავის აქტ-საცავში დაეცვა. ნაწილობრივ „დინარ დედოფლისადმი“
ინტერესით უნდა აიხსნას XVIII საუკუნის ბოლოს ნ. ნოვიკოვი ს
მიერ იველევისეული აღწერილობის გამოცემაც, სანამ სხვა უტყუარი
საბუთი არ აღმოჩნდება იმის გასარკვევად, თუ რით ხელმძღვანელობ-
და ცნობილი რუსი მოღვაწე ნოვიკოვი, როცა იმერეთის აღწერილობას
ბეჭდავდა. რუსეთს მაშინ დასაბუქდი სხვაც ბევრი ჰქონდა და სტამ-
ბების რიცხვი არც იმდენი იყო, რომ უსაქმოდ დარჩენისა შეშინებოდა.

⁴³ М. Полневков, Материалы по истории грузинско-русских взаимо-
отношений, 1937, стр. 40, 45, 194, 305 და სხვ.

⁴⁴ „დინარ დედოფლის“ თქმულების შესახებ იხ. ჩემი წერილი „თბილისისა
უნივერსიტეტის შრომებში“, ტ. X, 1939, გვ. 59—94.

ტოლოჩანოვისა და იველევის „მუხლობრივ აღწერილობათა“ ტექსტების ამ მოკლე მიმოხილვის შემდეგ, ბუნებრივი იქნებოდა პროფ. მ. პოლივექტოვის მიერ 1926 წელს გამოცემული ყველა ტექსტი, ქართულ ენაზე თარგმნილიყო, ერთად დაბეჭდილიყო და ქართველ დაინტერესებულ მკითხველისათვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო.

დღეისათვის ყველა ტექსტი თარგმნილია, მაგრამ ამჯერად ამ მასალის ერთად გამოცემა არ მოხერხდა და მიზანშეწონილად მივიჩინეთ ალექსი იველევის მიერ შედგენილი „მუხლობრივი აღწერილობის“ ქართული თარგმანი და დედნის ტექსტის ცალკე გამოცემა. იველევის ეს „აღწერილობა“ დასრულებული ნაშრომია, ტოლოჩანოვისეულად მიჩნეული მასალა ნაკლოვანია და შედარებით მეტი მოცულობისაა.

სანამ ჩვენი თარგმანის შესახებ განმარტებებზე გადავიდოდეთ, ერთი ვარემოება გვინდოდა მკითხველისათვის გვეუწყებინა: ჩვენ პირველი არ ვართ ქართველ მკითხველს იველევის „აღწერილობის“ თარგმანს რომ ვთავაზობდეთ. მე-19 საუკუნის ქართველ მოღვაწეებს სამშობლოს ისტორიის უცხო ენებზე არსებულ წყაროებისათვის ყურადღება მ.უქცევიათ და შესაძლებლობის პირობებში იველევის ნაშრომის თარგმანიც დაუბეჭდილათ. მართალია, მე-19 საუკუნეში მძიმე პირობები ჰქონდათ ქართველ მოღვაწეებს, მათ მიერ შესრულებულ თარგმანებში არაერთი შეცდომა შეიძლება იპოვოს ადამიანმა, ეს თარგმანი დღევანდელ მკვლევარს სრულიადაც ვერ დააკმაყოფილებს, მაგრამ მათ იმ დროის პირობებში დიდი საქმე გააკეთეს. დეკანოზმა დავით ღამბაშიძემ, მაშინ ნიკიფორე ტოლოჩანოვისეულად მიჩნეული, იველევის აღწერილობის შემოკლებული თარგმანი, მისი რედაქტორობით გამოცემულ ჟურნალ „მწყემსში“ დაბეჭდა. მართალია, დავით ღამბაშიძე ამ თარგმანს ხელს არ აწერს, მაგრამ საფიქრებელი ხდება, რომ ხელმოუწერელი მასალა რედაქტორის კალამს უნდა ეკუთვნოდეს.

დაახლოებით 45 ნაბეჭდ გვერდზეა მოთავსებული იველევის „აღწერილობის“ თარგმანი. იგი იბეჭდებოდა ჟურნალ „მწყემსში“ 1889, 1890 წლებში იხ. 10, 11, 12, 17, 18, 19, 20, და 1890 წლის 2, 3—4. დავით ღამბაშიძეს შერჩევით უთარგმნია ეს ძეგლი, უმთავრესი ფაქტიური მასალა სიტყვასიტყვით თუ არა შინაარსით მაინც აქვს გადმოცემული, ისე რომ იმ დროის მოწინავე საზოგადოებას, ამ თარგმნის მასალის თხრობა ალბათ დააკმაყოფილებდა, მაგრამ დღეს ქართველ მკვლევარ ისტორიკოსებს ეს თარგმანი არ გამოადგებათ. იქ არა ერთი შეცდომა არის დაშვებული, რომლის თავიდან აცდენა მაშინდელ პირობებში ჩვენ შეუძლებლადაც გვესახება. მაგრამ არ ვიქნებით სამართლიანი თუ ვიტყვით, რომ დავით ღამბაშიძის შრომას ჩვენთვის არა-

ვითარი სარგებლობა არ მოუტანია. პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ მართებულად მივიჩნით მასალის თხრობა პირველ პირზე გავვემართა, დედნის თხრობის მესამე პირის ნაცვლად. ამ გზით წინადადების გამართვაც უფრო გავკვიადვილდა და, რაც მთავარია, ჩვეულებრივი მკითხველისათვისაც საინტერესო საკითხავია მაშინ მთელი „აღწერილობა“. ამ ცვლილების შეტანა ტექსტის თხრობის ქართულ თარგმანში, დავით ლამბაშიძის ინიციატივითა და ჩვენ მას მივბაძეთ კიდევ.

ამას გარდა, ზოგიერთი სიტყვა, რომელიც ქრისტიანული ეკლესიის სამღვდელმსახურო ცნებას შეიცავდა და ლექსიკონებში ასახული არ იყო, განსვენებულ დავით ლამბაშიძემ, ვითარცა მაღალი სასულიერო განათლების მქონე დეკანოზმა, კარგად იცოდა და ჩვენ, ახლანდელ ჰაქაროველოს პატრიარქ ეფრემ II კონსულტაციის შემდეგ გამოვიყენეთ ჩვენს თარგმანში. მადლიერების გრძნობა გვიკარნახებდა ყოველივე ეს აქ აღნიშნულიყო.

მე-17 საუკუნის რუსული ტექსტის თარგმანის პროცესში დაბრკოლებებს წავაწყდით: არა ერთი სიტყვა ლექსიკონებში ასახული არ აღმოჩნდა. განსაკუთრებით გაძნელდა ხატების შემკულობის აღწერილობის თარგმნა. სამწუხაროდ ქართული იკონოგრაფიული ლექსიკონი დღეს ჩვენ არ მოგვეპოვება. პროფ. შ. ამირანაშვილს თავის დროზე უცდია ასეთი ლექსიკონის შედგენა, მაგრამ იძულებული ყოფილა ეს წინაშეწინააღმდეგობის წამოწყება შეეჩერებინა. ჩვენ არა ერთხელ შევაწყუხეთ პატივცემული მეცნიერი და დიდი დახმარებაც აღმოგვიჩინა, მაგრამ თარგმანი, დედნის ამ ნაწილში მაინც ნაკლოვანია. ასევე ძნელი შეიქმნა მეფის ტანსაცმელისა და კარვების მორთულობის აღწერილობის გადმოცემა. კიდევ უფრო ძნელი შეიქმნა, რუსი ელჩების მიერ დამახინჯებულად ჩაწერილი ციხე-ქალაქების სახელების დადგენა. 1965 წელს ჩვენ საგანგებოდ ამ მიზნით მოგვიხდა რაჭაში მოგზაურობა. ამბროლაურის რაიონული კომიტეტის პირველი მდივნის მელქისედეკ ბინილაშვილის ხელის შეწყობით ჩვენ საშუალება მოგვეცა იმ გზას ივყოლოდით, რომლითაც 1650 წელს ტოლოჩანოვი და იველევი იმერეთში მობრძანდნენ. ამ გზაზე თან გვახლდა ამბროლაურის რაიონული კომიტეტის ახალგაზრდა თანამშრომელი ამხ. გურამ მ-ძე ვაჩაძე, რომელმაც იველევის მიერ დამახინჯებულად ჩაწერილი რაჭის ზოგიერთი „ციხე-ქალაქის“ სახელწოდება ამოგვახსნევინა და დაგვაუდგენინა. მაგრამ იველევის მიერ დამახინჯებულად ჩაწერილი ყველა „ციხე-ქალაქის“ სახელების აღდგენა, ჭერჭერობით მაინც, ვერ მოვა-

ხერხეთ. ამიტომაც თარგმანში ეს სახელწოდებანი კითხვითი ნიშნით აღინიშნა.

ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია, რუსი ელჩების „მუხლობრივ აღწერილობაში“ ჩამოთვლილ „ციხე-ქალაქებს“ შორის, „ქალაქ რაჭის“ დასახელებამ. ქართველი მკითხველისათვის ახალი ამბავი არ არის, რომ დღეს რაჭა მთელ მხარეს ეწოდება და იგი სავსებით ჩამოყალიბებული საქართველოს ეთნოგრაფიული ერთეულია. „რაჭა“-ს სახელწოდებით დღეს არც ციხე და არც სოფელი არ არის, არც ონის და არც ამბროლაურის რაიონში. არც ვახუშტ ბაგრატიონის ცნობილ ნაშრომში „რაჭა“ არც სოფლად და არც ციხე-ქალაქად არ იხსენიება. მაშასადამე მე-18 საუკუნეშიაც „რაჭა“ მთელ მხარეს ერქვა.

ტოლოჩანოვი და იველევი თავიანთ საანგარიშო აღწერილობაში აღნიშნავენ, რომ, როდესაც ისინი კავკასიონზე გადმოვიდნენ და საქართველოს საზღვრებში შემოიყვანეს მზღებლებმა, 16 ივნისს ალექსანდრე იმერთა მეფის ძველ სადგომ (საცხოვრებელ) „ციხე-ქალაქ“ „რაჭაში“ მივედითო, რომელიც იმერეთში გადმოხვეწილ თეიმურაზ მეფეს მიეცა საჩროდ (და საცხოვრებლად), წყაროებში ვკითხულობთ: «Июня в 16 день поехали посланники с старова царева Александра двора в город в Рачю, что дано царю Теймуразу в кормление. А в Рачах устроен двор царя Александра, поставлены на площади чердаки дощатые поземные, и в том же дворе живет царь Теймураз со всем. А как посланники Минифор и дьяк Алексей приехали в город в Рачи и поставили их на дворех от царева двора с полверсты...»⁴⁵.

ამ ამონაწერიდან ჩანს, რომ იმერთა მეფეს ხის სასახლე ჰქონდა ერთ დასახლებულ ადგილზე, რომელშიაც 1650 წელს სამშობლოდან გადმოხვეწილი თეიმურაზ I ცხოვრობდა თავის ოჯახით და აწალით და ამ ადგილს ანუ ამ „ციხე-ქალაქს“ „რაჭა“ ეწოდებოდა თითქოს. რუსი ელჩების „მუხლობრივი აღწერილობიდან“ მართლაც ვგებულობთ ჩვენ, რომ იმერთა მეფეს, ქუთაისს გარდა, თავის სამფლობელოში სხვადასხვა ციხე-გალავნებში, ხის თუ ქვის საცხოვრებელი შენობა ჰქონდა. ახლა გამოსარკვევია, მე-17 საუკუნეში მართლა არსებობდა იმერეთის სამეფოში „რაჭა“-ს სახელწოდებით „ციხე-ქალაქი“ თუ არა?

ერთი შეხედვით ასე შეიძლებოდა ევარაუდნა ადამიანს, რომ რუსეთის ელჩებმა ცუდად გაიგეს ქართველი თარგმანის სიტყვები და

Джяпаризе Георгий, кидеви Яшули Кацья, Гогалеризе Пацья, Нижаразе Георгий, Хензе Хосия, Нижаразе Баадыр, Абашидзе Кацья, Хентзи Яамада, Сакварелизе Георгий, Хензе Хосья Амиляхари Парсадан, Абашидзе Георгий, Амирджиб Кайхосров, Ламенадзе Вахтан, Гаганидзе Георгий, Церетиле Давид, Церетиле Заал, Церетиле Кайхосров, Абашидзе Берука, Абашидзе Георгий, Палавандишули Шиош, Абашидзе Шиош, Абашидзе Гошня, Сакварелизе Георгий, Лашхишули Хосья, Джяпаризе Мамука, Думной дяк Пешепга Амирsev, и за всю меретинскую землю на том, что посылал есми к в. г. ц. и в. к. А. М. в. Р. с. бити челом послов своих игумена Василья да товарища его Давида, чтобы в. г. ц. и в. к. А. М. в. Р. с. меня Александра царя и всю меретинскую землю пожаловал, держал под своею царскою высокою рукою, в своем царском имени и во обороне и от своей бы царские руки не отрунул. И в. г. ц. к в. к. А. М. в. Р. с. пожаловал меня и всю мою меретинскую землю, под свою царскую высокую руку и во оборону принял. И мне Александру царю и моим детям, царевичю Баграту, и брату моему царевичю Мамуке, и всей моей меретинской земле быти под в. г. ц. и в. к. А. М. в. Р. с. и его государских детей под их ц-го в-ва высокою рукою и от него в. г. ц. и в. к. А. М. в. Р. с. и от е. ц-ого в-ва детей быти неотступну. И лиха мне, и моим детем, и моему брату, и всей земле меретинской в. г. и в. в. к. А. М. в. Р. с. и е. ц-ого в-ва детем не хотети и не мыслити. И от в. г. ц. и в. к. А. М. в. Р. с. и е. ц-ого в-ва детей ни х кому не приставати и людей своих ни кому на помощь для зойны на в. г. ц. и в. к. А. М. в. Р. с. и е. ц-ого в-ва детей земли и ни на которые места не посылати. И в. г. ц. и в. к. А. М. Р. с. и. ц-ого в-ва детей другу быти другом, а недругу быти недругом. А хто будет в. г. ц. и в. к. А. М. в. Р. с. и е. ц-ого в-ва детем друг, тот и мне царю Александру друг. А хто в. г. ц. и в. к. А. М. в. Р. с. и е. ц-ого в-ва детем недруг, тот и мне царю Александру недруг. А которые мои люди меретинские земли учнут государевым людем, которые будут в государевых городех на Терке, и в Астрахани, и в иных городех, какое лихо мыслить, и присзжая в те города, учнут воровать или какую измену делати, и мне тех своих людей меретинские земли, сыскивая про их вины, казнити и от воровста унимати. И быти мне, моим детем, и моему брату, со всею меретинскою землею в повеленье

в. г. ц. и в. к. А. М. в. Р. с. и е. ц-ого в-ва детей, и от них государей не отставати некоторыми обычай, некоторою хитростью, и во всем им государем мне прямити, и добра хотети по сей записи до своего живота, как в сей записи писано.

ОТПИСКА К ЦАРЮ ВОЕВОДЫ КНЯЗЯ МИХАИЛА ПРОНСКОГО ИЗ АСТРАХАНИ, 1652 г. 28 ИЮНЯ

Г. ц. и в. к. А. М. в. Р. холоп твой Мишка Пронской челом бьет. В нынешнем, государь, в 160 году, июля в 25 день писал ко мне, холопу твоему, с Терека стольник и воеводы Василий Волинской с товарищи. Июля в 10 ден прнехал из меретинской земли в Терской город Микифоров человек Толочанова Стенка Руднев, а в распросе им сказал. Как де был Микифор Толочанов у царя Александра, а он де Стенка был с ним же. И оставил ево Стенку в меретинской земле за болезнью. И лежал де он в меретинской земле долгое время в монастыре, у митрополита Захария. А как де он обмогся, и царь Александр велел ево взять на свой двор. И поили де и кормили ево Стенку на царева дворе до отпуску. А как де царь Теймураз послал в Терской город гонца Папуни да толмача, и он Стенка бил челом царю Александру, чтобы его велел отпустить в Терской город с гонцом вместе. И царь де Теймураз отпустить ево велел. Да он же де Стенка подал им, Василью с товарищи, два листа, писаны грузинским писмом. А сказывал, что де те листы дал ему царь Александр, а велел ему один лист отдать на Москве послом своим, а другой лист велел отдать Микифору Толочанову. А Микифору б тот лист подать в посолском приказе. И они де, Василий с товарищи, те листы, запечатав в лист твоею государевою печатью Терского города, послали и того Стенку отпустили с Терка в Астрахань ко мне холопу твоему. А каковы государь, листы грузинским писмом стольник и воеводы Василий Волинской с товарищи с Терека ко мне холопу твоему прислали, и те листы, запечатав в лист твоею государевою печатью царства Астраханского, к тебе государю я холоп твой посылал и Микифорова человека Стенку отпустил с астраханским станичником, с сотником стрелецким с Григорьем Есиповым июля в 28 день. А велел отписку и лист подать и того

Стенку объявить в посольском приказе дьяку думному Михаилу Волошенинову, да Алмазу Иванову, да Ондрею Немирову.

На обороте: «г. ц. и в. к. А. М.: в. Р.», помета: «161 г. сентября в 9 день, с астраханским стрелцом с Ивашкою Степановым» и припись (дьяка Алмаза Иванова): «листы взять и велеть перевести».

(Дела Грузинские 1652 сент. — 1653 г., № 4 лл 3—5).

**ОТПИСКА К ЦАРЮ НИКОФОРА ТОЛОЧАНОВА И АЛЕКСЕЯ ИЕВЛЕВА
ИЗ НИЖНЕГО-НОВГОРОДА. 1652 г. ок. 15 августа.**

Г. ц. и в. к. А. М. в. Р., холопи твои Микифор Толочанов Олешка Иевлев челом бьют. По твоему государеву цареву и в. к. А. М. в. Р. указу были мы холопи твои на твоей государеве службе, в меретинской земле у Александра царя. Из меретинской земли царь Александр нас холопей твоих отпустил, да с нами же холопи твоими отпустил своих послов. И мы холопи твои с меретинскими послы пришли в Астрахань марта в 23 день. А из Астрахани, государь, отпустили нас и меретинских послов твои государевы бояре и воеводы князь Михайло Петрович Пронской с товарищи в вятцких стругах в 19-м числе. И мы холопи твои прибыли на Саратов июня в 12 день. И с Саратова прислали мы холопи твои к тебе г. ц. и в. к. А. М. в. Р. к Москве с сыном боярским с Иваном с Воетинным о твоём государевом указе, куда нам холопам твоим и с меретинскими послы итти и на которые места. И августа, государь, в 14 день пришли мы холопи твои и с нами меретинские послы в Нижней, в стругах. А из Нижнева, государь куда нам холопам твоим итти и на которые места, и о том твоего государев указа к нам холопом твоим нет. И ныне, государь стоим в Нижнем, а хотим итти на Муром сухим путем. А с Мурома, государь, куда нам холопом твоим и меретинским послом итти, вели, государь, нам холопом твоим свой государев указ учинить.

На обороте помета: «160 году августа в 23 день с Никифоровым человеком, с Гришкою Ильичым».

(Дела Грузинские 1652 г. 19 сент. — 1653 г. май, № 3, л. 8).

**ПРИБЫТИЕ В МОСКВУ ИМЕРЕТИНСКОГО ПОСОЛЬСТВА, АЗНАУРА
ЛОМКАЦИ ДЖАПАРИДЗЕ И АРХИМАНДРИТА ЕВДЕМОНА: 1652 г.**

19 сентября

Написано в доклад.

В нынешнем 161 году сентября в 19 день приехали ко г. ц. и в. к. А. М. в. Р. меретинские земли Александра царя послы, боярин Ламкаца Джепаридзе да архимарит Ардемон, дворянин Русап, 2 человека толмачей, да 2 человека казначей, да с послы ж людей 19 человек, да 3 человека царевых конюхов.

А прислал с ними государю Александр царь в дарех 3 лошади....

(Дела Грузинские 1652 г. сент. — 1653 май, № 3, л. 12).

**ОТЧЕТ В ДЕНЕЖНЫХ РАСХОДАХ ПОСОЛЬСТВА В ИМЕРЕТИЮ
НИКИФОРА ТОЛОЧАНОВА И АЛЕКСЕЯ НЕВЛЕВА. 1652 г. ок.**

20 сентября.

Роспись государевым денгам, что из Большого Приходу дано посланником Микифору Толочанову да дьяку Алексею Невлеву для меретейской посылки на всякие расходы 100 рублей. А на какие расходы те денги вышли и то писано в сей росписи подлинно по статьям.

Посланники Микифор и Алексей на Терек приехали, и взял Микифор у Алексея тех государевых денег себе на расход 15 рублей.

А за тем осталось 85 рублей.

И на те государевы денги куплено в Астрахани и на Тереке сукон, и соболей, и дорогов, и ефимок для роздачи от береженья государевы соболиной казны, которая послана с посланником к царем в меретийскую землю.

А как приехали посланники на Терек, и послапы¹ наперел в Меретию астрахансково толмача Ивашка Тезиченка да с ним черкашенина Загара, которой приезжал от Мундара мурзы Ибакова к посланником с вестью, и велели им проводить дороги, куды бы итить было с государевою казною лутче

¹ Послали (?).

и безстрашнее. И от того дано черкашенину Загору 2 аршина сукна, да пара соболей, да вершок шапошной багрецовой; того дано на 3 рубли на 21 алтын на 4 де, оприч своих подарков. А что дано своих подарков, и то писано будет в своих росписях.

Да как посланники почели с Терка подыматьца в Меретию, и для провожанья прислал Канбулат мурза Черкаской дву человек узденей своих добрых, Чапана да Залегашта, а велел им государеву казну проводить на Анзорову Кабарду. И тем узденям дано от провожанья по 3 аршина сукна англинского, да по дорогам, да по паре соболей; и того на 11 рублей на 10 алтын, оприч своих подарков.

Приехали в Анзорову Кабарду к Зазаруке мурзе с братиею в кабаки, и говорили они мурзы посланником о государеве жалованье: идет де с вами государева казна болшая; а к нам де мурзам государеву жалованье с вами прислано ль? И посланники о том отговаривались, что государева жалованья к ним ничего не послано. И те мурзы в кабаках держали у себя посланников три недели и государевой казны и посланников провожать не хотели. И им мурзам от государевы казны от провожанья дано 5 человеком по 2 аршина сукна, да по соболю, да по вершку по шапошному; и того на 14 рублей на 25 алтын.

Да в Анзорову Кабарду приезжал князь Яковлев брат Куденетовича Черкасского, Канбулат мурза Черкасского² и говорил посланникам, что к нему государеву жалованье прислано ль; а он государю служит и узденей своих за государевую казною провожать отпускат. И зато ему государеву жалованье дано 4 аршина сукна дороги; и того на 6 рублей.

Приехали к горским мурзам в Балхары, к Чаполову с братиею; а те мурзы не под государевую рукою. И говорили они посланником, чтоб им дать государеву жалованье, а они государеву казну проводят. И за тем держали государеву казну и посланников десять дней. И посланники им говорили, чтоб спустили и государеву казну проводили. И от того дано 3 человеком мурзам по 3 аршина настрафилю красного доброго, да по дорогам, да по соболю; и того на 10 рублей.

Приехали от царя Александра к посланником встрешники,

² Черкасский (?).

два человека азнауров, Мамука да Гергей, а с ними 270 человек пеших для подъема государевы казны и посолской рубли. И для береженья дано от государевы казны 40 человеком 10 ефимков, чтоб, идучи, на дороге над соболями дурна какова не учинили; и того 5 рублей.

Пришли в Меретию к Александру царю и жили долгое время. А царь Александр мешкал, и государю креста не целовал, и манил с недели на неделю. И посланники призывали к себе царева духовника митрополита Захарья, да думного его человека, дьяка Пешенгея Амирова, да толмача Безину и их наговаривали а они б царю говорили, чтоб Александр царь правду свою государю показал, и дело совершил, и крест бы поцеловал, и посланников отпустил, не задержав. И от того им дано митрополиту 20 соболей, сукно доброе 4 аршина, дороги кашанские; и того дано ему на 20 рублей на 26 алтын на 4 де.

Думному дьяку Пешенгею 5 соболей, да сукно ж 4 аршина. да дороги; и того на 10 рублей на 16 алтын на 4 де.

Толмачю от толмачества сукно, пара соболей; того на 3 рубли.

И всего дано от государевы казны от береженья, и то провожанья, и митрополиту, и думному человеку, и толмачю на 85 рублей, опроче своих подарков, что им мурзам и меретинским людям давано от береженья и от провоженья. А что им дано, и то будет писано у посланниках в их росписях.

А что Микифор взял 15 рублей, и те у него денги, в расходе ж Иевлев руку приложил.

• (Дела Грузинские 1650 г. № 2, лл. 191—195).

იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა
1650 წ. 22 მაისი — 1651 წ. 26 ივლისი

(მდივნის ალექსი იველევის მიერ შედგენილი
მუხლობრივი აღწერილობა)

7158 წელს, მაისის 22, სრულიად რუსეთის ხელმწიფემ, მეფემ და დიდმა მთავარმა ალექსი მიხეილის ძემ ნიკიფორე მათეს ძე ტოლოჩანოვს და მდივანს ალექსი მიხეილის ძე იველევს, ალექსანდრე მეფესთან იმერეთის ქვეყანაში, თავის ხელმწიფური წყალობით, სიასამურის ხაზინით და თავის სხვა დიდი ხელმწიფის საქმეებისათვის, ელჩებად წასვლა გვიბრძანა.

ნიკიფორე მათეს ძე ტოლოჩანოვმა და მდივანმა ალექსი იველევმა საელჩო საგანგოში (საგარეო საქმეების საგანგოში), სათათბიროს მდივნებისაგან, მიხეილ ვოლოშენინოვისაგან და ალმაზ ივანოვისაგან, ხელმწიფის ინსტრუქცია (განაწესი „ნაკაზი“) და ხელმწიფის წერილი, იმერეთის მეფის ალექსანდრესადმი (მიწერილი), აგრეთვე სიასამურის ხაზინის სია, ასევე, თვით ხელმწიფის სიასამურის ხაზინა ალექსანდრე მეფისადმი (მისართმევი) სიით ჩავიბარეთ. ინსტრუქციით („ნაკაზით“), ნიკიფორესა და ალექსის, იმერეთის ელჩებთან ერთად, მოსკოვიდან ნავებით, კოლომნაზე რიაზანის პერიასლავეზე, კასიმოვ მურომზე, ნიჟნი-ნოვგოროდზე და ყაზან ასტრახანზე გავლით წასვლა გვქონდა ნაბრძანები. ხოლო ელჩებისა და ხელმწიფის ხაზინის დასაცავად და გასაცილებლად მოსკოვიდან რიაზანის-პერიასლავეამდე, მეთოფურებს ებრძანა წასვლა, ხოლო რიაზანის პერიასლავიდან, ნაბრძანები გვქონდა გამცილებლები ციხე-ქალაქიდან ციხე-ქალაქამდე გზაზე აგვეყვანა და ასე, ამ სახით ყაზანამდე უნდა გვემგზავრა. ყაზანიდან ასტრახანამდე კი ცნობების მიხედვით უნდა მოვქცეულიყავით, სადაც საჭირო იქნებოდა მცველები მეტი, ბოიარებსა და ვოევოდებისათვის უნდა გამოგვეერთვა ხალხი დამატებით, რამდენიც

ადგილობრივ ვითარებას შეეფერებოდა ისე, ცნობების შესაბამისად. ხოლო ასტრახანიდან თერგზე უნდა გაგვევლო, თერგიდან კი იმერეთის ქვეყანაში ალექსანდრე მეფესთან უნდა მივსულიყავით. ხოლო სრულიად რუსეთის ხელმწიფისაგან, მეფისაგან და დიდი მთავრისაგან, ალექსი მიხეილისძისაგან სალამი და თავის დაკვრა გვქონდა ნაბრძანები, აგრეთვე მისი მეფური უდიდებულესობის წერილის მირთმევა გვევალებოდა ალექსანდრე მეფისათვის, ასევე, ინსტრუქციის მიხედვით, სიტყვის წარმოთქმა, ხელმწიფის დანაბარები ყოველი სიტყვის გადაცემა და ხელმწიფის ნაწყალობევი სიასამურის მირთმევა. ხოლო ელჩების სიტყვებზე ალექსანდრე მეფის, ან მისი მახლობელი აირების (კარის-კაცების) პასუხები, ელჩებს ნაბრძანები გვქონდა მუხლობრივ აღწერილობაში ზუსტად ყოველივე ჩაგვეწერა.

ივნისის 9, ნიკიფორე და ალექსი, გამგზავრების ნებართვის მიხედვად, სრულიად რუსეთის ხელმწიფესთან, მეფესთან და დიდმთავართან ალექსი მიხეილის ძესთან ვიყავით, ხელზე ვემთხვიეთ. ხოლო ჩვენთან ერთად ხელმწიფეს ხელზე ემთხვიენენ მდივნის ალექსის ვაჟიშვილი, ჰაბუკი კლიმენტი იველევი, მთარგმნელი¹, ივანე ბოიარჩიკოვი და თარჯიმანი² ლავრენტი პიროგოვი. ხელს ვემთხვიეთ რა მეფეს, ნიკიფორე და ალექსი წამოვედით მოსკოვიდან, ხელმწიფის სიასამურის ხაზინით და იმერეთის ელჩების თანხლებით, ნაგვბით კოლომნაში 10 ივნისს მოვედით, კოლომნიდან რიაზანის პერეიასლავში, შემდეგ კასიმოვში, მუროშში, ნიენში, ყაზანში. ყაზანიდან წამოვედით ივლისის 23.

7159 წლის 6 სექტემბერს, ნიკიფორე და ალექსი ხელმწიფის ხაზინით და იმერეთის ელჩებითურთ ასტრახანში მოვედით. 7 სექტემბერს ხელმწიფის წერილით თავად ივანე ანდრიას-ძე გოლიცინს გეწვიეთ. თავადმა ივანე ანდრიას ძემ იმავე დღეს ბრძანება გასცა ელჩებისათვის ხომალდები გამოეყოს, შეეკეთებინათ და საცხებით გაემზადებინათ. ხომალდების შეკეთების გამო ცხრა დღეს ვიდექით ასტრახანში.

ასტრახანიდან ნიკიფორე და ალექსი, ხელმწიფის ხაზინით და იმერეთის ელჩებითურთ, სექტემბრის 15 წამოვედით და სექტემბრის 21 ვოლგის შესართავთან, თევზის საჭერ ფაცერ-ლობურთან, „ურუსლობთან“ მივცურეთ და იქ ხუთ დღეს ვიდექით უამინდობის გამო. სექტემბრის 27 ზღვაზე გავედით და ზღვით ბრიანცის მეჩეჩს მივალ-

1 მთარგმელი, მწიგნობარსა და განსწავლულ პირს ეწოდებოდა.

2 თარჯიმანი ზეპირად მოენე, მას წერილობით თარგმანს არ ანდობდნენ.

წიეთ სექტემბერის 28. ჩვენ და იმერეთის ელჩები ერთმანეთს დაგვა-
ცილა უამინდობამ.

ოქტომბრის 1 ნიკიფორემ სახელმწიფო ხაზინით, აგრეთვე იმე-
რეთის ელჩებითურთ აფრა აღმართეს გამოდარების შემდეგ და გაე-
შურნენ თერგის ციხე-ქალაქისაკენ და იმავე დღეს მიაღწიეს.

ხოლო მე, მდივანი ალექსი იევლევი, ქარიშხალმა ნავით ზღვაში
გამიტაცა და 28 სექტემბრიდან ოქტომბრის 11-მდე ზღვის ნებაზე
ვებეთქებოდი იქეთ-აქეთ. ხოლო ზღვის დიდი მღელვარების გამო,
მრავალი მარავი გადავყარე ზღვაში შემსუბუქების მიზნით. იმავე 11
რიცხვს, ზღვაზე გზის მიმართულებით დაჰბერა ქარმა და მდივანმა
ალექსი იევლევმა აფრა აღმართე და მდინარე თერგის შესართავთან
მივალწიე იმავე რიცხვში, მაგრამ შესართავთან შვიდი დღე ვიდექი
წყლის სიმცირის გამო.

თერგის შესართავთან მხოლოდ 18 ოქტომბერს მივალწიე მდი-
ვანმა ალექსი იევლევმა თერგის ციხე-ქალაქამდე და ქალაქში ბინაზე
გადავბარგდი.

ოქტომბრის 24, ნიკიფორემ და ალექსიმ, იმერეთის ქვეყანაში
ასტრახანელი თარჯიმანი ბუხარელი ვაჭრის შვილი, ივანიკა გაგზავ-
ნეთ, ხოლო ალექსანდრე (იმერთა მეფის) ელჩებმა თავის მხრივ სი-
მონ ხუცესი და მუნდარის ყაბარდოლან ზაგარ ჩერქეზი, სამი კაცი
მეთოფური და ორი კაცი გამყოლი გაგზავნეს ცნობით — მეფის უდი-
დებულესობისა და მათი, ალექსანდრე მეფის, ელჩების მოსკოვიდან
თერგამდე მოსვლის შესახებ, რათა ალექსანდრე მეფეს საბარგულები
შემოეგებებინა.

იანვრის 21 იმერეთიდან თერგის ციხეში ასტრახანელი თარჯიმანი
ივანიკა ვაჭრის შვილი მოვიდა, ელჩებმა რომ (იმერეთში) გაგზავნეს ის.
მასთან ერთად ალექსანდრე მეფის აზნაური კონსტანტინე „კანშოვიც“
(ყანჩელი?) მოვიდა წერილით. ივანიკამ ალექსანდრე მეფისაგან თავის
დაკვრით მოკითხვა მოგვახსენა და ჩვენ ელჩებს, ამბავი ასე მოგვითხრო:
თერგის ციხიდან მუნდარის ყაბარდოელ ზაგარ ჩერქეზთან, იმერელ
ხუცესთან და თერგელ მეთოფურებთან ერთად ვიმგზავრეო და ყაზი-
მურზა მუნდარისძის კუთვნილ ყაბარდოზე წავედითო. ხუთი დღე ყა-
ბარდოში ვიდექითო, რადგანაც ზაგარ ჩერქეზი „ხაპსაში“ წავიდა, გზის
მდგომარეობის გასაგებად, თუ რომელი გზით აჯობებდა წასვლა და
მგზავრობა უშიშარი იქნებოდა. იმ ჩერქეზს ივანე თარჯიმანისათვის
ეთქვა, „ხაპსაზე“ წასვლა არ შეიძლებაო, გზა სახიფათოა, აქ ხელმწი-
ფის ურჩები ცხოვრობენო. ამიტომ მუნდარის ყაბარდოლან ონზორის
ყაბარდოზე ზაზარუყვა მურზასთან გავემართეთო. ზაზარუყვას მათი

გაცილება ბალყარებამდე ებრძანა და ბალყარელ მურზებისათვის ალი-ბეკისათვის, ჩეპოლოვისათვის და ყანბულატის ბიძისათვის ჩერქებ ან-დაბალ მურზისათვის ჩაებარებინა ისინი. ამ ბალყარელ მურზებს იმე-რეთის სოფლებამდე მიეცილებინათ „ბუგამდე“, ხოლო „ბუგიდან“ ალექსანდრე მეფის აზნაურამდე კონსტანტინე „კანშოვამდე“. მასთან ექვსი დღე ეცხოვრათ. ამ ხნის განმავლობაში, ალექსანდრე მეფესთან ივანე გაეგზავნათ ცნობის მისატანად. და იგი, ალექსანდრე მეფესთან ქუთაისის ციხე-ქალაქში მიეყვანათ. და იყო თარჯიმანი ალექსანდრე მეფესთან და ელჩებისაგან თავის დაკვრა და მოკითხვა გადაეცა მე-ფისათვის. ალექსანდრე მეფესაც ელჩები მოეკითხა ჯანსალობით და თარჯიმანისათვის ეთქვა, რომ ალექსანდრე მეფე ელჩებთან შესაგე-ბებლად თავის აზნაურს კონსტანტინე „კანშოვს“ გზავნის წერილით. იანვრის 22 ალექსანდრე მეფის აზნაური თერგის ციხე-ქალაქში მო-ვიდა.

იანვრის 23 ალექსანდრე მეფის აზნაური კონსტანტინე „კანშოვი“ ნიკიფორესა და ალექსის გვეწვია ბინაზე და ალექსანდრე მეფის წერი-ლი გადმოგვცა, ამასთანავე თქვა: თქვენგან, ალექსანდრე მეფესთან, გა-მოგზავნილი იყო ივანე ვაჭრიშვილი და ალექსანდრე მეფეს თქვენი დესპანათ მობრძანება აუწყაო, როგორც კი ალექსანდრე მეფემ თქვე-ნი მოპვლის შესახებ ცნობა მიიღო, გაუხარდა და შესაგებებლად შე აზნაური კონსტანტინე „კანშოვი“ გამომგზავნაო და თავის დაკვრით, თქვენი მოკითხვა მიბრძანაო. ამას გარდა, ალექსანდრე მეფემ თქვენ-თან წერილი გამომატანაო, ხოლო თქვენ, მისი მეფურ უდიდებულე-სობის ელჩებს, ალექსანდრე მეფემ თერგის ციხე-სიმაგრედან იმე-რეთში, აღდგომის კვირის შემდეგ, აპრილის თვეში გამგზავრება გიბრ-ძანათო. აღდგომის კვირის შემდეგ, ელჩები თერგიდან იმერეთში გა-ვემგზავრეთ აპრილის 15. თერგელმა ვოევოდებმა თავად მიხეილ შჩეტინინმა, თავის თანაშემწეებით, თერგის ციხე-სიმაგრედან ელჩე-ბისა და სახელმწიფო ხაზინის გამცილებლებად, მეთოფურების ასის-თავი მიხეილ შოლჩანოვი, მასთან ერთად თერგელი ცხენოსანი მეთო-ფურები ორმოცდაათი კაცი და ახლად მონათლული ოცდაათი კაცი და მუზარგულები სამოცი კაცი გამოგვყავოლა. ხოლო ყანბულატ მურ-ზა ჩერქებმა შშიძახის ძემ თავის მხრით ორი საიმედო აზნაური ჩე-ფანი და „ზალეგაშტი“ გამოგვყავოლა გამცილებლებათ. წაგვიყვანეს ზემოთ, მდ. თერგის გაყოლებით და ანზორის ყაბარდომდე, მშვიდო-ბით მივედით.

აპრილის 25, ჩვენ და ალექსანდრეს ელჩები კელამედ იბაყუას სოფლებთან მივედით. გადავედით რა თერგზე დავიბანაკეთ „კელმა-

მედის“ სოფლების ქვემოთ, მინდორზე. კელამედ იბაყუა ხელმწიფის ელჩებს არც პირადად შემოგვეგება და არც ვინმე გამოგზავნა.

აპრილის 26 ელჩები, ნიკიფორე და ალექსი, სახელმწიფო ხაზინა და იმერელი ელჩები კანბულატის აზნაურებმა ანზორის ყაბარდომდე მიგვაცილეს, ზაზარუყვა მურზასთან, ღვთით ჩამრთელად და უხიფათოდ მიგვიყვანეს.

და შემოგვეგებნენ ანზორის მურზები, მფლობელი ზაზარუყვა მურზა და მისი ძმა კელამედი ძმებით და ძმისწულებით, სანამ მათ „კაბაკებს“ (სოფლებს) მივალწევდით, და დაგვაბინავეს ელჩები ნიკიფორე და ალექსი, აგრეთვე იმერელი ელჩები თავიანთ „კაბაკებში“, რუსულად რომ ვთქვათ სოფლებში. ანზორის მურზამ ზაზარუყვამ გვითხრა: მომავალში, ხელმწიფე თუ იმერეთის ქვეყანაში თავის ელჩებს წასვლას უბრძანებს ალექსანდრე მეფესთან, ან აღმოსავლეთ საქართველოში. ანზორის ყაბარდოთი გზა პირდაპირია. ანზორის ყაბარდოდან, ალექსანდრე მეფესთან მიმავალი კაცი მთიელების მიწაწყალზე გადაივლის, დიგორელებსა და სტიგორელებთან (იმერეთი) ახლოა, ორ დღეში ასწრებენ საპალნიანი ცხენით იმერეთში გადასვლას ალექსანდრე მეფის პირველ სოფლამდე, აზნაურ გიორგი „კანშოეთან“ მისვლაჲ. მხოლოდ, ამჟამად ამ გზით მოგზაურობა არ შეიძლება იმიტომ, რომ აქ შაჰის მიერ დასმული მფლობელი „სონთა“ ერისთავი³ ახლო ცხოვრობს, რომელიც ალექსანდრე მეფესთან აშლილია. ხელმწიფე თუ ამ ერისთავს ალექსანდრე მეფესთან შეარიგებს, მაშინ ის გზა ახლოც იქნება და კარგიც. აქ საურამე გზაც შეიძლება გაკეთდეს. ის მთიელი ხალხი, დიგორელები და სტიგორელები ხელმწიფის მოწინააღმდეგენი არ იქნებიან. ყველაფერში ჩემი გამგონე ჩარიანო და მათზე, მთიელებზე და ჩერქეზების ხალხზე, მე ზაზარუყვა ანზორის მურზას, დიდი ძალაუფლება მაქვსო.

აპრილის 29 ჩვენ ელჩებმა, ნიკიფორემ და ალექსიმ, ანზორის ყაბარდოდან დავაწინაურეთ და იმერეთის მეფესთან აზბეის მიმტანათ მოსკოველი თარჯიმანი ლავრენტი პიროგოვი გავგზავნეთ, თერგელი მეთოფურითურთ. ამათთან ერთად გაემგზავრა ალექსანდრე მეფის აზნაური კონსტანტინე „კანშოვი“. ხოლო ამათ გასაცილებლად ბალყარელი მურზები ხაბითინი და ბუთა გაკყვენენ ბალყარელებამდე და შემდეგ იმერეთამდე.

მაისის 5 ანზორის ყაბარდოში მთებიდან, ზაზარუყვას სოფლებ-

³ „სონთა“ ერისთავი, არაგვის ერისთავს ეწოდება მე-17 საუკუნის რუსულ ძეგლებში.

ში, ორი კაცი დიგორელი მოვიდა ხელმწიფის ელჩების სანახავად, სახელად ისმაილი და ჩიბირკა. ჭერ ნიკიფორესთან იყენენ, შემდეგ ჩემთან ალექსი მდივანთან მოვიდნენ. მე ალექსიმ გამოვკითხე მათ, საიდან მოვიდნენ და რომელ სამფლობელოს ხალხი ხართ მეთქი და რისთვის მოხვედით-მეთქი. მათ დიგორელებად გამაცნეს თავი. მათი ბინები მთებში ყოფილა, მდინარე „ურუხას“ სათავესაკენ, მათ მფლობელი აღზახ მურზა ყარაბაგოვი ჰყოლიათ, ოთხი სოფლის პატრონი. იმათ იქეთ. დიგორის უკან, სხვა სტუგორელების სამფლობელოაო. ოცი სოფელისაგან შედგებაო. გვითხრეს თითო სოფელში მცხოვრები ორას კომლამდე და მეტიც იქნებაო. ხოლო მფარველობისათვის გადასახადს ჩერქეზების მურზებს ალეგუყვას და ხოდოყდუყვას და ანზორის მურზას ზაზარუყვას ვაძლევეთ ყოველი სოფლიდან ათ ძროხას, ან ხარ და თითო ტყვე-მონას, თითო კარგ ცხენს და კომლის თავზე თითო მკეც ცხეარს, ჩანახ ხორბალს და ჩანახ ფეტვსო. ხოლო პირველ მათ სამფლობელომდე, დიგორამდე, ზაზარუყვას სოფლიდან ნახევარი დღის სავალი გზააო, ხოლო მათ ამ სამფლობელოდან სტიგორელებამდე ერთი დღის სავალიაო. სტიგორელებიდან საქართველოს პირველ სოფლამდე, „გეზამდე“⁴ ნახევარი დღის სავალიაო. ახლა ეს სოფელი ალექსანდრე მეფისააო. ხოლო ამ სოფლიდან, „გეზიდან“ ალექსანდრე მეფემდე ორი დღის სავალიაო. მათ (დიგორელების) სამფლობელოდან ალექსანდრე მეფემდე რომ მთებია, ძნელად გადასავალი არ არისო, საპალნიანი ცხენითაც შეიძლება მგზავრობაო. და თუ გზებს ცოტას გაათართობს კაცი ურმის სავალადაც შეიძლება გაკეთდესო.

მხოლოდ ამჟამად იმ გზით მიმოსვლა ხელმწიფის ხალხისათვის საშიშიაო „სონების ხალხისა“ და მათი მფლობელი ერისთავის გამოო⁵. იმავე დიგორელებმა გვითხრეს: ხელმწიფე რომ მთების ახლო თავის ციხე-სიმაგრის აგებას ინებებდეს და მეომრებს ჩააყენებდეს, მაშინ ჩვენ დიგორელები და ყველა მთის ხალხი მისი, ხელმწიფის, ყმები შევიქნებითო. და ჩერქეზ მურზებს რომ გადასახადს ვაძლევეთ, იმ გადასახადს მაშინ მოსკოვის ხელმწიფეს მივცემდითო.

მაისის 13 ხელმწიფის ელჩები ნიკიფორე და ალექსი, აგრეთვე კახეთისა და იმერეთის ელჩები, გზას გაუდევრით და ზაზარუყვასაგან ბალყარეთში წავედით, გამცილებლებად თერგელი მსახურეული კა-

⁴ უნდა იყოს ღები და არა გეზი.

⁵ იგულისხმება არაგვის საერისთავო და მისი მფლობელი ერისთავი და არა სჯანთა ერისთავი.

ცები გამოგვეყვა მეთოდურები და ახლად მონათლულები და მეზარ-
გულები. ღამე მთების ძირას გავათიეთ მდინარე „სუენსუს“ ნაპირას.
დილით კი ამ ადგილიდან ელჩებმა სახელმწიფო ხაზინა საპალნეე-
ბად ავკიდეთ და იმავე მდინარის „სუენსუს“ აყოლებით, მთებს შო-
რის ვიწრო და ძნელად სავალი გზით წავედით და ნახევარი დღე ვია-
ჩრეთ. მთის ხეობიდან გამოვედით და იქვე, იმ მთების ძირას, იმავე
მდინარის „სუენსუს“ ნაპირას ორი ღამე გავათენეთ. მოგზაურობის
დროს ამ მდინარეზე ფონით მრავალ ადგილას გადავედით დიდის გა-
ჭირვებით, ისე რომ მრავალი ცხენი საპალნებიანად წაგვექცა.

მაისის 17, ელჩები ნიკიფორე და ალექსი ხელმწიფის ხაზინი-
თურთ ამ ადგილიდან ბალყარეთში წავედით. ხაზინა ელჩებს თავის
ცხენებზე დატვირთული მოგვექონდა, ჩვენ კი ფეხით მივდიოდით,
ბალყარეთში იმავე დღეს მივედით. ბალყარელმა მურზებმა, ხელმწი-
ფისა და იმერლების ელჩები, დიდის პატივით მიგვიღეს. ეს მურზე-
ბი ხელმწიფის ხელქვეითები არ არიან, თავისთვის ცხოვრობენ დამო-
უკიდებლად.

მაისის 29 ბალყარეთში ალექსანდრე მეფისაგან გამოგზავნილი
ორი აზნაური შემოგვეგება მამუკა ჯაფარიძე და გიორგი ყანჩელი
(კანშოვი) და ალექსანდრე მეფისაგან წერილი მოგვართვა. ამ აზნაუ-
რებთან ერთად, ხელმწიფის ხაზინისა და ელჩების ბარგის გადასატა-
ნად, ორას სამოცდაცამეტი კაცი გამოეგზავნა მეფეს.

მაისის 31 (რუსეთის) ხელმწიფის და იმერეთის (მეფის) ელჩები
ბალყარეთიდან მთა-მთა წამოვედით ქვეითად, ხოლო ხელმწიფის ხა-
ზინა, სიასამური და ელჩების ბარგი ტვირთებად დაჯანაწილეთ და ქვე-
ითად შომაველ ტვირთშიდავეს, ჩვენთვის რომ იმერეთის მეფეს
გამოეგზავნა დასახმარებლად იმათ გამოვატანეთ, აგრეთვე ნაწილი
ჩვენს მსახურებსაც ავკიდეთ. მდინარე „კრეხუ“-ზე რომ გადავედით
ერთი კლდის ძირას მთაში დავბანაკდით ჩვენი ბარგით და ღამე იქ
გავათენეთ.

ივნისის 1 იმ ბანაკიდან ავიყარეთ და მეორე მთის ძირს გავყევით
და თოვლით დაფარული მთების ძირას დაგვიღამდა. ამ ადგილამდე
ბალყარელი მფლობელები, ალი ბეგი და „ჩეფოლოვი“ ძმებით და
შვილებით, მოგვაცილებდნენ. ამ მთებიდან უკან ბალყარეთში დაბ-
რუნდნენ ისინი.

ივნისის 2 რუსეთის ხელმწიფისა და იმერეთის მეფის ელჩები
ავიყარეთ და დილით, მზის ამოსვლამდე, გზა განვაგრძეთ. ხოლო ხელ-
მწიფის ხაზინა და ელჩების ბარგი თოვლით დაფარულ მთებზე იმე-
რეთიდან გამოგზავნილმა გლეხებმა ზურგით გადაიტანეს. ის თოვლით

დაფარული მთა სალამომდის ძლივს დიდის გაჭირვებით და წვალე-
ბით გადავიარეთ და მდინარე რიონის პირას ჩავედით და იქ დავილა-
მეთ. ეს მდინარე თოვლიანი მთების ძირს მიყვება და ალექსანდრე
მეფის სატახტო ციხე-ქალაქს ქუთაისს ჩაუვლის.

იენისის 3 ელჩებს ალექსანდრე მეფის მიერ გამოგზავნილი კაცე-
ბი შემოგვხვდა ცხენებით. ამ ადგილიდან მთებით გავყევით ამ მდი-
ნარე რიონის გასწვრივ, მაგრამ ახლა ცხენებზე ვიჯექით, თუმცა გზა
ისევ ძნელი სავალი იყო მთა-ხეობებით და საშინელი უფსკრულებით.
ბევრი ცხენი და კაცი მძიმედ დაგვიშავდა.

იმ სამ იენისს, სალამოს, ალექსანდრე მეფისაგან გამოგზავნილი
ორი აზნაური შეგვხვდა ჩვენ და (მოსკოვიდან ჩვენთან ერთად მომა-
წალმა) იმერეთის ელჩმა ივანემ („გრიგორიევი“) გამოგვიცხადა, რომ:
თქვენ, ხელმწიფის ელჩებს, ალექსანდრე მეფემ ორი თავისი მახლო-
ბელი (ტახტის) აზნაური შემოგვაგება ლომკაცი ჯაფარიძე და გიორგი
„არისუფი“⁶ და დაეალა თქვენ ჯანსაღობით მოეკითხეთო. ალექსან-
დრე მეფის ამ კაცებმა მიგვიღეს თავის მზრუნველობაში და გიორგი
„კანშოვის“ (ყანჩელი?) სამფლობელოსაკენ გავწიეთ ციხე-ქალაქ
„თევრიუში“⁷. და როდესაც მივედით ელჩები ციხე-ქალაქის გარეუბან-
ში დაგვბინავეს და მცველები მოგვიჩინეს და საქმელიც გამოგვიგ-
ზავნეს. ხოლო ციხე-ქალაქი „თევრიუი“ მდინარე რიონს გაღმა დგას
ბორცვზე, ციხის მიდამოებში დასახლებებია რიონის მეორე მხარესაც
დასახლებაა. აქ სოფლებში თხუთმეტამდე ქვის შენობა და საყდარი
იქნება და მრავალი პალატა კოშკებით და სათოფურებით. მა-
გარი ადგილია, რომელსაც შესასვლელი და გამოსასვლელი ერთი აქვს
და, რაც მთავარია, მაღალზეა.

იენისის 5 ელჩები, ნიკიფორე და ალექსი, იმ გიორგი „კანშოვის“
სამფლობელოდან დილით წამოვედით და ლომკაც ჯაფარიძის სამ-
ფლობელოში მოვედით, სოფელ „მაცხოვრისში“ („სპასკოე“). გზაზე
კი ოცდაათამდე სოფელი და დაბა გავიარეთ. ხოლო ყველა სოფელსა
და დაბაში მთებზე ქვის კოშკები და პალატებია სათოფურებით.

7 იენისს იმ სოფლიდან გამოვედით ელჩები და ლამე სოფ.
ღვთისმშობლისში“ გაუათიეთ აზნაურ „ბაკლი ზირნევისას“. აზნა-
ურების ორმოცდაათამდე დაბა-სოფლები გავიარეთ. ამ დაბა-სოფლებ-
შიაც ქვის კოშკები და პალატებია სათოფურებით. სოფლებში და-

⁶ ერისთავს „არისტოპას“ უწოდებენ რუსი ელჩები, აქ კი „არისუფია“ მოხსე-
ნებული და ძნელი დასადგენია რომელი ქართული გვარია დამახინჯებული.

⁷ უნდა იყოს რაქაში დღესაც არსებული „თევრიუი“

ბალი ქვის და ხის საყდრებია, ზარები არ აქვთ, რკინის ძელსაკრავები აქვთ (ზარების ნაცვლად).

ცხრა ივნისს, იმ სოფლიდან, ნიკიფორე და ალექსი, ზაქარია მიტროპოლიტის „სამფლობელოში“ გადავედით. თვით მიტროპოლიტი ქუთაისში ცხოვრობს, ალექსანდრე მეფესთან. მის სოფელში საყდარი ქვისაა, ყოვლად წმ. ღვთისმშობლის სახელობაზეა აგებული. აქაურების სიტყვით იმ მიტროპოლიტის სოფლის ირგვლივ სხვა სოფლები და დაბები ორმოცამდე იქნება. სოფლებში საყდრები ქვისაგან და ხისაგან არის ნაგები, პალატებიც და კოშკებიც ქვისაა სათოფურებით, გარემოცვის შემთხვევისათვის აგებული.

10 ივნისს, მიტროპოლიტის სოფლიდან წამოვედით ელჩები და ალექსანდრე მეფის კუთვნილ სოფელში მივედით და თვით ალექსანდრე მეფის სადგომში დავექით. აქ მეფის მობრძანების შემთხვევისათვის ფიცრულია აგებული. ეზოს მახლობლად, მოედანზე, იოანე ნათლისმცემლის სახელობის ქვის საყდარია. მეფის ამ სადგომის პირდაპირ მდ. კრიხულას გაღმა, მთაზე საოცარი ქვის საყდარია, ძალიან ლამაზი, მიქაელ მთავარ-ანგელოზის სახელობის. საყდრებში ხატები ოქროცურვებულ ვერცხლის მოჭედობაშია ჩასმული, სახეები და სპოსელი ხატებს ვერცხლით მოჭედილი აქვთ, წმინდანების შარაყანდელი კი აქაურ ხატებს ოქროსაგან აქვს გაკეთებული და შემკულია მინანქრით. ხოლო მეფის სადგომი ორი მდინარის შუა, რიონისა და კრიხულას შორის არის აშენებული.

იმ კრიხულა მდინარეს იქეთ, მთებში, მდ. რიონის ნაპირას სიმონ არქიეპისკოპოსის საცხოვრებელია. არქიეპისკოპოსის სადგომში მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ხის ეკლესიაა. სიმონ არქიეპისკოპოსმა კაცი გამოგვიგზავნა, ეკლესიაში სალოცავად მიგვიწვია, იმ დროს სწორედ წირვა მიმდინარეობდა. ჩვენ, ელჩები, ნიკიფორე და ალექსი ეკლესიაში მივედით, არქიეპისკოპოსი საყდრის წინ შემოგვიგება.

საყდარში აღსავლის კარების მარჯვენა მხარეს ვერცხლით მოჭედილი კვერთხია სამსფეროიანი. კვერთხის ზემოთ ვერცხლის სიონია (კიდობანია) მოოქრული, გვერდებზე მაცხოვარი, ღვთისმშობელი (ჩვილელი) იოანე წინამორბედი, წმ. დიმიტრი და წმ. გიორგია ამოტვიფრული; სიონს (კიდობანს) ზემოთ ოქროს ჯვარია. ამ უკანასკნელზე უფლის ჯვარცმაა გამოსახული და ქვებით და მარგალიტებითაა შემკული. სიონში სიმონ არქიეპისკოპოსის ცნობით, ანდრია მოციქულის ნაწილებია, სახელდობრ ხელის ნაწილი, აგრეთვე ესტატე

მოწამის თავის ნაწილი და ევდოკიმე მართალის ნაწილი, სადაც არქი-
ეპისკოპოსი წავა თურმე ეს კვერთხი და კიდობანი წინ წამძღვარე-
ბული მიაქვს. იმავე საყდარში, მარცხენა მხარეს ყოვლად წმ. ღვთის-
მშობელის (ჩვილედის) ხატია, ოქროს პერანგში ჩასმული და
ძვირფასი ქვებით შემკული, ალისფერი და ცისფერი „იაგუნდით“.
არქიეპისკოპოსმა გვითხრა, რომ იმავე ხატსო, მეორე მხარეს, ქრის-
ტეს კუბოს ნაწილი აქვსო ჩატანებული. წირვის შემდეგ სიმონ არ-
ქიეპისკოპოსმა სადილად დაგვტოვა ელჩები.

ნიკიფორემ და ალექსიმ არქიეპისკოპოსისას ისაძილეს. სადილო-
ბის დროს არქიეპისკოპოსი წამოდგა სასმისით ხელში, ლოცვა წარ-
მოთქვა, ხელმწიფის ჯანსაღობა შეევედრა უფალს. ლოცვის დამთავ-
რების შემდეგ, ელჩებს გვითხრა: როგორც კი ალექსანდრე იმერეთის
ნეფემ სრულიად რუსეთის მეფის ალექსი მიხეილის ძის შესახებ გაი-
გო, რომ ის ქრისტიანების დიდი ხელმწიფე და მეფეაო, მაშინვე
ალექსანდრე მეფემ, თავისი ელჩი გაგზავნა ხელმწიფესთან, რათა მან,
დიდმა ხელმწიფემ, შეიწყალოს და იგი თავის ხელმწიფურ მალალ
ხელის ქვეშ მიიღოს, მართლმადიდებლურ ქრისტიანულ სარწმუნო-
ების გასაძლიერებლადო. ახლა ჩვენ გხედავთ თქვენ, მათი უდიდებუ-
ლესობის ელჩებს და დიდად გავიხარეთ. ხელმწიფის ჯანსაღობისა-
თვის და დღეგრძელობისათვის შევევედრეთ ჩვენ სამებით დიდებულ
ღმერთს, რომ ხელმწიფე იყოს ჯანმრთელი და დღეგრძელი, ხოლო
მეფე ალექსანდრესადმი და ჩვენდამი, ღვთის მავედრებელთადმი,
მწყალობელიო. და დაცალა თასი ხელმწიფის ჯანსაღობისა და დღე-
გრძელობისათვის, და მოგვაწოდა თასი ელჩებს და ხელმწიფის მსა-
ხურთ ყველას. ამის შემდეგ, ნიკიფორემ და ალექსიმ ალექსანდრე მე-
ფის და თვით არქიეპისკოპოსის საღვთისმშობელთა და ვაჟების
შემდეგ ბინაზე წავედით.

ხოლო არქიეპისკოპოსის „სამფლობელოშიაც“ სოფლებში საყდ-
რები ზოგი ქვისაგან და ზოგი ხისაგანაც არის ნაგები. კოშკები და პა-
ლატები სათოფურებიანებია.

16 ივნისს, ნიკიფორე და ალექსი, ალექსანდრე მეფის იმ სოფ-
ლიდან წამოვედით და ალექსანდრე მეფის ციხე-ქალაქში, რაჭაში მი-
ვედით, რომელიც საქართველოს მეფეს თეიმურაზს აქვს ბოძებული
სარჩოდ, აქ წმ. ნიკოლოზ სასწაულომოქმედის სახელობის ქვის დიდი
საყდარია, საოცარი ნახელავია. გარედან საყდარი მოჩუქურთმებუ-
ლია და ქვაზე ამოკრილია საუფლო დღესასწაულები, წინასწარმეტ-
ყველნი, მოციქულები და მოწამენი. შიგნით საყდრის კედლები მო-
ხატულია. ადგილობრივი, ქართული ხელობის, ხატები ოქროთი არის

მოქედლი, სახელდობრ შარავანდედი და სამოსელი. სახატეებიც ვერცხლითაა მოქედლი და ალაგ-ალაგ დღესასწაულები და წმინდანებია ამოტვიფრული, შარავანდედები კი ოქროსაგან გაკეთებული და შემკულია მინანქრით და მარგალიტებით. ხოლო საეკლესიო ჭურჭლე-ნი, ბარძიმფეშუმნი და ტრაპეზის ჭვარი ოქროსაგან არის ნაკეთები. სახარებაც ოქროთი არის მოქედლი. საყდრის გარშემო ქვის ზღუდეა, რომელსაც ორი ალაყაფის კარი აქვს გაკეთებული. ამ საყდარში მეფის მახლობელი ნათესავებია დამარხული, კუბოები საყდრის კედლებშია ჩატანებული და ზედ ხავერდი და ოქროს ვარაყიანი ატლასია ფარდასავით ჩამოფარებული. ეს საყდარი დავით მიტროპოლიტის მფლობელობაშია, დავით მიტროპოლიტის გამგებლობაშია ორი მონასტერი, სოფლები და დაბები. სოფლებში საყდრები, კომკებიცა და პალატებიც ქვისაა, თავდასხმების დროისათვის გათვალისწინებული. ალექსანდრე მეფის სადგომი, ზღუდის იქეთ, ისრის გასროლის მანძილზეა დაშორებული, მოედანზე ფიცრული შენობებია დაბალი, ერთსართულიანი. აქ ალექსანდრე მეფის სადგომში თეიმურაზ მეფე ცხოვრობს დედოფლით, უფლისწულებით — თავის შვილიშვილებით.

როცა ელჩები ციხე-ქალაქში რაჭაში მივედით, მეფის სადგომიდან ნახევარი „ვერსტის“ დაშორებით მოგვეცეს ბინა. თეიმურაზ მეფემ კაცი გამოგვიგზავნა, მოგვიკითხა. თეიმურაზ მეფესთან, თუ როგორ ვიყავით საელჩო საქმეებზე, ამის შესახებ თეიმურაზის მუხლობრივ აღწერილობაში წერია დაწვრილებით ყველაფერი.

იენისის 20, ელჩებმა, ნიკიფორე და ალექსიმ, თეიმურაზი დავტოვეთ და რაჭიდან ალექსანდრე მეფესთან გავემგზავრეთ მის სატახტო ქალაქში, ქუთათისში. ელჩები ქუთათისამდე დავით მიტროპოლიტმა გაგვაცილა. ქუთათისში რომ მივედით ელჩები, ნიკიფორე და ალექსი, ციხის პირდაპირ ბორცვზე დაგვაბინავეს, მდინარე რიონის ნაპირას, მეფის კარებში. ამ ადგილას ორ დღეს ვიყავით. ალექსანდრე მეფისაგან საკმელი და სასმელი მოჰქონდათ დიდის პატივით.

იენისის 23, ალექსანდრე მეფემ კაცი გამოგვიგზავნა, ქალაქის გარე უბანში გადასვლა შემოგვითვალა და ბინა მიგვიჩინა.

იენისის 25, ელჩებმა, ნიკიფორე და ალექსიმ, ალექსანდრე მეფეს შეუთვალეთ, რომ ჩვენთვის საელჩო დავალებებზე მოსალაპარაკებლად მის წინაშე გამოცხადება ებრძანებინა და ამასთანავე კაცები გამოგზავნა ჩვენთან ხელმწიფის წყალობის, სიასამურის ბეწვეულის, გადასატანად, ხოლო ელჩებისათვის ცხენებიც გამოგზავნა. იმავე დღეს. ალექსანდრე მეფემ, ელჩებს ცხენები გამოგვიგზავნა, ცხენები ვერცხლით მოქედლი უნაგირებით იყო შეკაზმული, აღვირ-ლა-

გამი კი ოქროთი იყო გაწყობილი. სიასამურის გადასატანადაც კაცები გამოგვიგზავნა.

ნიკიფორემ და ალექსიმ ხელმწიფის მიერ გამოტანებული სიასამური გადავსინჯეთ, წესრიგში მოვიყვანეთ და სიის მიხედვით მამუკა ჯაფარიძეს და გიორგი „კანშოვს“ ჩავაბარეთ (ეს აზნაურები ჩვენზე იყვნენ მომაგრებული). ესენი ბევრეულს თავიანთ მეთოფურებს ურიგებდნენ გადასატანად, ამათ რუსულად სტრელცები ეწოდებოთ. ჩვენ, ელჩებმა ამათ ვუბრძანეთ წინ წასულიყვნენ, ხოლო ხელმწიფის სიგელი მდივნის თანაშემწეს მივეცით და ვუბრძანეთ იგი წინ მალლა ხელებაწეული დაეკირა და ისე წაელო ჩვენს წინ. ჩვენ, ელჩები ნიკიფორე და ალექსი, ცხენებზე შევკაქეთ და ამათ უკან გავყევით და, როცა გარეუბნიდან მოედანზე გავედით და მეფის კარვის სადგომს სანამ მიეუახლოვდებოდით, მეფემ აზნაური გამოგვიგზავნა და გვიბრძანა სიასამურის ქარავანი შეჩერებულყო, ჩვენც გვიბრძანა ელჩებს შეგვეჩერებინა სვლა. თურმე ამ დროს, დედოფალი, დიდებულთა მელღეობითურთ, ცალკე თავის კარავში: ყოფილიყვნენ, კარვის კალთები აეწიათ და ხელმწიფის ხაზინას, ელჩებს და ხელმწიფის მსახურებს უცქეროდნენ. ცოტა ხნის შემდეგ, ალექსანდრე მეფემ, ელჩებს თავის კარვისაკენ სვლა გვიბრძანა. როცა მეფისაკენ გავსწიეთ ამ დროს ციხიდან და კოშკებიდან ზარბაზნების სროლა დაიწყო, ხოლო მეთოფურებმა ბურჯებოდან იწყეს სროლა. მეფის კარვებს ათი ბაჟენის მანძილზე რომ მიეუახლოვდით, უბრძანეს ჩვენთვის ეთქვათ ცხენებიდან ჩამოვსულიყავით. ნიკიფორე და ალექსი და ხელმწიფის სალხი ყველა ცხენებიდან ჩამოვედით და კარვისაკენ გავსწიეთ. ამ დროს კარვებიდან გამოვიდნენ და ელჩებს შემოგვეგებნენ ზაქარია პეტროპოლიტი და იერუსალიმელი, წმ. გოლგოთის მთის მონასტრის ილუმენი, ნიკიფორე.

ელჩები, ნიკიფორე და ალექსი, მეფის სახელით, ჯანსაღობით მოგვიკითხეს, მარჯვნივ და მარცხნივ ამოგვიდგნენ და მეფემდე მიგვაცილეს. როდესაც მეფის წინაშე წარვსდექით ელჩები, წესისამებრ, თავი დავეუკარით მეფეს. სრულიად რუსეთის ხელმწიფის და მეფის ალექსი მიხეილის ძის სახელით, ალექსანდრე მეფეს, ნიკიფორე მიესალმა და სიტყვა წარმოსთქვა: სამპიროვან ღვთის წყალობით დიდმა ხელმწიფემ და მეფემ, დიდმა მთავარმა ალექსი მიხეილის ძემ სრულიად რუსეთისამ (მიდის რუსეთის მეფეების სრული ტიტულაცია ი. ც.)... ბრძანა, შენ, ალექსანდრე მეფეს, თავი დაგიკრათ, ხოლო როცა ნიკიფორე სიტყვას ამბობდა მეფე იღვა.

ალექსანდრე მეფემაც მოიკითხა ხელმწიფის და მეფის დიდი მთავრის ალექსი მიხეილის ძის ჯანსაღობა.

ნიკიფორემ ამაზე უპასუხა: როცა ჩვენ დიდი ხელმწიფისაგან, მისი მეფობის უდიდებულესობისაგან წამოვედით, ღვთის წყალობით ის თავის დიდ და სახელოვან „სახელმწიფოებში“ ჯანსაღად და კარგად ბრძანდებოდა. ამის შემდეგ (ნიკიფორემ) ხელმწიფის წერილი წიართვა (ალექსანდრე მეფეს) და სთქვა: დიდმა ხელმწიფემ... ალექსი მიხეილის-ძემ სრულიად რუსეთისამ, შენ, ალექსანდრე მეფეს, თავისი მეფური დიდებულების წერილი გამოგიგზავნა. ალექსანდრე მეფემ ხელმწიფის წერილი ნიკიფორეს ჩამოართვა, ემთხვია ბეჭდის ადგილას და თავზე დადებული გააჩერა ერთხანს და შემდეგ თავის მახლობელ კარისკაცს გადასცა, ხოლო, როცა ხელმწიფის კარგად ყოფნის შესახებ სიტყვა მოისმინა გაუხარდა და ხელები მალა აღაპყრო.

ამის შემდეგ ნიკიფორემ განაგრძო სიტყვა: წყალობითა ღვთისათა. დიდმა ხელმწიფემ, მეფემ და დიდმა მთავარმა ალექსი მიხეილის-ძემ სრულიად რუსეთისამ, ბრძანა მოგახსენოთ შენ, ალექსანდრე მეფეს: წარსულ 157 წელს (1650 წ. — ი. ც.) მის მეფურ უდიდებულესობას გამოუგზავნეთ თქვენ თქვენი ელჩები, ბასილ ილუმენი და დავით მორჩილი, წერილით. და ჩვენმა დიდმა ხელმწიფემ შენი ელჩები შეიწყალა, უბრძანა მათ მის წინაშე გამოცხადება და მისი ხელმწიფური თვალების ხილვის (ღირსი გახადა) და შენი წერილის მათი ხელიდან მიღება ბრძანა და მოწყალებით მოუხსინა მათ. ხოლო თქვენს წერილში ალექსანდრე მეფეო, თქვენ წერდით ჩვენს დიდ ხელმწიფეს, რომ თქვენ მამა-პაპის, მართლმადიდებელ ქრისტიანი მეფეების მემკვიდრეობით იმყოფებით მეფედ. ძველი მეფეების მიერ აგებული მონასტრები და საყდრები გაქვთ, მიტროპოლიტები და ეპისკოპოსებიც მრავალი გყოლიათ, სარწმუნოებაც შეურყენელად დაგიცავთ დღემდე. და თხოვთ ჩვენ დიდ ხელმწიფეს, რომ შეგიწყალოთ და არ დატოვოთ მისი საფარველი ხელის გარეშე. წერდით აგრეთვე, რომ აქვენ სხვა, ქრისტიანული სარწმუნოების მეფე, არა გყავთ, გარდა ნისი უდიდებულესობისა, იმავე წერილში წერდით თქვენ ალექსანდრე მეფეო ჩვენს დიდ ხელმწიფეს, თუ რა შევიწროებას და დევნას განიცდით მტრებისაგან თქვენ სახელმწიფოში და ამიტომ დიდხელმწიფეს თხოვდი შეეწყალებინე შენ და დახმარება აღმოეჩინა მას შენთვის, რათა ურწმუნოებს არ ეჯობნათ შენთვის და წმინდა მონასტრებიც არ დაქცეულიყო. ამავე დროს, დიდ ხელმწიფეს თხოვდი თავისი ელჩი გამოგზავნა შენს ქვეყანაში და იგი მას დაეთვალიერებინა.

მეც, ალექსი მღივანმა, სიტყვა წარმოვსთქვი: დიდმა ხელმწიფემ

და მეფემ, დიდმა მთავარმა სრულიად რუსეთისამ, ალექსი მიხეილის ძემ გაიგო რა თქვენი, ალექსანდრე მეფის, თავის სახელმწიფოში მტრებისაგან შევიწროებული ყოფნა, ამაზე არა მცირედ შეწუხდა და შენი, ალექსანდრე მეფის, და მთელი იმერეთის ქვეყნის დაცვა სურს მას ყოველგვარი ღონისძიებით მეთქი. ქრისტიანული სარწმუნოების სიყვარულით თავისი მეფური მაღალი ხელის საფარველიდან არ მოგიცილებს და თავის მოწყალეობრივი მზრუნველობის ქვეშ ეყოლები, რომ მართლმადიდებლური სარწმუნოება შეგინებული არ იქნეს, და შენი ელჩები მისი მეფური წყალობით შენთან გამოისტუმრა. ხოლო მათთან ერთად, დიდმა ხელმწიფემ, შენი თხოვის თანახმად, თავისი ელჩები, აზნაური ნიკიფორე მათეს ძე ტოლოჩანოვი და მდივანი ალექსი იველვეი გამოგზავნა, თუ რა სახით და რა პირობით უნდა იქნეთ თქვენ მის მეფურ მოწყალების მზრუნველობის ქვეშ, ამის შესახებ დიდმა ხელმწიფემ ჩვენ, თავის ელჩებს, დაგვაავალა შენ მოგელაპარაკოთ და შენი სახელმწიფო და ქვეყანა და ადგილები დაეთავალიეროთ, ხოლო შენ ჩვენ უნდა გვენდოთ. აგრეთვე ჩვენთან, ელჩებთან ერთად, გამოგზავნა შენთან თავისი ხელმწიფური წყალობა სამოცდაცხრამეტი ორმოცეული საუკეთესო სიასამურის ბეწვეული. ხოლო შენ, ალექსანდრე მეფეო, მის ხელმწიფურ ამ წყალობას ჩვენგან, ელჩებისაგან, სიხარულით მიიღებ. და როდესაც მისი მეფური უდიდებულესობის შენდამი ასეთ მოწყალებას ხედავ, რა პირობასაც ჩვენ, ელჩებს, მოგვცემთ შენ და შენი კაცები, ამ პირობაზე მტკიცედ და უცვალებლად უნდა იდგეთ სიკვდილამდე, და მისი მეფური უდიდებულესობისა და ხელმწიფობის შვილების, რომელთაც ღმერთი მომავალში მას მისცემს, მაღალი ხელის ქვეშ უნდა იქნე მთელი შენი იმერეთის მიწა-წყლით საუკუნოდ მოუცილებლად და მას, დიდ ხელმწიფეს ჩვენსას და მის, ხელმწიფის, შვილებს ემსახურებოდე და ცდილობდე, სიკეთე გსურდეს ყველაფერში გულწრფელად. ყოველგვარ ცბიერობის გარეშე, ფიცისამებრ, და სხვა არც ერთ ხელმწიფეს არ უნდა მიემხრო. ხოლო მისი მეფური უდიდებულესობის ელჩებს არ დაგვაყოვნებდე და დიდ ხელმწიფესთან (უკან) გავვისტუმრებდე.

როდესაც ნიკიფორემ და ალექსიმ სიტყვები დაეპარულეთ, მეფის და მის უდიდებულესობის წყალობა, სიასამური, ალექსანდრე მეფეს წარუდგინეთ. ალექსანდრე მეფემ ხელმწიფის წყალობა, სიასამურის ბეწვეული, დიდის სიხარულით მიიღო და ხელმწიფის ამ წყალობაზე დაბლა თავი დახარა, ხოლო ნიკიფორეს და ალექსის დაჯდომა გვიბრძანა. ხელზე სამთხვევად არ მიგვიწვია. ნიკიფორე და

ალექსი არ დავსხედით, არამედ თარჯიმანს ვუბრძანეთ ეთქვა ალექსანდრე მეფისათვის: ...დიდმა ხელმწიფემ და დიდმა მთავარმა სრულიად რუსეთისამ, ალექსი მიხეილის ძემ, გამოგვგზავნა შენთან, ალექსანდრე მეფესთან, თავისი ხელმწიფური წყალობით და გვიბრძანა შენთან, ალექსანდრე მეფესთან, მოსელა და ხელზე მთხვევა და თუ ჩვენ ელჩებმა შენ ხელზე არ გემთხვიეთ ჩვენ დაჯდომა არ შეგვიძლია. ალექსანდრე მეფე დაჯდა და ხელზე სამთხვევად მიგვიწოდა. ნიკიფორე, ალექსი და ხელმწიფის ხალხი ალექსანდრე მეფის ხელს ეახლენ, ემთხვივნენ და, სადაც ელჩებისათვის ადგილი იყო განკუთვნილი, დაჯდომა ივბრძანა. ჩვენც დავსხედით, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ავდექით. ალექსანდრე მეფემ გვითხრა: მეფის უდიდებულესობის ელჩებმა ჩემთან უნდა ისადილოთო და ცოტა ხანა კარავს გარეთ დაიცადეთო, თავის კარისკაცებს და ჩვენზე საგანგებოდ მომაგრებულ კაცს უბრძანა გავეცილებინეთ ჩვენ კარავს გარეთ, გასაგრილებელ ადგილს, მოსკოვში რომ იციან ისე ერთ ამძლეებულ ადგილამდე, რომელიც ქვით იყო გაკეთებული და ზევით საჩრდილობელი ჰქონდა. და ვინც მიგვაცილებდნენ ელჩებს გვეუბნებოდნენ არ მოგვეწყინა, ცოტა ხანს დაგვეცადა სანამ ალექსანდრე მეფე მეფის უდიდებულესობის ელჩებს კაცს გამოგიგზავნიდეთ და თავისთან სუფრაზე მოგიწვევდეთო. ნიკიფორე და ალექსი ამ ადგილას საათზე იგტ ხანს ვიმყოფებოდით. ამ ხნის განმავლობაში ელჩებთან ნიკიფორე და ალექსისთან, გოლგოთის მთის მონასტრის ილუმენი და მასთან ერთად მეფის მახლობელი პირები იყვნენ. დროდადრო აქ, ჩვენთან, შესანიშნავ ტაქებზე შემჯდარი მეფის აზნაურები მოდიოდნენ, დაგვათვალისწინებდნენ, მოგვიკითხავდნენ და მოგვილოცავდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ, ალექსანდრე მეფემ, თავისი აზნაურები გამოგვიგზავნა, გვითხრეს: ალექსანდრე მეფემ გამოგვაგზავნა თქვენთან, ელჩებთან, და გთხოვათ, ხელმწიფის ელჩებს, სუფრაზე დაგვეწვიეთო. ნიკიფორემ და ალექსიმ ტანსაცმელი გამოვიცვალეთ და წავედით მეფესთან სუფრაზე, მთელი ჩვენი მსლებელი ხელმწიფის ხალხით. ალექსანდრე მეფემ გვიბრძანა ჩვენ ელჩებს, ნიკიფორესა და ალექსის და ამ უკანასკნელის შვილს კლიმენტის, მარცხენა მხრით მასთან მახლობლად დაჯდომა. ელჩებთან მახლობლად შუაზე გოლგოთის მთის მონასტრის ნიკიფორე ილუმენი იჯდა. მეფის მარჯვენა მხარეს მახლობლად კათალიკოსი იჯდა, რუსულად რომ ვთქვათ, პატრიარქის მაგიერი, შემდეგ მიტროპოლიტები ზაქარია და დავითი და სხვა სასულიერო პირები, ერქიეპისკოპოსები და არქიმანდრიტები, ხოლო მეფის თავადები და აზნაურები (რუსულად „დვორიანები“) ორივე

მხარეზე ისხდნენ. ჰამის წინ მოიტანეს და მეფის წინაშე სუფრა გაშალეს; აბრეშუმის იყო ოქროს ფერი ზოლებიანი და დააფინეს მის წინაშე ხალიჩაზე. შემდეგ სუფრა მოიტანეს და კათალიკოსის წინ გაშალეს, ასევე ელჩების წინ გაშალეს სუფრა, ატლასის იყო ზოლებიანი. სასულიერო პირთა და თავადების წინაშე გაშლილი სუფრები ზამბისაგან დამზადებული ქსოვილების იყო, ხოლო აზნაურებს და (რუსეთის) ხელმწიფის ხალხს, ქსოვილი სუფრის ნაცვლად, ერთმანეთზე გადაკერებული დეკეულის წითელი ფერის ტყავები დაუფინეს წინ. ხოლო მეფე ალექსანდრე, სასულიერო პირები, თავადები და აზნაურები ყველანი ყიზილბაშურად ისხდნენ ნოხებზე, ფეხებმორთხმულნი. ელჩებს კი მაგიდა დაგვიდგეს, დასაჯდომად კი მერხი. ხელმწიფის ხალხსაც მერხი დაუდგეს, ხოლო იჯდნენ აზნაურებს შორის დაფანტული. ხოლო საკმელი, დაისამდე ორი საათით ადრე, მოგვართვეს. და როცა მეფეს, სასულიერო პირებს და ელჩებს საკმელები მოგვართვეს, მერიქიფეხებმა თასების შევსება დაიწყეს ღვინით და მეფეს, სასულიერო პირებს, ელჩებს და ყველას, ვინც იქ ვიყავით, დაგვირიგეს.

ოცთა ხნის შემდეგ, ალექსანდრე მეფე წამოდგა, მაშინვე სამღვდლოება და თავადებიც წამოდგნენ, და მეფეს ღვინით სავსე თასი მოართვეს. მეფემ თასი მიიღო კათალიკოსს გადასცა და უბრძანა (რუსეთის) მეფის უდიდებულესობის დღეგრძელობისათვის ლოცვის წარმოთქმა. კათალიკოსმა თასზე ლოცვა წარმოთქვა (ე. ი. აკურთხა — ი. ც.) და შემდეგ თასი ალექსანდრე მეფეს გადასცა. მიიღო რა მეფემ თასი, ნიკიფორეს და ალექსის სიტყვით მოგვმართა: გამოვძებნე მე ხელმწიფე, მეფე და დიდი მთავარი ალექსი მიხეილის ძე სრულიად რუსეთისა, საგანგებო ხელმწიფე გამოვძებნე ჩემთვის, მე, ალექსანდრე მეფემ, სამუდამოდ ხელმწიფის ყმა ვარ და მისი მრავალი წლის განმავლობაში ჯანსაღობისათვის ვსვამ ამ თასიდან, რათა დიდი ხელმწიფე ჯანსაღად იყოს მრავალეამიერ და შესვა. შემდეგ ასწია თასი, თავზე მალლა, და (თასი) კათალიკოსს გადასცა, შემდეგ, როცა ნიკიფორეს, ალექსის და მის შვილს (კლიმენტის) გადმოგვცა თასები, ალექსანდრე მეფემ სიტყვა წარმოთქვა: „როდესაც მე, ალექსანდრე მეფემ, ჩემი სიმამრისაგან, თეიმურაზ საქართველოს მეფისაგან, მოსკოვის სახელმწიფოს შესახებ, ჰეშმარიტ ქრისტიანულ სარწმუნოების შესახებ და დიდი ხელმწიფის და მეფის დიდი მთავრის ალექსი მიხეილის ძის, სრულიად რუსეთის თვითმპყრობელის, შესახებ (დაწერილებით) ამბავი გავიგე, იმას ვნატრობდი განუწყვეტლივ, რომ პირადად მეხილა ჰეშმარიტი ქრისტიანული სარწმუნოება და

მოსკოველი ადამიანები და გამეგონა მისი მეფური უდიდებულესობის
ჯანმრთელად ყოფნა. ამიტომაც იყო, რომ მის მეფურ უდიდებულე-
სობასთან ჩემი ელჩები გავგზავნე. და ჯერ კიდევ იმაზე ადრე, სანამ
ელჩები მოსკოვში მის მეფურ უდიდებულესობამდე მიაღწევდნენ,
ჩემი გონება და გული უკვე ხელმწიფის ნებაზე იყო მიდრეკილი.
შემდეგ კი, აი ეს არის მეფის უდიდებულესობის ელჩებო, თქვენ
გახილეთ, და ჩემი ელჩებისაგანაც მძიი ხელმწიფური უცვალებელი
წყალობის შესახებ მოვისმინე და დიდი წყალობაც მივიღე და გავი-
ხარე. და ზომავალშიაც მისი მეფური უდიდებულესობის განუყრელი
ძონა ვიქნები მთელი ჩემი სახელმწიფოთი და მოხარული ვიქნები
მისთვის, ჩემი ხელმწიფისათვის, მთელი ჩემი ხალხით ხელმწიფის
ბტრებს წინააღმდეგე, ვიბრძოლო და თავი დავდოთ“. და როცა სიტ-
ყვა დაასრულა დაჭდა, კათალიკოს და ელჩებსაც გვიბრძანა დაჭდომა.

ხოლო მერიქიფეებს უბრძანა ხელმწიფის სადღეგრძელოს დასა-
ლევად თასები მიეწოდებინა მცტროპოლიტებისა, არქიეპისკოპოსები-
სა და სხვა სამღვდლოების წარმომადგენლებისათვის, ასევე თავადე-
ბისა, ხელმწიფის ხალხისა, და აზნაურებისათვის. ყველა ფეხზე ამ-
დგარი ვსვამდით. ამის შემდეგ, ცოტა ხანი გავიდა და ჩვენ, ნიკიფორე
და ალექსი, მაგრიდან წამოვდექით, გვერდზე მივდექით და ალექ-
სანდრე მეფის სადღეგრძელო შევსვით. კათალიკოსმა და სამღვდე-
ლოებამ ალექსანდრე მეფის სადღეგრძელო ფეხზე ამდგარი შესვეს.
ხოლო მისმა თავადებმა და აზნაურებმა ალექსანდრე მეფის სადღეგრ-
ძელო აჟე შესვეს: წამოდგებოდა ჯგუფად შვიდ-შვიდი კაცი, მიუახ-
ლოვდებოდნენ მეფეს, დაცლიდნენ თასებს, თავს დაუკრავდნენ, ცალი
რუხლით ჩაიჩოქებოდნენ და ისევ თავიანთ ადგილებზე დასხდებოდ-
ნენ. ხოლო საკმელებს მეფეს და კათალიკოსს ოქროს ლანკანებზე
წოართმევდნენ, საამელსაც ოქროს სურებით და თასებით მიართმევ-
დნენ. ელჩებსაც მეფე მიაწოდებდა თავისი არშვივიდან საკმელსა და
სასმელს, იმავე ოქროს ლანკანებზე და თასებით. ხოლო სამღვდელო-
ებს, თავადებსა და აზნაურებს საკმელს და სასმელს ყველას სუფ-
რებზე ვერცხლის ჭურჭლეულობით მიართმევდნენ. რადგანაც სუფრა
გაგრძელდა (და შემოღამდა), ორი ვერცხლის დიდი შანდალი მოიტა-
ნეს შეღებილი დიდი სანთლებით და მეფეს იქეთ-აქეთ წინ დაუდგეს,
კათალიკოსისა და ელჩების წინაც ვერცხლის შანდლებით შეღებილი
სანთლები დადგეს. ასევე ვერცხლის შანდლებით დადგეს სანთლები
სამღვდელოებისა, თავადებისა და აზნაურების წინაშე, ხოლო „უკა-
ნა“ სუფრაზე მსხდომარეთ სპილენძის შანდლებით მიუტანეს სან-
თლები. სუფრა ღამის სამ საათამდე გაგრძელდა, მეფე ძალიან მზი-

რული იყო სუფრასთან და განუწყვეტლივ მისი უდიდებულესობის მეფის სახელს ახსენებდა და ელჩებს და ხელმწიფის ხალხს გვიცქეროდა. ხოლო კარვის კალთებიდან ჩუმად ქალები იჭვრიტებოდნენ და ელჩებს გვიცქეროდნენ. სუფრის შემდეგ ალექსანდრე მეფემ ელჩები, ნიკიტორე და ალექსი, ბინაზე გაგვისტუმრა, ცხენებამდე და შემდეგ ბინამდე მრავალმა აზნაურმა მიგვააცილა.

როდესაც ჩვენ, ნიკიტორე და ალექსი, ალექსანდრე მეფესთან საელჩო საქმეებზე ვიყავით, იმ ხანად მეფის სადგომი მოედანზე მოეწყობოდა ყიზილბაშური კარვების ქსოვილებით, სიგრძე-სიგანე თხუთმეტ-თხუთმეტი საყენი ექნებოდა და გადახურული იყო კარვისა და დარბაზის სახურავი ქსოვილებით და მოფენილი იყო ყოველი მხრით ფერადი ნოხებით. იქ კი, სადაც მეფის ადგილი იყო, იმ მხარეს ჩამოშვებული იყო კარვის კალთებიდან ოქროს ვარაყიანი სპარსული ხავერდის ნაჭრები და ეს ადგილი აბრეშუმის ნოხებით იყო მოფენილი, ხოლო ნოხების ზემოთ მეფის დასაჯდომ ადგილზე დაგებული იყო დიდი ექვსსაყენიანი ქვეშ დასაფენი სპარსული ნარმის მაგვარი ქსოვილი, ამის ზემოთ კი ოქროს კედით მოქსოვილი ხალიჩა, ამ ხალიჩის ზემოთ დიდი ბალიშია დადებული, იგი შეკერილია წითელ ატლასზე ოქროსა და ვერცხლის კედით და ზედ გრძელი ვიწრო გადასაფარებელია. იგი მოქარგულია და სხვადასხვა სამკაულია გამოსახული თეთრ ატლასზე. მეფის დასაჯდომი ადგილის უკან, ზურგის მისარყდენი დიდი ბალიშია, ზედ ოქროს ვარაყიანი ატლასი არის გადაფარებული, ხოლო მეფის ადგილზე, სადაც მეფე იჯდა და სადაც კათალიკოსი და ელჩები ისხდნენ, კარვის კუმტულის ქვემოთ ქსოვილის მეორე შინაგანი ჰერია ატლასისა და აბრეშუმისაგან, მოქარგული სხვადასხვა ფერებით, ზედ მცენარეულობის სახეებია ამოქარგული. ხოლო მეფის დასაჯდომ ადგილის ზემოთ თავის პირდაპირ კარვის იმ კენწერში მზის საჩრდილობელია გაკეთებული ოქროსა და ვერცხლის კედით შემკული სხვადასხვა ფერის აბრეშუმით თეთრ ატლასზე გაწყობილი. ფრინველებისა და მცენარეულობის გამოსახულებით, ხოლო გარშემო ამ საჩრდილობელს ფოჩი აქვს გაკეთებული ოქროსფერის ჭინჭილებით, საჩრდილებელის სიგრძე სიგანეზე საყენ-ნახევრის ზომის.

როდესაც ნიკიტორე და ალექსი ალექსანდრე მეფესთან საელჩო საქმეებზე მივედით, მეფე თავის ადგილას ყიზილბაშურად იჯდა, ფეხებმორთხმული. ხოლო მას ტანზე კაბა ეცვა აბრეშუმის ქსოვილისაგან გაკეთებული ოქროს არშიით შემოყოლებული, ღილები ოქროსი პქონდა აღმასის წვრილი თვლებით გაწყობილი. კაბას დაბალი საყელო აქვს და ორმუზდული დიდი მარგალიტებით არის საყელოს ზედა

ნაწილი შემოყოლებული, პერანგს მოკერებული საყელო აქვს, რომელსაც აგრეთვე ორძაფზე აცმული. ორმუხდული დიდი მარგალიტები აქვს შემოყოლებული.

კაბაზე სირმის, ოქროსკედისა და აბრეშუმის ძაფებისაგან ნაგრები სარტყელი აქვს გაკეთებული. სარტყელზე ოქროს სამკაულებია, ჯვირფასი ქვებით, ზურმუხტისა და იაგუნდის ყიჟმატით გაწყობილი, კაბაზე ოქროთი მოჭედილი ხმალი არტყია. ოქროში ჟოლოს ფერი იაგუნდები და ზურმუხტებია ჩასმული, აგრეთვე ალმასის ყიჟმატი. ხმლის შემოსარტყამ ქამარს ბოლო მიწამდე აქვს ჩამოშვებული, იგი ოქროთი არის შემკული, ოქროზე იაგუნდის, ზურმუხტისა და ალმასის ყიჟმატი არის ჩასმული, კაბის ზემოთ ქათიბი ეცვა, აბრეშუმის ძვირფასი ქსოვილისაგან შეკერილი, სიასამურის ბეწვეულით შემკული და ერთ მხარეს შეკრულია ერთ მარყუჟათ. ალექსანდრე მეფეს, მკერდზე, ოქროს ძეწკვით დიდი ოქროს ჯვარი ჰკიდია, წმინდა ნაწილებით, თავზე ქონვურებიანი გვირგვინი ადგას, უქობო, შვიდ საყრდენიანი, ორმუხდული მარგალიტით შემოყოლებული, შიგადაშიგ ჟოლოსფერი და ცისფერი იაგუნდის ქვებია ჩასმული, აგრეთვე ზურმუხტისა და ალმასის ყიჟმატითაა შემკული. გვირგვინის საყრდენებზე ოქროს ბალთებზე ჯვრებია გაკეთებული ორმუხდული მარგალიტით, თითოეულ ჯვარში ოთხ-ოთხი მარგალიტის მარცვალაია. მეფეს ხელთ ოქროთი მოჭედილი (სკიპტრა) კვერთხი უპყრია, სკიპტრა იაგუნდის, ზურმუხტისა და ალმასის ყიჟმატით არის შემკული. კვერთხს ზემოთ სფერო ჰქონდა, რომელშიაც ალმასის ყიჟმატები იყო ჩასმული, სფეროს, ზემოთ, დიდი ჟოლოს ფერი წახნაგოვანი იაგუნდი ჰქონდა ჩასმული. ალექსანდრე მეფე სადილის დროს რომ სუფრასთან იჯდა მას, სიასამურ შემოყოლებული, ორმუხდული მარგალიტებით ჯვარედინათ შემკული, შავი ხავერდის ქული ეხურა. ხოლო გვირგვინი ამ დროს ზედსადგარზე იდგა მეფის პირდაპირ, იქვე იყო მიყუდებული სკიპტრაც. ზედსადგარი ოთხკუთხედიან და შავი ხავერდით არის დაფარული. ზედსადგარის კუთხის თავები და გარშემოყოლებული არშია ოქროსი არის და იაგუნდისა და ზურმუხტის ყიჟმატები აქვს ჩასმული.

მეფის ადგილის პირდაპირ, კარვის ბოძთან, ოქროთი დაფერილი ვერცხლით მოჭედილი კვერთხი იყო მიყუდებული, კვერთხის ზემოთ ოთხკუთხიანი ოქროს („სიონი“) კილობანი იდგა, კილობანის ფენგებზე მაცხოვრის, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის, იოანე ნათლისმცემლის, გიორგი და დიმიტრი წამებულების გამოსახულებანია ამოტვიფრული, ამათი გვირგვინები იაგუნდისა და ზურმუხტის ყიჟმატებითაა შემკული. კილობანში წმინდა გიორგისა და დიმიტრის ნაწი-

ლებიან ამბობდნენ. კილობანზე ოქროსაგან ჩამოსხმული ჯვარი იყო ჯვარცმის გამოსახულებით. ამავე ქარვის ბოძთან ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის ძითურთ ხატი იყო მიდგმული. გვირგვინი და არშიები ოქროთი არის მოჭედილი და ძვირფასი ქვებით არის შემკული, ხოლო სახატე ვერცხლისაა. მეფის გარშემო მარცხნივ და მარჯვნივ („სიონებია“) კილობნებია კვერთხებზე, ყველა ესენი ისევე არიან შემკული და გაკეთებული, როგორც პირველი („სიონი“-ა) კილობანი. იქ, სადაც მეფე იჯდა, ზემოთ, სამ ფიცარზე დასაკეცი ხატი იდგა, ამ ხატზე ცენტრში საუფლო ტახტზე მჯდომარე მაცხოვრის სახე იყო გამოსახული, გვერდზე იქეთ-აქეთ ყოვლად წმინდა ღვთის მშობელი და იოანე ნათლისმცემელია, გვერდის ფენგებზე კი მიქელ და გაბრიელ მთავარ ანგელოზებია გამოსახული. გამოსახულებანი ოქროთი არის შემკული, ხოლო გვირგვინებში იაგუნდის და ზურმუხტის ქვებია ჩასმული.

მეფის მარჯვენა მხარეს კათალიკოსი იჯდა (პატრიარქის ადგილზე მყოფია იმათთან), მას ქვეშ აბრეშუმის ხალიჩა ჰქონდა დაგებული. ხალიჩაზე დიდი ბალიში ედო, ზურგს უკანაც ბალიში ჰქონდა, ორივე ალუბლისფერ ატლასზე იყო ოქროსა და ვერცხლის კედით მოქარგული, კათალიკოსს ალუბლისფერი წმინდა აბრეშუმის მანტია ჰქონდა წამოსხმული, ზედა ნაწილი ოქროსა და ვერცხლის კედით იყო მოქარგული, მკერდზედაც საუფლო დღესასწაულებია ამოქარგული — უფლის აღდგომა და ამალღება, მაცხოვარს და წმინდა მოციქულებს კვართები ნაგალიტით აქვთ გარსშემოყოლებული. კალთებს კუთხეები ამოქარგული აქვთ, ქერუბიმებია გამოსახული ოქრო-ვერცხლით კედით წითელ ატლასზე. კათალიკოსს თავზე ქუდი ეხურა შავხავერდ გადაკრული. ქუდის ჯვარედინი და გარშემო იაგუნდის, ზურმუხტისა და ალმასის ექიმატებით შემკული ოქროთი არის მოჭედილი. კათალიკოსს ორ რქიანი კვერთხი ეპყრა ხელთ, ბერძნული ყაიდის, მთლიანად ოქროსაგან არის მოჭედილი, ზედ სამი სფეროა, იაგუნდისა და ზურმუხტის ექიმატებითაა შემკული. კათალიკოსის პირდაპირ შავი ხავერდით მორთული სავარძლები იდგა. სავარძლებთან ხალიჩაზე მისი ფეხსაცმელები ეწყო, შავი ხავერდისაგან შეკერილი, ფეხსაცმელს ცხვირი, ქუსლები და ტერფის რკალი ძვირფასი ქვების ექიმატებით შემკული ოქროთი არის მოჭედილი. სადილობის დროს მას ქუდი მონადეს და იქვე სავარძელში ჩადევს, კვერთხიც სავარძლებთან იყო მიყუდებული.

სადილზე ალექსანდრე მეფესთან სამღვდლოება ესწრებოდა:

თვით კათალიკოსი და ორი მიტროპოლიტი, ოთხი არქიეპისკოპოსი, ცხრა არქიმანდრიტი და ილუმენი, მეფის სანოცდათოთხმეტი თავადი, მახლობელი პირები და აზნაურები. ისხდნენ სუფრასთან კედლის გასწვრივ ერთ მწკრივში. პირდაპირ არავენ არ იჯდა, ისე რომ მეფე ყველას უცქეროდა და არავენის თავის მოფარება არ შეეძლო, იქ, სადაც სასმელი და ყოველგვარი ჭურჭლეულობა იდგა და სადაც კერძებს აწაწილებდნენ, ის ადგილიც ნოხებით იყო მოგებული, ხოლო ნოხების ზემოთ აბრეშუმნარევი ქსოვილები იყო ჩამოფარებული, ხოლო მეფის ჭურჭლეულობა ოქროს სურები ლანგარები და თასები მეფის დასაჯდომი ადგილის პირდაპირ ეწყო ახლოს. ნოხებზე ოქროს კედის ქსოვილები იყო მოგებული.

ივნისის 28, ალექსანდრე მეფემ ელჩებთან გამოგზავნა, ჩვენთან მოურავად გაპიროვნებული, მამუკა და გიორგი, შემოეთვალა მეფესთან გამოცხადება მოსალაპარაკებლად. მათთან ერთად ცხენებიც გამოგზავნა ნიკიფორესა და ალექსისათვის. იმავე საათს ელჩები ალექსანდრე მეფესთან გავემგზავრეთ. კარვების სადგომთან სანამ მივიდოდით გადაუხვიეთ გზას და წინანდელ საჩრდილებელ ადგილას მიგვიყვანეს. ნახევარი საათის ლოდინის შემდეგ, ალექსანდრე მეფემ კაცი გამოგვიგზავნა და მასთან ხლება გვიბრძანა, იმავე კარვებში მოსალაპარაკებლად. ნიკიფორე და ალექსი ალექსანდრე მეფესთან კარავში მივედით დაბლა მიწამდე თავის დაკვრით მადლობა გადაუხადეთ წყალობისათვის — სადილისა და მეფის სუფრიდან არშევის ბოძებისათვის. ალექსანდრე მეფემ მოგვიკითხა ელჩები, ნიკიფორე და ალექსი, და მის მახლობლად მარცხენა მხარეს დაჯდომა გვიბრძანა. ხოლო მარჯვენა მხარეს კათალიკოსი და სამღვდლოება იჯდა, თავადები და აზნაურები კი ორი მხრით ისხდნენ. ყველაფერი ისე იყო მოწყობილი და ნოხებით მოგებული, როგორც წინათ.

როცა დავსხედით ალექსანდრე მეფემ ნიკიფორეს და ალექსის გვკითხა: თქვენ გამოგზავნილი ხართ ჩემთან დიდი ხელმწიფისაგან, აქვენი მეფისაგან და დიდი მთავრისაგან, ალექსი მიხეილის ძისაგან, სრულიად რუსეთის თვითმპყრობელისაგან, ჩემთან, ალექსანდრე მეფესთან, თავის ხელმწიფური წყალობით სიასამურის ბეწვეულით, და ნე ალექსანდრე მეფის უდიდებულესობის ეს წყალობა სიასამური, აქვენგან სიხარულით ჩაიბარე და ხელმწიფის მოწყალებაზე და დიდ წყალობაზე მრავალჯერ თავი დამიკრავს ელჩებო! მისი მეფური უდიდებულესობის სხვა ბრძანება არის თუ არა ჩემდამი?

ნიკიფორემ და ალექსიმ ალექსანდრე მეფეს მოვასხენეთ დანასაქმის მიხედვით (ინსტრუქციის მიხედვით).

გამოგზავნე შენ, ალექსანდრე მეფეო, მის მეფურ უდიდებულესობასთან, ხელმწიფესთან, ჩვენ მეფესთან და დიდ მთავართან, ალექსი მიხეილის ძესთან, სრულიად რუსეთის თვითმპყრობელთან... თქვენი ელჩები ვასილ ილუმენი და მორჩილი დავითი და ჩვენს დიდ ხელმწიფეს, მის დიდ და სახელოვან „სახელმწიფოებზე“ რუსეთის სამეფოში ყოფნას ულოცავდი, ხოლო შენს წერილში, შენ ალექსანდრე მეფეო, მის უდიდებულესობას წერდი და შენი ელჩებიც პირადად ევედრებოდნენ რომ... მეფემ და დიდმა მთავარმა... შენ ალექსანდრე მეფე და მთელი შენი იმერეთის ქვეყანა, შეგიწყალოს, თავის მეფურ მაღალ ხელის ქვეშ დაგიცვას და დაგიფაროს ყველა შენი მტრებისაგან.

და ჩვენმა ხელმწიფემ და მეფემ... ალექსი მიხეილის-ძემ... შენი წერილი, ალექსანდრე მეფეო, და შენი ელჩების ვედრება მოწყალეობით მოისმინა და გაიგო რა, რომ შენ, ალექსანდრე მეფეო, შენი მტრებისაგან შევიწროებული ცხოვრობ, შეწუხდა. და სურს... მის უდიდებულესობას შენ, ალექსანდრე მეფე და მთელი შენი ქვეყანა თავის მეფური მაღალი ხელის ქვეშ ჰყავდე და დაგიცვას, დაგიფაროს შენი მტრებისაგან. ხოლო ელჩები შენი ბასილ ილუმენი და დავით მორჩილი მთელი თავისი კაცებით, რომელნიც მათ თან ახლდნენ, შეიწყალა თავის მეფური წყალობით და გამოისტუმრა შენთან ალექსანდრე მეფეო.

ალექსი მდივნის სიტყვა

ხოლო შენ ალექსანდრე მეფეო შენი წერილისა და თხოვნის თანახმად პირობა შენი შეასრულე, ჩვენს წინაშე, მისი მეფური უდიდებულესობის ელჩების წინაშე, ჯვარს ემთხვე და ჩვენს ხელმწიფეს... ალექსი მიხეილის ძეს ფიცი მიეცი, შენს ვაჟიშვილსა და მახლობელ პირებს ჯვარზე მთხვევით დააფიცებ იმ ფიცის წიგნზე, რომელიც ჩვენთან ერთად არის გამოგზავნილი მისი მეფური უდიდებულესობის მიერ, რომ შენ ალექსანდრე მეფე შენი შვილებით და შვილიშვილებით, რომელიც მომავალში გეყოლება იქნები ხელმწიფისა მაღალი ხელის ქვეშ საუკუნოდ პირშეუშლელად, და არავის სხვას არ მიეკედლები. ხოლო ფიცის წიგნს შენ ალექსანდრე მეფემ და შენმა შვილებმა, რომელნიც ახლა გაყავთ ხელი მოაწერონ და თავისი ბეჭდები დაასვან. ეს შენგან ალექსანდრე მეფეო ჩვენს ხელმწიფეს ესიამოვნება და დამაჯერებელიც იქნება.

იმ დროს, როცა ნიკიტორე და ალექსი ალექსანდრე მეფეს ვესალბებოდით მთელი 'ხნის განმავლობაში მეფე ალექსანდრე ქუდ-მოხდილი იდგა, მოისმინა რა ელჩების სიტყვები თვალი მიაპყრო ღვთისმშობლის ხატს და პირჯვარი გადაიწერა.

ალექსანდრე მეფემ ელჩებს უბასუხა: სანამ მე, ალექსანდრე მეფემ, მოსკოვის სახელმწიფოს შესახებ და ჰეშმარიტ სარწმუნოების შესახებ და მისი მეფური უდიდებულესობის შესახებ არავისაგან არაფერი გაგონილი არ მქონდა, მე, ალექსანდრე მეფე, თავისთვის, დამოუკიდებელი ვიყავი, და არც ერთ მეფეს, თურქეთისას და ყიზილბაშებისას არ მივმხრობივარ. ხოლო, როგორც კი ჩემი სიმამრისაგან, თეიმურაზ საქართველოს მეფისაგან, მოსკოვის სახელმწიფოს შესახებ, ქრისტიანული სარწმუნოების შესახებ და მისი მეფური უდიდებულესობის შესახებ... მოვისმინე, რომ ის თავის მართლმადიდებლურ დიდ სახელმწიფოებში თვითმპყრობელია და ჰეშმარიტად მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოებაა იქ, მე, ალექსანდრე მეფემ მასთან, დიდ ხელმწიფესთან... ჩემი ელჩები გავგზავნე მორჩილების გამოსაცხადებლად, რათა მე ალექსანდრე იმ ჰეშმარიტ ქრისტიანულ სარწმუნოებაში ვეგო, გასასწორებლად და შესაერთებლად, და მისი მეფური ხელის ჰეშმ მის ხელმწიფურ ბრძანებლობაში ვიყო (სამარადისოდ). და იმ დროიდან მოკიდებული დღემდე შეურყეველად ვადგივარ ამ აზრს, და მთელი ჩემი გულით და გონებით აღვაპყრობდი რა თვალს უზენაესის, ღვთის, მიმართ, ელოცულობდი, რათა მისი მეფობის უდიდებულესობის ნება აღსრულებულიყო. ამჟამად კი მე, ალექსანდრემ, ჩემი ელჩებისაგან მისი ხელმწიფური მოწყალების შესახებ მოვისმინე და დიდი წყალობა ჩემდამი თვით დავინახე და ამის გამო დიდად გავიხარე და თავი ჩემი მთელი ჩემი ხალხით მის მეფური კალთის ქვეშ შემიფარებია. და ხელმწიფის წინაშე პირობას დავდებ, ჯვარს ვემთხვევი და ხელმწიფეს ფიცს მივცემ, და ხელმწიფის მაღალი ხელის ქვეშ უცვალებლად ვეგები საუკუნოდ. ხოლო მეფური უდიდებულესობის წყალობა ალექსანდრე მეფეს არ მომწლოდეს. დეე ისმინოს ღმერთმა, ცისა და მიწის შემოქმედმა, ჩემი უღირსი ლოცვა და შთაუწერგოს ხელმწიფეს ღმერთმა ნანატრი ჩემი გულში და მიშველოს მე. და თანამდგომ და ქომაგ მექნეს მე დიდი ხელმწიფე მტერთა ჩემთა წინაშე, ჩემი ყოფილი მონის და ქრისტიანული სარწმუნოების მაყინებელის, სინათლისაგან განდგომილის, მამადიანური სარწმუნოების წყვიდიადში (ჩაძირულს) მთავრის ლევან დადიანის წინაშე. ასეთ დიდი საქმისათვის უფალმა ღმერთმა მიანიჭოს მოწყალება ჩემს დიდ ხელმწიფეს და მის სახელმწიფოს

ყოველი სიკეთე. და, როდესაც ალექსანდრე მეფემ სიტყვა დაასრულა მიგვიხმო თავისთან ნიკიფორე და ალექსი და დაბალი ხმით, ისე რომ იქ მყოფ მის ხალხს არ გაუგონია, გვითხრა: მისი მეფობის უდიდებულესობისაგან თქვენ დაეაღებული გაქვთ, რომ ალექსანდრე მეფემ მისი მეფური უდიდებულესობის, ხელმწიფის ელჩების წინაშე, ხელმწიფის საქმე სისრულეში მოვიყვანოთ და ფიცის წიგნის მიხედვით დავიფიცოთ და ჯვარს ვემთხვიოთ მთელი ჩვენი ქვეყნით, მაგრამ გაგვაცანით რა შინაარსის ფიცის წიგნია გამოგზავნილი თქვენთან ერთად? ხოლო მე ალექსანდრე მისი მეფური უდიდებულესობის განკარგულებაში ვარ ამიერიდან ჩემი ძმით, ვაჟიშვილით და მთელი ჩემი ჩახელმწიფოთი და მისი მეფური ბრძანებულება მალე შესრულებული იქნება. თქვენ კი ხელმწიფის ელჩებო, თქვენი დიდი ხელმწიფის ბრძანების თანახმად გაამზადეთ (ფიცის) წიგნი, როგორც ეს მეფის უდიდებულესობას ენებოს, მეც ისევე აღვასრულებო. დაამთავრა რა სიტყვა, ელჩები ბინაზე გაგვისტუმრა და ნიკიფორეს და ალექსის საჰმელ-სასმელი ბინაზევე გამოგვიგზავნა.

ივნისის 29 ალექსანდრე მეფემ ჩვენთვის (ელჩებისათვის) მოურავად გაპიროვნებული აზნაურები, მამუკა ჯათარიძე და გიორგი „კანშოვი“ გამოგვიგზავნა და ამათ მეფის დანაბარები სიტყვები გადმოგვეცეს: ნიკიფორე და ალექსი ქუთაისის ციხე-გალავანში არსებულ საკრებულო ტაძარში უნდა მივსულიყავით და წირვა მოგვესმინა. ცხენებიც გამოგვიგზავნა ისევე მორთულ-შეკაზმული, როგორც ამის წინათ იყო.

ალექსანდრე მეფის ამ მიწვევაზე ელჩები, ნიკიფორე და ალექსი, ციხე-გალავანში ტაძრისაკენ გავემართეთ და წირვის დასაწყისისათვის იქ ვიყავით. როცა მივედით და საკრებულო ტაძარში შევედით, ჩვენმა მოურავებმა ნიკიფორე და ალექსი ხატებთან მიგვიყვანეს და როცა ხატების წინაშე ლოცვა დავასრულეთ, მეფესთან მისვლა და თავის დაკვრა გვიბრძანეს. როგორც კი ლოცვა დავასრულეთ, ნიკიფორე და ალექსი მეფესთან მივედით და თავი დავუქართ, შემდეგ კათალიკოსს (დავუქართ თავი). ელჩები რომ საყდარში შევედით, ალექსანდრე მეფე თავის, მეფისათვის განკუთვნილ, ადგილას იდგა. ეს, (მეფის სადგომი) ადგილი ქვისაგან არის გაკეთებული, სვეტთან, შიგნითაც და მის მახლობლად (კედლები) მოხატულია, წმინდანები და მეფეებია (გამოსახული). მეფეს ხელთ კვერთხი ეპყრა. კათალიკოსი მაქსიმე კი იჯდა საყდრის შუა, აღსავლის კარების პირდაპირ, სავარძელში, მანტია წამოსხმული და წირვის წინა სალოცავს კითხულობდა წიგნში, ხოლო კათალიკოსის წინ აბრეშუმის დიდი ნოხი იყო დაგე-

ბული, ამ ნოხზე კი სხვა მომცრო ოქროს კედით ნაქსოვი ნოხი იყო დაგებული და ამ ზედა ოქროსკედის ნოხზე სახარება, ჭვარი, კვართი, სამღვდელმთავრო ბისონი, სამკლავე და ამფორი იდო, ხოლო დიდ ნოხზე ბოლოში წინანდელი ზესადგარი იდგა, ელჩობის დროს მეფესთან რომ იდგა, ის. ზესადგარზე, სამღვდელმთავრო ქუდის ნაცვლად, ოქროს გვირგვინი იდო, უქობოდ, ზედ საღვთო დღესასწაულებია წვრილად გამოსახული, უთვლებოდ. მეორე უქობო გვირგვინიც იდგა, შავ ხავერდზე ოქრო შემოყოლებული, აქა-იქ კი იაგუნდისა და ზურმუხტის ექიმატია ჩასმული, აგრეთვე მარგალიტი. იმავე ზესადგარზე კათალიკოსის ქუდიც იდო, რომელიც მას ელჩების მიღების დღეს ეხურა.

კათალიკოსის შემოსვლის წინ, სანამ მას ბისონს ჩააცმევდნენ გამოვიდნენ საკურთხეველიდან კვართით (შემოსილი) არქიდიაკონი და დიაკონი საცეცხლურებით ხელში, დადგნენ კათალიკოსის წინ ნოხის ორივე მხარეს და უკმის მას, კათალიკოსს, და შემდეგ საკურთხეველში შებრუნდნენ. ამის შემდეგ ოთხი დიაკონი გამოვიდა და მიუახლოვდნენ რა კათალიკოსს, თავი დაუქრეს. არქიდიაკონმა და დიაკონმა ხელი მოჰკიდეს და სავარძლიდან წამოაყენეს, მანტია ჩამოხსნეს და ფარჩის კვართი ჩააცვეს, უსახელო, წელზე ზონარი შემოარტყეს (ქამრად). ეს ზონარი გაწყობილი იყო ოქროს ფირფიტებით, ფირფიტები კი იაგუნდისა და ზურმუხტის ექიმატით იყო გაწყობილი. კვართს ზემოთ ოლარი დაჰკიდეს მას, ოლარი ალუბლისფერი ატლასისაგან იყო შეკერილი, ზედ ოქროსა და ვერცხლის კედით წმ. დღესასწაულები იყო გამოსახული, გარშემო კი მარგალიტის მძივი იყო შემოყოლებული, გვირგვინებში ექიმატი იყო დატანებული. გაუკეთეს სამკლავენი, ოქროს სიმით შეკერილი, სამკლავეებს ექვსეკესი ოქროს ღიდი ღილი ჰქონდა სადად გაკეთებული. შემდეგ ჩააცვეს ღიაშვინდისფერი ბისონი. ბისონს გვერდებზე და გარშემო სამკაულები აქვს, ოქროს. სიმით ორნამენტი აქვს გაკეთებული მცენარის გამოსახულებით, კვართი უსახელოა, გვერდებზე კვართს ექვს-ექვსი დიდი ღილი აქვს იაგუნდისა და ზურმუხტის, ღილები შეუქრეს, მოიტანეს მოჭედილი გვირგვინი და თავზე დაადგეს. როცა კათალიკოს მოსადგნენ მას ხელები დიაკვნებზე ჰქონდა დაყრდნობილი ორ მხრივ ჭვარედინად. როცა მორთეს (შემოსეს) სავარძელში მოათავსეს და კვეროხი მიართვეს. არქიდიაკონი და დიაკონი მცირედ დაშორდნენ (კათალიკოსს) და არქიდიაკონმა დალაღჰყო თავის ენაზე „მრავალ ეამიერ უფალო“, მცირედ უკან დაიხიეს და აღსავლის კარების ორივე მხარეს დადგნენ. ტრაპეზიდან წამოსული აღსავლის კარებს მოადგა

შემოსილი მღვდელი და წირვის წინა ჩამოლოცვა წარმოსთქვა. ჩამოლოცვის შემდეგ კათალიკოსს ჯვარი მიართვეს, რომელიც ნოხზე იდო. ჯვარი ოქროსია სადად გაკეთებული, ჯვრის სიგრძე შვიდი ზურმუხტია ჩასმული, განზე ოთხი ზურმუხტია, ყველა ნატიფია, ოთხკუთხედი, მცირეწახნაგოვანი, ისინი ჩასმულია ჯვარზე ორივე მხარეს, სიდიდით ოქროს ტოლა. ჯვარზე არავითარი გამოსახულება არ არის იმიტომ, რომ ძვირფას ქვებს შორის ცარიელი ადგილი მცირეა. შემდეგ გამოიტანეს საკურთხეველიდან სამსანთლოვანი, როგორც ეს მღვდელმთავრის წირვის დროს ხდება და მიაწოდეს კათალიკოსს. და მიიღო კათალიკოსმა ჯვარი მარჯვენა ხელში, ხოლო სანთლები მარცხენა ხელში, ასწია ჯვარი და სანთლები ერთად და იწყო ჯვრის გადასახვა საკურთხეველზე აღსავლის კარებისაკენ, შემდეგ ჯვარი გადასახა მეფეს და მთელ მარჯვენა მხარეს, ხოლო შემდეგ ჯვარი გადასახა მარცხენა მხარეს, გადასახვის შემდეგ ჯვარი და სანთლები დიაკონს გადასცა და წაიღეს საკურთხეველში, ჯვარი ტრაპეზზე დაასვენეს, ჯვარის გადასახვის შემდეგ არქიდიაკონმა დაიწყო წირვა თავის ენაზე, მღვდელმა კი საკურთხეველში დაიწყო (წირვა) ხელების ზევით აპყრობით. მოსკოვში რომ ბერძენი მონაზონი თუოფანე იყო, მან წირვის დაწყება ასევე დაადასტურა: გვაკურთხე მეუფეო და კურთხეულ არს სასუფეველი. ხოლო, როცა მღვდელმა წირვა დაიწყო, კათალიკოსმაც ხელები აღაპყრო ზევით. ამის შემდეგ დიაკონმა კვერექსი დაიწყო, გუნდი უფალო შეგვიწყალებს არ გალობდა, მხოლოდ იპოდიაკონი გაბმით წესისამებრ თავის ენაზე აღსავლის კარებთან კირიელეისონს (უფალო შეგვიწყალებს) ამბობდა. კვერექსის შემდეგ კათალიკოსმა, მასთან ერთად მიტროპოლიტებმა, არქიეპისკოპოსებმა და არქიმანდრიტებმა ანტიფონის გალობა დაიწყეს. ანტიფონის შემდეგ ჩრდილოეთის კარებით გამოვიდნენ სახარებით ხელში და კათალიკოსს მიართვეს. იგი სახარებას ემთხვია. ხელი გამოდევს კათალიკოსს მიტროპოლიტმა და არქიეპისკოპოსმა და საკურთხეველში წაიყვანეს, ხოლო მგალობელთა გუნდის სადგომზე არქიეპისკოპოსები, არქიმანდრიტები და ილუმენები თავის ენაზე გალობდნენ ტროპარს და კონდაკს და წმინდაო ღმერთოს. სამოციქულოს დიაკონი კითხულობდა, ის საკურთხეველიდან გამოვიდა ჩრდილოეთის კარებით და აღმოსავლის კარების წინ (დაიწყო კითხვა) სახარებას კი არქიდიაკონი კითხულობდა. როცა სახარება წაიკითხა, იგი აღსავლის კარებთან მიიტანა, აქ ის მღვდელმა ჩამოართვა და კათალიკოსს მიართვა, აგრეთვე ყველა მწირველებს, კვერექს დიაკონი ამბობდა, უფალო შეგვიწყალებს თავის ენაზე იპოდიაკონები გალობდნენ, აღსავლის კა-

რებთან მდგომარე. ხოლო „რომელი ქერაბიმთას“, „ღირს არს“ და კანონს მღვდელმთავრები გალობდნენ ერთ „კლიროსზე“. ხოლო წყალობა, მშვიდობა შესაწირავი ქებისა და წმიდაო შენ გიგალობთ და შემდეგ ღირსაარსისა, არაფერი არ უგალობებიათ.

მხოლოდ, საკურთხეველში, დიაკვნები დაბალ ხმაზე ბუტბუტებდნენ. სახარებით გამოსვლა და წმინდა საუფლო ძღვენის გადასვენება კა, როგორც რუსეთში იციან ისე გააკეთეს იმ განსხვავებით, რომ საუფლო ძღვენის გადასვენებას წინ დიაკონი უძღვის ჯვრით, ამ დიაკონის წინ მეორე დიაკონი მიდის საცეცხლურით, ორივე მხარეს იქეთ-აქეთ უკმევს, როგორც ხალხს ისე ხატებს. ხოლო, როცა საუფლო ძღვენს მიასვენებდნენ, მეფემ გვირგვინი მოიხადა და თაყვანი სცა დაბლა, წელში მოჩრით. ამ დროს აღსავლის კარებიდან კათალიკოსი გამრვიდა, ერთი საფეხურით ჩამოვიდა და საუფლო ძღვენი მიიღო, ასწია ბარძიმი თავს ზემოთ და მიმოიხედა სამივე მხრით და თავის ენაზე წარმოსთქვა „მოგიხსენოთ უფალმა ღმერთმა“-ო. როდესაც საკურთხეველში შევიდნენ აღსავლის კარები არ დაუხურავთ, მხოლოდ ძვირფასი ფარდა ჩამოაფარეს. რადგანაც დასაკეცი აღსავლის კარები ამათ (ქართველებს) არც ერთ საყდარში არ აქვთ. საგალობელის შემდეგ ბარძიმი ხელში არქი-დიაკონმა „შეშითა ღვთისათა“ წარმოთქვა, არქი-დიაკონის შემდეგ, იგივე ბარძიმი, კათალიკოსმა, ასწია რა მალა აღსავლის კარებში, მღვდელს გადასცა სამსხვერპლოზე დასადგმელად. ამბიონზე წარმოსათქმელი ლოცვა მღვდელმა წარმოსთქვა, აღსავლის კარებიდან გამოსვლის შემდეგ. ხოლო სებისკვერი არ გამოუტანიათ. წირვას შემდეგ, განტეების ლოცვა აღსავლის კარებში მდგომმა კათალიკოსმა წარმოთქვა. ოქროს ლანკანით, მცირე ნაწილებათ დატეხილი სეფისკვერი გამოიტანეს, მიეახლა ალექსანდრე მეფე აღსავლის კარებს თუ არა, იქედან კათალიკოსი გამოვიდა და ის სეფისკვერი ხელში სამჭერ ჩაუდო, ხოლო მეფემ დამარხა (ე.ი. შექამა) და ხატს ემთხვია. დედოფალი კი მეფის ადგილის უკან იდგა მიფარვით. როდესაც ლიტურგიის გალობა მიმდინარეობდა, ამ საგალობლების შესახებ ბერძენმა თეოფანე ბერმა მოგვცა განმარტება რუსულად, და ლიტურგიის (წირვის) საგალობლები და თვით გალობა ზუსტად რუსულს ემთხვევოდა. საკურთხეველში ტრაპეზის უკან „მაღალი დასაჯდომელი“ შედარებით მაღალი არის გაკეთებული, ექვსი საფეხური აქვს. მთელი საკურთხეველის წრეზე მაღალი დასაჯდომელიდან დაწყებული გაკეთებულია სამღვდლოების დასაჯდომი, მერხივით, ესეც მაღალია, კიბის ორი საფეხურის ავლაა საჭირო დასაჯდომად. განტეების ლოცვის დასრულების

შემდეგ, საკუთხეველიდან კათალიკოსი გამოვიდა და საყდრის შუადგილზე წინანდებურად სავარძელში ჩაჯდა. ამ დროს დიაკვნები მოვიდნენ და კათალიკოსს წირვის შესამოსელის გახდა დაუწყეს.

ხოლო მეფე ტაძრიდან გამოვიდა. ნიკიფორეს და ალექსის მასთან სუფრაზე ყოფნა გვიბრძანა. წირვის შემდეგ, ნიკიფორე და ალექსი, ჩვენს ბინაზე წავედით, ტანსაცმელი გამოვიცვალეთ და ალექსანდრე მეფესთან სადილზე გავემგზავრეთ. (გამართულ) კარვებში სუფრასთან ჩეფე და კათალიკოსი, ელჩები, სამღვდელოება, თავადები და აზნაურები ისხდნენ, ისე როგორც წინათ. სუფრაზე, წინანდებურად, ალექსანდრემ და კათალიკოსმა ხელმწიფის, მეფის და დიდი მთავრის სრულიად რუსეთის, ალექსი მიხეილის ძის სადღეგრძელო თასით შესვეს. სადილზე მეფე მთელი ხნის განმავლობაში მხიარული იყო და მის უდიდებულესობას, მეფეს, ხშირად იგონებდა, განუწყვეტლივ აქებდა და აღიძებდა. სადილის დამთავრების შემდეგაც, ალექსანდრე მეფემ, ხელმწიფის სადღეგრძელო განმეორებით დალია. კათალიკოსს და ჩვენ ელჩებსაც აგრეთვე ყველას იქ მყოფთ (ამ სადღეგრძელოს) შესაძლოა გვიბრძანა. სადილის შემდეგ ელჩები ბინაზე გაგვისტუმრა, თანაც ჩვენთვის საქმელებით (დატვირთული კაცი) გამოეგზავნა, სუფრაზე რომ გვემსახურებოდა (ის კაცი).

ივლისის 2, ნიკიფორეს (ტოლოჩანოვს) გოლგოთის მთის მონასტრის ილუმენი ნიკიფორე და თეიმურაზ მეფის აზნაური რამაზანი ბინაზე ეწვივნენ. ნიკიფორეს და ალექსის ასე გადმოგვცეს, რომ ალექსანდრე მეფე, მათ, (რამაზანს და ნიკიფორეს ილუმენს) მთავარ ლევან დადიანთან გზავნის მოსალაპარაკებლად, რათა ლევან მთავარი ალექსანდრე მეფეს შეურიგდეს, ხოლო შერიგების შემდეგ, ლევან მთავარმა, მის უდიდებულესობას, მეფეს, თავისი ელჩები გაუგზავნოს და დიდ ხელმწიფეს შეევედროს, რათა მისმა უდიდებულესობამ მეფემ ლევან მთავარი ისევე შეიწყალოს, როგორც ალექსანდრე მეფე და მის ხელმწიფურ ხელის ქვეშ მიიღოს. ამ საქმის გამო ალექსანდრე მეფემ გვიბრძანა, რომ ჩვენ, ელჩებს, ჩვენის მხრით ილუმენისათვის დაგვევალებინა ლევან მთავრისათვის იმავე რჩევის გადაცემა.

ნიკიფორემ და ალექსიმ, ნიკიფორე ილუმენს და რამაზანს, მოვახსენეთ რომ ის წინადადება, რომელიც ალექსანდრე მეფეს თქვენთვის, ლევან დადიანისათვის გადასაცემად დაუვალებია, ძვირფასი საქმეა, მხოლოდ ჩვენ, მეფის უდიდებულესობის ბრძანება ამ დადიანის შესახებ არ გვექონია საერთოდ და ამიტომაც ჩვენ ამ საქმეზე ჩვენის მხრით ვერაფერს დაგვაულებთო ვუთხარით. ამასთანავე, ნიკიფორემ და ალექსიმ, ილუმენს ვუთხარით: თუ ალექსანდრე მეფის ბრძანებით

შენ ამ საქმეს მოაგვარებ და ლევან დადიანს და ალექსანდრე მეფეს შეარიგებ, და ხელმწიფის მალალ ხელის ქვეშ ლევან დადიანს მოუწოდებ, სამაგიეროდ, შენ ილუმენო, სრულიად რუსეთის დიდი ხელმწიფისაგან, ჩვენი მეფისა და დიდი მთავრისაგან, ალექსი მიხეილის ძისაგან დიდი წყალობა მოგენიჭება, ისეთი დიდი, რომელიც შენ აზრადაც არ მოგივაო ვუთხარი.

ივლისის 5 ალექსანდრე მეფის მოძღვარმა ზაქარია მიტროპოლიტმა მეფე სადილად მიიწვია. ალექსანდრე მეფემ კი ნიკიფორესა და ალექსის ცხენები გამოგვიგზავნა და გვიბრძანა ზაქარია მიტროპოლიტთან სადილზე მივსულიყავით. ნიკიფორე და ალექსი, ალექსანდრე მეფის ბრძანებით, მიტროპოლიტთან მივედით და სადილზე ვიყავით. ალექსანდრე მეფე წინანდებურად თავისი მეფის განაწესის მიხედვით იჭდა, ელჩები მარჯვენა მხარეს ვიჯექით მეფესთან ახლოს, სასულოერო წოდება და აზნაურები კი მარცხენა მხარეს. სუფრაზე ყველაფერი წინანდელი განაწესის მსგავსად იყო. ალექსანდრე მეფე წამოდგა და მეფის უდიდებულესობის სადღეგრძელო თასით შესვა. ქება დიდებით მოიხსენია იგი, ხელმწიფე და მეფე უზენაეს ღმერთს შეადარა: ღმერთი ჩვენი ზეცაშია, ხოლო დიდი ხელმწიფე ჩვენი დედამიწაზეო. თასი შემდეგ ელჩებს გადმოგვცა, შემდეგ მიტროპოლიტებს, არქიეპისკოპოსებს და სხვა იქ მყოფ სამღვდელოებს, აზნაურებსაც უბრძანა შესმა, რომელნიც ცალკეულ ჯგუფებად წამოდგებოდნენ (და სვამდნენ). სუფრაზე მეფის, ელჩების, თავადების და ყველას წინაშე ხორცის საჭმელები ეწყო, სამღვდელოებას სამარხვო საჭმელი ჰქონდა.

ივლისის 6 ალექსანდრე მეფე თავის დედოფლით ქუთაისის ციხე-ქალაქიდან სკანდას ციხეში გაემგზავრა, მაგრამ გამგზავრებისას ვასილ ილუმენი გამოგვიგზავნა, მოსკოვში რომ იყო ის, ამ ვასილთან ერთად თავისი (სათათბიროს) დარბაზის მდივანი, სომეხი ფეშანგ ანდრიას ძე ხითარიშვილიც მოვიდა ჩვენთან, ელჩებთან, და მეფის დანაბარები ასე გვაუწყეს: ელჩებო თქვენ არ მოიწყინოთო. ალექსანდრე მეფე სკანდას ციხე-გალავანში გაემგზავრა დასასვენებლადო, სამი დღის შემდეგ თქვენ, ელჩებს, კაცს გამოგიგზავნიოთ. ამასთანავე თეიმურაზ მეფესთანაც კაცს გაგზავნის, რათა მისი თანდასწრებო შევასრულოთ მისი უდიდებულესობის მეფის და ხელმწიფის და ალექსანდრე მეფის საქმეო. ამასთანავე, ალექსანდრე მეფემ, ელჩებს ქუთაისის მცირე ციხეში გადასვლა გიბრძანათ, თავის სამეფო სადგომშიო.

ივლისის 8, ნიკიფორე და ალექსი, ალექსანდრე მეფის ბრძანების

თანახმად, გარეუბანში, მის, მეფის სადგომში ქუთაისის ქვემო ციხეში გადავბარვდით. ციხე ქვისაა, მდინარე რიონზეა გადამდგარი, მთების ძირას, ვაკე ადგილზე. ციხე-გალავანში ქვის საყდარია წმ. მოწამის გიორგის სახელობის. ციხის გალავანზე ორი კოშკია აღმართული: ერთი კარიბჭეზეა, რომელზედაც ერთი მცირე ყალიბის ზარბაზანი დგას. მეორე კოშკს 15 საყენი ექნება სიმაღლე, ამაზე სამი ისეთივე მცირე ყალიბიანი ზარბაზანი დგას. ამ ციხე-გალავანში სეფე-დარბაზი ბოძებზე დგას, ბოძები კი მდინარე რიონშია ჩაშენებული. დარბაზში კედლის მხატვრობაა, წინანდელი მეფეების ბრძოლებია გამოსახული. დარბაზი სიგრძით რვა საყენია, სიგანით ხუთი. ამ დარბაზში ნიკიფორე ტოლოჩანოვი ცხოვრობდა. ამ დარბაზის მახლობლად ქვის დაბალი ერთსართულიანი ჩარდახია, სიგრძით ოცი საყენი, სიგანით რვა საყენი, ფანჯრები დიდი და ხშირი აქვს. ამ შენობის უკან ქვის სარდაფია ციხის გალავნის კედლის მახლობლად მეორე მხარეს მდინარე რიონთან, დიდი სეფე-დარბაზია ქვედა სართულზე დადგმული, სიგრძით თვრამეტი საყენია, განი შვიდი საყენი, სიმაღლით რვა საყენი. ზედა ბინები ჩუქურთმებიანი საარქონოებით არის გაკეთებული და ნათელია. ამ დარბაზში მე, ალექსი იევლევი ვცხოვრობდი. ამ სეფე-დარბაზის უკან ციხის გალავნის კედლის მიღმა ალექსანდრე მეფის ბაღია, ბაღში ყოველგვარი ხეხილია გაშენებული.

ივლისის 10, ალექსანდრე მეფის დარბაზის მდივანმწიგნობარი ფე-შანგი მოვიდა ელჩებთან და მეფის დანაბარები გადმოგვცა ნიკიფორესა და ალექსის: თქვენ ელჩებო ნუ გეფიქრებათ რომ ალექსანდრე მეფე თავისთან დიდ ხანს არ მიგიწევთ, ისე კი მალე გამოგზავნის კაცსო.

ივლისის 13, ალექსანდრე მეფის ბრძანებით ზაქარია მიტროპოლიტმა ელჩებს, ნიკიფორეს და ალექსის, კაცი გამოგვიგზავნა და ზედა ციხესიმაგრე გელათში გამგზავრება გვიბრძანა, სადაც მეფეები განისვენებენ, ციხის, ტაძრების, წმინდანების და ღვთის მოწყალების დასათვალიერებლად.

ალექსანდრე მეფის ამ ბრძანების თანახმად, ნიკიფორე და ალექსი გელათის ციხე-სიმაგრეში გავემგზავრეთ და დავათვალიერეთ. გელათის ციხე ქვისაა და მთის შუა წელზე დგას, ამ მთის ქვემოთ მდინარე გადის მისი სახელია წითელა (წყალწითელა) ციხე-გალავნიდან ნახევარი ვერსის სიშორეზე. ციხე-გალავანს ორი ალაყაფის კარი აქვს, ამ კარებზე კოშკებია აგებული. ერთ ალაყაფის კარებს რკინის დიდი საკეტები აქვს, ამაზე წარწერაა ამოჭრილი. ზაქარია მიტროპოლიტმა გვითხრა, რომ ის ალაყაფის კარები ყიზილბაშთა ქვეყნიდან არის მო-

ტანილიო. დარუბანდის ციხე-სიმაგრედანო, იმ დროს, როცა დავით ჩერეთის მეფემ ყიზილბაშთა ქვეყანა დალაშქრაო. თვით ციხე-გალანში გელათის ღვთისმშობლის სახელობის ქვის საყდარია, სპილენძით გადახურული. საყდარში კედლის მხატვრობაა, ზედ საუფლო დღესასწაულები და წმინდანებია (გამოსახული). ღვთის წყალობის ამ საყდარში მარჯვენა მხარეს მაცხოვრის ადგილობრივი (ქართული ხელოვნების) ხატია. იგი წელსზევით არის გამოსახული და ოქროთი დაფერილი ვერცხლით არის მოჭედილი. არშიებზე კი წმინდანებია ამოტიფრული. ამ ხატის მახლობლად დიდი, საყენის სიმაღლის. ჯვარი ღვას, ჯვარედინი ნახევარი საყენი ექნება, ჯვარი მთლიანად ოქროთი დაფერილი ვერცხლით არის მოჭედილი, იგი ძვირფასი ქვებით არის შემკული, ღია ყოლოს ფერი იაგუნდით, ცისფერი ქვით და ორბუზის მარგალიტებით. ზაქარია მიტროპოლიტმა გვიამბო, რომ ამ ჯვარს, შიგნით, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის კბილი აქვს. დატანებულიო, შვიდი წლის ასაკის დროინდელიო, აგრეთვე ამ ჯვარს (ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის) ის თმები აქვს დატანებული, ქრისტეს ჯვარტმის დროს რომ გამწარებულმა დაიგლიჯაო, ჯვარში ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის რძეც არისო. შუაში ამ ჯვარსო იქროს მცირე კილობანი აქვს დატანებულიო, კილობანს ოქროს საკეტი აქვსო, სიგრძე-სიგანე (ამ კილობანს) ნახევარი არშინი ექნებაო. გვერდებზე ქერაბიმნია ამოტიფრულიო. საკეტს შუაში ყოლოს ფერი დიდი კაკლდისოდენა იაგუნდის თვალი უზისო. იმ საკეტს გარშემო, იქეთ-აქეთ, ყოლოს ფერი იაგუნდის და ცისფერი ძვირფასი ქვები და ორბუზის მარგალიტები უზისო. ზაქარია მიტროპოლიტმა გვიამბო, რომ ის კილობანი და მისი საკეტი იმ ოქროსაგან არის გაკეთებულიო, რომელიც ქრისტეს დაბადების ღამეს ღვთისმშობელს საჩუქრად მიართვეს სპარსელმა მოგვებმაო.

იმ ჯვრის მახლობლად, ადგილობრივი (ქართული ხელოვნების). ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის ხატია, მარადიული ყრმით ხელში, ის ფეხზე მდგარია გამოსახული, ჩვეულებრივი ადამიანის სიმაღლის. შუა ნაწილი და არშიები ოქროთი დაფერილ ვერცხლშია ჩასმული. ღვთისმშობელს და მაცხოვარს გვირგვინები ოქროსი აქვს, არშიებზედაც ოცდაორი ოქროს ფირფიტაა მინანქრით შემკული, რომლებზედაც წინასწარმეტყველები და მოციქულებია გამოსახული, გვირგვინები მინანქრით არის გაკეთებული და იაგუნდით და მარგალიტით არის შემკული. მარცხენა მხარესაც ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის ხატია თავიდან ბოლომდე გამოსახული, ადგილობრივი ხელოვნების, მარადიული ყრმით ხელში, იმავე ზომის, ისევე მოჭედილი და შემკული.

როგორც პირველი ღვთისმშობლის ხატი. იმ ორ ხატს ქვემოთ, ფეხებ. თან, მლოცველი მეფეებია გამოსახული, მაგრამ იქ წარწერა არ არის. თუ რომელი მეფეა გამოსახული. ზაქარია მიტროპოლიტმა გვიამბო, რომ იმ ხატებზე ის მეფეებია გამოსახული, რომელთაც ეს (გელათის) ციხე-გალავანი და საყდრები ააგესო, მაგრამ მიტროპოლიტმა მათი სახელები არ იცოდა. ამ ხატის მახლობლად, ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის რვაფურცლოვანი ხატია, რომელიც ტახტზე ზის მარადიული ყრმით, საუცხოოა. ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის და მაცხოვრის სახეები, აგრეთვე სამოსელი და ტახტი ოქროზეა ამოტვიფრული, ხოლო შუა ნაწილი და არშიები და მცირე სახატე ოქროთი არის მოჭედული და ზედ ამოტვიფრულია მთავარჯანგელოზები და მოციქულები, შემკულია ქვებით: ყოლოს ფერი იაგუნდით, ცისფერი ქვით და მარგალიტით და ოქროზე მინანქრით არის მოხატული. ზოლო დიდი სახატე, რაშიაც ის ხატი დგას, მისი საკეტი მთლიანად ამოტვიფრულ ვერცხლში არის ჩასმული, ოქროთია დაფერილი, სახატეზე და საკეტზე ამოტვიფრულია საუფლო დღესასწაულები და წმიდანები. ღვთისმშობლის იმავე ხატს, უკან, ფიცარზე ორმოცდაჩვიდმეტი პატარა კიდობნები აქვს მიმაგრებული, და ამ კიდობნებში მოციქულთა, წინასწარმეტყველთა, მალაღლირსთა წმიდათაწმიდა ნაწილებია მოთავსებული და თითოეული მათგანი საკმეველშია ჩამჭდარი.

იმ ხატის მახლობლად, ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის რვაფურცლოვანი ხატია, ღვთისმშობელი დგას მარადიული ყრმით. აღნაგობა, მოჭედულობა, შუა სახატე, წმიდანები ფირფიტები, დიდი სახატე და საკეტი გაკეთებულია სიტყვასიტყვით ისეთივე, როგორც ზემოაღწერილი ღვთისმშობლის ხატი. ამ ხატს უკან წმინდა ნაწილები აქვს ოცდაათრამეტ ადგილას. გაკეთებული აქვს პატარა კიდობნები (რევე როგორც წინას). ხოლო რომელი წმიდანის ნაწილებია (მიტროპოლიტს) არ ახსოვდა.

საკურთხევის ჩრდილო კარებთან, მიტროპოლიტის ადგილისა და მარცხენა სამგალობლოს პირდაპირ რვაფურცლოვანი ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის ხატია, წელსზედა გამოსახულების, მლოცველი, რაე, როგორც მაცხოვრის „ვედრების“ ხატზე იხატება, ხელებამყრობილი უფლისადმი, საუცხოოდ შემკულია. მიტროპოლიტმა გვიამბო, რომ ეს ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის ხატი წმიდა, მსოფლიო მოციქულს, ლუკა მახარობლის დახატულიაო. ღვთისმშობლის ხატს პირისახე და ხელები მთელი აქვს, სურათი შესანიშნავად დახარული იყო, მაგრამ ახლა სამოსელი ჩამოცვენილია. გვირგვინი და არშიები

ოქროთი არის მოჭედილი. გვირგვინში და არშიებზე ოცდაოთხი ეო-
ლოს ფერი იაგუნდია დიდი და საშუალო კაკლის ოდენა, ცისფერი და
ყვითელი იაგუნდი და ზურმუხტი ორმოცდაორი ქვა, დიდი და საშუ-
ალო რუსული კაკლის ოდენა. გვირგვინის ქვებში და ხატის კიდეები
ორმუზდის დიდი მარგალიტებით არის შემოყოლებული. ღვთისმშო-
ბელს შუბლზე კავიან ოქროს ბალთაზე ორმუზის რუსულ დიდი კაკლის
ოდენა მარგალიტი აქვს. ღვთისმშობელს მკერდზე კომლის ფერი ალ-
მასი აქვს, ნატიფია მცირე წახნაგებად, რუსულ კაკალზე მოზრდილია.
ხატის შიგა ბუდე ოქროთი არის მოჭედილი და იაგუნდითა და ზურ-
მუხტებით არის შემკული, საშუალო და მცირე ზომის ქვებით და მრ-
ავალი მარგალიტით, ხოლო ღღესასწაულები, წმინდანები და ფირფიტე-
ბი მინანქრით არის გამოსახული. ხოლო გარეგანი დიდი ბუდე მისი
საკეტები და ბუდის თავი იმ ხატს ოქროთი დაფერილი ვერცხლით
აქვს მოჭედილი, ბუდეზე და საკეტებზე ღღესასწაულები და წმინდანე-
ბი ამოტვიფრული. ხატის ბუდეზე ზემოდან, საყდრის იატაკამდე,
გადაფარებულია მოქარგული ფარჩანარევი ხავერდის საფარი.

იმავე ხატის ბუდის წინ ვერცხლით მოჭედილი პატარა სკივრი
დგას, სიგრძით არშინის სამი მეოთხედი იქნება, სიგანით ექვსი ვერ-
შოკი. სკივრი მეფის ბეჭდით არის (დალუქული?) დაბეჭდილი. მიტრო-
პოლიტმა გვიამბო, რომ იმ სკივრში წმინდანების, მოციქულებისა და
მოწამეთა ნაწილებიაო, ხოლო რომელი წმინდანის ნაწილებია ვერ
გვითხრა, ვერ მოიგონა.

იმავე სკივრზე დაკეცილი გარდამოხსნა დევს, ჩვენი უფლის იესო
ქრისტეს კუბოში ჩასვენება. სხეული ჩაკერებულია, ღვთისმშობლის
გამოსახულება, მოციქულების, ანგელოზების და ქერაბიშების მოს-
კოვის გარდამოხსნის მსგავსადაა ზუსტად გაკეთებული, მხოლოდ ცო-
ტა მომცროა და შავ ხავერდზეა გაწყობილი.

ზაქარა მიტროპოლიტმა გვიამბო, რომ ლუკა მახარობლის დახა-
ტილი ყოვლადწმინდას გამოსახულება და ღვთისმშობლის ორი ხატ-
წმინდა ნაწილებით და ჭვარი, კონსტანტინეპოლიდან მოიტანა თან,
კონსტანტინე მეფის ქალიშვილმა ირინემ, რომელიც მან იმერეთის
მეფეს დაეცოთს მიათხოვაო.

იმავე საყდარში საკურთხეველს აღსავლის კარები არ აქვს, ოქრო-
მკედით მოქარგული ხავერდის ფარდაა (მის ნაცვლად) გაკეთებული.
ფარდაზე მსხვილი მარგალიტით არშინის სიგრძე ჭვარია გამოსახული.

სამეუფეო კარებში ზემოთ ვედრების დიდი ხატია, წელს ზემოთ
გამოსახული, მაცხოვრის სახე, ყოვლად წმიდა ღვთის მშობლის და
იოანე ნათლის მცემლის სახეები დახატულა და ვერცხლითაა მოჭე-

დილი, კვარტები, გვირგვინები და არშიები ამოტვიფრულია და ოქრო-
შია დაფერილი.

ვედრების ხატის ზემოთ ნახევარსაყენიანი ჯვარია, ვერცხლით
არის მოჭედილი, უფლის ჯვარცმა ამოტვიფრულია და ოქროთი და-
ფერილია.

მარჯვენა მხარეს გიორგი მოწამის ხატია, რვაფურცლიანი, ოქროთი
დაუფერავი ვერცხლით არის მოჭედილი. თვით გიორგი მოწამე,
მის ქვეშ ცხენი და ცხენის ფეხებში გველვეშაპი ამოხურცვით არის
ამოტვიფრული. მიტროპოლიტმა გვიამბო, რომ გიორგის ხატი იმ ვერ-
ცხლზეა ამოტვიფრული, რომლის საფასურად იუდა ისკარიოტელმა
ჩვენი უფალი იესო ქრისტე გასცა და ებრაელებს ჩაუგდო ხელთ. ის
ხატი საოცარი ნახელავია. სხვა ხატებსაც გვირგვინები და არშიებიც
ოქროთი აქვს მოჭედილი, არშიებზე წმინდანები მედალიონები წვრი-
ლი ძვირფასი ქვებითა და მინანქრით არის შემკული. ხოლო სახისა
და სამოსელის მოჭედობა ყველა ჩამოცვენილია, ვერაფერს
ვერ გაარჩევ ადამიანი, ისე უბრალოდ დგას იატაკზე. საკურთხეველში
ტრაპეზი ოთხკუთხიანია, ზედ ოქროს კედის ატლასია გადაფარებული.
ტრაპეზის საფარზე ჯვარს მარგალიტი და ძვირფასი ქვები აქვს შემო-
ყოლებული, არშინი სიგრძე ექნება ამ ჯვარს, მის ქვეშ თავის ქალაა
გამოსახული, მასაც მარგალიტები აქვს შემოყოლებული.

ტრაპეზზე ორი სახარებაა, ფურცლის მეოთხედი ზომის, ყდის ფი-
ცარი, არშიები და გვერდები ოქროთია მოჭედილი, ერთ მხარეს ჯვარ-
ცმაა ამოტვიფრული, მეორე მხარეს ფეხზე მდგარი მაცხოვრის, ყოვ-
ლად წმიდა ღვთისმშობლის და იოანე ნათლისმცემლის ხატია. სახე-
ები შეფერადებულია გადამდნარი ოქროთი და შესანიშნავი საღება-
ვებით და ისეა გაკეთებული, როგორც მინანქრით.

მეორე სახარებასაც ყდის ფიცრები ოქროთი აქვს მოჭედილი, ერთ
ყდაზე ფეხზე მდგარი მაცხოვრის გამოსახულებაა, მინანქრით
არის დახატული, ყდის კუთხეებში მახარობლების ნაცვლად ძვირფასი
ქვებით მოოჭვილი მედალიონები აქვს. ეს სახარება ყოველდღიურად
სახმარია.

საეკლესიო ჭურჭელი, ბარძიმი, ფეშხუმი და ვარსკვლავი ოქრო-
საგან არის გაკეთებული. მეორე ბარძიმი ბროლის არის, მაგრამ ფსკერი
მოოქრულია, კოვზი ბროლისაა, კოვზის ტარი სუფთა ლითონისა, წითე-
ლია. ჭურჭლებზე არავითარი გამოსახულება არ არის. ტრაპეზის მიღმა
ოთხი ვერცხლის სამწერობელია (ტრიპიდი) ყველაზე უფლის ვნებანია
ამოტვიფრული.

ამაღლებს ჯვარი მთლიანად ოქროსია. მხოლოდ ოქროში თლილია

ბროლებია ჩასმული, ორივე მხრივ გამჭვირვალე, შუაზე მცირე წახნაგებიანი თლილი ალმასია ჩასმული, ოქროს მონეტის სიდიდის. ჯვარზე არავითარი გამოსახულება არ არის. ორი ვერცხლის საცეცხლურია, ერთს თავსახური აქვს, ზევით ჯვრით, მეორეს თავსახური არა აქვს, ოთხ ძეწკვზეა დამაგრებული, თითოეულ ძეწკვს ჯვარი აქვს.

იმავე საყდარში, მარცხენა მხარეს, სვეტთან, საგანგებოდ მიტროპოლიტის ადგილია ქვასაგან გაკეთებული, ზედ წმინდანები და წინანდელი მიტროპოლიტებია დახატული. ფეხქვეშ ოქრომკედით მოქსოვილი ხალიჩა არის დაგებული. ხალიჩაზე საეპარქელი დგას. პატარა სვეტები ვერცხლით არის მოჭედილი. საყდარში ვედრების ხატის წინ და ადგილობრივ წმინდანთა გამოსახულების წინ, ქორკანდლების ნაცვლად ოცდაორი ვერცხლის ჭურჭელია ჩამოკიდებული, ჩამჩის მაგვარი, ზეითუნის ზეთით, აღდგომა დღეს ანთებენ.

ამავე საყდარში საკურთხეველის მარჯვენა მხარეს საღაროს (ხაზინის) შესანახი კიდობანია, სიგრძე-სიგანე და სიმაღლე თითო საყენი აქვს, ამ კიდობანში წინანდელი მეფეების განძია დაცული. მეფეების ოქროს გვირგვინები, ჯვრებით, ძვირფასი ქვებით არის შემკული, ყოლოს ფერის იაგუნდით, ალმასის ყიფმატებით. ერთ გვირგვინს სამწყებად აქვს მარგალიტის მწკრივი გარს შემოყოლებული, სამ ადგილას ყოლოს ფერი იაგუნდი და წახნაგოვანი ზურმუხტებია ჩასმული. იმერეთის მეფეებს იმ გვირგვინებით—წერენ ჯვარს, როცა ცოლს ირთავენ. ხატების ოქროს პერანგები, ოქრო-ვერცხლის ჭურჭლები და ძვირფასი ქვები მრავალია, მარგალიტი კი უთვალავი ისე ბევრია.

იმავე საყდარში საკურთხეველში აღსავლის კარების მარჯვენა მხარეს, ისეთივე კიდობანია, წიგნების საცავი, საესეა ჩაწყობილი წიგნებით. მიტროპოლიტმა გვიამბო, რომ წიგნსაცავში ძველი ალექსანდრის, დაბადების, წიგნებია, წმინდა მამათა ცხოვრების მარტილთა ვნებათა და წამებათა აღწერილობა, ბერძენთა და იმერთა კეთილმსახურ მეფეთა გამარჯვებების აღწერილობანა.

იმ დიდ საყდარს, მარცხენა მხარეს, ყოვლად წმინდა ჩვილედის (ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის) სახელობის ეგუტერი აქვს, ღვთისმშობლის ხატი ოქროთი არის მოჭედილი, სახატე და საკეტები ვერცხლით; ღვთისმშობლის კვართზე და მის არშიებზე წმინდანებია ამოტვიფრული და მარგალიტებითა და ძვირფასი ქვებით არის შემკული.

მეორე, მარცხენა, მხარეს დიდი ჯვარია საყენის სიგრძე, ჯვარედინით ნახევარი საყენი ექნება, მთლიანად ვერცხლით არის ორმხრივ სადად მოჭედილი. ჯვარის შუა ნაწილი ზევიდან კვარცხლბეკამდე და

გარდიგარდმო, ხელის გულის სიფართოზე ოქროთი არის შემკული. ამოტვიფრულია ჭვარცმა და მთელი შუა ნაწილის ოქროზე სხვადასხვაფერის მინანქრით; საუცხოოდ არის გამოსახული მთავარანგელოზები, ვნებანი და ქერუბიმები. ტრაპეზზე სახარებაა ფურცლის მეოთხედის ზომის, ყდის ფიცრები და გვერდები ოქროთი არის მოქედილი. ყდაზე ჭვარცმაა ამოტვიფრული.

სახარების ზედა ყდა მოხატულია გახსნილი ოქროთი შესანიშნავი საღებავებით (ფერებით), ისეა გაკეთებული როგორც მინანქრით საეკლესიო ჭურჭლები ყველა ოქროსაგან არის გაკეთებული, ბარძიმფეშხუმი და კოვზი. ჭვარი ბროლის არის. ჭვარის კიდურები, შუა ნაწილი და ხელსაკიდი ოქროთი არის მოქედილი, შუაზე ჭვარცმაა, კიდურებზე ქერუბიმები.

იმავე ეკედრის საყდარში გიორგი მეფე განისვენებს, ალექსანდრე მეფის მამა. ოქრომკედით ნაქსოვი ატლასის ფარდა აქვს ჩამოფარებული. საფლავეზე ფიცარია დაფარებული საყდრის იატაკის დონეზე.

ხოლო საყდარი დიღია, ეკედრითურთ ორმოცდათორმეტი დიდი საყენი ექნება მოცულობა (გარშემო წრე) შესანიშნავი ნაკეთებია. თლილი ქვით არის ნაგები, ქვები დიღია, საყენსახვევარი, ორი საყენიც ექნება სიგრძე-სიგანე.

იმ დიდი საყდრის უკან წმინდა გიორგის სახელობის ქვის საყდარია. საყდარში კედლები მოხატულია. მარჯვენა მხარეს საყდარში ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის ხატია ძითურთ ექვსფურცლოვანი, ღვთისმშობელი დგას, სახე და სამოსელი ამოტვიფრულია ოქროზე და ძვირფასი ქვებითა და მარგალიტით არის შემკული. სახატე და საკეტები ამოტვიფრულია და ვერცხლით არის მოქედილი. დღესასწაულები და წმინდანთა სახეები და სამოსელი ამოტვიფრულია. საეკლესიო ჭურჭლები ყველა ოქროსი არის. ტრაპეზზე მდებარე ჭვარი ოქროთი არის მოქედილი, ზედ ჭვარცმაა გამოსახული ხოლო ზოგიერთი ხატი ამოტვიფრული ვერცხლით არის მოქედილი, არშიები ოქროცურვებულია.

იმავე საყდარში, აღსავლის კარების პირდაპირ, არტიმონ კათალიკოსი განისვენებს, ხოლო ჩრდილო კარებისაკენ, მარცხენა მხარეს. თეიმურაზ საქართველოს მეფის უმცროსი შვილიშვილია დასაფლავებული, გიორგი ბატონიშვილი დავითის ძე. კათალიკოსი და ბატონიშვილი დასაფლავებული არიან საყდრის იატაკის დონეზე. საფლავებზე

* მე-17 საუკუნის რუსეთში „საყენი“ იხსენიება „დიდიც“ და ჩვეულებრივ.

ფიცრებია დაფარებული იატაკის დონეზე⁹. ბატონიშვილის საფლავის ფიცრებზე სანთლიანი ვერცხლის შანდალი დგას. საფლავზე თავის მხარეს ქუდი, მისი მშვილდ კაპარჭი და ხმალი აწყვია. გვერდით უნაგირი, ფეხების მხარეს მეშის ფეხსაცმელები დევს, ყველაფერი მიწა, ბავშვის. გალავნის ალაყაფის კარებთან: სადაც რკინის კარებია, ეკვდერია წმინდა დიმიტრი წამებულის სახელობის. იმ ეკვდერის წინ, ალაყაფის კარებში, დავით მეფეა დასაფლავებული, რომელმაც ყიზილბაშების ქვეყანაში ილაშქრა და ის კარები დარუბანდიდან მოიტანა. ის კიბეგალავანი და კოშკები და საყდრები ამ დავით მეფემ ააგო. გალავანში თერთმეტი დიდი და საშუალო პალატია. ამათ შორის ერთი დიდი და მაღალი პალატა: სიგრძით ოცი საეენია, განით რვა საეენი, სიმაღლითაც ასევე. იმ პალატაში ადგილია გაკეთებული, სადაც მეფე ჭამათ ჯდება, ის ამ პალატის კედელთან არის მოწყობილი. დარბაზის შუა ადგილას, კარების პირდაპირ ქვის თლილ სვეტებზე მარმალლოს ფიცარი, ორი საეენის სიგრძის, სიგანით საეენზე მეტი, სწორი, თეთრი და მაგარია, ისე როგორც სუფთა ლითონი, ზედ ნოხი არის გადაფარებული. ამ ადგილიდან იქეთ-აქეთ გვერდებზე გაკეთებულია ქვის განიერი საეენიანი დასაჯდომები, ორივე მხრივ, კარებამდე. ამავე პალატაში ჩამარხულია დიდი ქვევარი. მიტროპოლიტმა გვიამბო, რომ იმ ქვევარში მეფის სახმარად მთელი წლის მარაგი ღვინოა ჩასხმული. სამას სამოცდახუთი კოკა, ყოველდღე თითო კოკა, კოკა ორმოცდაათ კაცზეა ნავარაუდები. ციხის გალავანი გარშემო ზომით ოთხას ოცდათექვსმეტი საეენი იქნება, დიდი საეენი.

გელათის იმ ციხე-გალავნიდან ზემოთ, მთაზე, ორი ქვის საყდარია, ერთი ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის, მეორე ნიკოლოზ სასწაულთმოქმედის. ცალ-ცალკე დგანან ქვის გალავნებში. საყდრებს შორის ერთი ვერსტი იქნება მანძილი.

ამ ციხე-გალავანს, გელათს და მის გარშემო არსებულ საყდრებს ზაქარია მიტროპოლიტი განაგებს. ქუთაისის ციხე ქალაქიდან გელათის ციხე-გალავანამდე შვიდი ვერსტი იქნება.

ციხე-გალავნის მახლობლად, ქვის სვეტია აშენებული, ორი საეენის სიგანის, სვეტთან წყალია მიყვანილი, სვეტს ზემოთ ხრახნილი აქვს გაკეთებული. როგორც კი ხრახნილს შემოაბრუნებ, წყალს სვეტიდან ერთი საეენის სიმაღლეზე აასხამს, გვერდებზე კი ორი საეენზე სცემს წყალი. და იმ სვეტიდან წყალი გაყვანილია მიწის ქვეშ გალავნის შიგნით და მიღებით მიედინება მთელ ციხე-გალავანში და მიყვანილია პალატებში და ყველა სათავსოებში.

როცა ნიკიფორემ და ალექსიმ გელათის ციხე-გალავანი და იქ

⁹ მაშასადამე საფლავი ამობრუნული არ იყო.

არსებული საყდრები და ყოველი ნაგებობანი აღწერეთ. ზაქარია მიტროპოლიტმა, ელჩებს, კაცი გამოგვიგზავნა სუფრაზე მიგვიწვია პურის საჭმელად. ნიკიფორე და ალექსი მიტროპოლიტთან სუფრაზე ეცაყავით, მიტროპოლიტის მახლობლად ვიჯექით მარცხენა მხარეს: ელჩების დასაჯდომი ადგილები გამზადებული იყო. ნოხებით იყო მოფენილი იმ დიდ პალატში მეფის დასაჯდომ ადგილის პირდაპირ. სუფრაზე ხორცისაგან დამზადებული საჭმელები მოგვართვეს, თვით მიტროპოლიტი სამარხვო საჭმელებს მიირთმევდა. სადილზე მიტროპოლიტი წამოდგა და მეფის უდიდებულესობის... ალექსი მიხეილის ძის სადღეგრძელო თასით დალია და ელჩებსაც მოგვავწოდა. ყველა ჭვენი მზღებლებს, ალექსანდრე მეფის ხალხს და თავის ხელქვეითებსაც მიაწოდა თასი დასაცლელად. სუფრის შემდეგ ელჩები ჩვენს ბინაზე გავემგზავრეთ ქუთაისის ციხე-ქალაქში.

იელისის 15, ალექსანდრე მეფემ თავისი აზნაური პაატა გამოგზავნა ჩვენთან, ნიკიფორე და ალექსისთან, და მეფის დანაბარევი ასე გადმოგვცა: ჩემი სატახტო ქალაქი დიდი ქუთაისი, იქ არსებული საკრებულო ტაძარი, ციხე-გალავანი და სასახლე დაათვალიერეთ და აღწერეთ.

ნიკიფორე და ალექსი გავემგზავრეთ და დავათვალიერეთ. ქუთაისის ციხე-გალავანი ქვის არის. გალავნის კედლები სიმაღლით სამი საყენი იქნება, ციხის კედელს ერთი „დიდი საყენის“ სისქე ექნება. ციხის კედლებზე, საკრებულო ტაძრის პირდაპირ, ოთხი დიდი პალატია. გვიამბებს რომ ამ პალატებში კათალიკოსები ცხოვრობდნენო.

ციხე-გალავანზე თხუთმეტი დიდი და მცირე კოშკია. გალავნისა და კოშკების კედლები არა ერთ ადგილას ჩამონგრეულია. გვიამბებს, რომ წინა წლებში, თურქების ლაშქარი მოვიდა და შეტყვის დროს ის კედლები და კოშკები ზარბაზნებით ჩამოანგრისო. ამჟამად ეს დანგრეული კედლები და კოშკები კეთდებაო. ამ დიდი ციხე-გალავნის საერთო მოცულობა ათას ორას ოცდაათი „დიდი საყენია“. ციხე-გალავანი მდინარე რიონზე მალა მთაზეა გადაშდგარი.

ქუთაისის იმ დიდ ციხე-გალავანში ქვის საკრებულო ტაძარია, ერთ გუმბათიანი, საუცხოოდ აგებული. გუმბათი გადახურულია სპილენძით, თევქამეტ წახნაგად, საყდარი დიდი თლილი ქვებით არის აგებული, საყენიანი და ზოგჯერ მეტი სიდიდის. ამ საკრებულო ტაძრის საერთო გარე წრის ზომა ოთხმოცდაექვსი „დიდი საყენია“.

საკრებულო ტაძარს გარშემო ქვის გალავანი აქვს შემოყოლებული. ორი საყენის სიმაღლის, სისქით ნახევარი საყენი, გალავანმდე მისვლამდე, წმინდა ალყაფის კარებამდე, სამი დიდი პალატია, რვა-

რვა საყენიანი. გალავანშივე ქვისაგან აგებული სამრეკლოა, მრგვალი ზედ ერთი ზარია, რვა ფუთი იქნება, შიგ ორი ენა აქვს, გალავანის წრე ასოცი „დიდი საყენია“.

საკრებულო ტაძარი ღვთისმშობლის მიძინების სახელობის არის. შიგ წინათ კედლის მხატვრობა ყოფილა. საყდარში მრგვალად თლილი რვა სვეტია. საყდარში ამ სვეტებზე, იქეთ-აქეთ გვერდებზე თალებს ქვემოთ შანიშინია შესანიშნავად გაკეთებული (ქალთა სადგომი, წირვა-ლოცვის დროს). ამ შანიშინზე ასავალი შიგნიდან. საყდარში არის. გვიამბებს რომ, როცა დღესასწაულებია და მეფე-დედოფალი მწუხრს, ცისკარს და წირვას ესწრება, მაშინ დედოფალი სხვა დიდებულთა მუღღლებითურთ ამ შანიშინზე იმყოფება, დედოფალს გალობა ესწრის, იქ მყოფთ ყველას ხედავს, მაგრამ ხალხი მას ვერ დაინახავს. საყდარში, მარჯვენა მხარეს, სვეტთან ქვისაგან გაკეთებული მეფის ადგილია, ზედ მეფეებია დახატული. როცა მეფე იმ საკრებულო ტაძარში მოდის, იმ თავის ადგილას დგება. ამ ადგილის პირდაპირ. საკურთხევლის კედელზე, ყოვლად წმიდა ღვთის მშობლის ადგილობრივი (ქართული) ხატია, წელს ზემოთ გამოსახული. (ხატის) გვირგვინი ოქროსი არის, გვირგვინის სამკაულები მინანქრით არის გაკეთებული. ღვთის ნიშნებს და მაცხოვრის სამოსელი, სახატე და მისი კარები ოქროთი დაფერილი ვერცხლით აქვს მოჭედული. სამოსელის მოჭედულობაზე საღვთო დღესასწაულები და წმინდანებია ამოტვიფრული. ადგილი საგანგებოდ მოწყობილია, ხატი თავის ბუდით ქვით არის ამოშენებული. ხატი ისეთ სიმალეზე დგას, რომ ხელით თუ მიწვდება კაცი, ამიტომ ხატის ბუდეზე სამი ქვის საფეხურია ასასვლელი, რათა ხატის მთხვევა შესაძლებელი იყოს. ამ ხატიდან აღსავლის კარებამდე ორი ხატი დგას, მაცხოვრის და ყოვლად წმიდა ღვთის მშობლის, წელს ზევით გამოსახული. გვირგვინები, შუა ნაწილი და არშიები ოქროთი დაფერილი ვერცხლით არის მოჭედული. არშიებზე წმინდანებია ამოტვიფრული. ხატებს შუა ვერცხლისაგან ჩამოსხმული არშინიანი ჯვარი დგას, ჯვარდინი არშინის სამი მეოთხედი იქნება, ფირუზისა და ბროწეულის ფერი ძვირფასი ქვებით არის შემკული. შუაზე ჩამოსხმული ჯვარცმია. ჯვარცმის ზემოთ პატარა ოქროს კილობანია გაკეთებული, კილობანში კი, როგორც გვიამბებს, უფლის ძელი ცხოვრების ნაწილია მოთაფებული. კილობანს, ყოლოს ფერი იაგუნდისაგან და მარგალიტებისაგან შემკული ოქროს კარები აქვს. ჯვარცმას კვარცხლებზე: ვერცხლის პატარა კილობანია აქვს. კილობანშიო გვითხრეს ძელი ცხოვრებისაგან გაკეთებული პატარა ჯვარიო, ორი ვერშოკის სიგრძის და ვერშოკნახევრის განის. წმიდა ძელის

ორი მრგვალი მორი გადაჯვარედინებულია და შუაზე ოქრო აქვს შემოხვეული. კილობანს კარები ვერცხლის აქვს და წვრილი ქვებით არის შემკული. მიტროპოლიტმა გვიამბო, რომ ამ ჩვარს ცოდვების შიტევება შეუძლიაო.

აღსავლის კარების მარცხენა მხარეს, ბლაქერნის ყოვლად წმინდა ღვთის მშობლის ხატია მარადიული ყრმით, ადგილობრივი (ქართული) ხელოვნებისაა, გვირგვინი და შუა ნაწილი ოქროთი არის მოქედლი, გვირგვინის სამკაული მინანქრით არის შემკული. ღვთისმშობლის გვირგვინში ლავვარდისფერი დიდი იაგუნდებია ჩასმული. გვერდებზე მიმაგრებულია ოქროს ორი პატარა კილობანი, გვითხრეს რომ შიგ წმიდა თომა მოციქულის ნაწილებიაო. ხატს, არშიები, ბუდე და ბუდის კარები ამოტვიფრული ვერცხლით აქვს მოქედლი. კარებზე საუფლო დღესასწაულებია, ბუდეზე აგრეთვე დღესასწაულებია და წმინდანებიც, მოქედლობა ოქროშია დაფერილი. გვიამბეს, რომ ის, ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის ხატი, კონსტანტინოპოლიდან არის მოტანილი და წინათ ბლაქერნის საყდარში იდგაო. იმ ხატითაო, კონსტანტინე მეფემ, თავისი ქალიშვილი აყურთხაო, როცა მას იმერეთის მეფე დავითზე ათხოვებდაო, ამ ქალმა კი ხატი ქუთაისში თან წამოასვენაო. ამ ხატის მიერ დიდი სასწაულები ხდებო. იმ ხატს დიდძალი სამოსელის გასაწყობი, ოქროს მონეტები, ძვირფასი ქვების სამკაულები, ყოველგვარი საეკლესიო ჭურჭლეულობა, აუარებელი თვლები და მარგალიტები ჰქონდაო. ეს დამატებითი სიმდიდრე ამ ხატს წინანდელმა კათალიკოსმა არტიმონმა სულ წაართვაო, და იმ ოქროს მასალით თავისთვის გვირგვინი, კვერთხი და ქუდი მოიქედაო, ხოლო ბისონსა და სამკლავებზე ღილები გაიკეთაო. როცა ეს მოიმოქმედა, ქუთაისიდან სადადიანოში გაემგზავრაო და ყველაფერი თან წაიღოო. გზაზე მას ყაჩაღები დაესხნენო, კათალიკოსი ყაჩაღებს გაექცა, მაგრამ ცხენიდან გადმოვარდა და სასიკვდილოდ დამარცხდაო. კათალიკოსის მსლებლებმა, მათ შორის დიაკონმა იმ განძეულობით თავი მთებს შეათარესო, ხოლო მიცვალებული კათალიკოსი ქუთაისში მოასვენესო და აქედან შემდეგ ციხე-გალავან გელათში დასაფლავესო. ბისონი, გვირგვინი და კვერთხი ქუთაისში საკრებულო ტაძარში შეინახესო. ამჟამად იმ ბისონით და გვირგვინით შემოსილი წირავენ კათალიკოსებიო.

მარცხენა მხარესვე ადგილობრივი ქართული ხელობის ღვთისმშობლის ხატია, მარადიული ყრმით. ღვთისმშობლის და მაცხოვრის გვირგვინები ოქროსი აქვთ, მინანქრით არის გვირგვინები მოხატული, გვერდებზე ორი ოქროს სამკაულია ზომით არშინის მეოთხედი,

ზედ მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზებია გამოსახული მინანქრით. ხატს შუა ნაწილი და არშიები აკრეთვე ბუდე და ბუდის კარები ვერცხლით აქვს მოჭედილი, სახატეზე და მის კარებზე უფლის დღესასწაულები და წმინდანებია ამოტვიფრული. მოჭედობა ოქროშია დაფერილი. ამ ხატის შესახებ საკრებულო საყდრის ხუცებმა, მღვდელ-მონაზონმა გაბრიელმა და მისმა შვილებმა სეხნიამ და სიმონმა გვიამბეს: წინათ ის ღვთისმშობლის ხატი გურიის იმყოფებოდაო და ციხე-ქალაქ პალიასტომის საკრებულო ტაძარში იდგაო. იმ საყდრის მთავარ ხუცესმა სილიბისტრომ იმ ხატის შთავონებით ჩვენება იხილაო. სილიბისტრო, თვით გაბრიელ ხუცეს მონაზონის შორეული წინაპარი და ნათესავი იყოო. თითქოს, სიზმარში მას ღვთისმშობელმა უთხრა, რომ სილიბისტრო მთავარ ხუცესი საკრებულო ტაძარში შესულიყო და მისი ყოვლად წმიდა ხატი აეღო და იმ ციხე-ქალაქ პალიასტომიდან განოეტანა, რადგანაც ციხე-ქალაქს წყალში ჩაძირვა მოეღძო. მთავარ ხუცესმა სიზმარს არ დაუჯერაო. ამის შემდეგ ღვთისმშობელი მთავარხუცესს ორჯერ გამოეცხადაო და იგივე აუწყაო, რომ ციხე-ქალაქი ჩაიძირება და ხატი გამოიტანეო. მთავარხუცესმა არც ახლა დაიჯერა და არც სხვას გააგებინა ამის შესახებ რაიმეო. თვით მთავარხუცესი ციხე-გალავნის ვარეთ ცხოვრობდა სხვა საყდრის მახლობლადო. და ღვთის ნება აღსრულდა ამ ციხე-ქალაქზე და ხალხითურთ ჩაიძირა იგიო. ხოლო ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის ის ხატი, ღვთის ბრძანებით იმ წარღვნისაგან დაცულ იქნა, თავისთავად უხილავად. ღვთის განგებით, ციხე-ქალაქიდან ჰაერზე მიდიოდაო. და როცა, მათმა ამ ნათესაქმა, მთავარხუცესმა, ასეთი საოცარი და ენით გამოუთქმელი სასწაული იხილა, მიიბრინა და დაეცა სასწაულებრივ ხატის წინაშე, ცრემლებით იწყო ვედრება, მოწყალების მისაღებად და ცოდვების მისატევებლად და, როცა მიუახლოვდა, შეეხო მისი უწმინდესობის ხატსო, ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის ხატი ჰაერიდან დაიძრა და მის ხელებში მიესვენაო. კიდევ გამოეცხადა სიზმარში მთავარ ხუცესს ღვთისმშობელი და ამ უწმინდეს გამოსახულების ქუთაისის ციხე-ქალაქში გადასვენება უბრძანაო. იმ მთავარ ხუცესმა ღვთისმშობლის ის ხატი ქუთაისში მოასვენა და საკრებულო ტაძარში მოათავსაო. იმ დროიდან მოკიდებული აქობამდე. იმ ყოვლად წმიდა ხატის მახლობლად, მათი მოდგმა გამუდმებით ცხოვრობსო. ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის ის ხატი ქუთაის ციხე-ქალაქში იგიორგი მეფის დროს არის მოტანილიო, დავით მეფის შვილისშვილის დროს, თუ უფრო გვიანო. რამდენი წელი იყო მას შემდეგ გასული არ ახსოვდათ. ხატის ბუდეს წითელი სახიანი ხავერდი აქვს გადაფა-

რებული. იმ ხატის წინ ვერცხლის ქორკანდელა ჩამოკიდული. მე ალექსი მდივანმა ზაქარია მიტროპოლიტს ვკითხე იმ ღვთისმშობლის ხატის შესახებ ხუცები ნართალს ამბობენ თუ არა მეთქი, ვკითხე აგრეთვე, იმ ხატმა ასეთი სასწაული მართლა აჩვენა და გურიიდან პალიასტომის ციხე-ქალაქის ჩაძირვის შემდეგ პაერით გამოვიდა და თავისი უწმიდესი სახე ნამღვილად დაიცვა მეთქი? ზაქარია მიტროპოლიტმა მე, ალექსის, მითხრა, რომ წიგნში ჭეშმარიტად ისეა მოთხრობილი სასწაულმოქმედების შესახებ, როგორც გიამბეხსო. იმავე საკრებულო ჰაყდარში, საკურთხეველში, ტრაპეზზე ოქროქსოვილი ზავერდის კვართია, ჭვარი მსხვილი მარგალიტებით და ძვირფასი ქვებით არის გამოსახული. ტრაპეზზე სახარება ფურცლის მეოთხედის ზომის, ყდის ფიცრები ოქროთი არის მოჭედილი. ზედა ყდაზე ჭვარცმაა ამოტიფრული, ქვედა ყდაზე ფეხზე მდგომი მაცხოვრის, ყოვლად წმიდა ღვთის მშობლის და იოანე ნათლისმცემლის სახეებია ოქროზე მინანქრით გამოსახული, საეკლესიო ჭურჭლები ყველა ოქროსია. ორი საცეცხლო ვერცხლისაა. ძეწკვებს შუა ჭვრები, აქვს. საცეცხლოებს თავსახურავეები არა აქვს. ამ საკრებულო ტაძრის სხვა ნაგებობათა შესახებ ზემოთ წირვის აღწერილობაში მაქვს საუბარი.

საკრებულო ტაძრის მიღმა დიდი ქუთაისის ოთხკუთხიანი ციხე-გალავანია, კედლები სიმაღლით ათი საყენია, ჰისქით საყენზე ნაკლები იქნება, გარშემო გალავანზე შვიდი კოშკია აღმართული სიმაღლით თორმეტ-თორმეტი საყენიანი იქნებიან. ციხე-გალავანის გარშემო წრე ორასორი დიდი საყენის სიგრძის იქნება. ციხე-გალავანს ერთი ალაყაფის კარები აქვს, რკინის საყეტით.

ციხე-გალავანში წმინდა გიორგის სახელობის ქვის საყდარია, შიგ კედლის მხატვრობაა. ელჩები ამ საყდარში არ ვყოფილვართ, იმიტომ რომ კარები მეფის ბეჭდით იყო დაბეჭდილი.

მეფის დარბაზები ციხის კედლებზეა გაშენებული. დარბაზებში კედლის მხატვრობა ყოფილა. დარბაზების წინ შესასვლელთან სამი სალაშქრო ზარბაზანი დგას.

იმ ციხე-გალავანს, კუთხის კოშკში, სარდაფი აქვს, ალექსანდრე მეფის ბეჭდით დაბეჭდილი, ციხის სამართველოს კაცმა, ნასყიდამ. გვიამბო, რომ იმ კოშკს ქვეშ ჰარდაფში თავისით ილექება (გროვდება) გვარჯილაო. წლიდან წლამდე ასი ქვაბი, ზოგჯერ მეტიც ამოაქეთო, ქვაბები სამი ვედროს მოცულობის იქნებაო. როცა გვარჯილას დრო მოდის, ის ამოაქვთ მეფის თანადასწრებითო და, როგორც კი ჰარდაფს დაკლიან, მეფე თვითონ თავისი ბეჭდით ბეჭდავს სარდაფს ერთი წლით იმავე რიცხვამდისო.

დიდი ქუთაისის ქვის ციხე-გალავნის და ქვემო ქუთაისის მცირე ციხე-გალავნის გარშემო, რიონის ორივე ნაპირზე თხრილია შემოყოლებული და გაკეთებულია ქვაყრილი. ამ ქვაყრილზე კი ხის კოშკებია დადგმული ნეომრების მისადგომად და საბრძოლველად. ციხე-გალავნის გარშემო გაკეთებულ ქვაყრილს, დაახლოებით, ოთხი ვერსტი იქნება სიგრძე. ქვაყრილს მიღმა, ორი ვერსტის, ზოგან სამი ვერსტის დაცილებით უფრო მეტად ქვაყრილის გარშემო ყოველგვარ პურეულს სთესენ, ხორბალს, ასლს, ჭვავს, ფეტვს, მუხუნოს და ლობიოს.

ქუთაისის ციხე-ქალაქის გარშემო, ხუთი, რვა და ათი ვერსტის და მეტის დაცილებით აზნაურთა მრავალი დაბა-სოფელია. სოფლებში ქვისა და ხის საყდრებია. ციხე-სიმაგრეების ნაცვლად მათ სათოფურებიანი ქვის კოშკები აქვთ. მათი დასახლება ხეობებში, მთების ფერდობებზე, თვით მთებზე და დაბალ ადგილებშიაც არის. ქუთაისის ციხე-ქალაქი დადიანის სამფლობელოდან (საზღვრებიდან) ზაფხულის ნახევარი დღის სავალ მანძილზე იქნება. ქუთაისიდან შავზღვამდე რიონით ორი დღის სავალი იქნება, ხმელეთით კი ერთი დღის. შავი ზღვიდან სადადიანოში, მდინარე რიონით დონელი (კაზაკები) ყაზახები მოდიან და დადიანისაგან ყოველწლიურად ხარკს იღებენ, ზოგჯერ კი დაბა-სოფლებსაც არბევენ.

ივლისის 18 ქუთაისის ციხე-ქალაქში პალესტინიდან, ათონის მთის მონასტრის ორი ბერი მოვიდა, ერთის სახელი აბესალომი იყო, ნეორე, დიაკონის იასაფე. ისინი ჩვენთანაც, ელჩებთან, ნიკიფორე და ალექსისთანაც იყვნენ. გვიამბეს, რომ ათონის მონასტერს მამულები კონსტანტინოპოლშიაც აქვსო, ქართლ-კახეთშიაც, იმერეთშიაც, სადადიანოშიაც და გურიაშიაცო. ეს მამულები მონასტერს კონსანტინოპოლის და იმერეთის კეთილმსახურმა მეფეებმა მიუბოძესო. ბერებმა გვითხრეს, რომ მონასტრის ხელმძღვანელობის მიერ ვართ გამოგზავნილი იმერეთში, ქართლ-კახეთში და სადადიანოში გლუხებისაგან სამონასტრო გადასახადების ასაკრფეადო. მონასტრიდან ამ საქმეზე ბერები ვიგზავნებითო ორი-სამი კაცი, იმიტომ რომო, ერისკაცის მსახური მონასტერში არ ცხოვრობსო. როცა დალას შეაგროვებენ გაჰყიდიან თურმე და ასე შეგროვებულ ფულს ათონზე მიიტანენ და დალის ანგარიშს წერალობით, სათანადო დავთრებით, მონასტრის ხელმძღვანელობას ჩააბარებენო. ამ ბერებმავე გვიამბეს, ნიკიფორეს და ალექსის, რომ 7159 წელს (1651) სადადიანოში, ხობის მონასტერში ვიყავითო, მონასტერში ღვთისმშობლის შიძინების სახელობის მარმარილოს ნარევი ქვის საყდარიაო. საბერძნეთის მეფის ერეკლეს აგებულო, იმ საყდარში ძველი ღროიდანვე ყოვლად წმიდა

ღვთისმშობლის კვართია დაცულიო. ის ღვთისმშობლის კვართი კონსტანტინოპოლიდან არის ერთი წიგნების მცველის მიერ მოტანილიო, როცა წმიდა ხატების დევნა მიმდინარეობდა (საბერძნეთში) თეოფილე მეფის დროსო. ღვთისმშობლის კვართი მათ მაქსიმე კათალიკოსმა და გოლგოთის მონასტრის ილუმენმა ნიკიფორემ აჩვენა თურმე იმ დროს, როცა ის, დიაკონი იასაფე კათალიკოსთან ერთად წირავდა. ის კვართი მიტკალისაგან ან წმინდა ნარმისაგან უნდა იყოს შეკერილიო, მთლად კარგად არ დაგვიტვალა იერებიაო, იმიტომ, რომ ვგონებ იგი მოხატული იყოო. თვით კვართსო, შაქრის ფერი ჰქონდაო. ის ღვთისმშობლის კვართი ვერცხლის კიდობანშია დაცულიო და იმ საყდრის საკუთრებულშია დადგმულიო, მთავრის ლევან დადიანის და კათალიკოსის ბეჭდებით დაბეჭდილიო. და როცა კათალიკოსმა ბერებს (კვართი) გვიჩვენაო, ამ ღვთისმშობლის კვართის სიგრძე-სიგანის ზომა ავიღეთო. კვართის ზომა ჩვენ, ნიკიფორეს და ალექსის, მოგვიტანეს, საწერ ქაღალდში პატივით შეხვეული. თვით იმ ბერებს ის ზომა კამილაკვაში აქვთ შენახული და თავზე ატარებენ. ნიკიფორემ და ალექსიმ ბერებისაგან იმ კვართის ზომიდან ჩვენთვის ზომა ავიღეთ, რომ ვინიცობაა მომავალში ცნობისათვის დაგვკვირდეს.

მე, ალექსიმ, ღვთისმშობლის იმ კვართის შესახებ, ზაქარია მიტროპოლიტს ვკითხე, მას უნახავს თუ არა ის და ნამდვილად ღვთისმშობლის კვართია თუ არა ის შეთქი. მიტროპოლიტმა მითხრა, რომ ის მას მრავალჯერ აქვს ნახული, და წიგნების მცველის მიერ მოტანილია ის იმ დროს, როცა წმინდა ხატების დევნა იყო (საბერძნეთში). ის ნამდვილად ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის კვართიაო, და სნეულის განკურნებაც მისგან ყოფილაო, მხოლოდ ამჟამად ყველაფერი შეწყდა, იმიტომ რომ დადიანი სარწმუნოებას განუდგა და მაჰმადიანობა მიიღო.

იმავე საყდარში, წმიდა კვირიკე მოწამის წმიდა ნაწილებია დაცული, მარჯვენა ხელია ნაჯამდე, ისე როგორც ცოცხალი ადამიანის.

აქვე ძელი ცხოვრების ნაწილიც და სხვა წმინდანთა ნაწილებია დაცული, მაგრამ ყველა ესენი მივიწყებულია და უყურადღებოთაა მიტოვებული, არც სანთლებს უნთებენ და არც გალობაა. ამ წმინდა ნაწილებისაგან სნეულთა განკურნება ხდებოდა თუ არა, მათ ეს არ იციან იმიტომ, რომ მათ იქ ყოფნის დროს ასეთ მოვლენას ადგილი არ ჰქონია. ქუთაისიდან ხოფის მონასტრამდე ცხენით ორი დღის სავალია.

მე, ალექსი, ზაქარია მიტროპოლიტს ვესაუბრე და ვკითხე: ხელწიფის უდიდებულესობამ, რომ ამ კვართის შესახებ, ალექსანდრე მეფეს და კათალიკოს წერილი მოსწეროს, მეფის უდიდებულესობის

ბრძანებას შეასრულებენ თუ არა, და სადადიანოდან კვართს წამოიღებენ და მოსკოვში ხელმწიფეს და მეფეს, ალექსი მიხეილის ძეს, გამოუგზავნიან თუ არა მეთქი. მიტროპოლიტმა მიპასუხა: მისი უდიდებულესობა მეფე, თუ ალექსანდრე მეფეს და კათალიკოს მოსწერს, მეფის უდიდებულესობის ამ ბრძანებას შეასრულებნო.

ივლისის 19, ქუთაისში, ალექსანდრე მეფისაგან გამოგზავნილი „ხოსნია“ და პაატა აზნაურები მოვიდნენ და ნიკიფორეს და ალექსის თითოეულს ცალკე წერილები მოგვითხანეს. ნიკიფორესათვის გამოგზავნილი წერილი ნიკიფორეს აქვს შენახული, ხოლო მე, ალექსის, რომ წერილი გამომეგზავნა იმაში მწერს:

„მე მეფე ალექსანდრე გიორგის ძე, ჩვენზე უზენაეს, სრულიად რუსეთის დიდი მოსკოვის და მთელ საქრისტიანოს მეთაურს ჩენი... ხელმწიფის ალექსი მიხეილის ძის ელჩს, მდივანს ალექსი ივანეს ძეს, მრავლის უმრავლესი თავის დაკვრა. მრცხვენიან მე თქვენი წყალობის და დიდად ვწუხვარ, რომ დიდი ხანია არ მიწახავხართ. ასე გეკადრებოდათ რომ თქვენ ჩვენთან ყოფილიყავით და ჩვენ აგრეთვე თქვენთან. ღმერთია მოწამე მე ძალიან ვწუხვარ, რომ თქვენ თქვენთვის ცალკე ცხოვრობთ და მე ჩემთვის. ეს იმიტომ მოხდა ასე, რომ ჩვენს კარისკაცებს ბევრი საქმე ჰქონდათ და ამავე დროს თქვენსა და ჩვენს შორის დიდი მანძილი იყო. ამჟამად ხელმწიფის წყალობით მთელი საქმე დასრულდება (გაკეთდება). ამიტომ ახლა ორი აზნაური გამოგზავნე თქვენთან და ცხენებიც მათთან ერთად გამოგზავნე შენთან. ჩვენთან მოხვალთ, საქმე არის. ღვთის წყალობით ყველა აქ შევხვდებით. მერე, თქვენი ბარგი-ბარხანა მანდ დატოვეთ, აქ არაფერი არ დაგეკარგებათ, თქვენ კი ნეგობრებო ჩვენთან მოხვალთ“.

იმავე რიცხვში სადადიანოდან ქუთაისში თეიმურაზ მეფის აზნაური „რამაზანი“ მოვიდა, და ნიკიფორესთან იყო. რა საუბარი ჰქონდა მას ნიკიფორესთან, მე, ალექსიმ, არ ვიცი. მაგრამ ასტრახანელმა ივანიკა თარჯიმანმა, რომელიც ჩემთან მოვიდა, ნიამბო, რომ ერთომ სადადიანოდან ალექსანდრე მეფესთან მონივალმა თეიმურაზ მეფის აზნაურმა რამაზანმა (ელჩს) ნიკიფორეს აუწყაო, რომ დადიანს, ალექსანდრე მეფის შვილს, ბაგრატ ბატონიშვილის, თავის ქალიშვილზე დაქორწინება სურჯო და თითქოს ამ საქმის გამო, ლევან მთავარი, ალექსანდრე მეფეს, მოსალაპარაკებლად, პირადად ეახლებო. იმავე რამაზანმა ნიამბო, რომ თითქოს დონელმა კაზაკებმა კონსტანტინოპოლზე ილაშქრეს და მრავალი თურქი გაჟლიტესო, ხოლო ათასზე მეტი კაცი ტყვედ წამოიყვანესო, ნადავლიც თითქოს ურიოხვი წამოიღესო. ის თურქი ტყვეები კაზაკებისაგან თითქოს თურქებზე გამო-

ესყიდოს. ბიჭები და გოგოები თითოეული ორას და მეტი ოქროთი და-
ეხსნათ, ხოლო ხანში შესული მამაკაცები და ქალები თითოეული ას-
ასი ოქროთი. კაზაკები ძვირფასი ნადავლის ხელში ჩაგდებათ გამ-
დიდრდენ ფრიადო. როგორც კი ამის შესახებ სადადიანოს მთავარმა
ლევანმა ცნობა მიიღო, ძლიერ შეშინდაო. და ასე ფიქრობენო, რომ
ისიც ხელმწიფის მაღალი ხელის ქვეშ მოექცევა, თუკი მისი მეფური
უღიდებულესობა ლევან მთავარს დონელ ყაზახებს მიუსევს, ხოლო
ალექსანდრე მეფე თავის მხრივ თავის ლაშქარსო.

იმავე ივაშკა თარჯიმანმა მიამბო მე ალექსის, რომ სადადიანოდან
იმავე რამაზანმა ივანე (ბოიარჩიკოვთან) მთარგმნელთან წერილი მო-
იტანა და იმ ივანე მთარგმნელმა და ნიკიფორუს (ტოლოჩანოვის) სუ-
ლიერმა მამამ, მღვდელმა მიხეილმა წერილი ნიკიფორუსთან ერთად
ვადათარგმნესო. ხოლო იმ წერილში რა ეწერა, ივაშკა თარჯიმანმა
თქვა: მე არაფერი არ გამიცონიაო. იმ წერილის დედანი კი მთარგმ-
ნელმა (ივანე ბოიარჩიკოვმა) თავისთვის დიტოვავო, ხოლო თვით
თარგმანი მღვდლის გადასწერი ნიკიფორემ გამოართვაო. ხოლო, როცა
იმ წერილს თარგმნიდნენ, მე ალექსი არ მიმიწვიეს და არც ვადათარგმ-
ნილის წასაკითხავად დამიძახეს, ამიტომ ვისგან არის ის წერილი გამოგ-
ზავნილი და ან სადადიანოდან ვინ გამოუგზავნა მთარგმნელს წერილი
და რა საქმეზე, ამის შესახებ მე ალექსიმ არაფერი არ ვიცი. და ის
რამაზან აზნაური ნიკიფორუსთან და ივანე (ბოიარჩიკოვთან) მთარგ-
მნელთან ყოფნის შემდეგ სკანდაში, ალექსანდრე მეფესთან, გაემგ-
ზავრა პირდაპირ, ისე რომ ჩემთან, ალექსისთან, არ შემოუვლია⁹.

20 ივლისს. ალექსანდრე მეფის აზნაურებმა პაატამ და ხოსიამ,
ალექსანდრე მეფის განკარგულებით, ელჩებს ცხენები მოგვეკვარეს და
გვითხრეს: ალექსანდრე მეფემ თქვენთან, ხელმწიფის ელჩებთან, გა-
მოვეგზავნა, რათა ხელმწიფის საქმეების მოსაგვარებლად ალექსანდ-
რე მეფეს სკანდას ციხე-გალავანში ეახლოთო. ნიკიფორე და ალექსი
იმავე დღეს ალექსანდრე მეფესთან გავემგზავრეთ და ციხე სკანდას
ნახლობლად დავბინავდით, ნიკიფორე, კარავში, ხოლო მე, ალექსი,
ნიკიფორესაგან მცირე მანძილის დაშორებით ერთ სახლში დავდექი.
ალექსანდრე მეფისაგან დაახლოებით ერთი ვერსტით ვიყავით დაშო-
რებულიო.

22 ივლისს, ალექსანდრე მეფემ, ელჩებს, ნიკიფორეს და ალექსის,
კაცი გამოგვიგზავნა, სუფრაზე მისაწვევად. ელჩებიც ალექსანდრე მე-
ფესთან გავემგზავრეთ. როდესაც ჩვენ ალექსანდრე მეფის კარებებს

⁹ ამ დროისათვის რუს ელჩებს შორის. ტოლოჩანოვსა და იველევს შორის
კონფლიქტი უკვე მომხდარია და საელჩო საქმეებს ერთიმეორისაგან დამოუკიდებ-
ლად წარმატოვებს.

მეცუახლოვდით, ნიკიფორე და ალექსი მოედანზე გაგვაჩერეს. სწორედ ამ დროს (დავინახეთ, რომ) თეიმურაზ მეფე თავის შვილიშვილებით, ლუარსაბ ბატონიშვილის და უმცროსი ბატონიშვილის, ნიკოლოზის, თანხლებით, თავის კარვებიდან ალექსანდრე მეფესთან გადავიდნენ. ალექსანდრე მეფე თავის კარვებიდან ორი საყენის დაშორებით თეიმურაზ მეფეს შეეგება და კარვებისაკენ ერთად წავიდნენ. შემდეგ ჩვენ მიგვიწვიეს. ნიკიფორე და ალექსი კარავში შევედით და პირველად ალექსანდრე მეფეს დავუკარით თავი, ხოლო შემდეგ თეიმურაზ მეფეს და ბატონიშვილებს. თეიმურაზ მეფე სუფრის შუა ადგილზე იჯდა. ხოლო ალექსანდრე მეფე იმავე სუფრის ბოლოში მარჯვენა მხარეს, თეიმურაზ მეფისაგან ნახევარი საყენის დაშორებით, მარცხენა მხარეს კი მათი ორი ბატონიშვილი იჯდა. ერთად. ხოლო ყველანი ყიზილბაშურად ისბდნენ ბალიშებზე, უკანაც ზურგის მოწყარდნობად ბალიშები ჰქონდათ. ელჩები ბატონიშვილების მახლობლად ვიჯექით, მარცხენა მხარეს მერხზე. მაგიდის ნაცვლად მერხი გვედგა ელჩებს და ზედ საფარი იყო გადაფარებული. სამღვდელოება მარჯვენა მხარეს იჯდა. თავადები და აზნაურები, ორივე მხარეზე ისბდნენ, როგორც ეს წინა წვეულებებზე ვნახეთ ისე. მეფეები ცალ-ცალკე მიირთმევდნენ, მერიქიფეებიც და მომრთმევენიც მეფებს და ბატონიშვილებს თავ-თავისი ჰყავდათ საგანგებოდ მიჩენილი. და როდესაც სუფრაზე საქმელების ერთი ნაწილი დაარიგეს, თეიმურაზ და ალექსანდრე მეფეები, აგრეთვე ბატონიშვილები და სამღვდელოება წამოდგნენ, თასები შეაჭყეს. ელჩებთან ფეშანგ დარბაზის მდივანი გამოგზავნეს და ნიკიფორეს და ალექსის გვეუბნება: თეიმურაზ მეფემ და ალექსანდრე მეფემ თქვენთან გამოგზავნეს და მიბრძანეს გაუწყოთ, რომ მათ ხელმწიფის და მეფის ალექსი მიხეილის ძის სადღეგრძელო სურთ შესვანო. ჩვენ, ნიკიფორე და ალექსი, ავდექით, მაგიდიდან გამოვედით და მეფეების პირისპირ დავდექით. თეიმურაზ და ალექსანდრე მეფეებმა სიტყვები წარმოთქვეს მისი უდიდებულესობის მეფის შესახებ და შეამკეს იგი მრავალი ჭება-დიდებით: ესოდენ ღვთისმოსავი და ღვთისმოყვარული ხელმწიფე და მეფე და დიდი მთავარი, როგორცაა ალექსი მიხეილის ძე, სრულიად რუსეთის თვითმპყრობელი, მოუცია ჩვენთვის ღმერთს უხილავად. ჩვენ ხომ მისი, ხელმწიფის მონები ვართ, ჩვენი თავები მის, ხელმწიფის, მორჩილებაშია, და მოხარული ვართ ხელმწიფისათვის ჩვენი თავები დავდოთ და ხელმწიფის მტრების წინააღმდეგ ვიდგეთ და ვიბრძოლოთ. და ხელმწიფის ყოველი მწუხარება და სევდა ჩვენს თავს იყოსო, ოღონდ დიდი ხელმწიფე მრავალყამიერ ჯანსაღად იქნებოდეს თავის სამეფო ტახტზე. როცა ხელმწიფის სადღეგრძელო

შესვეს დაბალი თავდახრით ფეხზე მდგომებმა თავისი ხელებით ელჩებ; თასები მოგვართვეს. შემდეგ ბრძანეს სამღვდლოებისათვის მიეწოდებინათ. შემდეგ თავადებსა და აზნაურებს უბრძანეს შესმა მეფეები; წინაშე ჩგუფ-ჩგუფად. როცა სამღვდლოება, თავადები და აზნაურები სვამდნენ იმ ღროს მეფეები, ბატონიშვილები და ელჩები ვიდექით. ცოტა ხნის შემდეგ, როცა შესვეს, ჩვენ, ნიკიფორე და ალექსი, ავდექით, მაგიდიდან გამოვედით და ნიკიფორემ და ალექსიმ თეიმურაზ მეფის, ალექსანდრე მეფის და ბატონიშვილების საღვთაგანდლო დაველიეთ. სიტყვა ნიკიფორემ წარმოსთქვა: თქვენ მეფენო და ბატონიშვილებო მისი უდიდებულესობის... მეფის და ხელმწიფის ალექსი მიხეილის ძის ხელმწიფური ხელის ქვეშ წყალობაში და მზრუნველობაში ყოფილიყავით განუხრელად. მეფეებმა ხელე ი ზევით ალაყარეს და თქვეს, რომ ისინი მთელი თავნი ხალხით სამუდამო მონები ვართო. წვეულების შემდეგ, ნიკიფორე და ალექსი ჩვენს ბინებისაკენ გაგვისტუმრეს. ელჩები აზნაურებმა მიგვაცილეს ბინებამდე. ხოლო, რასაც მეფეები თავიანთ არშივიდან ჭუფრაზე გვიწილადებდნენ პატივისცემის ნიშნად, ის საქმელები მეფეებმა, ნიკიფორეს და ალექსის ბინაზედაც გამოგვიგზავნეს. ალექსანდრე მეფე ციხე სკანდის მახლობლად, ასე ნახევარი ვერსტის დაშორებით ცხოვრობდა, ერთ მოედანზე იყო მისი კარი განლაგებული. სწორ ადგილზე დადგმული იყო დაბალი ერთსართულიანი ფერადი ჩარდახები.

ციხე-გალავანი სკანდა მთაზე დგას, ქვის არის, ოთხკუთხედი, მაღალი, ათი საეენის სიმაღლი. გალავანზე ოთხი კოშკია, ყოველ კოშკზე სამი პატარა ყალიბის ზარბაზანი.

ციხე-გალავანში ქვის საყდარია, უჯროთ, წმინდა გიორგი წაქეზულის სახელობის. საყდარში კედლის მხატვრობაა. ამას გარდა სამი ზატია ყოველად მოწყალე მაცხოვრის, ყოველად წმიდა ღვთისმშობლის და გიორგი წამებულის. წმინდანები ამოტვიფრულია და ვერცხლით არის მოჭედილი, ოქროთია დაფერილები. მაცხოვრის ხატს შარავანდელი ოქროსაგან აქვს გაკეთებული და მინანქრით შემკულია. ციხის გალავანზე სამსართულიანი დიდი პალატია დაშენებული. ზემო სართულში მეფის სალაროა და რაც ალექსანდრე მეფეს წყალობა გამოუგზავნა, სიასამურის ბეწვეული, მისმა უდიდებულესობამ... ის სიასამური ამ პალატაში არის შენახული. იმ ციხეს და სალაროს მეთოფურები იცავენ. ციხეში ხის დიდი ბელელიც არის სავესე ხორბლით. სარდაფის მაგივრად, მიწაში დიდი ქვევრია ჩამარხული; რომელშიაც წლის მარაგი ღვინოა ჩასხმული, ციხის გარემოცვის შემთხვევისათვის. ამ ციხე-გალავანის წრიული მოცულობა ასოცი დიდი საეენი იქნება.

ციხის გარშემო ხრეშით საჯსე ხის ყუთებია გაკეთებული. ხოლო ციხეს ერთი მისადგომი აქვს და ისიც ციცაბო, არავითარი ღონისძიებით შეტყევეთ მისი აღება არ შეიძლება, მთა მთლიანად ქვისაა.

ხრეშით გამაგრებული ხაზის გარშემო, იმავე მთაზე ოცდაათამდე საცხოვრებელი სახლია. ზოგიერთი სახლი მთის ძირას დგას, ერთი ორი გასროლის მანძილზე, ასე ნახევარი ვერსტით, ან ერთით და ზოგჯერ მეტი მანძილით, ერთმანეთისაგან დაშორებით, მაგარ ადგილებზე, მტრების შემოსევის შემთხვევისათვის.

სატახტო ქუთაისის ციხე-ქალაქიდან, იმ სკანდას ციხე-გალავანამდე 30 ვერსტი იქნება. დაცემული ადგილი დაბლობებით, სამოცი ვერსტის მანძილზე, ხოლო განით, სკანდას ციხიდან მდინარე ყვირილამდე ოცი ვერსტი იქნება, შეიძლება მეტიც. ადგილები დასახლებულია, კოშკებით დაბა-სოფლებით, მაგარ ადგილებშია ხეობებსა და მდინარეებზე. იმ ვაკე ადგილებში მეფის კუთვნილი მრავალი დასახლებაა. იმ დაბლობი ადგილის მეორე მხარეს, გურიის მთების ძირას, მდინარე ყვირილა მიმდინარეობს. იგი გურიელის სამფლობელოდან მომდინარეობს მთებს შორის და ამ მთებიდან ალექსანდრეს სამფლობელოში შემოდის და რიონ მდინარეში ჩადის, ქუთაისიდან ექვსი თუ შვიდი ვერსტის დაშორებით.

იმ მდინარე ყვირილაზე, მთების ძირას, ალექსანდრე მეფის ციხე სუერი დგას. ციხე-გალავანში ქვის საყდარია ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის სახელობის. ხატი (ღვთისმშობლის) ადგილობრივი (ქართული ნახელავია) გვირგვინი ოქროთი არის მოჭედული და ძვირფასი ქვებით შემკული, ღვთისმშობლის სამოსელი ამოტიფრულია. შუა ნაწილი, არშიები, სახატე და მისი საკეტი ამოტიფრული ვერცხლით არის მოჭედული. სახატეზე და კარებზე დღესასწაულები და წმინდანებია ამოტიფრული. მოჭედულობა მოოქროვილია.

მოსკოვში ნამყოფმა ილუმენმა ვასილმა გვიამბო, რომ ის ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის ხატი სასწაულმოქმედიოა, ვისაც რწმენა არ ექნება და სისუფთავე ღვთისმშობელი ხატთან არას ღონისძიებით არ მიუშვებსო. აგრეთვე სადავო საქმეების დროსაც გასამართლება მოდავეთა ამ ხატის წინაშე ხდებაო. სუერის ციხე მაღალ ბორცვზე დგას კლდეზე. ამ ციხეზე მისასვლელი ვიწროა, ქვეითა კაცს შეუძლია მხოლოდ ასვლა. ამ ციხეშიაც ალექსანდრე მეფის სალაროა. სუერის ციხიდან მდინარე ყვირილით, ქვეით, მდინარე რიონამდე, ოც ვერსტამდე იქნება. რიონი კი შავ ზღვაში ჩადის. ხოლო ზღვიდან, რიონით, ნიჩბებიანი ნაევით მდინარე ყვირილამდე მოდიან.

ივლისის 27, ალექსანდრე მეფის მდივანი ფეშანგი მოვიდა ჩვენ-

თან, ელჩებთან, ნიკიფორე და ალექსისთან და ალექსანდრე მეფის დანაბარევი. სიტყვები გადმოგვცა: ალექსანდრე მეფესთან თურქეთის მეფისაგან ელჩები მოვიდნენო სიტყვიერად გადმოგვცესო: თურქეთის სულთანსო ვენეციელები; ბარაბნელები, ფრანგები და სხვა მრავალი ქვეყნის გერმანელები თავს დაესხნენო და სულტანს მათთან განუწყვეტელი ომი აქვსო. ალექსანდრე მეფეს სულტანის ელჩებმა წინადადება მისცეს, რომ სულტანის ნებართვის გარეშე არ ჩამოგვცილდე და სხვა ქვეყნებს არ დაუმეგობრდე, ჯარი არ შეჰყარო და თურქეთის ხალხს და ციხეებს თავს არ დაესხა და არ გვეომო, სხვას (სიუზერენს) არ მიუხვიდეო.

ალექსანდრე მეფემ თურქეთის ელჩებს უპასუხაო, რომ ის (ალექსანდრე მეფე) თავისი ლაშქრით თურქეთის სულტანის წინააღმდეგ და მის ქვეშევრდომებზე თავდასასხმელად არ გამოვა და არც ერთ მაჰმადიანურ მეფეს არ მიემხრობა, მაგრამ არც თურქეთის სულტანის ბრძანებას შეასრულებს და არც მის მორჩილებას ისურვებსო.

ამას გარდა, ალექსანდრე მეფეს, თურქეთის ელჩებისათვის უთქვამს, რომ მას მოწყალებით ღმერთი ეწვია და თავისთვის მართლმორწმუნე, მოწყალე და უკეთილმსახურესი მოსკოვის დიდი ხელმწიფე და დიდი მთავარი ალექსი მიხეილის ძე მოიპოვა. შევევდრა მის მეფურ უდიდებულესობას საუკუნო ქვეშევრდომობაში მიეღო ის და მისი სახელმწიფო და მის ხელმწიფეურ მაღალ ხელის ქვეშ მოუცილებლად ყოფილიყო. მას (ალექსანდრე მეფეს) ჯურს დიდ ხელმწიფეს ემსახუროს და მის მტრებს წინააღუდგეს და ებრძოლოს. როდესაც ეს სიტყვები თურქეთის ელჩებმა მოისმინეს სთქვეს: შენ, ალექსანდრე მეფეო, ერთმორწმუნე მოსკოვის ხელმწიფეს შეუერთდი და თურქეთის სულტანს ჩამოცილდი. ალექსანდრე მეფემ ისინი მაშინვე დაითხოვა, არაფერი არ უწყალობა მათ, არც თავის სუფრაზე მიიწვია, არც ჯურსათის მიცემა ბრძანა მათთვის და იმავე დღეს გაისტუმრაო.

იმავე ფეშანგმა გვრამბო ელჩებს, ნიკიფორესა და ალექსისს, რომ თითქოს ალექსანდრე მეფეს შაჰის ციხე-ქალაქების დასარბევად თავისი მეომრები გაეგზავნოს, მისი მეფური უდიდებულესობის ბედის საცდელად. ღვთის წყალობით მისი მეფური უდიდებულესობის ბედნიერებით ალექსანდრეს მეომრები თბილისზე მისულიყვნენ, შაჰის ზალხი დაეპარცხებინათ და ყიზილბაშების ვაცები მრავალი ცოცხლად წაშლიყვნათ და ალექსანდრეს ციხეებში საზღვრებზე მოეყვანათ. ვინც ქრისტიანნი იყო ამ ტყვეთაგან, ისინი ალექსანდრე მეფეს თავის აზნაურებისათვის დაერიგებინა სოფლებში და ებრძანა მათი მოვლა-პატრონობა, ისე რომ არაფერა მოკლებოდით: ხოლო ვინც მაჰმადიანები

იყვნენ, ამათ შესახებ ალექსანდრეს ებრძანა მათი ციხეებში დაგზავნა და საპრობოილეებში მოთავსება, მის ახალ ბრძანებულუბამდე. არ ამ ლაშქრობის ამბავი, ალექსანდრე მეფემ ბრძანა თქვენთვის, ელჩებისათვის, გამოგვეცხადებინათ. მომავალშიაცო ალექსანდრე მეფე, ღვთის მოწყალებისა და ხელმწიფის ბედის იმედუელი, ხელმწიფისა და თავისი მტრების წინააღმდეგ, პირადად თვითონ და მისი ხალხით ლაშქრობას დაიწყებდა.

იმავე ფეშანგმა კიდევ ეს გვითხრა: ალექსანდრე მეფის ვაჟიშვილი, ბაგრატ ბატონიშვილი და მეფის ძმა მამუკა ბატონიშვილი რომ აქ იყვნენ; ალექსანდრე მეფე ან შვილს ან ძმას მეფის უდიდებულესობასთან გამოუშვებდა თაყვანის საცემადო. როდესაც, თქვენ, ხელმწიფის ელჩებს, და მის ელჩებს მეფის უდიდებულესობასთან გაგისტუმრებთო, და თუ ღვთის ნებაც იქნებაო, ალექსანდრე მეფე ღვეან სადადიანოს მთავარზე გაემართებაო, ღმერთს მოწყალებას სთხოვს და ხელმწიფის ბედის იმედუელი, დიდ ლაშქარს შეპყრისო და თავისი ძმისა და შვილს ტყვეობიდან გამოხსნას შეეცდებაო. და როცა ღმერთი შემწეობას უბოძებს, და ხელმწიფის ბედიც მიეშველება და ძმასა და შვილს დადიანისაგან გამოიხსნის, ალექსანდრე მეფე, ძმას ან შვილს მეფის უდიდებულესობას უბოძებს და მაშინვე ხელმწიფესთან გაისტუმრებსო.

ფეშანგმავე: ნიკიფორესა და ალექსის, გვიამბო, რომ ალექსანდრე მეფემ მთელ თავის ციხე-ქალაქებში, მიტროპოლიტებთან და არქიეპისკოპოსებთან, აგრეთვე მონასტრებსა და ყველა საყდარში ბრძანება გასცა, რათა ხელმწიფე და მეფე... ალექსი მიხეილის ძე წირვის დროს პირველად მოიხსენიონ და მისი ჯანმრთელობა და ხსნა ღმერთს შეევედრონო.

29 ივლისს ალექსანდრე მეფემ ჩვენთან, ელჩებთან, თავისი აზნაურები მამუკა და ხოსია, გამოგზავნა და როცა ჩვენთან მოვიდნენ, ნიკიფორესა და ალექსის ასე გადმოგვეცეს: ალექსანდრე მეფემ თქვენთან იმისათვის გამოგვეგზავნაო, რომ თქვენ საელჩო ტანსაცმელში გამოწყობილი ალექსანდრე მეფესთან გამგზავროთ და სუფრაზე დაეწვიოთო. მეფეს თქვენთან ყოფნა და მოლაპარაკება ნებავსო. ნიკიფორემ და ალექსიმ ჩავიცვით საელჩო ტანსაცმელი „ობობენი“, დავიხურეთ საზეიმო ბეწვის ქუდეები და, როცა ყველაფრით მოვემზადეთ ალექსანდრე მეფესთან გამოვემგზავრეთ. ალექსანდრე მეფესთან როცა მივედით თავი დავუქარით, მეფე კი თავის ადგილზე იჯდა წინანდებურად. ელჩებს დაჯდომა გვიბრძანა, მასთან ახლოს, მარჯვენა მხარეს. სამღვდელთა მარცხენა მხარეს ისხდა, აზნაურები სუფრასთან ცო-

ტანი იყვნენ. საკმელები სუფრაზე წინანდებურად იყო. ჰამის დროს ალექსანდრე მეფე წამოდგა და ხელმწიფის სადღეგრძელო მიიჩთვა, თასი დასცალა და თვითონვე მოგვაწოდა ელჩებს ფეხზე მდგომმა. ხოლო სამღვდლოებისათვის თასის მიწოდება სხვას უბრძანა.

ცოტა ხნის შემდეგ, სუფრიდან მიტროპოლიტი ზაქარია წამოდგა და ალექსანდრე მეფესთან მივიდა და მოახსენა: ხელმწიფის სადღეგრძელო ხომ უკვე შევსვით, ახლა კი ჯერ არს ხელმწიფის შლოცველის, მოსკოვთან და სრულიად რუსეთის პატრიარქის, უწმინდეს იოსების სადღეგრძელო შევსვათო. ალექსანდრე მეფე წამოდგა და მიტროპოლიტ ზაქარიას უბრძანა პირველად ამ სადღეგრძელოს შესმა. ამის შემდეგ, მიტროპოლიტმა ალექსანდრე მეფეს მიართვა თასი, მეფემ მიტროპოლიტისაგან თასი მიიღო და პატრიარქის სადღეგრძელო ფეხზე ამდგარმა მიიჩთვა. შემდეგ მიტროპოლიტმა თასი ნიკიფორესა და ალექსის მოგვართვა და თავის ადგილზე დაჯდა, ხოლო პერიქი-ფეებს სამღვდლოებისათვის თასების მიწოდება უბრძანა. ალექსანდრე მეფე სუფრაზე ძალიან მხიარული იყო.

როცა ხელმწიფის სადღეგრძელოს სვამდა, ხელმწიფესა და მეფეს... ალექსი მიხეილის ძეს... ქება დიდებით იხსენიებდა უზენაეს ღმერთს შეადარა და ასე თქვა: ღმერთი ჩვენი ზეცაზე იმყოფება. ხოლო დედანიწაზე ის არის ერთადერთი მართლმორწმუნე ქრისტიანი დიდი ხელმწიფე, რომელსაც სარწმუნოებითა და სიმართლით ვერც ერთი სხვა ხელმწიფე ვერ შეედრებაო. ეს ხელმწიფე ყველა მეზობელ მაჰმადიანურ სახელმწიფოებზე დიდი და ძლიერია. მე ალექსანდრე მეფეს არავინ არა მყავს ქომაგად, გარდა უზენაესი ღმერთისა და შემდეგ, ამიერიდან, მისი ხელმწიფური უდიდებულესობისა. მივეყრდენით მე ჩემი ძმით, საკუთარი შვილით და მთელი ჩემი იმერეთის სახელმწიფოთი, აზრით და თავით ჩვენით, ხელმწიფეს, საუკუნოთი. არც ერთ მეფეს არ „მოკვიდებივარო“, გარდა დიდი ხელმწიფის ალექსი მიხეილის ძისაო... ის არის ჩემი ხელმწიფე ქომაგი და მშველელიო. არა ერთხელ გამოუგზავნია ჩემთან, ალექსანდრესთან. ელჩები თურქეთის სულთანს და ყიზილბაშეთის შაჰს, რათა მე, ალექსანდრე მეფე, მათი მორჩილი გავმხდარიყავი, მაგრამ მე ეს არ ვისურვე და მათი ელჩობა არ მივიღე და ყოველივე ეს უარყავი, და მათ მაჰმადიანურ ხელის ქვეშ ყოფნა არ მსურს, იმიტომ, რომ ჩემი წინაპრებიდან, დიდი საბერძნეთის მეფეებიდან, უძველეს დროიდან ჩვენ ქრისტიან მეფეებად ვიწოდებით, ახლა მოვიპოვე ჩემთვის ქრისტიანი ხელმწიფე, მოწყალე და კეთილმსახური და მსურს ამ დიდ ხელმწიფეს მთელი ჩემი სახელმწიფოთ ვემსახურო საუკუნოთო.

მანვე, ალექსანდრე მეფემ ელჩებს გვიამბო: შაჰის ციხეებზე ჩემი ხალხი სალაშქროდ გავგზავნეო, ჩვენი ხელმწიფის ბედის მოსასინჯათო. ღვთის წყალობით და მისი ხელმწიფური ბედსვიანობით ყიზილბაშები გაველიტეთ და მრავალიც დავატყვევეთო. ამის გამო არის, რომ მე, ამჟამად, ვმხიარულობ და მაღალ ღმერთს, ასეთი სვე-ბედინი ხელმწიფის ბოძებისათვის, ვადიდებო. მომავალშიაც ღვთის მოწყალებინა და ხელმწიფის სვე-ბედინობის იმედული გავემართები ხელმწიფისა და ჩემი მტრების წინააღმდეგ, მისი ხელმწიფური სახელით. ყველაფერში ხელმწიფის ბედნიერებით იმედული ვიმყოფებო.

ალექსანდრე მეფე სადილზე ძალიან მხიარული და ნასიამოვნები იყო. სადილის შემდეგ ნიკიფორე და ალექსი ბინაზე გაგვისტუმრა. აზნაურების თანხლებით.

1 აგვისტოს, ალექსანდრე მეფემ, ჩვენ, ელჩებს, ნიკიფორეს და ალექსის, სკანდიდან ქუთაისის ციხე-ქალაქში გამგზავრება და იქ დალოდინება გვიბრძანა, თანაც დასძინა, რომ მე მალე იქ ვიქნებო. ნიკიფორე და ალექსი იმავე დღეს სკანდიდან გამოვემგზავრეთ. ელჩები ჩვენმა მოურაეებმა, ზაქარია და სეხნამ, გამოგვაცილეს. გზაზე წმ. გიორგის მონასტერში შევიარეთ. ეს მონასტერი სკანდიდან 5 ვერსტზე იქნება. მონასტერში ქვის საყდარია წმინდა გიორგი მოწამის სახელობის. საყდარში ადგილობრივი ხელობის ხატია, სახატეში მოთავსებული, მაღალღირსისა და კურთხეული მამის საბასი, სახატე და მისი კარებიც ვერცხლით არის მოჭედილი. წმინდანის სამოსელი, არშინებზე გამოსახული წმინდანები, სახატეზე და მის კარებზე გამოსახული საუფლო დღესაწაულები ამოტვიფრულია, მთელი მოჭედობა ოქროთი არის დაფერილი. მარცხენა მხარეს აღსავლისა და ჩრდილოეთის კარებს შორის საუენის სიმაღლის დიდი ჯვარია, სივანე ჯვარედინი ნახევარი საუენი ექნება; ოქროთი არის დაფერილი, ვერცხლზე გიორგი წამებულის ცხოვრება და წამება ამოტვიფრული; ოქროთი არის დაფერილი და შემკულია ფირუზისა და ბროწეულის ფერის ძვირფასი ქვებით, აგრეთვე ბროლით. ჯვრის თავზე ჩასმული აქვს მრგვალი ძვირფასი ქვა სუფთა გამჭირვალე ბერძნული კაკლის ოდენა. იმ საყდრის მღვდელმა საბამ თავის ხელქვეითებით იმ ქვის შესახებ გვითხრეს, რომ ის აღმასიანო, მაგრამ დანამდვილებით მისი გამოცნობა არ შეიძლებოდა იმიტომ, რომ მაღალზე იყო. ჯვარს ზემოთ ვერცხლის დიდი კიდობანია ჯაკეთებული, მას ზემოთ ოქროს ჯვარი აქვს, ზედ უფლის ჯვარცმა ჩამოსხმული. იმავე მღვდელმა თავისი ხელქვეითების

თანდასწრებით გვიამბო, რომ კილობანში გიორგი მოწამრს თავი ასვენიაო. ჯვრის შუა ნაწილშიაც კილობანია გაკეთებული. დასაკვტი კარი ოქროსი არის, არშინის მეოთხედის ზომის. ზედ ფეხზე მდგარი ქაცხოვრის, ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის და იოანე ნათლისმცემლის გამოსახულებანია ამოტვიფრული. გვირგვინებს მსხვილი მარგალიტები აქვს გარს შემოყოლებული და იაგუნდის ქიემატებით არის შემკული. გვითხრეს, რომ ამ კილობანში გიორგი მოწამრს ხელი ასვენიაო. მხოლოდ წმ. გიორგის თავი და ხელი ელჩებს არ გვიჩვენეს, სთქვენს რომ მეფის ბეჭდით არის დაბეჭდილი (და ვერ გავხსნიით).

იგივე საბა ხუცესი გვიამბობდა იმ ჯვრის შესახებ, რომ ის ორმოცი წლის წინათ არის ქართლის ქვეყნიდან, თბილისიდან, მოტანილიო, ხოლო ამაზე წინათ ის ჯვარი ქართლის ქვეყანაში იყო, აბაღციხეშიო. და როცა ის ციხე-ქალაქი თურქებმა აიღეს, ის ჯვარი თბილისში წამოასვენესო, ხოლო, როცა წინანდელმა¹⁰ შაჰაბასმა საქართველოს შეეწროება დაიწყო ის ჯვარი იმერეთში გადმოიტანეს და ამ მონასტერში მოათავსესო. ისიც გვითხრეს, რომ ეს ჯვარი მრავალს ცოდვების მიტევებასა და განკურნებას ანიჭებსო. როცა ჩვენ სკანდაში ვიყავით ალექსანდრე მეფესთან, სწორედ იმ დღეებში, იმ წმინდა გიორგის მონასტერში ავადმყოფი თეიმურაზ მეფე მოვიდა სალოცავად და ამბობდნენ იმ ჯვრის წყალობით ჯანსაღი წამოვიდაო. ელჩებმა, ნიკიფორემ და ალექსიმ, ის საყდარი როცა დავათვალიერეთ, ქუთაისისაკენ გზა განვაგრძეთ და იმავე დღეს ქუთაისში ჩავედით.

5 აგვისტოს, ალექსანდრე მეფის მიერ გამოგზავნილი ფეშანგ მღვიანი ჩამოვიდა და ელჩებს ალექსანდრე მეფის წერილი ჩამოგვიტანა, სირყვიერად კი გადმოგვცა: ნუ იდარდებთო დიდი ხანია ალექსანდრე მეფეს არ უნახავხართ და ხელმწიფის საქმეც ცოტა შეფარხდაო, მაგრამ, როცა დრო იქნება, ალექსანდრე მეფე ქუთაისში სულ გადმოვა, ხელმწიფის საქმესაც დაასრულებს და ელჩებსაც არ დაგაცოვნებთ ისე გაგისტუმრებთო.

26 აგვისტოს ალექსანდრე მეფის მიერ გამოგზავნილი კაცი, მისი მოლარე, ლომკაცი ჭაფარიძე მოვიდა და ელჩებს გვითხრა: ალექსანდრე მეფემ თქვენთან, ელჩებთან, გამოგზავნაო და მიბრძანა მეცნობებინაო, რომ ალექსანდრე მეფე, მის მეფურ უდიდებულესობასთან, ელჩებად გვგზავნის მე ლომკაცს და ჩემს მოადგილედ არღამონ არქიზანდრიტსო. ამას გარდა, ალექსანდრე მეფეს ლომკაცისათვის ებრძანა, ჩვენგან, ელჩებისაგან, გაეგო, მეფის უდიდებულესობისათვის გა-

¹⁰ იგულისხმება შაჰ-აბას I.

საგზავნად საკადრის ძღვენად რა გამოდგებოდა. ნიკიფორემ და ალექსიმ ლომკაცს მოვახსენეთ: ალექსანდრე მეფე შენთან ერთად მეფის უდიდებულესობასთან ძღვენს გზავნის, მაგრამ რას გზავნის ჩვენ არაფერი ვიცით. თუ ალექსანდრე მეფე მის უდიდებულესობასთან გასაგზავნ ნივთებს გამოგვიცხადებს და ამ ნივთების სიააა ც გადმოგვცემს, მაშინ ჩვენ, ელჩები, ყველაფერს გავეცნობით და რჩევასაც მოვახსენებთო ვუპასუხეთ. ამის შემდეგ, ალექსანდრე მეფემ, საჩუქრების სია ნიკიფორეს გამოუგზავნა თუ არა, ამის შესახებ მე, ალექსიმ, არაფერი არ ვიცი. მხოლოდ, ნიკიფორესაგან მე, ალექსიმ, გავიგონე, რომ ალექსანდრე მეფე რომ მის უდიდებულესობასთან საჩუქრებს გზავნიდა, ეს საჩუქრები ნიკიფორემ თითქოს გადასინჯა და ამ ნივთების სიაც თითქოს მას აქვს. როგორ გადასინჯა ნიკიფორემ ეს საჩუქრები მე ალექსიმ არაფერი არ ვიცი¹¹.

იმავე დღეს აზნაურმა სეხნიამ მე, ალექსის მიამბო: ალექსანდრე მეფე მის უდიდებულესობასთან თავის ელჩთან, ლომკაცთან ერთად ცხენებს გზავნის საჩუქრად, მხოლოდ ამ ცხენებს დააწინაურებს და მთებზე, ჩერქეზეთის მხარეში ადრე გადაიყვანს, ბაღყარეთში, ხოლო თქვენ ხელმწიფის ელჩები და ალექსანდრე მეფის ელჩები შემდეგ გაემგზავრებიანო. ამ ცხენებს წინ იმიტომ გზავნის, რომ ეფიქრებათ მთებზე თოვლი არ დასდოს და გადაყვანა არ დააბრკოლოსო.

ნიკიფორემ და ალექსიმ ალექსანდრე მეფეს შევეუთვალეთ: ალექსანდრე მეფე, მეფის უდიდებულესობასთან წინდაწინ ცხენებს გზავნის, მაგრამ სახელმწიფო საქმე შეუსრულებელია. როცა ალექსანდრე მეფე მის მეფურ უდიდებულესობას თავის პირობას შეუსრულებს და საქმეს ისე დაამთავრებს, როგორც თვით ალექსანდრე მეფე წერილში და თავის ელჩების პირით ითხოვდა, მაშინ ჩვენ, ელჩები, იმას გავაყვებთ, რასაც ალექსანდრე მეფე ინიებებს და გვიბრძანებსო.

160 წელი

სექტემბრის თვის პირველ დღეს ჩვენ, ნიკიფორემ და ალექსიმ, ალექსანდრე მეფესთან ქუთაისიდან მთარგმნელი ივანე გავგზავნეთ და ვუბრძანეთ ალექსანდრე მეფისათვის მოეხსენებინა, რომ მისი უდიდებულესობისადმი მიწერილ წერილში აღებული ვალდებულება ალექსანდრე მეფეს შეესრულებინა, საქმე დაებოლოებინა და ჩვენც, ელჩები, დაუყოვნებლივ გავესტუმრებინეთ.

¹¹ რუსეთის ელჩები ნიკიფორე და ალექსი იშვრევში წაიკიდნენ, ისე რომ ერთმანეთს ფიზიკურადაც შეეხვნენ. ამიტომ, ალექსი იევლევს, ნიკიფორე საქმეში არ ირევედა. იხ. ამის შესახებ შესავალში.

სექტემბრის 3-ს, ალექსანდრე მეფის მიერ სკანდიდან გამოგზავნილი მთარგმნელი ივანე ბოიარჩიკოვი ჩამოვიდა და ელჩებს მოგვახსენა: ალექსანდრე მეფე ქუთაისში მალე იქნებაო. ივანემ ჩვენ აგრეთვე გადმოგვცა, რომ ალექსანდრე მეფემ, თვით ივანეს თანდასწრებით, თავადებისა და აზნაურების სახელობითი სიის შედგენა ბრძანაო, მათ კაცები დაუგზავნა და ყველა ისინი ქუთაისში ყრილობაზე მიიწვიო, ხელმწიფის ელჩებს მეტს აღარ დაეყოვნებო, ხელმწიფისადმი დანაპირებ საქმეს აღვასრულებო და თქვენც, ელჩებს, მალე გაგისტუმრებთო, ჩემს ელჩებსაც მათვე გავაყოლებო.

8 სექტემბერს ალექსანდრე მეფე თავისი დედოფლითურთ ქუთაისს ჩამობრძანდა და ჩვენთან, ელჩებთან, ნიკიფორე და ალექსისტთან, ფეშანგ მდივანი გამოგზავნა და მოგვიკითხა. მდივანმა ჩვენ, ელჩებს, ალექსანდრე მეფის დანაბარები ასე გადმოგვცა: თქვენ ელჩებო ნუ იღარდებთო, ქუთაისში თქვენს სანახავად ჩამოვედი და ხელმწიფის საქმის მოგვარებაც გადაწყვეტილი მაქვსო. ამასთანავე ალექსანდრე მეფეს ნიკიფორესა და ალექსისტათვის, ცალ-ცალკე და არა ერთად, სურსათი გამოეგზავნა.

13 სექტემბერს ალექსანდრე მეფემ ფეშანგ მდივნის ხელით ელჩებს თავადების სახელობითი სია გამოგვიგზავნა. თავადების ეს სია, ჩვენ, ფიცის წიგნში შევიტანეთ.

იმვე დღეს ნიკიფორემ და ალექსიმ ალექსანდრე მეფეს კაცი გავუგზავნეთ და შეეუთვალეთ: ალექსანდრე მეფემ ხელმწიფისადმი მიცემული პირობა აღასრულოს და თავის ენაზე პირობის წიგნის შედგენა ბრძანოს, ხოლო ამ წიგნში შემდეგი უნდა ჩაიწეროს: მე მეფე ალექსანდრე, ჩემი ძმა და ჩემი ვაჟიშვილი, მთელი ჩემი სამეფო და ჩემი შთამომავალი, რომელიც ამიერიდან შემემძინება, რუსეთის მეფის უმაღლესი ხელის ქვეშ მყოფნი ყმანი ვიქნებით უკუნითი უკუნისამდე.

ალექსანდრე მეფემ ამ წიგნის თავის ენაზე შედგენა ფეშანგ მდივანს უბრძანა და ნიკიფორესა და ალექსისტს გასაძინჩათ გამოგვიგზავნა. წიგნი რომ ითარგმნეთ იქ ეწერა: მე ალექსანდრე მეფე ჩემის ვაჟიშვილით ბაგრატით და ჩემი ძმით მამუკათი, ჩემი თავადებით და მთელი ჩემი სახელმწიფოთი სრულიად რუსეთის ხელმწიფის, მეფის და მისი უდიდებულესობის და შვილთა მისთა საუკუნო ყმები ვართ, ვიდრე ეს სამყარო იარსებებსაო.

14 სექტემბერს, პატრიოსნისა და ცხოველმყოფელი ჯვრის ამაღლების დღეს, ალექსანდრე მეფემ ჩვენთან, ელჩებთან, კაცი გამოგზავნა და მონასტერში ზაქარია მიტროპოლიტთან წირვაზე მივიწვია.

ჩვენც, ნიკიტორე და ალექსი, წირვაზე გავემგზავრეთ და საყდარში მივედით. მეფე კი, ელჩებს, თურმე საყდარში გველოდებოდა. ნიკიტორემ და ალექსიმ ჭერ ხატებს თაყვანი ვეცით, ვილოცეთ და შემდეგ ალექსანდრე მეფეს თავის დაკვრით მივესალმეთ. მეფემაც ჭანმრთელობით მოგვიკითხა და ნიკიტორეს და ალექსის გვითხრა: ვფიქრობ, რომ თქვენ ჩემზე ნაწყენი იყავით, რადგანაც მე ამდენი ხანია არ მოგინახულეთო, მაგრამ ახლა თქვენთან მოვედი ხელმწიფის საქმის დასამთავრებლად და თქვენც, ელჩებს, გაგათავისუფლებთო. ნიკიტორემ და ალექსიმ მეფეს ვუპასუხეთ: ეს ღვთის ნებაა და დიდი საქმეცაა, რომ შენ ალექსანდრე მეფე, მისი მეფურ უდიდებულესობის წინაშე პირობას აღასრულებ, ხოლო ჩვენ, ასეთი დიდი საქმისაგან განგვეტვირთავთ. მეფემ მიტროპოლიტს უბრძანა საქმეს შედგომოდა და წირვის დაწყებამდე ცხოველმყოფელი ჭვრის ამალგება დაეწყო. ზაქარია მიტროპოლიტიც წირვის წინ ცხოველმყოფელი ხის ჭვარს ამალგებდა. თუ როგორ და რა წეს-ჩვეულებით ამალგებდა ჭვარს, ამის შესახებ ამ მუხლის ქვემოთ არის აღწერილი.

ზაქარია მიტროპოლიტი საკურთხეველში შევიდა და მანტიის ზემოდან ორად მოკეცილი „ამფორი“ ორივე მხრებზე შემოიღო, ტრაპეზიდან ხის ჭვარი აიღო. გვიამბეს, რომ ეს ჭვარი უფლის ცხოველმყოფელი ჭვარის ნაწილისაგან არის გაკეთებულიო, არშინის მკოთხედის ზომისა იქნებოდა. ზედ უფლის ჭვარცმნა ამოკვეთილი. ჭვრის ქვეშ პინაკზე სურნელოვანი მცენარეულობა დააწყო, ამის ზემოთ ჭვარი დაასვენა. ამის შემდეგ ჭვარიანი პინაკი ორივე ხელით აიღო. თავზე შემოიდგა და აღსავლის კარებიდან, ტრაპეზს გარს შემოუარა წალმა და ჩრდილოეთ კარებში გამოვიდა. თვით მიტროპოლიტი ორ დიაკონს მოჰყავდა ხელმოკიდებულნი. მიტროპოლიტს წინ დიაკვანი მიუძღოდა სანთლით და საცეცხლურით, შემობრუნდებოდა და ჭვარს უკმევდა. მიტროპოლიტს უკანაც ერთი დიაკვანი მოჰყვებოდა წყლით საეცე ვერცხლის სურით.

როგორც კი მიტროპოლიტმა ტრაპეზიდან ჭვარი ასწია, სამღვდელელობამ, მის უკან მომავალმა, იწყო გალობა იბაკოსი. როდესაც მიტროპოლიტი საკურთხეველიდან გამოვიდა, საყდრის შუა ადგილას გაჩერდა, იქვე მერხი დადგეს, ზედ სუდარი გადაათარეს, პინაკზე დასვენებული ჭვარი დადგეს, მის გარშემო ოთხი სანთელი აანთეს. აიღო რა შემდეგ მიტროპოლიტმა საცეცხლური, გარსშემოვლით ჭვარს უკმია. შემდეგ საკურთხეველში ტრაპეზსა და სამსხვერპლოს, საკურთხეველიდან გამოსულმა, ხატებს უკმია, შემდეგ მეფეს, სამღვდელეო-

ებას, ელჩებს და ბოლოს საერთოდ ხალხს. ამის შემდეგ მიტროპოლიტმა გადასცა რა საცეცხლური, პინაკიდან ორივე ხელით სურნელოვანი მცენარეულითურთ ჭვარი აიღო თავის წინ პირისპირ დაიჭირა აღსავლის კარების პირდაპირ, ისე რომ მუხლებით იატაკს არ შეხებია. მიტროპოლიტმა გალობა დაიწყო, მას არქიებისკომოსები და მთელი სამღვდლოება აჰყვა. გალობდნენ თავიანთ ენაზე უფალო შეგვიწყალებს. პირველი მუხლი დაბალ ხმაზე ოცდაათჯერ თქვეს. ამის შემდეგ მიტროპოლიტი ოდნავ წამოიწია და ისევ გალობა წამოიწყეს, ამჯერად ცოტა წინანდელზე ხმამაღლა. მესამე მუხლის გალობისას მიტროპოლიტი კიდევ უფრო მაღლა წამოიწია, მეოთხე მუხლის გალობის დროს მთლიანად გაიმართა, მხოლოდ თავი არ აუწვევია. გალობა განაგრძეს, მხოლოდ ყოველი მუხლის დაწყებისას ხმას უმატებდნენ. მეხუთე მუხლის დაწყებისას მიტროპოლიტი გასწორდა, ჭვარი თავს ზემოთ აღმართა და ხმამაღლა გალობდნენ უფალო შეგვიწყალებს, ყოველ მუხლზე ოცდაათჯერ იტყოდნენ უფალო შეგვიწყალებს ხმის მომატებით. შემდეგ მიტროპოლიტი შემოვიდა სამხრეთის მხრიდან და ჭვარს ამალღებდა ისევე როგორც პირველად ხუთჯერ, ყოველ მუხლზე ისევე გალობდნენ. შემდეგ აღსავლის კარებიდან ისევე მესამე მუხლით გაიმეორეს მეოთხე მუხლი ჩრდილოეთის კარებიდან წარმოთქვეს. მეხუთე მუხლის წარმოსათქმელად მიტროპოლიტი დასავლეთის კარებიდან შემოვიდა და აღსავლის კარების პირდაპირ დადგა, ჭვარს ამალღებდა ისევე, როგორც ამის წინ ხუთ მუხლად. და ყოველ ამალღებისას გალობდნენ თავიანთ ენაზე უფალო შეგვიწყალებს, ჭერ დაბალი ხმით, შემდეგ საშუალო ხმით და ბოლოს მაღალი ხმით, ხმას ასე თანდათან უმატებდნენ. როდესაც მიტროპოლიტი ჭვარს ამალღებდა მის პირდაპირ დიაკონი იდგა სურით ხელში და ყოველი მუხლის შესრულების დროს ხუთჯერ ასხურებდა ჭვარს (ნაკურთხ) წყალს და კვერექსის წარმოთქმის დროს იხსენიებდა სრულიად რუსეთის ხელმწიფეს და ნეტეს ალექსი მიხეილის ძეს, შემდეგ კი ალექსანდრე მეფეს. ჭვრის ამალღების შემდეგ იწყო ყველამ ერთად იბაკოს გალობა თავიანთ ენაზე. როცა იბაკოს გალობა დაამთავრეს, მივიდა მიტროპოლიტი და პინაკიდან ჭვარი აიღო, დაიჭირა მარცხენა ხელში, მარჯვენაში კი სასხურებელი, შევიდა საკურთხეველში, ასხურა ტრაპეზს, სამსხვერპლოს, მთელ საკურთხეველს და საკურთხეველიდან გამოსულმა ოთხ მხარეს საყდარში მოასხურა. შემდეგ დადგა საყდრის შუა ადგილზე და ემთხვია ჭვარს თვით მიტროპოლიტი და ისხურა თავისი თავი, იმ წყლით, რომლითაც ჭვარს ასხურებდა. შემდეგ მივიდა მეფე ჭერ ჭვარს ემთხვია, ხოლო შემდეგ მიტროპოლიტმა სასხურებელით იგივე წყალი ასხურა, რომლითაც ჭვარს ასხურებდა.

მეფის შემდეგ მიტროპოლიტები მივიდნენ, შემდეგ ჩვენ ნიკიფორე და ალექსი, შემდეგ კი დანარჩენები, ხოლო მიტროპოლიტს ჯვარი მარცხენა ხელში ეჭირა. ჯვარის ამალღების შემდეგ წირვა დაიწყო, წარავდნენ ორი არქიმანდრიტი, მღვდელი და ორი დიაკონი, თვით ზაქარია მიტროპოლიტი არ წირავდა, მაგრამ კლიროსზე იღვა და არქიეპისკოპოსებთან და ილუმენებთან ერთად მთელი წირვის განმავლობაში, გალობდა.

წირვის შემდეგ ალექსანდრე მეფემ თავის მოძღვარს, ზაქარია მიტროპოლიტს, საყდრის შუა ადგილას ჯვარის გამოსვენება უბრძანა და არქიმანდრიტს დააჭერინა ხელში. ალექსანდრე მეფემ მოგვიწოდა ჩვენ ელჩებს, ნიკიფორესა და ალექსის და ასეთი სიტყვებით მოგვმართა: მე ალექსანდრე მეფემ მის უდიდებულესობასთან ჩემი ელჩები გავგზავნე, რათა მის მეფურ მაღალ ხელის საფარქვეშ შეესულიყავი. ჩემი წერილისა და თხოვნისკამებრ მეფის უდიდებულესობან თქვენი, ჩემთან გამოგზავნა ინებაო, რათა მე ალექსანდრე მეფეს ჩემი პირობა დამემტკიცებინა და მისი უდიდებულესობისადმი ჩემს პირობაზე ფიცი მიმეცა და ჯვარს ვმთხვეოდით. და აწ მე ალექსანდრე მეფე ჩემი ხელმწიფის მეფურ ბრძანებას თქვენს წინაშე, ელჩების წინაშე, შევასრულებო. ამის შემდეგ ჩვენ, ელჩებს, გვიბრძანა ხელმწიფის ფიცის წიგნის მოტანა, რომელიც მოსკოვიდან იყო ჩვენთან ერთად გამოგზავნილი. ნიკიფორემ ჩვენ მდივნის თანაშემწეს ფიცის წიგნი გამოართვა და მეფეს მიართვა. ალექსანდრე მეფემ თარჯიმანის სამუალებით ტექსტის წაკითხვა ბრძანა. და როდესაც ალექსანდრე მეფემ ტექსტის უკანასკნელი სიტყვები გაიგონა ბრძანა თავისი ფიცის წიგნის მოტანაც. ეს ორი ფიცის წიგნი ჯვარის ქვეშ ამოდეს. ნიკიფორეს და ალექსის ჩვენი ხელით გვეჭირა ჯვარის ქვეშ ამოდებული ფიცის წიგნები, ისე რომ ერთ მხარეს ნიკიფორე იყო და მეორე მხარეს მე ალექსი ვიდექი. მოვიდა ალექსანდრე მეფე ჯვართან, პირს ჯვარი გადაისახა და ელჩებს შემდეგი სიტყვებით მოგვმართა: მე ალექსანდრე მეფე ვემთხვევი წმინდა ამა ცხოველმყოფელ ჯვარს უფლისას, ჩემი ამის მამუკა ბატონიშვილის და შვილის ბაგრატ ბატონიშვილის ნაცვლად. მიტროპოლიტების, არქიეპისკოპოსების, თავადების და აზნაურების, მთელი ჩემი ხალხის და სრულიად ჩემი იმერეთის სახელმწიფოს სახელით: მასზე რომ მე ალექსანდრე მეფე ძმით და ვაჟიშვილით ჩემით აგრეთვე მთელი სახელმწიფოთი ვიყვე ჩემი ხელმწიფის, დიდი მთავრის ალექსი მიხეილის ძის სრულიად რუსეთის მეფის ხელმწიფურ ნების ქვეშ, სამუდამო ყმობაში უკუნისამდე მოუშორებლად, ასევე ვეგო ხელმწიფის იმ შვილების ხელქვევით, რომელთაც დმერთა დიდ ხელმწიფეს მომავალში მისცემსო. პირჯვარი გადაისახა, ჯვარს

ემთხვია, ჯვარის წინაშე ქედი მოიხარა მიწამდე, ხელები ზევით ადა-
ყრო, თვალში ცრემლი მოერია და წარმოსთქვა: ღმერთო მიუბოძე
ჩემს დიდ ხელმწიფეს მრავალჯამიერი სიცოცხლე და დაუმარცხე
უფალო ყოველი მოწინააღმდეგე და განართხე ისინი ფერხთა მისთა
ქვეშე. და ამის შემდეგ ბრძანა ჯვართან მისულიყვნენ მიტროპოლი-
ტები: არქიეპისკოპოსები, სასულიერო პირები, თავადები და აზნაუ-
რები. მისულთაგან მრავალი ჯვარს ემთხვეოდა საყდარში და შემდეგ
თავს გვიკრავდნენ ელჩებს. ალექსანდრე მეფემ, ბოლოს, საყდრიდან
ჯვრის გამოტანა ბრძანა მონასტრის ეზოში და ხალხი დიდის სიხარუ-
ლით მიდიოდა ჯვართან და ემთხვეოდა მას და გაიძახოდა: მოსკოვის
ხელმწიფეს, მეფეს და დიდ მთავარს ალექსი მიხეილის ძეს სრულიად
რუსეთისას, ღმერთმა ჯანმრთელობა და დიდი ხნის სიცოცხლე მისცეს,
ხოლო ჩვენ მის ყმებს გვწყალობდეს და ნის მეფურ მოწყალებას ნუ
მოგვაკლებდესო; ჩვენ ხელმწიფის საუკუნო ყმები ვართ და ხელმწი-
ფისათვის სისხლის დაღვრის და თავის დადების მოხარული ვიქნებითო.

ჯვარზე ფიცის მიღების შემდეგ ალექსანდრე მეფე, ზაქარია მიტ-
როპოლიტთან, გაემართა ჩარდახში სუფრასთან, ხოლო ელჩებს გვიბრ-
ძანა იმ ხნის განმავლობაში იქ მყოფი ხალხი ყველა ჯვართნ მიგვეყვა-
ნა. როცა ყველა ჯვარს ემთხვია, ალექსანდრე მეფემ კაცი გამოგვიგ-
ზავნა ნიკიტორეს, ალექსის და ყველა ჩვენი ხელმწიფის ხალხის სუფ-
რაზე მისაწვევად. სუფრასთან ალექსანდრე მეფე იჯდა თანახმად მე-
ფის კარის გარიგებისა, ისე როგორც წინათ გვინახავს მჯდომარე.
ელჩებს გვიბრძანა მარჯვენა მხარეს მასთან ახლოს დაჯდომა, ნახევარი
საეწინო იქნებოდა ჩვენ შორის მანძილი. სამღვდელოება მარცხენა მხა-
რეს იჯდა. ჭამის დროს ალექსანდრე მეფე ორჯერ წამოდგა, სუფრიდან
ერთი საეწინო წინ გამოვიდა და მისი უდიდებულესობის, ხელმწიფის
ალექსი მიხეილის ძის საღვთაგანლო თასი დიდის სიხარულით დას-
ცალა. ამასთანავე სიტყვაც წარმოთქვა: აქამდე მე ალექსანდრე მეფე
მარტო ვიყავი უხელმწიფო, თავისუფალი. ამჟამად კი გამოვნახე ჭეშ-
მარტად მართლმადიდებელი და კეთილმორწმუნე ხელმწიფე ყველა
ხელმწიფეზე ხელმწიფე, მეფეთა მეფე, მფლობელი და თვითმპყრო-
ბელი. ამიტომაც მე ალექსანდრე მეფე დიდი ხელმწიფისაგან და დიდი
მთავრისაგან სრულიად რუსეთის მეფისაგან, ალექსი მიხეილისძისაგან,
წყალობით ბოძებას და გამოქომაგებას მოველიო. მე კი ალექსანდრე,
ჩემი ძმით და ჩემი შვილით და სხვა შვილებითაც, რომელთაც ღმერ-
თი მომავალში მომცემს, მისი, ხელმწიფის, და მეფის შვილების საუ-
კუნო და განუყრელი მონა (ყმა) ვართ, სანამ ეს სამყარო იარსებებსო.

ამის შემდეგ, თასი ელჩებს გადმოგვცა, ნიკიტორეს და ალექსის,
შემდეგ სამღვდელოებას და დაჯდა. ბოლოს თავადები და აზნაურები

გამოიწვია მეფემ და ხელმწიფის სადღეგრძელოს შესმა ბრძანა მის წინაშე. ამასთანავე მათ იმავე სიტყვებით მიმართა, მე ჩემთვისაც და თქვენთვისაც კეთილმოაწმუნე და მოწყალე ხელმწიფე გამოვძებნეო. თავადებმაც და აზნაურებმაც ხელმწიფის სადღეგრძელო შესვეს დიდის სიხარულით და სიამოვნებით და ხელაპყრობით ამბობდნენ, ღმერთო მიეც ჩვენს ხელმწიფეს მეფეს და დიდ მთავარ ალექსი მიხეილის ძეს სრულიად რუსეთისას, ყველა მეზობელ სახელმწიფოზე და მაჰმადიანურ ხალხებზე ბატონობა და ყველა ქვეყნები მეფის სახელის ხსენებაზე ძრწოდნენ, ჩვენ კი მისი ყძები და ძონები ვართ სამარადისოდ, ერთიანი მართლმადიდებლური ქრისტიანული საჩუშუნოებისო. სუფრის შემდეგ გაგვისტუმრა ალექსანდრე მეფემ და ბრძანა აზნაურებს გავეცილებინეთ ჩვენს ბინამდე.

ამასთანავე ალექსანდრე მეფემ ელჩებს საკუთარი სუფრიდან საქმელები გამოგვიგზავნა ბინაზე, ნიკიფორეს ცალკე და ალექსის ცალკე.

ამის შემდეგ ალექსანდრე მეფემ ელჩებს ფეშანგ მდივანი გამოგვიგზავნა და მეფის დანაბარები გადმოგვცა ნიკიფორეს და ალექსის: ალექსანდრე მეფემო მეფის ბრძანება სისრულეში მოიყვანა (დაიფიცა) ჭვარს ემთხვიაო, ახლა თქვენი სურვილის გარეშე არც თქვენი დაყოვნება უნდაო, ამიტომ განზრახული აქვს თქვენ მის უდიდებულესობასთან თქვენი სურვილისამებრ გაგისტუმროთო. საბარგულები, ხალხი და გამცილებლები ყველაფერი მზად იქნებაო. და როცა თქვენ წასვლას გადაწყვეტთ, თქვენ ამის შესახებ ალექსანდრე მეფეს აცნობეთ და ის მაინც, დაუყოვნებლივ გაგამგზავრებთო.

ნიკიფორემ და ალექსიმ ფეშანგ მდივანს მოვახსენეთ: ალექსანდრე მეფემ თავის პირობა მეფის უდიდებულესობის წინაშე შეასრულა. ფიცის წიგნების მიხედვით, ჭვარს წინაშე დაიფიცა. მაგრამ ალექსანდრე მეფემ ამას გარდა პირობის შესრულება სრულჰყო, ფიცის წიგნებს ხელი მოაწეროს და ბეჭედი დაასვას, აგრეთვე თავადებსა და ეკლესიის მეთაურებსაც ხელის მოწერა უბრძანოს.

ალექსანდრე მეფემ, ფეშანგ მდივანის პირით, ნიკიფორეს და ალექსის შემოგვითვალა, რომ მან, ალექსანდრე მეფემ, წერა-კითხვა არ იცის¹², ამიტომ ფიცის წიგნებზე ბეჭედებს დაასვა მსო. რაც შეეხება მიტროპოლიტებს და თავადებს, მათ ხელის მოწერას უბრძანებსო.

¹² აქ გაუგებრობას უნდა ჰქონდეს ადგილი. თარჯიმანმა ალბათ სწორად ვერ მიაწოდა სიტყვა. მეფეს ჩვენში არ შეიძლებოდა არ ცოდნოდა წერა-კითხვა ეტყობა მეფემ ხელის მოწერაზე უარი განაცხადა. ხელრთვა თავადებს და სამღვდლოებსა გააკეთებინა, თვითონ კი საბუთზე ბეჭედი დაასვა სხვათაგან განსხვავებით. მეფის წერა-კითხვის უკოდინარობაზე არაფერი აქვს ტოლოჩანოვს თავის აღწერილობაში.

ნიკიფორემ და ალექსიმ ფეშანგის პირით ვაცნობეთ ალექსანდრე მეფეს, რათა მას ელჩებისათვის თავისი ბეჭედი გამოეგზავნა. ბეჭედი გაეცინჯეთ და ზედ კათოლიკური ჯვარი იყო ამოჭრილი, ხოლო ჯვრის გარშემო ალექსანდრე მეფის სახელი. ჩვენ ნიკიფორემ და ალექსიმ ფეშანგს დავავალეთ მეფისათვის გადაეცა, რომ იმ ბეჭდის ფიცის წიგნებზე დასმა არ ივარგებდა და ამიტომაც ალექსანდრე მეფეს ახალი ბეჭდის გაკეთება ებრძანა. იმავე დღეს ალექსანდრე მეფემ ელჩებთან მისი სულიერი მამა ზაქარია მიტროპოლიტი გამოგზავნა და მეფის დანაბარები ნიკიფორეს და ალექსის ასე გადმოგვცა: როგორც ცქვენ, ხელმწიფის ელჩები, მიუთითებთ ბეჭდის გაკეთებას და ზედ წარწერის ამოჭრას, ალექსანდრე მეფე ისე გააკეთებინებსო. ნიკიფორემ და ალექსიმ ბეჭედის და ამოსაჭრელი წარწერის ნიმუშის გაკეთება მოვითხოვეთ. ბეჭედზე შემდეგი წარწერა უნდა გაეკეთებინათ: „მეფე ალექსანდრე თავისი ძმით მამუკა ბატონიშვილით და თავისი შვილით ბაგრატ ბატონიშვილით და მთელი თავისი იმერეთის სახელმწიფოთი ხელმწიფის სრულიად რუსეთის მეფის და დიდი მთავრის ალექსი მიხეილის ძის საუკუნო ყმები“. ალექსანდრე მეფემაც ამ ნიმუშის მიხედვით ოქროს ბეჭდის დამზადება ბრძანა და ზედ ეს წარწერაც ამოაჭრეინა.

23 სექტემბერს ალექსანდრე მეფემ ნიკიფორესთან კაცი გაგზავნა და შეუთვალა: შენს ხუცესს უბრძანე ზაქარია მიტროპოლიტთან რუსულად წიროსო. ნიკიფორემაც ალექსანდრე მეფის თხოვნის თანახმად თავის ხუცესს უბრძანა მიტროპოლიტთან მონასტერში უწირა. წირვას ალექსანდრე მეფე, მიტროპოლიტები, არქიეპისკოპოსები, თავადები და აზნაურები ესწრებოდნენ. წირვის დროს, ალექსანდრე მეფე, მიტროპოლიტები და არქიეპისკოპოსები ნიკიფორეს წირვის საგალობლის შესახებ ეკითხებოდნენ. ნიკიფორეც ყოველთვის აცნობდა, ხოლო (ამ დროს) მთარგმნელი ივანე თარჯიმანობდა¹³. ალექსანდრე მეფე, მიტროპოლიტები და არქიეპისკოპოსები აჭებდნენ, აღტაცებით ხელებს იჭნევდნენ და ამბობდნენ: ჰეშმარიტად სწორი და სრულყოფილი ლიტურღიააო. ლიტურღიის წინ, კვეთას (მწირველი მღვდლის მიერ საუფლო მსხვერპლის მზადებას) იგივე მიტროპოლიტები უცქეროდნენ და იწონებდნენ. წირვის შემდეგ ზაქარია მიტროპოლიტს სუფრა ჰქონდა გაშლილი ალექსანდრე მეფისა და ელჩების პატივსაცემად. სუფრაზე მიწვეული იყვნენ აგრეთვე სამღვდელოება, თავა-

¹³ რუსეთის ელჩებს თარჯიმანიც ახლდათ და მთარგმნელიც. ეს უკანასკნელი ივანე ბოიარჩიკოვი მწიგნობარი იყო, ბერძნული და რუსული ენების მცოდნე. თარჯიმანი „ივანუკა ტეზიჩონოკად“ იწოდებოდა აქ.

ლები და ბოიარები. მეფე იჭდა წინანდებურად თავისი წესისამებრ. ელჩები მეფის მარჯვენა მხარეს ვიჭექით, ახლოს მეფესთან. სამღვდელოება, თავადები და აზნაურები მარცხენა მხარეს. ალექსანდრე მეფემ სუფრაზე ხელმწიფის სადღეგრძელო თასი დასცალა ორ მოსმაზე. სუფრიდან გამოვიდა და მისი უდიდებულესობის მიმართ საქებარი სიტყვები წარმოთქვა, აღნიშნა აგრეთვე, რომ მისი უდიდებულესობის ნებას მივენდვე დიდის მორჩილებით და საუკუნოდო და სადილზე ბოლომდე დიდად მზიარული იყო. სადილის შემდეგ ალექსანდრე მეფემ ელჩები ბინაზე გაგვისტუმრა, ბინამდე აზნაურები მოგვაცილებდნენ.

6 ოქტომბერს, ნიკიფორემ და ალექსიმ ალექსანდრე მეფეს მთარგმნელი ივანე გავუგზავნეთ, რათა მეფეს მიეწოდებინათ. მთარგმნელი დაბრუნდა და ნიკიფორესა და ალექსის მოგვახსენა, რომ მეფესთან ის არ შეუშვეს, მხოლოდ მეფის აზნაური გამოსულიყო და (მთარგმნელისათვის) ეთქვა, რომ მეფის ნახვის დრო ახლა არ არისო, დედოფალი შეუძლოთ ბრძანდებო.

7 ოქტომბერს ალექსანდრე მეფე (ქუთაისის მოედნის შემალღებულ ადგილზე) თხემის ადგილას მობრძანდა, მას თან ახლდნენ მიტროპოლიტები და არქიეპისკოპოსები და სამღვდელოების სხვა წარმომადგენლები, მისი თავადები და აზნაურები, აგრეთვე ალექსანდრეს რუსეთში გასამგზავრებელი ელჩები, ლომკაც ჯათარიძე და არტიმონ არქიმანდრიტი. ნიკიფორეს და ალექსის კაცი გამოგვიგზავნა — ამოდით თხემის ადგილას (ამაღლებულ ადგილზე) ალექსანდრე მეფესთანო. ჩვენც, ნიკიფორე და ალექსი ალექსანდრე მეფესთან ავედით თხემის ადგილას, მეფემ სიტყვა წარმოსთქვა: ჩემს წინაპრებს, წინანდელი იმერეთის მეფეებს, მტრებმა (მოწინააღმდეგებმა) დრო არ მისცეს მოსკოვის სახელმწიფოს ხელქვევით მოქცეულიყვნენ, და აქამდე თავისთვის ცალკე ყევენ და არც ერთ მეფეს, არც თურქეთისას და არც ყიზილბაშებისას, არც სხვა მაჰმადიანურ მეფეებს არ მიმხრობიან და დამორჩილებიან. ახლა მე, ალექსანდრე მეფემ, ჩემი სიმამრისაგან, თეიმურაზ მეფისაგან, ქართლ-კახეთის მეფისაგან გავთვე და მოვისმენე მისი უდიდებულესობის სრულიად რუსეთის ხელმწიფის და მეფის ალექსი მიხეილის ძის შესახებ, რომ ის არის უდიდესი უსახელოვანესი ქრისტიანი ხელმწიფე და მეფე, მრავალი სახელოვანი და დიდი სახელმწიფოების მფლობელი. მეც, ალექსანდრე მეფე, ხომ ჩემ მამა-პაპათაგან, საბერძნეთის უდიდესი მეფეთაგან, მართლმადიდებელი ქრისტიანული სარწმუნოების მეფე ვარ. ჩემმა სიმამრმა თეიმურაზ ქართველთა მეფემ მომიწოდა მისი უდიდებულესობის მაღალი ხელის ქვეშ შესვლა. და ახლა მე ჩემს ხელმწიფესთან, სრულიად რუსეთის

მეფესთან და დიდ მთავართან, ალექსი მიხეილის ძესთან მივუდი, მის ნებას მივენდვე ჩემი ძმით, მამუკა ბატონიშვილით, ჩემი შვილით ბაგრატ ბატონიშვილით, მონასტრებით და საყდრებით, მიტროპოლიტებით და არქოუპისკოპოსებით, ჩემი თავადებით, მთელი ჩემი ხალხით. ზთელი ჩემი იმერეთის ქვეყნით და თავები ჩვენი დიდ ხელმწიფეს მიწამდე მოვუდრიკეთ. ხელმწიფის კალთას ხელეები ჩავჭიდეთ, საუკუნოთ მას დავემორჩილეთ დიდ ხელმწიფეს მეფეს და დიდ მთავარს ალექსი მიხეილის ძეს სრულიად რუსეთისას, მის შვილებს, რომელთაც ღმერთი მომავალში მას მისცემს, სამუდამო ყმები შევიქენით მისი, სანამ მზე ანათებს. და რასაც ხელმწიფე მიბრძანებს, მე ალექსანდრე მთელი ჩემი ხალხით მზად ვართ ხელმწიფის მტრების წინააღმდეგ ვიბრძოლო სიკვდილამდე. ახლა ვგზავნი მე ალექსანდრე მეფე, მეფის უდიდებულესობასთან ჩემს ელჩებს მოლარეთუხუცესს, ლომკაც ჯაფარიძეს და არტიმონ არქიმანდრიტს. ვგზავნი აგრეთვე მის უდიდებულესობასთან საჩუქრებს. ამას თქვენ, ელჩებს, გიცხადებთ. ბოლო თქვენ, მეფის უდიდებულესობის ელჩებო, ჩემი ელჩები მიიღეთ და მის უდიდებულესობამდე... მიიყვანეთ და ჩემს ხელმწიფეს ჩემი ელჩები წარუდგინეთ. როდესაც ალექსანდრე მეფემ თავისი ელჩები წარმოგვიდგინა ჩვენ, ნიკიტორესა და ალექსის და სიტყვაც დაასრულა, წავიდა მოედანზე, მიტროპოლიტების, თავადებისა და აზნაურების თანხლებით და სადილობამდე ცხენებით სეირნობა გამართა. შემდეგ თავისი სუფრიდან საკმელები და სასმელები გამოგვიგზავნა ჩვენ ნიკიტორესა და ალექსის ცალ-ცალკე.

8 ოქტომბერს ჩვენ, ელჩებმა ალექსანდრე მეფესთან მთარგმნელი ივანე ბოიარჩინოვი გავგზავნეთ და დავავალეთ მეფისათვის ეთქვა. ფიცის წიგნი საბოლოოდ გაეფორმებინა, ბეჭედი დაესვა და ხელი მოეწერა, აგრეთვე სასულიერო პირებისა და თავადებისათვის ხელის მოწერა ებრძანებინა. ბოლო ჩვენ, ელჩებს ნულარ გვაყოვნებდა და მეფის უდიდებულესობასთან დროულად გავესტუმრებინეთ. მთარგმნელი მოვიდა და ასე გვიამბო: ალექსანდრე მეფემ არ მიმილოო, ჩემთან ფეშანგ მდივანი გამოგზავნა და მითხრა ალექსანდრე მეფე თხემის ადგილას მოვარ და ფიცის წიგნს საბოლოოდ იქ გააფორმებსო.

9 ოქტომბერს ალექსანდრე მეფემ ფეშანგ მდივანი გამოგზავნა ჩვენთან და შეგვატყობინა ქუთაისის ციხეგალავნის საკრებულო ტაძარში გამოცხადებულიყავით, ალექსანდრე მეფეც იქ იქნებაო, ხელმწიფის საქმეს სრულყოფს, ფიცის წიგნებს დაბეჭდავს და ელჩებს ჩაგაბარებსო.

ნიკიტორე და ალექსი ციხე-გალავანში საკრებულო ტაძარში მი-

ვედით. ცოტა ხნის შემდეგ, იქ ალექსანდრე მეფეც მოვიდა, ილოცა ხატის წინაშე, გამოვიდა საყდრიდან გალავანში საჩრდილობლის ქვეშ დადგა და ჩვენ მიგვიწვია, ჭერ ჯანსაღობით მოგვიკითხა და შემდეგ გვითხრა: თქვენ კაცი გამოგიგზავნეთ ხელმწიფის საქმის გამო, ხელმწიფის საქმე აქ საყრებულო ტაძარში მინდა სრულდეს, ფიცის წიგნები ჩემი ახალი ბეჭდით მინდა დავბეჭდო, რომელიც თქვენი თანადანსწრებით და თქვენი მითითებით გავაკეთებინო.

ჩვენც, ნიკიფორემ და ალექსიმ მეფეს ფიცის წიგნები მივართვით. მეფემ მიიღო რა საბუთები, თავის მორდალს გადასცა და ბეჭდების დასმა უბრძანა. როდესაც საბუთებს ბეჭდები დაასვეს, მორდალმა საბუთები მეფეს მიართვა. მიიღო რა მეფემ საბუთები სიტყვით მოგვმართა ჩვენ, ელჩებს: მე ალექსანდრე მეფე, ძმა ჩემი მამუკა და ვაჟი ჩემი ბაგრატი სრულიად რუსეთის ხელმწიფის, მეფის და დიდი მთავრის ალექსი მიხეილის ძის ყმები ვართო. ემთხვია ბეჭედს და საბუთები გადმოგვცა ელჩებს და დაბლა თავი დაგვიკრა. საბუთები ნიკიფორემ და ალექსიმ ერთად ჩამოვართვით. ამის შემდეგ ალექსანდრემ სიტყვით მოგვმართა ელჩებს: აქამდე მე, ალექსანდრე მეფე, თვითმპყრობელი ვიყავი, არც ერთ მაჰმადიან მეფეს არ დავკვემდებარებინვარ, არც მათი რჩევა არ მიმიღია, მათი წინააღმდეგიც ვიყავი, მართლმადიდებელ ქრისტიანულ სარწმუნოებისათვის მათთან მიბრძოლია. წასაბილწად წმინდა ღვთის ტაძრები არ დამინებებია, ჩემი სახელმწიფო და ხალხი დამიცავს. ახლა, თავი ჩემი, ჩემი მეფისა და ხელმწიფის... ფეხის წინაშე მომიდრეკია ძმით ჩემით, მამუკა ბატონიშვილით და ვაჟით ჩემით, ბაგრატ ბატონიშვილით, მონასტრებით, საყდრებით, ბიტროპოლიტებით, არქიეპისკოპოსებით, ჩემი თავადებით და მთელი ჩემი იმერეთის მიწა-წყლითურთ. ჩაკვიდე მეფის კალთას ხელი და დიდი ხელმწიფის ყმა შევიქენი სამუდამოდ, სანამ ეს სამყარო არსებობს და მზე ანათებს. მისი უდიდებულესობის ნება (ვრცელდება) ჩემსა, ჩემს ძმასა, შვილსა და მთელს იმერეთის სახელმწიფოსა ზედა, და რის გაკეთებასაც მისი უდიდებულესობა მე, ალექსანდრეს მიბრძანებს, მე ხელმწიფის ნების წინააღმდეგი არ ვიქნებო. ხოლო ხელმწიფის მტრის მოწინააღმდეგე კი შევიქნები და მე ალექსანდრე, ძმით, შვილით, მთელი ჩემი ხალხით ხელმწიფის სამსახურზე მზად ვართო. ხოლო თურქეთის. ყიზილბაშების და სხვა ქვეყნის მეფეებს არცერთს არ დავკვემდებარებო. მხოლოდ, მისმა უდიდებულესობამ მოხედოს ჩემს იმერეთის სახელმწიფოს, გამოგზავნოს ჩემს სატახტო ქალაქ ქუთაისში თავისი მახლობელი მხედართ-მთავარი, რომლის გამოგზავნასაც თვით ხელმწიფე ინებებს და ჩემი სახელმწიფო მტრებისაგან

დაიცვას და პასუხი გასცესო. ხოლო თვით მე, ალექსანდრე, ჩემს სახელმწიფოს შინა მტრებისაგან გავწმენდო. ჩემი მტერი მთავარი ლევან დადიანიაო. ჩემს ქვეშევრდომებს ხენათესვის და სხვა საქმიანობის დროს არბევს და ბოროტების მეტს არას უკეთებსო. მიპარვით და მოტყუილებით ატყვევებს. ამაჰმადიანებს და უმრავლესობას თურქეთში ჰყიდისო. გამიგონიაო, თქვა ალექსანდრე მეფემ, რომ დიდ ხელმწიფეს თავისუფალი ხალხი ჰყავს დონზე მცხოვრები კაზაკებიო, რომელნიც ხშირად სადადიანოში მოდიან, მათ დაბეებს და სოფლებს არბევენ და გამოსასყიდსაც იღებენო. და თუკი, მეფის უდიდებულესობა ინებებს და თავის თავისუფალ კაზაკებს უბრძანებს შავი ზღვით თვით დადიანის და დადიანის სამფლობელოს წინააღმდეგ ამხედრებას, კაზაკები მისი უდიდებულესობის ბრძანებას შეისმენენ და დადიანს თავს დაესხმიანო. მეც, ალექსანდრე მეფე, შევეუთანხმდები მათ და ჩემის მხრით შეეყრი დიდ ლაშქარს და დადიანის წინააღმდეგ გავეზარტები და ამ გზით დადიანს დაეაშინებ და დავიმორჩილებო. და სიტყვა ასე დაასრულა: ვფიქრობ, რომ დადიანიც ხელმწიფის მაღალი ხელის ქვეშ მყოფი სამუდამო ყმა შეიქმნება და მართლმადიდებელი ხალხი ისევ კეთილმსახური გახდება და ჰეშმარიტ მართლმადიდებელურ სარწმუნოებას კვლავ შეიცნობენო. და ბოლოს, იმავე ალექსანდრე მეფემ თავის ძმის მამუკასა და ვაჟიშვილის ბაგრატის შესახებ გვიამბო, რომ ამჟამად ისინი დადიანთან არიანო. ჩემი ძმა მამუკა ომის დროს ჩაიგდო ტყვედ, ხოლო შვილი ბაგრატი მოტყუებით და ოვალთაქციობითო, შემოთვალა რომ მამუკას გავუშვებ თუ ბაგრატ ბატონიშვილს ამანათად გამომიგზავნიოთ, გავგზავნეთ ბაგრატი, მოგვატყვილა და ახლა ორივე ტყვედ ჰყავსო. თუ დიდი ხელმწიფე ძმას და შვილს დადიანის ტყვეობიდან დაიხსნისო, მაშინ, მე, მეფე ალექსანდრე, ძმით და შვილით თაყვანს ვცემთ დიდ ხელმწიფეს და ორივეს მის უდიდებულესობასთან მოსკოვში გამოვგზავნიო.

ალექსანდრე მეფემ ჩვენ, ნიკიფორეს და ალექსის, ესეც გვითხრა: ნისი უდიდებულესობის შესახებ გავიგონე, რომ დიდი ხელმწიფე ზონადირე ფრინველებით — მიმინოებით და შევარდნებით თავს იართობსო. ამასთანავე ისიც გამიგიაო, რომ ის ასეთ ფრინველებს საჩუქრად სხვა ძღვენთან ერთად თურქეთის და ყიზილბაშების მეფეებს უგზავნიასო. რაღა შორს წავიდე, ჩემი სიმამრისათვის, თეიმურაზ მეფისათვისაც, გამოუგზავნიასო. მის უდიდებულესობას მე ვერ გაუბედე წერილში ამის შესახებ მიმეწერა და ამიტომაც თქვენ ელჩებს გეუბნებით, რომ მის უდიდებულესობას ჩემს შესახებ მოახსენოთ, რათა დიდმა ხელმწიფემ მე, მონა მისი, თავის ხელმწიფური წყალობით შე-

მწყალოს და ეს ფრინველი გამოვიგზავნოსო. და თუ ხელმწიფე გამოგზავნას ინებებსო, მე ხელმწიფის ამ წყალობას (ფრინველს) სულ ხელზე ვატარებ, მას ისე დაუწყებ ცქერას როგორც თვით დიდ ხელმწიფესო... და მისი ამ წყალობით ხალხის წინაშე ვიამაყებო.

ალექსანდრე მეფემ ელჩებს აგრეთვე ისიც გვითხრა, რომ მისმა უდიდებულესობამ მოწყალება მოიღოს და ხელმწიფის თოფების, ზარბაზნებისა და თოფის წამლის ზაზარუყვას ყაბარდომდე გადმოტანა ბრძანოს, ხოლო ამ ყაბარდოდან მე თვით გადმოვტანიხებ მთებზე ჩემს ხალხსო. თუ არა და იქნებ ხელმწიფემ ინებოს ზარბაზნების ფსტატების ჩვენთან გამოგზავნაო, იმერეთში ხალხი ბევრი მყავსო.

ალექსანდრე მეფემ ისიც დასძინა, რომ მის უდიდებულესობის ალალოს იმერეთის რაიმე საქონელი თუ გამოადგება მე მომწეროს და ხელმწიფის ყოველი ბრძანება შესრულებული იქნებაო. დაასრულა რა საუბარი, მეფე საკრებულო ტაძრისაკენ გაემართა.

როდესაც ალექსანდრე მეფე საკრებულო ტაძრის დასავლეთის კარებთან მივიდა ზღურბლთან შეჩერდა და თაყვანი სცა ტაძრის ტრაპეზს სამჯერ. ამის შემდეგ დაშორდა ტატარს, შემობრუნდა ხალხისაკენ და მიმართა ხალხს ხმამაღლა: მე ალექსანდრე მეფე, ჩემი ძმით მამუკა ბატონიშვილით და შვილით ბაგრატ ბატონიშვილით, სასულიერო ხელისუფალნი, თავადები და აზნაურები და მთელი ჩემი იმერეთის ხელმწიფოს ხალხი, დიდიდან პატარამდე სამუდამო მონები და ყმები ვართ... მისი უდიდებულესობის სრულად რუსეთის ხელმწიფის ალექსი მიხეილის ძისო. იქ მყოფმა ხალხმა ფეხზე მდგარმა ხელი აღაპყრო ზევით. ამის შემდეგ, ალექსანდრე მეფემ, ნიკიფორე და ალექსი, აგრეთვე ჩვენი მხლებელი ხელმწიფის ხალხი, ხელზე სამთხვევად მიგვიწვია. როდესაც ჩვენ ყველამ ხელზე ვემთხვიეთ, ალექსანდრე მეფემ ელჩებს ასეთი სიტყვებით მოგვმართა: გაემგზავრეთ მეფის უდიდებულესობასთან, ჩემს ხელმწიფესთან... ალექსი მიხეილის ძესთან და გადაეცით დიდ ხელმწიფეს: რომ მე — ალექსანდრე მეფეს, მის ხელმწიფურ წყალობაზე თავი დამიკრავსო და დაბლა თავი დახარა. გაემგზავრეთ ელჩებო თქვენს ხელმწიფესთან, კეთილი მგზავრობა გვისურვა და წავიდა სასახლეში. ჩვენ კი ელჩები ჩვენს ბინაზე დავბრუნდით.

ხოლო სასულიერო ხელისუფლებას და თავის თავადებს, რომელიც იმ დროს იქ იყვნენ უბრძანა, წამოგვეყოლოდნენ ბინაზე ჩვენ, იქ ფიცის წიგნებზე ხელის მოსაწერად. მიტროპოლიტებმა, არქიეპისკოპოსებმა და თავადებმა, რომლებიც იმ დროს ქუთაისში იყვნენ ფიცის

წიგნზე ხელი მოაწერეს, ხოლო ალექსანდრე მეფის ფიცის წიგნი ზაქარია და დავით მიტროპოლიტებმა ძირითადადზე მიამაგრეს¹⁴.

ალექსანდრე მეფემ ფეშანგ მდივნის ხელით იმერეთის სახელმწიფოში არსებული ციხე-ქალაქების და მონასტრების სახელობითი სია გამოგვიგზავნა ელჩებს, ხოლო თავადების, აზნაურების მეთოფურების, ვაჭრების და მხვნელ-მთესველი ხალხის კი, საერთო ჯამის ნუსხა გადმოგვცა. ამ ნუსხის ღებანი და მისი თარგმანი ნიკიფორეს აქვს¹⁵.

ამ მუხლობრივ აღწერილობაში რომ მე, ალექსისა, ციხე-ქალაქების სია მაქვს, ის სეხნია გარსევანიშვილის და ბიძინა თარგმანის გამოკითხვის საფუძველზე შევადგინე. მათ მე ის ციხე-ქალაქები დამისახელეს, რომელშიაც ალექსანდრე მეფე დადის. აგრეთვე დამისახელეს ადგილობრივი მონასტრები და მეფის სადგომები, რომლებიც საგანგებოდ ნისთვის არის აგებული.

იმერეთის ქვეყნის ციხე-ქალაქების სია:

სატახტო ციხე-ქალაქი დიდი ქუთათისი, პატარა ქუთათისი, გელათი, სკანდა, შეუპოვარი, ხრეთი, კაცხი, შორაპანი, წერი (?), ჩხერი, სვერი, „უახაია“ (?), „სუისრი“ (?), „უარდი“ (?), საბეკა, ზნაყვა, კვარა, ზოტევი, მინდაციხე, სადმელი, დეხვირი, „აშეკაშ“ (?), ჭყვისი, ქვაციხე, ლაჯანა, ხარაგოული, „ბერეთისი“ (?), „ჩალათხა“ (?) მუხურა, ვარციხე, „ნამაშვ“ (?) მწყერისციხე, „სადცალი“ (?), ბოსლები, ჭალატყე, „შუპორი“ (?), საჩინო, გვიშტიბი, რაჭა, ვახანი, „ჩარალა“ (?), ხრეთი, საზანო, ციხე მაჭუტაური, „კუტარიზ“ (?), გეგუთი, ვარძია, ტაბაკინი, ხიდისკარი, საჩინო, „ხეტირ“ (?), ამბროლაური, ლეხიდირა, სხევა, „ალექსანდრუს“ (?), წესი, „ჟოტა“ (?), ღარი, ხრეთი, ჟოშხა, გელოვანები, საკეცე, „ამციტიი“ (?). ლეჩხუმი, „რონხატი“ (?) ძეგლევი, საკავო, შუბზანი, შაორი, ლებ-ჭიორა, თევრეშო, სორი. იმ ციხე-ქალაქებში განთქმული მონასტრებია და მეფე დედოფალი იქ პირადად დაბრძანდებიან.

იმათვე თქვეს, რომ ალექსანდრე მეფეს მცირე ციხეებიც ისეთები, რომლებშიაც ის არ დადის, ასამდე და მეტიც ექნებაო, თავადების ანუ ჩვენებურად რომ ვთქვათ ბოიარების და დიდი აზნაურების ციხესიმაგრეთა გარდა. მეფის იმ მცირე ციხეებში მეფის დანიშნული ციხისთავები ცხოვრობენ. (ზემოჩამოთვლილ) იმ ციხე-ქალაქებში, ადგილობრივი (ქართული აღნაგობის) შემდეგი მონასტრებია: ქუთათისში ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის (სახელობის) დიდი მონასტერია; სი-

¹⁴ რუსულ ტექსტში „на составе закрепили“ წერია, რას ნიშნავს, „на составе“ ლექსიკონებში არ ჩანს.

¹⁵ როგორც ქვემო სტრიქონებიდან ჩანს, ნიკიფორე ტოლოჩანოვმა ალექსი იველეუს ეს საბუთები არ ათხოვა.

მონ მიტროპოლიტის ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის (სახელობის) მონასტერი; ზაქარია მიტროპოლიტის ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის (სახელობის) გელათის მონასტერი; არქიეპისკოპოს გაბრიელის ცაგერის¹⁶ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის (სახელობის) მონასტერი; მთავარმოწამის გიორგის (სახელობის) საყდარი, არქიეპისკოპოსი სიმონი; ნიკოლოზ სასწაულმოქმედის (სახელობის) საყდარი, მიტროპოლიტი დავით; მეფისა და წინასწარმეტყველის დავითის (სახელობის) საყდარი, ეპისკოპოსი დომენტი; მთავარმოწამის გიორგის (სახელობის) საყდარი, ეპისკოპოსი კოსმა; იოანე ნათლისმცემლის (სახელობის) მონასტერი, არქიმანდრიტი სიმონი. იოანე ღვთისმეტყველის (სახელობის) მონასტერი, არქიმანდრიტი ანდრია; ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის (სახელობის) მონასტერი, არქიმანდრიტი არტიმონ; არქიდიაკონის სტეფანეს (სახელობის) მონასტერი, არქიმანდრიტი დიმიტრი; ყოვლადმოწყალე მაცხოვრის (სახელობის) მონასტერი, არქიმანდრიტი გაბრიელი; ღვიძლძმათა დავით და კონსტანტინეს (სახელობის) მონასტერი. არქიმანდრიტი სიმონი; ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის (სახელობის) მონასტერი, ქუთათისში, არქიმანდრიტი გრიგოლ; მთავარმოწამის გიორგის (სახელობის) მონასტერი ქუთათისში, ილუმენი დავით.

ამაღლების (სახელობის) მონასტერი, ილუმენი სიმონ; გიორგის (სახელობის) მონასტერი საჩინოში, ილუმენი სიმონ; ფერისცვალების (სახელობის) მონასტერი „წყალთაშუაში“ (?)¹⁷, ილუმენი იოსები. მიქელ და გაბრიელ მთავარ ანგელოზთა (სახელობის) მონასტერი, ილუმენი სიმონ; ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის (სახელობის) მონასტერი „არზისში“ (?), ილუმენი ფილიპე; მირონის მონასტერი, სადაც მირონს ამზადებენ, ილუმენი ნიკოლოზ; ყოვლად მოწყალე მაცხოვრის (სახელობის) მონასტერი „გუმში“ (?), ილუმენი ზაქარია; მთავარმოწამის გიორგის (სახელობის) მონასტერი გეგუთში, ილუმენი თეოდოსე.

ამასთანავე ისიც გვითხრეს, რომ ის მონასტრები და საყდრები ძალიან კარგებიანო. კიდევ ისიც თქვეს, რომ ალექსანდრე მეფის სხვა ციხე ქალაქებში, აგრეთვე თავადებისა და დიდი აზნაურების კუთვნილ მცირე ციხე-გალავნებშიაც კიდევ ხუთასამდე მონასტერი იქნებაო.

მათვე ასეთი ცნობა მოგვაწოდეს, რომ ალექსანდრე მეფეს თავა-

¹⁶ რუსულ ტექსტში ცაგერის ნაცვლად შეცდომით „Герелиса“ წერია. დაწერილი უნდა ყოფილიყო: გაბრიელ ცაგერელი.

¹⁷ რუსულ ტექსტში წერია „Скопашевая“. გახუმტი ბაგრატიონს „წყალთაშუა“-ს სახელწოდებით ადგილი დასახელებული აქვს, მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოში. გაურკვეველი რჩება აქ რომელი ადგილის სახელწოდებაა დამახინჯებული.

დები და დარბაზის ერნი, რუსულად ბოიარები, ასი კაცი ჰყავსო. ამ თავადებს თავიანთ მანულებში მიწებზე მეფის წვრილი აზნაურები ჰყავს დასახლებულიო, ზოგს ხუთი აზნაური, ზოგს ათი, ზოგს ოცი, ზოგს ოცდაათი და ორმოცდაათიც, ყოველ თავადს ასე ჰყავს და მათთან ცხოვრობენ. ხოლო, როცა მეფე ლაშქრად მიდის, თავადები, იმ მეფის აზნაურების თანხლებით, რომელნიც ამ თავადების მამულებში არიან დასახლებულნი. მეფის ჯარის შემადგენლობაში შედიან ყველა და მეფის ლაშქრობის (სამსახურის) გარდა, სხვაგან არსად არ დადიანო.

იმ თავადებს, ანუ ბოიარებს, თავისი ხალხიც ყავს მოწყობილი. რომელნიც ლაშქრად (სამსახურად) უნდა გაჰყვინენ მათ, მეთოფურები. ასევე ზოგს ხუთი კაცი, ათი კაცი, ოცდაათი და ორმოცდაათი. წყალობას ამათ ის თავადები მიუბოძებენ ვისთანაც ცხოვრობენ და ყველა ესენი მეფესთან არიან ლაშქარში.

თავადებს, მეფის წყალობის სახით, საკარგავათ ბოძებულ მიწებსა და მამულებში გლეხები ჰყავთ დასახლებული, ზოგს ხუთასი კომლი, ზოგს ათასი კომლი, ორი ათასი, სამი ათასი, ხუთი ათასი და მეტიც.

მეფის წყალობაზე მყოფი მოსაკარგავე და მემამულე ტახტის აზნაურები და მოლაშქრე წვრილი აზნაურები, სიით ათას ასი კაცია. ამ აზნაურებს მეფის მეთოფურები, რუსულად სტრელცები, თავის, აზნაურის წყალობაზე ჰყავთ, ზოგს ხუთი კაცი, ზოგს ათ-ათი კაცი, ზოგს ოც-ოციც და მეტიც. ესენი მეთოფურნი ლაშქრად მეფესთან გადიან აზნაურებთან ერთად.

ხელმწიფის წყალობაზე მყოფი მეთოფურები სამი ათასი კაცია. ეს მეთოფურები სამსახურის დროს მეფის სასახლის გარშემო არიან (დაბანაკებულნი).

მეფის კუთვნილი, ციხე-ქალაქის გარეუბნელი მცხოვრებნი, ვაჭრები, შავი ხალხი და სხვა მცხოვრებნი სამოცი ათასამდე იქნება. გარდა თავადებისა და აზნაურების ხელქვეით მყოფი და კუთვნილი გლეხებისა, აგრეთვე რაიონებში მცხოვრებ მეფის გლეხებისა, როდესაც ლაშქრის დიდი შეყრილობა არის მაშინ თავადები, ტახტის აზნაურები, თავადების მამულებში დასახლებული აზნაურები და მეთოფურები ორმოცი ათასამდე და მეტიც შეიკრიბება. ციხე-სიმაგრეები ერთ-ერთზე დაცილებულია ხუთი ვერსით, ათით, თხუთმეტით, ოცით, ოცდაათით და მეტითაც. ციხეები მაგარ და მაღალ ადგილებზეა. მთებზე, მთებს შორის მდინარეებთან ახლოს ანდა იქ, სადაც წყაროებია, იქ არის აგებული.

სოფლები და დაბები, აგრეთვე თვით სოფლებსა და დაბებში სახლები, ერთი მეორისაგან შორიშორს არიან დაცილებულები: გაფანტულია ბორცვებზე, დაბლობებზე მთებს შორის და მთებზედაც. სადაც წყაროებია, მათი დასახლება იქ არის და სახნავ-სათესიც. მხოლოდ ნიჯრით ერთად კი არ არიან დასახლებულები, არამედ ორი, სამი, ათი და ოც-ოცი კომლი და ესენიც ერთმანეთისაგან ერთი ისრის ტყორცნის მანძილით არიან დაშორებულები. ყოველ ეზოს გარშემორტყმული აქვს ყოველგვარი ხილეული და ვაზი, ისე გეგონება ტყეში ცხოვრობენ, არც კი მოჩანს.

საყანეს სახნისით ხნავენ ან თოხებით (თუ ბარით?)¹⁸ ამუშავენ. პურეულთაგან მათ ხორბალი აქვთ, აგრეთვე ასლი, ქერი, ფეტვი, ქვრი-მა, კანაფი, ლობიო, მუხუდო (ოქროს-ცერცვა) დიკა.

პურს ზაფხულში ორჯერ იღებენ. ხეხილი აუარებელი აქვთ: ვაშლები, მსხლები, ფულაბი მსხალი, კომშები, ქლიავები, ალუბლები, თუთა, შვინდი, კაკლები, ღვინის ვაზები. აგრეთვე ყოველგვარი ტყის ხილი აქვთ, ყოლო, მოცხარი და მყვალნი მრავალია. მათ ტყეებში ისეთივე ხეებია როგორც რუსეთში. ფიჭვი, ნაძვი, არყის ხე, მუხა, თელა, კობიტი. ჭნავი, ცაცხვი, ტირიფი, რუსეთის ყოველგვარ ხეს ნახავთ, მიწაც ძალიან ნაყოფიერია, მხოლოდ ვიწრო ადგილია, მთებს შორის მოქცეული. იქ დიდი მდინარეებია: რიონი მდინარე მოსკვას ოლენა. მხოლოდ სწრაფია და ნაოსნობა არ შეიძლება, ინიტომ, რომ მთიდან მოექანება.

მეორე მდინარე ყვირილაა, გურიელის ქვეყნიდან გამოდის მთებს შორის, და ქუთაისის მახლობლად ერთვის რიონს, ქუთაისიდან ექვსი ევრსტის დაშორებით. შავი ზღვიდან რიონით, ამ მდინარე ყვირილას რიონის შესართავამდე, ნიჩბიანი ნავეები მოდის, ქუთაისამდე შვიდი ევრსტის დაშორებით აღწევს, შექმდე ვერ მიდის ნავი რიონში არსებული კორომების გამო. მდინარეებში თევზი ცოტაა, იმიტომ რომ ჩქარი დინება აქვთ. თევზი ზღვიდან მოაქვთ: ზუთხი, ფორეჯი, თართი და სხვა თეთრი თევზი. მცირე მდინარე — დეღეები მრავალია.

ქუთაისიდან სადადიანოს საზღვრამდე ცხენით ნახევარი დღის სავალია. ხოლო შავ ზღვამდე მდინარე რიონით და ხმელეთით ორი დღის სავალია. ქუთაისში ვაჭრები თურქეთიდან, სპარსეთიდან, აზოვიდან, თბილისიდან, გურიიდან, სამეგრელოდან ყოველგვარი საქონლით მოდიან, სხვადასხვა ხალხი თურქები, ებრაელები. სპარსელები, სომხები, აზოველები და მოაქვთ ირანული ხავერდები. ატლასება.

¹⁸ დედანში „копьями“ წერია.

აბრეშუმის ქსოვილები, აბრეშუმის ზოლებიანი ქსოვილები, ყალბ-ქარი და ყოველგვარი თეთრი თუ ფერადი ფარჩა. მხოლოდ რუსეთზე უფრო იაფი არ არის. იქაურ ფულზე ჰყიდიან, ოქროს მონეტაზე, ეფიშკებზე (ტალერებზე) აბაზებზე და ბისტებზე. ოქროს ფული სავაჭრო მიმოქცევაში არის, მანეთად გადის, ეფიშკა ათშაურად, აბაზი ორ-ორ-შაურიანად (ორი გრივნა), ბისტ-კაპეიკად (გროშად).

იმერეთში და სადადიანოში ყაჭი (მეაბრეშუმეობა) ყველა ქალაქ-შია გავრცელებული და ყოველი ადამიანი თავისას ჰყიდის ვის როგორც შეუძლია. ყაჭი იაფია, ფუთს თექვსმეტ ან ჩვიდმეტ ოქროთ იყიდის და იმერეთიდან მისი გადმოტანა მთებზე ადამიანს ფეხით შეუძლია.

უცეცხლო თაფლი უზომოდ იაფია, რუსული ფუთი აბაზად და ნაკლებადაც შეიძლება იყიდო, აბაზი ორ ჩვენ გრივნას უდრის.

მათ ქვეყანაში აუარებელი თახვი და წავია, წაბლის ფერი და ყვითელი მელიებია, ფოცხვერები, ირმები, ცხენფირები¹⁹, თხები, ღორები²⁰ და კამეჩებია.

რაც შეეხება შინაურ საქონელს, ცხენებს, ძროხებს, ცხვრებს, ღორებს და ასეთ პირუტყვებს მათ მრავალი ჰყავთ.

ჩვენ, ელჩები ნიკიფორე მათეს ძე ტოლოჩანოვი და მდივანი ალექსი იევლევი ხელმწიფის ხალხითურთ იმერეთიდან 10 ოქტომბერს დილით წამოვედით და ციხე სკანდის მახლობლად ღამე გავათინეთ. სკანდიდან ჩვენ მეფის სოფლებზე გავგატარეს, სადაც მეფეს სანადირო და მხეცების მოსარეკი ადგილები აქვს.

15 ოქტომბერს ნიკიფორე და ალექსი ალექსანდრე მეფის თავადთან მივედით. რუსულად რომ ვთქვათ ბოიართან, ქაიხოსროსთან, ალექსანდრე მეფის ბრძანებით შეხვედრა მოგვიწყო, საში ვერსტიან წინ აზნაურები შემოგვაგება, მათ შემდეგ თვით ქაიხოსრო და არქიეპისკოპოსი სიმონი შემოგვეგებნენ თავის სოფლიდან ასე ერთი ვერსტის დაშორებით. თვით ქაიხოსრო აზნაურების თანხლებით იყო, გამოწყობილი, ოქრო-ვერცხლით მორთულეები საუკეთესო ცხენებზე. ელჩები სადილზე მიგვიპატიუა. ჩვენც მასთან ვისადილეთ. სადილზე სიმონ არქიეპისკოპოსიც იყო. სუფრაზე ყველაფერი წესრიგით და ღირსეულად იყო. ჩვენი სტუმრობა სასიამოვნოდ დარჩათ. სადილის შემდეგ ჩვენ ელჩებმა ქაიხოსროს მოვახსენეთ, რომ მას ფიცის წიგნზე

¹⁹ დედანში „тоис“ წერია. მაგრამ ეს ცხოველი ჩრდილოეთშია დღეს გავრცელებული და იევლევს შეცდომით უნდა ჰყავდეს დასახელებული.

²⁰ აქ უნდა იგულისხმებოდეს გარეული ღორი.

ხელი უნდა მოეწერა. ქაიხოსრომ გვითხრა რომ ალექსანდრე მეფის წინადადებით მისი უდიდებულესობის ბრძანებას შევასრულებო, და მართლაც ფიცის წიგნს ხელი მოაწერა და ელჩებიც პატივისცემით გაგვისტუმრა.

16 ოქტომბერს ელჩები ალექსანდრე მეფის თავადთან პაპუნა ერისთავთან მივედით. ალექსანდრე მეფესთან ეს ურისთავი პირველი ხარისხის თავადი და პატიოსანი კაცია. ელჩებს თავის მამულიდან ერთი ვერსტის დაშორებით შემოგვეგება და სადილზე მიგვიწვია. ჩვენ ულჩებმა, ნიკიფორე და ალექსიმ, აგრეთვე ალექსანდრე მეფის ელჩმა ლომკაცმა ჯათარიძემ ერისთავთან ვისადილეთ. აქაც სუფრაზე ყველაფერი წესრიგით და ღირსეულად იყო, ჩვენი სტუმრობაც სასიამოვნოდ დარჩათ. სადილის შემდეგ ნიკიფორემ და ალექსიმ ფიცის წიგნი მივართეთ და ხელის მოწერა შევთავაზეთ. ერისთავმა გვიპასუხა, რომ ალექსანდრე მეფის წინადადებით სახელმწიფო საქმეს სრულყოფო, ეს საქმე დიდი და საღვთო საქმეაო. ჩვენ ეს საქმე ყველას გაგვიხარდაო, ღმერთმა მართლმორწმუნე ხელმწიფე გვიბოძაო. აბუთსაც ხელი მოაწერა. ჩვენ ელჩები, ნიკიფორე და ალექსი პატივით გაგვისტუმრა და ხუთი ვერსტის მანძილზე პირადად გამოგვაცილა.

17 ოქტომბერს ელჩები ლომკაც ჯათარიძის სოფელში მივედით. სოფელში მისვლამდე ელჩებს ამ ლომკაცის ძმა სიმონ არქიეპისკოპოსი შემოგვეგება, მას თან მრავალი აზნაური ახლდა. იმ დღეს ლომკაცთან ვისადილეთ და ფიცის წიგნზე არქიეპისკოპოსმა, ლომკაცმა და აზნაურებმა ხელი მოაწერეს. სადილის შემდეგ ელჩები გაგვისტუმრეს და გაგვაცილეს.

18 ოქტომბერს სოფელ მთათმყრელში მივედით, სოფელში მიქელ მთავარანგელოზის სახელობის საყდარია. ამ საყდარში დინარ (თამარ?) დედოფლის თმები ასვენია. გვიამბეს, რომ ეს თმები ავადმყოფებს ჰკურნავს და ცოდვებსაც მიუტევენ.

19 ოქტომბერს ელჩები გიორგი „ყანჩელთან“ მივედით. ელჩებს რომ მოუტრავად გვყავდა, და სოფელში მასთან გავათიეთ ღამე. აქედან წავედით ელჩები და თოვლიანი მთების ძირას მივედით 20 ოქტომბერს და ღამე ამ თოვლიანი მთების ძირას გავათიეთ.

21 ოქტომბერს ნიკიფორე და ალექსი დილიდან შევუდექით თოვლიანი მთებს გადასასვლელად. მაგრამ იმ დღეს ნიკიფორემ ეს მთები ვერ გადაიარა და ღამე მთის შუა წელზე გაათია. მე ალექსიმ და ლომკაცმა და არქიმანდრიტმა დიდის გაჭირვებით და მონღოლებით გადავედით გვიან დაღამებულში.

23 ოქტომბერს, ელჩები, თოვლიანი მთების გადასვლის შემდეგ.

ბალყარეთში მივედით და ალექსანდრე მეფის აზნაურები, ჩვენი, ელჩების მოურავები, მამუკა და გიორგი „ყანჩელი“ დავითხოვეთ და ალექსანდრე მეფესთან ჯავამგზავრეთ. ამათ ჩვენ დავავალეთ ალექსანდრე მეფისათვის მადლობა მოეხსენებინათ მის მეფურ მოწყალე-ბაზე და თავის დაკვრა გადაეცათ ჩვენგან.

29 ოქტომბერს ბალყარეთიდან ელჩები ანზორის ყაბარდოში ზაზარუყვა მურზასთან მივედით. სამი კვირა მათ სოფლებში ვცხოვრობდით, რადგანაც თარლუს ჯარი სუნჯის ციხეს შემოდგომოდა. ამ ხნის განმავლობაში თვით ზაზარუყვაც იმ ყუმუხელების ჯარში იმყოფებოდა.

20 ნოემბერს, ზაზარუყვას სოფლებიდან თერგის ციხისაკენ გავემგზავრეთ. ზაზარუყვა მურზამ ჩვენ კაზაკების სიმაგრეებამდე მშვილობით მიგვაცილა თავისი ძმების თანხლებით.

30 ნოემბერს ჩვენ და იმერეთის ელჩები თერგზე მივედით. თერგელმა ვოევოდებმა, ვასილ ვოლინსკიმ და მისმა თანაშემწეებმა, იმერეთის ელჩებს შესაგებებლად ხიდის იქით თერგელ მეთოფურთა მეთაური „გონი“ გოლიკოვი გამოგზავნა, იმ მომენტში ციხის გალავანში ჩამწყკრივებული ქვეითი მეთოფურები იდგნენ თოფით, ხიდის ალყაფის კარებიდან ელჩების მისაღებ სახლამდე, ნახევარი ვერსტის სიგრძეზე.

თერგიდან იმერეთის ელჩები და მე, ალექსი იევლევი, თერგელმა ვოევოდებმა ნაევბით გაგვამგზავრეს; ხოლო ნიკიფორეს გაუწყვეა იალქნიანი ხომალდი მთლიანად. გაგვისტუმრეს თერგიდან 7 მარტს. დიდი მარხვის პირველი კვირის კვირა დღეს. ვოლგის შესართავთან 14 მარტს მივალწიეთ. ასტრახანში კი ჩვენ ნიკიფორე და ალექსიმ, 23 მარტს მივცურეთ, იმერეთის ელჩები კი ხარება დღეს მოვიდნენ. ბოიარმა, თავადმა მიხეილ პეტრეს ძე პრონსკიმ, თავის თანაშემწეებით იმერეთის ელჩებს შეხვედრა მოუწყვეს 26 მარტს. შეხვედრაზე აზნაურები იყვნენ, მეთოფურთა მეთაურები, ბოიართა წულები, მურზები და გარეუბნელები. ცხენებზე და სამსახურის ტანსაცმელში გამოწყობილნი. მეთოფურები ჩამწყკრივებულები იდგნენ, ნაევბის მისადგომებიდან დაწყებული ელჩების სადგომამდე, ქუჩის ორივე მხარეზე თოფებით. შეხვედრა ძალიან წესრიგიანი იყო, თვით ბოიარი, თანაშემწეებითურთ, ვასილ შორინის ბელელში იდგნენ და იქედან იცქირებოდნენ.

პახომი არქიეპისკოპოსმა და ბოიარმა, თავადმა მიხეილ პეტრეს ძე პრონსკიმ, იმერეთის ელჩებს საჰმელეები გაუგზავნეს სადილისათვის. საჰმელეები მიართვეს პურეულის, ხილის ტკბილის კეკრები და ხილი, დვინო (არაყი) და სხვა სასმელები. თევზეული არ გაუგზავნიათ, რაკი მარხვა იყო.

ამის შემდეგ, კვირა დღეს პახომი არქიეპისკოპოსმა ელჩებს კაცი გაუგზავნა. ელჩები საკრებულო საყდარში მიიწვია წირვაზე. ელჩები იყვნენ და წირვა მოისმინეს. წირვის შემდეგ არქიეპისკოპოსმა ელჩებს ჭვარი გადასახა და სეფის კვერით აყურთა. ელჩებს საკრებულო ტაძარში მოსასვლელად, ბოიარმა და არქიეპისკოპოსმა თავისი საკუთარი ცხენები გაუგზავნეს. ბოიარმა ბრძანება გასცა ელჩების ქალაქში განოსვლის დროს ხალხი მწკრივში ჩამდგარიყო გზაზე უთოფოდ.

ასტრახანიდან თავადმა მიხეილ პეტრეს ძე პრონსკიმ თავის თანამემწეებით ჩვენ და იმერეთის ელჩები 19 აპრილს გავვისტუმრეს კაიუტიანი ხომალდებით.

ყაზანში ივლისის 22 მივცურეთ ჩვენ და იმერეთის ელჩებმა. იქ თავადმა ნიკიტა ივანეს ძე ოდოევსკიმ და თავადმა ბორის ივანეს ძე ტროეკუროვმა ელჩები მოგვიკითხეს და სადილზე მიწვევის ნაცვლად საკმელები გამოგვიგზავნეს, დეკეულები, ცხვრები და სასმელები.

ყაზანიდან კი იმავე ხომალდებით მოსკოვისაკენ გავემართეთ 25 ივლისს.

(ყოფ. სინოდალური ბიბლიოთეკა, მოსკოვის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება, ხელნაწ. № 51).

იმერეთის მეფის ალექსანდრე III მიერ, 1651 წლის 9 ოქტომბერს, ხელმოწერილი რუსული ფიცის წიგნის თარგმანი

ვემთხვევი ამ წმიდა ცხოველმყოფელ ჭვარს უფლისას (და ვფიცავ) დიდი ხელმწიფის და დიდი მთავრის, სრულიად რუსეთის მეფის ალექსი მიხეილის-ძისა და მისი უდიდებულესობის შვილთა წინაშე მე, ალექსანდრე მეფე, უფროსი იმერეთის ქვეყნისა, შვილით ჩემით ბაგრატ ბატონიშვილითურთ და ძმით ჩემით მამუკა ბატონიშვილითურთ, აგრეთვე თეთრი სამღვდელთაგანთა: მაქსიმე კათალიკოსი, სიმონ ბიტროპოლიტი, ზაქარია ბიტროპოლიტი, გაბრიელ არქიეპისკოპოსი, სიმონ არქიეპისკოპოსი, დავით არქიეპისკოპოსი, დომენტი ეპისკოპოსი, კოსმა ეპისკოპოსი, ვასილ არქიმანდრიტი, ანდრია არქიმანდრიტი, ევდემონ არქიმანდრიტი, დიმიტრი არქიმანდრიტი, გაბრიელ არქიმანდრიტი, სიმონ არქიმანდრიტი, გრიგოლ არქიმანდრიტი, დავით ილუმენი, სიმონ ილუმენი, სიმონ ილუმენი, იოსებ ილუმენი, სიმონ ილუმენი, ფილიპე ილუმენი, ნიკოლოზ ილუმენი, სიმონ ილუმენი, ზაქარია ილუმენი, თეოდოსე ილუმენი და თავადები, რუსულად ბოიარები, და მეფის უმანლობეოესი პირები: პაპუნა ერისთავი, თეიმურაზ ციხისთავი, ზურაბ სახლთუხუცესი, ჩიჯავაძე საზღვრელი, აბაშიძე პაატა, იშვილი

ქაიხოსრო, ჭილაძე კაკუტა, ბოქაულთხუცესი ფარემუზი, ხეიძე პაპუნა, ჩხეიძე ლევან, აბაშიძე ბააკა, ჩერქეზი გიორგი, აბაშიძე ქაიხოსრო, ინასარიძე ქაიხოსრო, ლორთქიფანიძე ოტია, ჯაფარიძე „კანსა“ (ყანწა?), საყვარელიძე გიორგი, ჯაფარიძე ლომკაცი, ხეიძე ფირან, ჯაფარიძე ქველი, წულუკიძე გიორგი, კვიციანი ბერუკა, იაშვილი კაცია, ჯაფარიძე გიორგი, კიდევე¹ იაშვილი კაცია, ლოლობერიძე ფაცია (თუ პაწია?), ნიქარაძე გიორგი, ხეიძე ხოსია, ნიქარაძე ბაადურ, აბაშიძე კაცია, ხეიძე იამალი, საყვარელიძე გიორგი, ხეიძე ხოსია, ამილახვარი ფარსადან, აბაშიძე გიორგი, ამირეჯი ქაიხოსრო, ლომინაძე ვახტანგ, ლაღანიძე გიორგი, წერეთელი დავით, წერეთელი ზაალ, წერეთელი ქაიხოსრო, აბაშიძე ბერუკა, აბაშიძე გიორგი, ფალავანდიშვილი შიოშ, აბაშიძე შიოშ, აბაშიძე გოშია, საყვარელიძე გიორგი, ლასხიშვილი ხოსია, ჯაფარიძე მამუკა, დარბაზის მდივანი ფეშანგი „ამირევი“ და (ვფიცავ) სრულიად იმერეთის ქვეყნის შაგივრად, იმაზედ, რომ მე... მის უდიდებულესობასთან, სრულიად რუსეთის მეფესთან, ალექსი მიხეილის თესთან გავგზავნე ჩემი ელჩები ვასილ ილუმენი და თანაშემწე მისი დავით შესახვედრებლად, რათა დიდ ხელმწიფეს... მეფეს ალექსი მიხეილის ძეს სრულიად რუსეთისას... მე ალექსანდრე მეფე და სრულიად იმერეთის ქვეყანა შევეწყალებინე და ვყოლოდი თავის მეფურ მაღალ ხელისა და სახელის ქვეშ მფარველობაში და მისი მეფური ხელებისაგან არ მოვწყვეტიე. და დიდმა ხელმწიფემ... ალექსი მიხეილის ძემ... წემიწყალა მე და მთელი ჩემი იმერეთის ქვეყანა თავის მეფურ მაღალ ხელის ქვეშ მფარველობაში მიმიღო (ამიყვანა). მე, ალექსანდრე მეფე კი (ვფიცავ), რომ ჩემი შვილები ბაგრატ ბატონიშვილი, ჩემი ძმა მამუკა ბატონიშვილი და მთელი ჩემი იმერეთის ქვეყანა ვიყოთ დიდი ხელმწიფის... და მისი შვილების მაღალი ხელის ქვეშ და მისაგან დიდი ხელმწიფისაგან, მეფისაგან და დიდი მთავრისაგან, ალექსი მიხეილის ძისაგან და მისი უდიდებულესობის შვილებისაგან ვიყვეთ განუშორებლად. მე, ჩემმა შვილებმა და ჩემმა ძმამ და სრულიად იმერეთის ქვეყანამ, დიდი ხელმწიფისათვის... და მისი უდიდებულესობის შვილებისათვის სიავე არცა ვისურვოთ და არცა ჭავიფიქროთ და დიდ ხელმწიფეს... და მის უდიდებულესობის შვილებს არ ჩამოვცილდე და სხვასაც არავის არ მივუვიდე და ჩემი ხალხი დასახმა-

¹ როგორც ჩანს, იაშვილი კაცია, რაკი მეორეჯერ განმეორდა, რუსი მდივანი დაეკვებულა და მას ქართულად განუმარტეს, რომ ეს კაცია იაშვილი მეორე პიროვნებაა და უნდა ჩაიწეროსო. მაგრამ რუსისათვის ეს განმარტება გაუგებარი ყოფილა და სიტყვა „კიდევე“ თან დაურთავს კაცია ჯაფარიძის წინ, ქართული „კიდევე“ შათ სახელი ჰგონებიათ.

რებლად დიდი ხელმწიფისა... და მისი შვილების სამფლობელოებზე საწინააღმდეგოდ არც ერთ ადგილზე არავის არ ვაუჯგავნო. დიდი ხელმწიფის... და მისი შვილების მეგობრების მეგობარი ვიყვე, ხოლო მტრების მტერი. და ვინც დიდი ხელმწიფის... და მისი შვილების მეგობარი იქნება, ის ჩემთვისაც, ალექსანდრე მეფისათვისაც, მეგობარი იქნება. ასევე, ვინც დიდი ხელმწიფის... და მისი შვილების მტერი იქნება, ის ჩემი, ალექსანდრე მეფისთვისაც, მტერი იქნება. და თუ იმერეთის ქვეყნიდან ჩემი კაცები ხელმწიფის კაცებისათვის, რომელნიც ციხე-სიმაგრეებში იქნებიან თერგზე ან ასტრახანში, ან სხვა სიმაგრეებში, სიავეს განიზრახავენ და იმ ციხე-ქალაქებში იყაჩაღებენ ან სხვა რაიმე ლალატს ჩაიდენენ, იმ ჩემი იმერეთის ქვეყნის კაცების დანაშაული მე გამოვიძიო, დამნაშავენი დავსაჯო და მოძავალშიაც (ასეთები) ყაჩაღობისაგან (ბოროტმოქმედებისაგან) განვარიდო. და დავთვე მე, ჩემი შვილები და ჩემი ძნა, მთელი იმერეთის ქვეყნით დიდი ხელმწიფისა და მეფის... ალექსი მიხეილის ძის და მისი შვილების მბრძანებლობაში და ამ ხელმწიფეებს არ ჩამოვცილდე არავითარი ჩვეულებით და ადათით, არცა არავითარი ცბიერობით და მოხერხებით და ყველაფერში სიმართლით ვიყვე მათ წინაშე და მათი ზიკეთე ვისურვო ამ ფიცის წიგნის შესაბამისად ჩემი სიცოცხლის მანძილზე.

ბექედი და ხელრთვანი დედანში ქართულ ენაზეა
ქუთაისისა: და პალიასტომისა: ყოვლად: წმიდისა:

მიტროპოლიტი სვიმეონ:

ქუთათელი. ქ: გელათის: მიტროპოლიტი: ზაქარია გენათელი:

ცაგერისა: ყოვლად წმიდისა: არქიეპისკოპოსი: გაბრიელ:

ცაგერელი მთავარ ებისკოპოსი სუიმონ.

არქიეპისკოპოსი ნიკორწმინდელი: დავით: ნიკორწმინდელი:

კოზმან: კოზმანი: ეფესკობოზ:

არქიმანდრიტი: ბასილი:

არქიმანდრიტი: სვიმონ

ყოვლად: წმიდისა: ღთის: მშობელის: არქიმანდრიტი: ევდემონ:
ევდემონ.

ქ: ერისთავი: პაპუნა:

ქ: ქაიხოსრო: ქაიხოსრო: () იაშვილი:

ქ: მორალეთ: უხუცესი: ლომკაცი: ლომკაცი:

ფეშანგი

1652 წ. ივნისის 28. ასტრახანის ვოევოდის, თავად მიხეილ პრონსკის, მოხსენებითი ბარათი მეფე ალექსი მიხეილის ძისადმი, იმერე-

თიდან მიღებულ, თეიმურაზ I წერილების მოსკოვში გადაგზავნის შესახებ.

ხელმწიფევ და მეფეო, დიღო მთავარო ალექსი მიხეილის ძეკ სრულიად რუსეთისაო. მონა შენი მიშკა პრონსკი თავს გიყრავს. ხელმწიფეო ამა 160 წელს¹ ივლისის 25 დღეს, თერგიდან შენს მონას წერილი მომწერეს სუფრაჟმა და ვოევოდამ, ვასილ ვოლინსკიმ, თავის თანაშემწეებით. 10 ივლისს თერგის ციხე-სიმაგრეში ნიკიფორე ტოლოჩანოვის კაცი სტენკა რუდნევი ჩამოვიდა იმერეთიდან და გამოკითხვის დროს ასე გვიამბო: როცა ნიკიფორე ტოლოჩანოვი ალექსანდრე მეფესთან იყო, ის სტენკაც მას თან ახლდა, მაგრამ ავადმყოფობის გამო (ნიკიფორეს) სტენკა იმერეთში დაეტოვებინა, და ის იმერეთში დიდხანს წოლილიყო ავადმყოფი, ზაქარია მიტროპოლიტის მონასტერში. და როდესაც ის მომჯობინდა ალექსანდრე მეფემ, მისი, თავის სასახლეში გადაყვანა ბრძანა. და მას აქ აკმევდნენ და ასმევდნენ, სანამ გამოამგზავრებდნენ. როდესაც თეიმურაზ მეფემ თერგის ციხე ქალაქში თავისი შიკრიკი პაპუნა და თარჯიმანი გამოგზავნა, ამან. სტენკამ, ალექსანდრე მეფეს თავყვანისცემით შეევედრა, რათა მას ბრძანება გაეცა სტენკას, თერგის ციხე-ქალაქში, შიკრიკთან ერთად, გამგზავრების შესახებ. თეიმურაზ მეფემაც მისი განტყევების შესახებ უბრძანა. სტენკამ მათ, ვასილისა და მის თანაშემწეებს ორი ქართულ ენაზე დაწერილი ფურცელი მოგვართვა და თანაც დასძინა, რომ ის წერილები მას ალექსანდრე მეფემ გამოატანა და უბრძანა: ერთი წერილი მოსკოვში გაგზავნილ მისი ელჩებისათვის გადაეცა, ხოლო მეორე ფურცელი ნიკიფორე ტოლოჩანოვისათვის მიერთმია. ნიკიფორესათვის ეს წერილი საგარეო საქმეთა საგანგეოში უნდა გადაეცათ. იმათ, ვასილმა და მისმა თანაშემწეებმა, ის წერილები ცალკე ფურცელში ჩადვეს და თერგის ციხე-სიმაგრის სახელმწიფო ბეჭდით დაბეჭდილი გამოგზავნეს და ის სტენკაც თერგიდან ასტრახანში გამოუშვეს, ჩემთან, შენს მონა-მორჩილთან. ხოლო ქართული წერილები, ხელმწიფეო, სუფრაჟმა და ვოევოდამ, ვასილ ვოლინსკიმ, თანაშემწეებით. ჩემთან, შენს მონა-მორჩილთან რომ გადმოგზავნეს, ჩვენ ისევ ფურცელში ჩავდეთ და შენი ასტრახანის სამეფო ბეჭდით დაბეჭდილი შენ. ხელმწიფეს, გადმოგიგზავნე მე შენმა მონა-მორჩილმა. ხოლო ნიკიფორეს კაცი, სტენკა, ასტრახანელ მეთოფურთა ასისტანთან, გრიგოლ ესიპოვთან ერთად ივლისის 28 გამოუშვეთ. ამასთანავე უბრძანე ამ მიწერილობისა და (იმქართულ) წერილების მორთმევა, ხოლო იმ სტენკას (იმერეთიდან დაბრუნების შესახებ) საგარეო საქ-

¹ აქ წელიწადი ნაანგარიშეგია ქვეყნის გაჩენიდან (7160). მაგრამ შემოკლებით არის წელი მოხსენებული, ჩვენი დროით ივლისსხება 1652 წლის 28 ივნისი.

მეტა საგანგოში გამოცხადება, სათათბიროს მდივანს მიხეილ ვოლო-
შენინოვს, აღმაზ ივანოვს და ანდრია ნუშიროვს ევალუბა.

მეორე გვერდზე მინაწერი და შენიშვნაა: „ხელმწიფე და მეფე
დიდი მთავარი ალექსი მიხეილის ძე სრულიად რუსეთისა 161 წ.
სექტემბრად 9 ასტრახანელ მეთოფურითურთ, ივანიკა სტეფანოვი-
თურთ“. აქვე მდივნის აღმაზ ივანოვის ხელით მინაწერია გაკეთებუ-
ლი: „წერილები გამოერთვას და გადასათარგმნელად ბრძანება გაიცეს“.

(ფონდი „Дела Грузинские“. 1652 წ. სექტ. — 1653 წ., № 4 ფურცელი
3--5).

1652 წ. აგვისტოს 15. ნიკიფორე ტოლოჩანოვისა და ალექსი
იველევის წერილი რუსეთის მეფისადმი, ალექსი მიხეილის ძისადმი,
იმერეთიდან ალექსანდრე მეფის ელჩების თანხლებით, მათი ნიუნი-ნოვ-
გოროდამდე მოსვლის შესახებ.

ხელმწიფე მეფეო და დიდო მთავარო ალექსი მიხეილის ძე, სრუ-
ლიად რუსეთისაო. შენი მონები ნიკიფორიკო ტოლოჩანოვი და ალი-
ოშკა იველევი თავს გიყრავთ. შენი, ხელმწიფე-მეფის... ალექსი მიხე-
ილის ძის..., ბრძანებულებით, მონები შენი, ხელმწიფის სამსახურის
გამო, იმერეთის ქვეყანაში, ალექსანდრე მეფესთან ვიყავით. ალექსან-
დრე მეფემ შენი მონები იმერეთის ქვეყნიდან გამოგვისტუმრა და
ჩვენთან, შენს მონებთან ერთად, თავისი ელჩებიც გამოამგზავრა. და
ჩვენ, მონები შენი, იმერეთის ელჩებთან ერთად, მარტის 23 ასტრა-
ხანში მოვედით. ასტრახანიდან, ხელმწიფეო, ჩვენ იმერეთის ელჩებთან
ერთად, შენმა ბოიარებმა და ვოევოდამ, თავად მიხეილ პეტრეს ძე
პრონსკიმ თანაშემწეებით, ვიატკურ ხომალდით აპრილის 19 გამოგ-
ვამგზავრეს და ჩვენ, შენმა მონებმა, სარატოვამდე 12 ივნისს მოვალ-
წიეთ. სარატოვიდან ჩვენ, შენმა მონებმა, შენ, ხელმწიფეს და მეფეს..
ალექსი მიხეილის ძეს, ბოიარის, ივანე ვოეიტინოვის შვილის ხელით
წერილი გამოგიგზავნეთ და თქვენს ხელმწიფურ ბრძანებულებას
გთხოვდით, თუ რომელი გზით წამოვსულიყავით აქედან, შენი მონები
და იმერეთის ელჩები და რომელ ადგილებზე გამოგვევლო. ჰო და 14
აგვისტოს ჩვენ, შენი მონები და იმერეთის ელჩები, ნიუნი ნოვგოროდ-
ში ხომალდებით მოვედით. ახლა, ნიუნიდან, ხელმწიფეო საით გავე-
მართოთ შენი მონები და რა ადგილებზე გავიაროთ, ამის შესახებ შენი
ხელმწიფური ბრძანებულება არ გვაქვს. ამჟამად ხელმწიფეო ვდგა-
ვართ ნიუნიში, გვსურს მურომზე ავილოთ გეზი, ხმელეთის გზით. მხო-
ლოდ მურომიდან მაინც, ხელმწიფეო, რა მიმართულებით წავიდეთ
შენი მონები და იმერეთის ელჩები, გვიბრძანე ხელმწიფეო და ჩვენ,

ზენს. მონებს ამის შესახებ, შენი ხელმწიფური ბრძანებულება განვიჩინე“¹.

(ფონდი „Дела Грузинские“ 1652 წ. 19 სექტ. 1653 წ. მაისი, № 3, ფურც. 8).

1652 წ. სექტემბრის 19. საგარეო საქმეთა საგანგოს ცნობა, იმერეთის ელჩების, ლომკაც ჯაფარიძის და არქიმანდრიტ ევდემონის, მოსკოვში საჩუქრებით და ამალით მისვლის შესახებ

ჩაწერილია მოხსენებაში. მიმდინარე ამა 161 წელს, სექტემბრის 19, ხელმწიფე მეფესთან... ალექსი მიხეილის ძესთან..., იმერეთის ქვეყნის ალექსანდრე მეფის ელჩები, თავადი ლომკაცი ჯაფარიძე და ევდემონ არქიმანდრიტი მოვიდნენ, (მათ ახლავთ) აზნაური როსებ, ორი კაცით თარჯიმანი და ორი მოლარე, აგრეთვე ელჩების მსახურები 19 კაცად და მეფის სამი მეჩინიბე. ამათთან ერთად, ალექსანდრე მეფემ ხელმწიფეს საჩუქრად სამი ცხენი გამოუგზავნა.

(ფონდი „Дела Грузинские“. 1652 წ. 19 სექტ. 1653 წ. მაისი № 3, ფურც. 12).

1652 წ. სექტემბერი. ნიკიფორე ტოლოჩანოვისა და ალექსი იევლევის მიერ იმერეთში ელჩობის დროს გაწეული ხარჯების ანგარიში ხელმწიფის იმ თანხების ანგარიში, რომელიც ელჩებს, ნიკიფორე ტოლოჩანოვსა და მდივანს ალექსი იევლევს, სახელმწიფო სალაროდან შეეცათ, იმერეთში გასამგზავრებლად საჭირო ყოველგვარი ხარჯებისათვის 100 მანეთის რაოდენობით. ეს თანხა თუ რაში დაიხარჯა, ეს ყველაფერი ამ ანგარიშში ცალკეულად და ზუსტად აღნუსხულია.

ჩვენ ელჩები, ნიკიფორე და ალექსი, თერგზე რომ მივედით, ნიკიფორემ მე, ალექსის, იმ ხელმწიფის თანხიდან 15 მანეთი გამომართვა ხარჯებისათვის. ამის შემდეგ 85 მანეთი დარჩა.

ხელმწიფის ამ ფულით ასტრახანსა და თერგში ნაყიდი იყო მაული, სიასამური, აბრეშუმის ქსოვილები და ეფიმკები (ტალერები), გზაზე დასარიგებლად, იმ სახელმწიფო სიასამურის ხაზინის სიფრთხილით გადასატანად, რომელიც იმერეთის ქვეყანაში ელჩებთან ერთად გაიგზავნა მეფისათვის (ალექსანდრე იმერთა მეფისათვის გადასაცემად, ი. ც.).

როდესაც ელჩები თერგში მივედით და წინასწარ იმერეთში თარჯიმანი ივანკა ვაჭრის შვილი და მასთან ერთად ზაგარ ჩერქეზი გაგზავნეთ, აი ის ზაგარი, მუნდარის მურზამ, იბაყუამ, რომ ჩვენთან, ელჩებთან, გამოგზავნა და ამბავი მოგვითხანა, ამათ იმის გაგება რომ ეუბრძანეთ, თუ რომელი გზით აჯობებდა ხელმწიფის ხაზინის უკეთე-

¹ ფურცლის მეორე გვერდზე შენიშვნა: „160 წელს აგვისტოს 23 დღეს, ნიკიფორეს კაცის ხელით, გრიშკა ილინის ხელით (მოტანილია).“

სად და უშიშრად გადატანა იმერეთში, აი სწორედ ამ საქმის გამო ზაგარ ჩერქეზს ორი არშინი მაუდი, ორი ცალი სიასამური და ქუდის საკუმტულეთ ერთი წითელი ქსოვილის ნაჭერი მიეცა (გასამრჩელოდ). სულ 13 მანეთის 21 ალტინის და 4 დენგათ ღირებული (საქონელი მიეცა). გარდა ჩვენ მიერ (პირადად) მიცემულ საჩუქრებისა. ხოლო ჩვენ პირადად რაც ვაჩუქეთ ის ჩვენს ანგარიშებში ეწერება.

როდესაც ჩვენ, ელჩებმა, იმერეთში გადასვლა დავიწყეთ, ჩერქეზეთის ყანბულათ მურზამ ორი თავისი საპატიო აზნაური გამცილებლებად გამოგვიგზავნა, ჩაფარი და ზაღევაშტი და ამათ ხელმწიფის ხაზინის ანზორის ყაბარლომდე მიცილება უბრძანა, აი იმ აზნაურებს გაცილებისათვის სამი არშინი ინგლისური მაუდი მიეცა თითოეულს, ასევე თითოს აბრეშუმის ქსოვილის (ნაჭერი) და ორ-ორი სიასამური მივეცით, სულ II მანეთად და 10 ალტინათ ღირებული (საქონელი მივეცით), ჩვენ მიერ ბოძებულ საჩუქრებს გარდა.

ანზორის ყაბარლოში, ზაზარუყვა მურზას და მისი ძმების სოფელში რომ მივედით, მურზებმა ელჩებს ხელმწიფის ჯამაგირზე ჩამოგვიგდეს სიტყვა, თქვენო ხელმწიფის დიდი ხაზინა მიგაქვთო და ჩვენ, მურზებს, ხელმწიფის წყალობა ჯამაგირი გამოგვეგზავნა თუ არაო. ჩვენ, ელჩებმა, მოვიბოდიშეთ, რომ ხელმწიფის ჯამაგირი არ გამოგვეგზავნათ არაფერიო. მურზებმა ამიტომ ჩვენ სამ კვირას თავის სოფლებში გაგვაჩერეს თავისთან, არც ხელმწიფის ხაზინის და არც ჩვენი, ელჩების, გაცილება არ ინებეს. ამიტომ იმ მურზებს გაცილების ანგარიშში (გასამრჩელოდან) 5 კაცს ორ-ორი არშინი მაუდი, თითო სიასამური და თითო წითელი ქსოვილის ნაჭერი მიეცათ ქუდის საკუმტულეთ. სულ 14 მანეთად და 25 ალტინათ ღირებული (საქონელი).

ანზორის ყაბარლოში (რომ ვიმყოფებოდით მაშინ) იაკობ „კულდენტის“ ძის ჩერქეზთ მთავრის ძმა, ყანბულათ მურზა ჩერქეზი, მოვიდა და ელჩებს გვკითხა: მე ხელმწიფის წყალობა — ჯამაგირი თუ გამომეგზავნაო, იგი მართლაც ემსახურება ხელმწიფეს, თავისი აზნაურები ხელმწიფის ხაზინის გამცილებლებად გაუგზავნია. ამიტომ, მას ხელმწიფის წყალობა ჯამაგირათ ოთხი არშინი მაუდი და აბრეშუმის ქსოვილის ნაჭერი მიეცა. სულ 6 მანეთად (ღირებული საქონელი მიეცა მას).

მივედით ბალყარეთში მთიელ მურზებთან, „ჩაპოლოვთან“ და მის ძმებთან. ეს მურზები (რუსთ) ხელმწიფეს არ ექვემდებარებიან. ამათ ჩვენ, ელჩებს, განგვიცხადეს: ხელმწიფის ხაზინას გავაცილებთ და ხელმწიფის წყალობა ჯამაგირი მოგვეცითო. ამ მიზეზით დავაყენეს, ხელმწიფის ხაზინა და ელჩები 10 დღის განმავლობაში არ გავვიშვეს.

ჩვენ, ელჩებმა გაშვება და ხელმწიფის ხაზინის გაცილება ვთხოვეთ. ამის (სათვასურად) სამ მურზას სამ-სამი არშინი კარგი ხარისხის წითელი მაუდი, აბრეშუმის ქსოვილის თითო ნაჭერი და თითო სიასამური მივეცით. სულ 10 მანეთად. (ღირებული საქონელი მივეცით გასამრჩელოდ). ალექსანდრე მეფის მიერ გამოგზავნილი შემომგებებელი ორი აზნაური მამუკა და გორგი რომ მოვიდა, მათ 270 ჭკვეითად მავალი კაცი მოჰყვა, ელჩების ბარგისა და ხელმწიფის ხაზინის გადასაზიდად გამოგზავნილი. (ხელმწიფის ხაზინას) სიასამურს გზაზე რომ ცუდი არაფერი შემთხვეოდა და იგი ფრთხილად გადაეტანათ, 40 კაცს 10 ფეიმკა მიეცა. ე. ი. სულ 5 მანეთი.

მივედით იმერეთში ალექსანდრე მეფესთან, იქ დიდხანს ვცხოვრობდით. ალექსანდრე მეფე (რუსთ) ხელმწიფეს ფიცს არ აძლევდა, საქმეს აჭიანურებდა, კვირიდან კვირემდე გვიპირდებოდა და ასე გვიქცევდა. ამის გამო, ჩვენ, ელჩებმა ვიხმეთ მეფის სულიერი მოძღვარი ჩაქარია მიტროპოლიტი, დარბაზის კაცი ფეშანგ მდივანი. „ამირევი“, ბიძინა თარჯიმანი და ამათ (საიდუმლოდ) მოველაპარაკეთ, რომ მეფეს ურჩიონ, რათა ამ უკანასკნელმა (რუსთ) ხელმწიფეს თავისი პირობის ქვეშაობა საქმით დაანახოს, ის საქმე დააბოლოს, ჯვარზე მთხვევით დაიფიცოს და ელჩებს ნუ გვაყოვნებს ისე გაგვიშვას. ამის გამო იმათ მიეცათ: მიტროპოლიტის 20 სიასამური, 4 არშინი საუკეთესო ხარისხის მაუდი და ქაშანური აბრეშუმის ქსოვილის ნაჭერი, სულ მას მიეცა 20 მანეთად, 26 ალტინათ და 4 დენგად ღირებული (საქონელი).

ფეშანგ დარბაზის მდივანს, 5 ცალი სიასამური, 4 არშინი იგივე მაუდი, აბრეშუმის ქსოვილი ერთი ნაჭერი, სულ 10 მანეთად, 26 ალტინათ და 4 დენგათ ღირებული საქონელი. თარჯიმანს, თარჯიმნობისათვის მაუდი, 2 ცალი სიასამური — სულ სამ მანეთად ღირებული საქონელი.

სულ ერთად, ამ სახელმწიფო თანხიდან (ე. ი. 85 მანეთიდან, ე. ი. ც.) (ხაზინის) სიფრთხილით გადასატანად, გზებზე გამცილებლების (გასამრჩელოდ), აგრეთვე მიტროპოლიტის, დარბაზის კაცის და თარჯიმანის (მოსამადლიერებლად) 85 მანეთის ღირებულების საქონელი გაიცა. გარდა ჩვენ მიერ პირადად გაცემული საჩუქრებისა, რომელიც მურზებზე და იმერელ კაცებზეა გაცემული, გაცილებისა და სიფრთხილით გადატანისათვის, ხოლო რაც ამათ (საჩუქრად) მიეცათ ის თვით ელჩებს გვექნება ჩაწერილი პირად ანგარიშებში.

ნიკიფორემ რომ 15 მანეთი წაიღო, ის ფულიც დაიხარჯა. იველევს ხელი მომიწერია.

ს ა ძ ი ე ბ ლ ე ზ ი

პ ი რ თ ა . ს ა ძ ი ე ბ ლ ე

ა

აბაშიძე ბაკა 92, 174
 აბაშიძე ბერუკა 93, 174
 აბაშიძე გიორგი 93, 174
 აბაშიძე გოშია 93, 174
 აბაშიძე კაცია 93, 174
 აბაშიძე პაატა 92, 174
 აბაშიძე შიოშ 93, 174
 აბაშიძე ქაიხოსრო 93, 174
 აედემონ არქიმანდრიტი 92, 173
 აბესალომ ათონელი ბერი 63, 141
 ალექსანდრე III გიორგის-ძე
 იმერეთის მეფე 1, 2, 6—8, 13—15;
 17, 19, 25—27, 29—31, 34, 35,
 39, 41, 42, 44, 47, 50, 57, 59, 65,
 67, 68, 70, 71—75, 77—84, 87,
 90—93, 96, 97, 101—103, 106,
 108, 109, 111—114, 117, 120, 140,
 143, 149, 151, 153, 154, 157, 158,
 161, 163, 164—166, 170—173, 175.
 ალექსი მიხეილის-ძე რომანოვი 26, 34,
 37, 39, 44, 45, 50, 51, 64, 67, 69, 71,
 75, 76, 78—82, 84, 85, 92—94, 96,
 99—114, 119, 120, 126, 127, 136,
 148, 150, 157, 159, 162, 165, 176,
 177, 178.
 ალექსანდრე კახთა მეფე 21
 ალეგუჯა 31, 104
 ალიბეგი მურზა 29, 32, 102, 105
 ანდაბალ მურზა 29, 102
 ამირეჯიბი ქაიხოსრო 93, 174
 ამილახვარი ფარსადან 93, 174
 ანდრია არქიმანდრიტი 86, 92, 173
 არისუპი (ერისთავი?) გიორგი 33, 106

ბ

ბაგრატ უფლისწული 65, 70, 75, 78,
 80 81, 83—85, 92, 93, 143, 149,
 154, 157, 160, 162, 163, 164, 165,
 174.
 ბაკლი ზირნევი 36, 106
 ბასილი არქიმანდრიტი 175
 ბიბილაშვილი მელქისედეკ 23
 ბიძინა თარჯიშანი 25, 98, 180
 ბროსე შ. 4
 ბურთა ბაღყაჩაიელი მურზა 31, 103
 ბოიარჩიკოვი ივანე მთარგმნელი 9—
 11, 18, 28, 74, 82, 100, 154, 162
 ბოქაულთუხუცესი 92, 173

გ

გაბრიელ არქიეპისკოპოსი 92, 167, 173,
 175
 გაბრიელ ხუცესი 61, 139
 გარსევანიშვილი სეხნია 25, 166
 გიორგი აზნაური 98, 180
 გიორგი იმერთა მეფე 57—62
 გიორგი უფლისწული 57, 134
 გოლიკოვი ვოინი მეთოფურთა მეთა-
 ური 91, 172
 „გრიგორიევი“ ივანე თავადი ქართვე-
 ლი მეფის ელჩი 12, 33, 106
 გოლიცინი ივანე ანდრია-ს-ძე ბოიარი
 28, 100
 გრიგოლ არქიმანდრიტი 92, 167, 173
 გურეელი 147.

დ

დადიანი ლევან 46, 50, 51, 64, 65, 66,
70, 83, 126, 127, 143, 144, 149, 164
დავით არქიეპისკოპოსი 92, 173
დავით (მორჩილი) 37, 111
დავით იღუმენი 92, 167
დავით იმერთა მეფე 52, 55, 58, 60, 62,
129, 134, 135
დავით მიტროპოლიტი 26, 35, 36, 40,
85, 86, 109
დომენტი ეპისკოპოსი 86, 92, 167, 173.
დინარ დედოფალი 21, 90

ე

ეედემონ არქიმანდრიტი 92, 173, 175
ელჩინი ფელოტი რუსეთის ელჩი სამეგ-
რელოში 11
ერეკლე საბერძნეთის მეფე 63, 141
ერისთავი პაპუნა 92, 171, 173, 175
ერისთავი „სონთა“ (არაგვის) 31, 103
ერისთავი ქაიხოსრო 175
ესიპოვი გრიგოლ მეთოფურთა ასისტა-
ვი 94, 176

ვ

ვახუშტი ბაგრატიონი 24
ვასილ იღუმენი 37, 45, 41, 69, 93
111, 120, 147
ვაჩაძე გურამ 23
ვოლინსკი ვასილ ეოვეოლა 172
ვოეტინოვი ივანე ბოიარის შვილი 95,
177
ვოლკონსკი 10
ვასილი არქიმანდრიტი 92, 173
ვოლოშენინოვი მიხეილი 27, 95, 99,
177

ზ

ზაგარ ჩერქეზი 29, 96, 97, 101, 178,
179
ზაზარუყვა 29, 32, 85, 91, 101, 103,
172, 179
ზალეგაშთა 97, 179
ზახნეი (სეხნია)? 72, 151
ზაქარია იღუმენი 92, 173

ზაქარია მიტროპოლიტი (გენათელი,
ქეარიანი) 2, 33, 40, 51 — 53, 55, 58,
62, 64, 71, 76, 77, 80, 85, 94, 98,
104, 107, 110, 113, 127 — 131, 136,
140, 142, 150, 155, 157, 158, 160,
166, 167, 175, 180

ზაქარია პრისტავი 72, 151
ზირნევეი ბაკლი აზნაური 33, 106
ზურაბ სახლთუხუცესი 93, 174

თ

თამარ მეფე 20
თეოდოსი იღუმენი 86, 92
თეიმურაზ I 1, 5, 6, 11—15, 18, 21,
24, 35, 36, 40, 46, 50 — 52, 65 —
67, 81, 84, 94, 109, 114, 115, 121, 126,
145, 146
თეოფანე — თეიმურაზის ელჩი რუსეთ-
ში 13, 49, 50, 125
თეოფილე ბიზანტიის მეფე 64, 142

ი

იასაფე ათონელი ბერი 63, 141
იაშვილი კაცია 93, 174
იაშვილი ქაიხოსრო 92, 174
იბაკოვი იბაყუა მუნდარის მურზა 96,
178
„ივანე გრიგორიევი“ — იმერეთის ელ-
ჩი მოსკოვში 12, 33, 106
ივანოვი ალმაზ 27, 94, 99, 177
იევლევი ალექსი 2, 5, 6 — 9, 11, 14,
17 — 20, 22, 23, 25 — 28, 31 — 35,
37 — 42, 45, 46, 50 — 52, 58, 59,
62 — 65, 67, 69 — 72, 74, 76 — 83,
85, 86, 89 — 91, 95, 99 — 101, 103,
106 — 108, 110, 112, 113, 116, 119,
121, 122, 126 — 128, 136, 142, 143,
145, 146, 149, 151, 153, 155, 157,
158, 159, 162, 163, 165, 170, 171,
177, 178, 180
იევლევი კლიმენტი 13, 18, 28, 100,
113
ინსარიძე ქაიხოსრო 92, 174
ოსებ იღუმენი 87, 92
ირაკლი ბერძენთ მეფე 63, 141

იბრინე კონსტანტინე საბერძნეთის მეფის
ასული 55, 131

კ

კანბულატ მურზა 29, 97, 101, 179
კელამედ იბაყუა 30, 102, 103
კანშოვი იური (გიორგი) (ყანჩელი?) 32,
33, 36, 47, 90, 91, 103, 105, 106,
110, 122, 171
კანშოვი კონსტანტინე (ყანჩელი?) 29—
31, 101, 102
კოზმა ეპისკოპოსი 86, 92, 167, 173
კარაბგოვეი „ალკას“ მურზა 31, 104
კოსია ზოსია აზნაური 65, 66, 70, 149
კონსტანტინე საბერძნეთის მეფე 55, 131
კოტოშხინი გრიგოლი 1, 9, 19

ლ

ლასხიშვილი ზოსია 93, 174
ლომინაძე ეახტანგ 93, 174
ლორთქიფანიძე ოტია 92, 174
ლუარსაბ ბატონიშვილი 66, 45

მ

მამუკა აზნაური 70, 98, 149, 180
მაქსიმე კათალიკოსი 47, 64, 92, 142
მამუკა უფლისწული 70, 75, 78, 80, 81,
83—85, 92, 93, 149, 154, 157, 160,
162—165, 174
მიხეილ რომანოვი იხ. რომანოვი
მიხეილ მღვდელი 11, 13, 18, 20
მუნდარ ყაბარდოელი მურზა 29, 101
მხეიძე პაპუნა 92, 173

ნ

ნემიროვი ონდრეი 95, 177
ნიკოლოზ ილუმენი 86, 92
ნიკიფორე ილუმენი 37, 40, 64, 113,
126, 142
ნიკოლოზ ბატონიშვილი 66, 145
ნიკონი, რუსეთის პატრიარქი 17, 21
ნიქარაძე გიორგი 93, 174

ნიქარაძე ბადურ 93, 174
ნიუიკოვი 6, 3, 4, 21

ო

ოლოვესკი ნიკიტა 92, 173

პ

პაატა აზნაური 59, 65, 66, 136
პაულე ხუცესი 11
პაბომ არქიეპისკოპოსი 91, 172, 173
პოლიევქტოვი მ. 3—5, 7, 13, 17, 22
პრონსკი მიხეილ პეტრეს-ძე ბოიარი 91,
92, 94, 95, 172, 173, 176, 177

რ

რომანოვი ალექსი იხ. ალექსი რომანო-
ვი
რომანოვი მიხეილ 10
რაბაზანი 8, 24, 25, 36, 108, 126

ს

საბა მღვდელი 73 152
საყვარელოძე გიორგი 93, 174
სეზნია შოურავი 72, 151, 153
სიმონ არქიმანდრიტი 86, 92, 167, 173
სიმონ არქიეპისკოპოსი 34, 86, 89, 90,
92, 107
სიმონ ილუმენი 92, 173
სიმონ მიტროპოლიტი 92, 167, 173,
175
სმაილ“ დიდგორელი (ისმაილ) 31, 104
სონთა (არავეის) ერისთავი 31, 103
სტეპანოვი ივანეა 95, 177

ტ

ტეზიჩონოვი ივანე თარჯიმანი 11,
18, 29, 65, 66, 74, 80, 81, 96
ტოლოჩანოვი ნიკიფორე 3—15, 17—
20, 22, 23, 26—28, 33—35, 37—
42, 45 46, 50—52, 58, 59, 64—72,
74, 76—86, 89, 91, 94—96 99—101,
103, 104, 106—108, 110, 112, 113,
116, 119, 121, 122, 126—128, 136,
143, 145, 146, 149, 151, 153,

155. 157—161, 163, 165, 170, 172,
176. 177, 178, 180

ტროეკუროვი ბორის ივანეს-ძე 92, 73

ფ

ფეშანგ შდოვანი (ხითარიშვილი 2. 25,
51, 67, 69, 70, 73, 75, 82, 127,
145, 148, 149, 152. 158, 159, 162,
166, 175, 180

ფილიპე ილუმენი 86, 92, 167, 173

ქ

ქაიხოსრო თაყალი 89, 90, 170, 171

ლ

ლამბაშიძე დავითი 22, 23

ლალანძე გიორგი 93, 174

ლოლობერიძე პაწია (?) 93. 174

შ

ყაზი მურზა მუნღარის ყაბარდოდან
29, 101

ჩ

ჩეტინინი მიხეილ 30, 102

ჭორინი ვასილ 91, 172

ც

ჩეპოლოვი ბალყარელი მფლობელი 29.
32, 97, 105

ჩიბრიკა დიგორელი 31, 104

ჩერკეზიშვილი გიორგი 92, 174

ჩიჯავაძე საზვერელი 92, 173

ჩხეიძე ლევან 93, 174

წ

წერეთელი გიორგი 93, 174

წერეთელი დავით 93, 174

წერეთელი ზაალ 93, 174

ჭ

ჭელიძე ხახუტა 92, 174

ხ

ხაბიტინი ბალყარელი მურზა 31, 103

ხეიძე იამალი 93, 174

ხეიძე ფირან 93, 174

ხეიძე ხოსია 93, 174

ხვაროვი 10

ხოდოეუევა მურზა 31, 104

ხოსია (კოსია) აზნაური 65, 66, 70,
149

ჯ

ჯაფარიძე გიორგი 93, 174

ჯაფარიძე ლომკაცი 33, 73, 74, 81, 82,
90, 93, 106, 152, 153, 161, 162, 171,
174, 178

ჯაფარიძე ყანწა (ყანსა) 92, 174

ჯაფარიძე შაშუკა 32, 36, 47, 93, 105,
110, 122, 174

ჯაფარიძე ქველი 93, 174

გიორგარული სახელები

ბ

ბათონი 63, 141

ბლეკსანდრუს 86, 166

ამბროლაური 86, 166

ასტრახანი 93, 96, 172, 174, 177, 178

ალკას (ახალციხე?) 73, 152

აშუკაში 86, 166

აშციტი 86. 166

ბ

ბალყარეთი 31, 74, 91, 97, 102, 104,
172

ბერეთეი 86. 166

გ

გარი (ღარი) 86. 166

გვიშტიბი 86. 166

შეგუთი 86, 166
ველათი 17, 20, 58, 61, 83, 128, 167

შ

ღერბენდი (ღარუბანდი) 52, 58, 129
ღეხვირი 86, 166

ჭ

კარჩიცი (ვარციხე) 86, 166
კარძია 86, 166
კახანი 86, 166

ყ

თბილისი 70, 73, 89, 148, 152
თევრეშო 86, 106
თერგი 27—30, 92, 93, 94, 96, 97, 101,
104, 175, 176, 178
თურქეთი 1, 2

რ

იერუსალიმი 37
იერია 1
იმერეთი 1, 2, 3—7, 13, 17, 20, 23, 28—
33, 39, 45, 63, 85, 89, 96, 100, 165
166, 170, 178—180
ირანი 2

ს

სასიპოვი 27, 99
საცხი 86, 166
სახეთი 6, 21
სელვანი 86, 166
სონსტანტინეპოლი 138, 142
სუაშიბისი 86, 166
სრეხულა 32, 34, 105, 107
სურლი (ყვირილა) 67, 69, 88, 147, 169
სუთარიზი 86, 166

ვ

ღეხიღირი 86, 166
ღეჩხუმი 86, 166
ლიტუაპოლონეთი 1
ლოქინა 86, 186

ფ

მინდასციხე 86, 166
მურაში 27, 177
მუნდარის ყაბარლო 12, 29
მუხორი 86, 166
მწერისციხე 86, 166

ნ

ნიკორწმინდა 26
ნინე-ნოეგოროდი 95, 177

ო

ონი 24

პ

პალესტინა 63, 141
პალიასტომი 62, 139, 140
პეტრესლავლ-რეზანსკი 27, 28,
პოსლები (ბოსლები) 86, 166

ჟ

ჟოეზა 86, 166
ჟოტა 86, 166

რ

რაქა 8, 24, 25, 35, 36, 108, 109
რიონი 32, 33, 34, 52, 59, 63, 88, 89,
106, 107, 109, 141, 147,
რონზატი 86, 116

ს

საბეკა 86, 166
სადმელი 86, 166,
საზანი 86, 166
სადცალი 86, 166
საჩინი 86, 166
საჩინიში 86, 166
საკაეი 86, 166
საკაცი 86, 166
სამეგრელო (სადადიანო) 9, 11, 63, 89,
170
სკანდა 13, 14, 51, 66, 67, 72, 74, 89,
127, 144, 147, 151, 154, 166,

სუერი 69, 86, 147

სუენსუ 32, 105

სპასკოე (მატხოვრისი?) 33

სუნჯისციხე 172

სუისრი 86, 166

სუფსა 53, 60

ბ

ბაბაქინი 86, 166

ბევრიე (თევრეშო) 86, 166

ბცხერი (წვერისციხე?) 86, 166

ვ

ვარდი 86, 166

ვახაია 86, 166

ვკრაინა 1

ვრუხი 31, 104

გ

კართლი 1.

კუთაისი 8—10, 24, 26, 29, 33, 36, 47,

51, 52, 58—65, 68, 74, 75, 83,

86—88, 106, 107, 109, 136, 141,

142, 151—154, 165, 169

დ

ღარი 86, 166

„ღებჭიორა“ (ხებჭიორა?) 86, 166

წ

წაზანი 92, 173

წვირილა (კურლი) 67, 68, 88, 147, 169

შ

შაეი ზღვა 63, 84, 88, 89, 147, 169

შარი 86, 166

შეუბანი 86, 166

შორაპანი 86, 166

შუპორი 86, 166

ჩ

ჩალათხა (ქალა ტყე?) 86, 166

ჩარალა 86, 166

ჩგისი (კყვისი?) 86, 166

ჩხერი 86, 166

ც

ცარგრადი (კონსტანტინეპოლი) 55, 60, 63, 64, 65

ცესირი 86, 166

ძ

ძეგლევი 86, 166

წ

წერი 86, 166

ხ

ხარაგაული 86, 166

ხებჭიორა (ღებჭიორა?) 86, 166

ხოზი 86, 166

ხიღარი 86, 166

ხოტევისი 86, 166

ხრასტი 86, 166

ხრეიდი 86, 166

ს ა რ ა ჯ ი

წინასიტყვა	1
ტოლოჩანოვისა და იველევის იმერეთში ელჩობის „მუხლობრივ აღწერილობათა“ საკითხისათვის	3
Статейный список А. И. Ивлева о пребывании посольства в Имеретии	27
იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა	99
საბიებლები	181

**Статейный список посольства в Имеретию 1650—1652 гг.
составленный Алексеем Невлевым**

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

გამომცემლობის რედაქტორი ე. ბათიაშვილი
ტექნორედაქტორი ნ. ბოკერია
კორექტორი რ. ფარესიშვილი

გადაეცა წარმოებას 4.6.1968; ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.3.1969;
ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆; ნაბეჭდი თაბახი 11.75; საალრიცხო-საგამომცემლო
თაბახი 10.35; უე 01234; ტირაჟი 1200; შეკვეთა № 1615;
ფასი 1 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

გამომცემლობა „მეცნიერების“ სტამბა, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Типография Издательства «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 1